PRIME Time
N20 (270), ორშაბათი 26 მაისი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge



EXCLUSIVE

აპირებს თუ არა ჯოტე გოგელია პოლიტიკაში მოსვლას

„მიჭირს, ალასანიას ეს განცხადება, რაც მან NATO-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით გააკეთა, შეგნებულ პროვოკაციად შევაფასო. ეს უფრო გაუაზრებელი განცხადებაა და ხელისუფლების მიერ აღებულ სტრატეგიას მთლიანად არღვევს და ეწინააღმდეგება“

EXCLUSIVE

ეროსი კიწმარიშვილი:

„ადრე თუ გვიან „მაესტროს“ დამფუძნებლებს დავსჯი... მათ ჩემი გაძლიერების საშინელი შიში აქვთ“

თამარ კორძაია:

„ვასაძის შეხედულებები არ არის 21-ე საუკუნის მსოფლმხედველობა. ეს არ არის სახელმწიფოებრივი ხედვა“

EXCLUSIVE

რა კავშირი აქვს თენგიზ კიტოვანს ნარკობიზნესთან?

„რას ეძებდნენ, არ ვიცი. ვუთხარი, – კიტოვანს ჩხრეკავთ-თქო“?

PRIME Time

სოლიდაროობას ვუცხადებთ „ალიას“ და „კვირის ქრონიკას“

რატომ დადიოდა იარაღით მამუკა ხერხეულიძე?

EXCLUSIVE

ერთი წლის წინათ მომხდარი ინციდენტის დეტალები, რომელიც მწერალზე შურისძიების მიზეზი გახდა

2011-2014

26 მაისი

„ჩემი თვალით ვნახე დასახიჩრებული ადამიანის გვამი, რომელსაც მარცხენა თვალი არ ჰქონდა, ყელი ჰქონდა გამოგლეჯილი და უამრავი დაზიანება მიღებული“

„ვისი დავალებით შემოვიდა ჩემთან საავადმყოფოში კონკრეტული მაღალი რანგის ჩინოვნიკი, რომელიც მეუბნებოდა, შენი შვილების სისხლს დავლევო. ამაზე რატომ არ დამკითხეს?“

„გახსოვთ კადრები, რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში პოლიციელებმა ანზორ ბიწაძე რომ აიყვანეს? ნინო ბურჯანაძე თუ გახსოვთ, შვილს კრუხივით რომ გადაეფარა? იცით, რატომ წაიყვანეს?..“

ქობულეთში მომხდარი საზარელი მკვლელობის უცნობი დეტალები

ჯერ 8 შვილის დედა მოკლა, შემდეგ თავი მოიკლა...

ვინ მოკლა რეალურად 25 წლის პატიმარი?

EXCLUSIVE

გიგა ფარტენაძის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება

ზაზა პაპუაშვილი:

„თეატრში მძვინვარებს რეჟიმი, ძალაუფლების სრული უზურპაციაა“

EXCLUSIVE

„რჩევად ილე, კეთილო, დაუკრეფავში გასეირნებით ნურც საკუთარ თავს და ნურც სხვას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებ“

EXCLUSIVE

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

EXCLUSIVE

„რუსთავი 2“-ის „ზევსების“ მიერ შეცვლილი სტეფანე

რა მიზნით დაჰბრალდა ძიძას 2 წლის ბავშვის ცემა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



დაჯავშნეთ ბილეთები online
ჩვენს ვებ-გვერდზე
WWW.AIRZENA.COM

20 წელი თქვენს გვერდით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

26 მაისს გარდაცვლილი პოლიციელის დედა „პრაიმტაიმს“ აქამდე უცნობ დეტალებს უმხელს

ანა აზნაურაშვილი: „გახსოვთ კადრები, რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში პოლიციელებმა ანზორ ბინწაძე რომ აიყვანეს? ნინო ბურჯანაძე თუ გახსოვთ, შვილს კრუხივით რომ გადაეფარა? იცით, რატომ წაიყვანეს?..“

მარიამ ნადირაძე

სულაც არ არის გამორიცხული, რომ მალე ნინო ბურჯანაძისა და მისი ვაჟის, ანზორ ბურჯანაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დაწყების მომსწრენი გავხდეთ.

ამბავი ძველია, მაგრამ დაზარალებული ოჯახი ადვოკატებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ არ გამორიცხავს, რომ პროკურატურას ახალი გარემოებები შესთავაზოს. ეს ახალი გარემოება კი მას ახლახან მიაწოდეს.

თუ მკითხველი ვერ მიხვდა, ვუკარნახებთ, რომ საქმე 26 მაისს რუსთაველის გამზირზე გარდაცვლილ პოლიციელს, ვლადიმერ (დათო) მასურაშვილს შეეხება.

გარდაცვლილის დედა ტრაგედიიდან სამი წლის შემდეგ „პრაიმტაიმს“ ისტორიის ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს, როლის შესახებაც თავადაც ახლახან შეიტყო.

მაშ ასე, გთავაზობთ ინტერვიუს ქალბატონ ანა აზნაურაშვილთან:

– სულმოუთქმელი ველოდი არჩევნებს სამართლიანობის აღდგენის იმედით, იქნებ ახალ ხელისუფლებას მაინც ჯეროვნად შეეფასებინა ჩემი შვილის, უშიშროების თანამშრომლის, დათო მასურაშვილის სიცოცხლის ხელყოფა. მინდოდა ახალ პროკურორს გამოეძიებინა ეს საზარელი მკვლელობა და აღარ შეეფასებინა ეს დანაშაული უბრალო საგზაო შემთხვევად. მინდოდა ნამდვილი მკვლელი დასჯილიყო და არა ვიღაც საბრალო კაცუნა, რომელიც, ორ ჭიქას რომ დალევს, მეგობრებში ტირის ქალივით, – მე მკვლელი არ ვარ, დავიბრალეო.

– ანუ დღესაც დარწმუნებული ხართ, რომ ალექსანდრე ბიბილურმა ეს დანაშაული დაიბრალა?

– ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს, რომ ბურჯანაძემ ადრე მისი ოჯახის წევრი გადაარჩინა ციხეს, რომელმაც, თუ არ ვცდები, საზამთროს გამყიდველი გაიტანა მანქანით. ამის სამაგიეროდ 2011-ში ბიბილურმა აიღო თავის თავზე ბურჯანაძის ვაჟის დანაშაული.

– ამბობთ, რომ ახალ ხელისუფლებას ელოდით. ძველი ხელისუფლების გამოძიებით უკმაყოფილო ხართ?

– აღმოჩნდა, რომ პასუხისგებაში სხვა პირი მისცეს... დაკითხვაზე არასდროს არავის დავუბარებივარ. არც დაზარალებულად ვუცნივარ. უბრალოდ, შემატყობინეს, რომ ალექსანდრე ბიბილური ჩაჯდა მკვლელობაზე და მაჩვენეს განაჩენი. მაშინ ყველაფრისგან იზოლირებული ვიყავი, არაფრის გამოძიების თავი არ მქონდა. მოგვიანებით ყველაფერში გავერკვიე.

– იქნებ დაინტერესებულები იყვნენ ის ადამიანები, ვინც თქვენ ინფორმაციას გაწვდიდათ...

– არა მგონია, რამე დაინტერესება ჰქონოდა ტაქსის მძღოლს, ბაზრის გამყიდველებს, უბრალო მოქალაქეებს...

– ანუ ეს ის ხალხია, ვინც თავად შეესწრო ამ შემთხვევას?

– დიახ. ამათ გარდა, არიან კომპეტენტური ადამიანები, ვინც ყველაფერზე ამიხილა თვალი და დღეს სრული სურათი მაქვს, რა მოხდა 26 მაისის ღამით რუსთაველის გამზირზე, სადაც ჩემი შვილი გარდაიცვალა.

– რამდენადაც ვიცი, თქვენს ოპონენტებს აქვთ ექსპერტიზის დასკვნა, რითაც ადასტურებენ, რომ ესკორტს თქვენი შვილი არ გაუტანია

– ყალბი და შეკვეთილი ექსპერტიზა ვერ გახდება ნინო ბურჯანაძისთვის ალიბი.

– თქვენ ნინო ბურჯანაძის უფროს ვაჟს ადრეც ადანაშაულებდით...

– ახლა ყველაფერი პირველწყაროდან შევიტყვე. დაახლოებით ორი თვეა, ყველაფერი დაზუსტებულად ვიცი: ნარმოიდგინეთ, ესკორტის რამდენიმე მანქანამ გაიარა დიდი სისწრაფით. მისი დაბნელებული კადრები მიიტანეს ექსპერტიზაზე, რომელმაც დაასკვნა, რომ ამ ესკორტს ადამიანისთვის არ გადაუვლია... თუმცა მცირე პერიოდის შემდეგ გიჟური სისწრაფით მოდის ცალკე მანქანა, შავი ჯიპი, რომელშიც ანზორ და ბადრი ბინაძეები ისხდნენ. სწორედ ეს მანქანა დაეჯახა ჩემს შვილს, რომელსაც გზაზე მოქალაქე გადმოჰყავდა. მანამდე ეს მანქანა ძველ მერიასთან ხალხშიც შევარდა და მერე შემოუხვია. როდესაც ჩემთან საუბარი იყო, პირველად მან თქვა, – კადრები ხომ არსებობს, სადაც ჩანს, დათოს რომ ვიღაც გადაჰყავდა ქუჩაზეო. აი, აქ გამიჩნდა პირველი ეჭვი, რომელიც ორი წლის შემდეგ, სამწუხაროდ, დადასტურდა... თუმცა, რასაც ახლა ვუყურეს, სამართალი არ არის. მერაბიშვილი დამნაშავე იყო და ჩაჯდა კიდეც, მაგრამ ბურჯანაძე ანგელოზივით სუფთა და კრისტალურია?

– არ გიცდიათ, პროკურატურისთვის განცხადებით მიგემართათ?

– კბილაშვილთან ვიყავი 2012 წლის დეკემბერში. დავწერე განცხადება შეხვედრაზე. 6 თვეში დამიძახეს. რატომღაც შეხვედრა 2013 წლის 19 აპრილს შედგა. ეს ის დღე იყო, ნაციონალებმა დიდი მიტინგი რომ მოაწყვეს, მერაბიშვილიც რომ გამოდიოდა. მეც მინდოდა იმ მიტინგზე გამოსვლა.

– რაკი ამ თარიღს ხაზს უსვამთ, ალბათ, ამას დატვირთვასაც აძლევთ... ეჭვობთ, რომ ამ დღეს თქვენთან შეხვედრა შეგნებულად დაიგეგმა?

– ფაქტია, რომ საეჭვოდ დაემთხვა... კბილაშვილთან რომ შევედი, ის თავის თანაშემწეს ელაპარაკებოდა. ძალიან გულგრილად შემხვდა – წარმოდგენაც არ მქონდა, რაზე მოდიოდითო. მერე მითხრა, თუ მოწმეს მოიყვან, რომელიც იტყვის, რომ მკვლელი ბიბილური კი არა, სხვა ვინმეა, მაშინ შეიძლება გამოძიების დაწყება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეზე განაჩენი უკვე დამდგარიაო.

– მართალი უთქვამს... მოწმის მიყვანა თქვენთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს...

– არ ვენდობი გამოძიებას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც წინა ხელისუფლების გამოძიება ყოფილა სანდო.

– როგორ ფიქრობთ, ანზორ ბინწაძის რამე ბრალეულობა რომ ყოფილიყო თქვენი შვილის გარდაცვალებაში, სააკაშვილი დაინდობდა ბურჯანაძეს?

– დაინდეს მაშინდელი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე. იმ ღამით რეალურად იყო ომის დაწყების საშიშროება. ამაში დარწმუნებული ვარ...

– იმ ღამის შემდეგ კიდევ უამრავი ღამე იყო, მაგრამ...

– გახსოვთ კადრები, რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში პოლიციელებმა ანზორ ბინაძე რომ აიყვანეს? ნინო ბურჯანაძე თუ გახსოვთ, შვილს კრუხივით რომ გადაეფარა? იცით, რატომ წაიყვანეს?

– დათო მასურაშვილის გარდაცვალების გამო?

– აბა, რა!.. მერე მოხდა, ალბათ, მოლაპარაკება და ბურჯანაძის ქმარიც და შვილიც საქართველოს გაეცალნენ.

– ამბობთ, რომ გარიგება მოხდა?

– ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ შემიძლია ვივარაუდო, რომ გარიგება მოხდა პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე.

– ქალბატონო ანა, არ გიფიქრიათ, რომ შესაძლოა, კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალამ გამოგიყენოთ?

– ეს ბურჯანაძის აზრია. ის თვლის, რომ მე დამაშანტაჟეს, შემაშინეს, მეტიც, თურმე ქრთამიც მომცეს. ჩემი ხუთი შვილიშვილის სიცოცხლეს გეფიცებით, ერთადერთი, ვინც მე დამაშანტაჟა, ნინო ბურჯანაძეა. „პოლიტიკის დროში“ თითები მიქნია და შვილიშვილები მიხსენა. მისთვის ახლაც კი გაუგებარია, რომ მე უკვე ველარაფერი შემაშინებს და რაც შემაშინებდა, ის, მისი წყალობით, უკვე აღარ მყავს. რაც შეეხება ქრთამს, ამის შესახებ პირველად ვამბობ: მე რომ ქრთამი ამეღო, მაშინ ჩემს შვილთან ერთად აღებული სესხები დაფარული მექნებოდა და მოკლული პოლიციელის ოჯახი უსახლკაროდ დარჩენის საფრთხის წინაშე არ დადგებოდა. ასე რომ, ბურჯანაძის საყურადღებოდ: ვერავინ გამაჩუმებს. ვიბრძოლებ ბოლომდე და ჩემი დათოს სისხლს არავის შევარჩენ... როცა ხელისუფლება შეიცვალა, გულწრფელად ვფიქრობდი, რომ ამ საქმესაც მიეხედებოდა. ალასანია ჩემი დათოს ხელმძღვანელი იყო, როცა ის ამერიკაში სასწავლებლად წავიდა. ვფიქრობდი, ის მაინც გამოიჩენდა რამე ყურადღებას და თუნდაც ყვავილს მიიტანდა მის საფლავზე. იმედი მქონდა, რომ ტელეფონით მაინც მომისამძიმრებდა ვინმე... არავის აგონდება, თუ არსებობდა დათო მასურაშვილი. ეს იცით, რა საწყენია?.. სამაგიეროდ, ახსოვთ სხვა გვარები, რომლებიც თვითონ სჭირდებათ.

– არ აპირებთ, სამართლებრივი პროცედურა წამოიწყოთ?

– მე აუცილებლად გავივლი კონსულტაციას ადვოკატებთან და ამ გადაწყვეტილებას მივიღებ.



„ჩემი ხუთი შვილიშვილის სიცოცხლეს გეფიცებით, ერთადერთი, ვინც მე დამაშანტაჟა, ნინო ბურჯანაძეა“

„მინდოდა ნამდვილი მკვლელი დასჯილიყო და არა ვიღაც საბრალო კაცუნა, რომელიც, ორ ჭიქას რომ დალევს, მეგობრებში ტირის ქალივით, – მე მკვლელი არ ვარ, დავიბრალეო“

ვლადიმერ (დათო) მასურაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ დადიოდა იარაღით მამუკა ხერხეულიძე?

EXCLUSIVE

ერთი წლის წინათ მომხდარი ინციდენტის დეტალები, რომელიც მწერალზე შურისძიების მიზეზი გახდა

მირიან ბოქოლიშვილი

ბიზნესმენ დავით კოდუაზე თავდასხმის ირგვლივ ატეხილი ხმაური ჯერაც არ იყო ჩამცხრალი, რომ ქალაქის შუაგულში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს მწერალი მამუკა ხერხეულიძე. მას პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე კაფე „ანტრეში“ ესროლეს.

რა გახდა ხერხეულიძის დაჭრის მიზეზი? „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ მომხდარი დაახლოებით ერთი წლის წინანდელ ინციდენტს უკავშირდება, თუმცა ამაზე ოდნავ ქვემოთ მოგიყვებით. მანამდე კი გეტყვით, რომ მწერალს სამი ტყვია ფეხის არეში აქვს მოხვედრილი. როგორც „ანტრეს“ მენეჯერმა შემთხვევის ადგილზე ჟურნალისტებს განუცხადა, მამუკა ხერხეულიძე კაფეში მარტო იმყოფებოდა.

„მამუკა ჩვენი კაფეს ხშირი სტუმარია, რადგან მეზობლად ცხოვრობს. ის მარტო იყო შემოსული. ყავა და წყალი აიღო და გარეთ მაგიდასთან დაჯდა. ზუსტად რა მოხდა, ვერ დავინახეთ, ერთ-ერთმა კლიენტმა დაჭრილი ხერხეულიძე შიგნით შემოიყვანა, მას ფეხიდან სისხლი სდიოდა. ინციდენტის შემდეგ მისი მეუღლეც მოვიდა. ხერხეულიძე ბოლომდე კონტაქტური იყო, მას გონება არ დაუკარგავს. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ პირველადი დახმარება ადგილზე გაუწია, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანა“, – ამბობს **„ანტრეს“ მენეჯერი.**

შსს-მ მწერალ მამუკა ხერხეულიძის დაჭრაში ბრალდებული მალევე დააკავა. ის 1985 წელს დაბადებული გიორგი ნიჟარაძე აღმოჩნდა, რომელსაც ბრალი ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით წაუყენეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, 1959 წელს დაბადებული მამუკა ხ. ურთიერთშელაპარაკებისას ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს“, – **განმარტეს შინაგან საქმეთა სამინისტროში.**

აქვე ცნობილი გახდა, რომ გამოძიებამ თავად მამუკა ხერხეულიძესაც წაუყენა ბრალი, ვინაიდან მას შემთხვევის დროს თან ჰქონდა მის სახელზე შეძენა-შენახვის უფლებით რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ტარების უფლებაც არ ჰქონდა.

„სამართალდამცველებმა მამუკა ხ-ს სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება გიორგი ნ-ს მიმართ – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების, ხოლო მამუკა ხერხეულიძის მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს“, – **აცხადებენ შსს-ში.**

ახლა კი, რაც შეეხება ინფორმაციას, რომელიც ამ დრომდე არ გახმაურებულა და რომლითაც შესაძლოა, აიხსნას ის, რატომ დაჰქონდა იარაღი მამუკა ხერხეულიძეს. მოკლედ, როგორც „პრაიმტაიმს“ ხერხეულიძეების ოჯახის ახლობელი უყვება, გიორგი ნიჟარაძესთან კონფლიქტი ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაიწყო, როდესაც ერთ-ერთ სუფრაზე მამუკა ხერხეულიძე ნიჟარაძის მამის, ვლადიმერ ნიჟარაძის ადგილას დაჯდა. ამას სუფრის წევრებს შორის შელაპარაკება მოჰყვა. პირი, რომელმაც ამის შესახებ გვიამბო, თავად ესწრებოდა ინციდენტს. მაშინ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა დაახლოებით ერთ თვეში, გასული წლის მაისში, შელაპარაკება ამჯერად მამუკა ხერხეულიძის ვაჟსა და გიორგი ნიჟარაძის შორის მოხდა. მაშინ გიორგი ხერხეულიძემ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა ნიჟარაძე.

მაშინ ინციდენტი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა დაახლოებით ერთ თვეში შელაპარაკება ამჯერად მამუკა ხერხეულიძის ვაჟსა და გიორგი ნიჟარაძეს შორის მოხდა. მაშინ გიორგი ხერხეულიძემ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა ნიჟარაძე

25 წლის გიორგი ხერხეულიძე პოლიციამ დააკავა და მას სასამართლოს მიერ პირობითი პატიმრობა შეეფარდა, თუმცა რამდენჯერმე იყო მუქარა ნიჟარაძის მხრიდან. როგორც ჩანს, ის შურისძიებისთვის ხელსაყრელ მომენტს არჩევდა. ამბობენ, რომ შესაძლო ვენდეტას თაობაზე ცნობილი იყო მწერალ მამუკა ხერხეულიძისთვის და სწორედ ამიტომაც დადიოდა ის ქუჩაში იარაღით.

ნიჟარაძეებსა და ხერხეულიძეებს შორის დაპირისპირების დეტალების გასარკვევად ჩვენ ორივე ოჯახს შევეხმიანეთ. გიორგი ნიჟარაძის მამამ, ვლადიმერ ნიჟარაძემ გვითხრა, რომ მისი შვილი „სრულწლოვანი ადამიანია და საკუთარ საქციელზე პასუხს თავადვე აგებს“. ვლადიმერ ნიჟარაძე ამბობს, რომ კონფლიქტის დეტალების შესახებ თავად ინფორმირებული არ არის.

კომენტარისგან თავი შეიკავა მამუკა ხერხეულიძის მეუღლემ, ქალბატონმა მაიამაც. მისი თქმით, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და არ სურს „არასამართლებრივი ტერმინოლოგიით საუბრით ვინმე შეცდომაში შეიყვანოს“.

რაც შეეხება მწერლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც მისმა მეუღლემ განგვიმარტა, მამუკა ხერხეულიძე მკურნალობას სახლში განაგრძობს და თავს უკეთესად გრძნობს.

როგორც ჩანს, ნიჟარაძე შურისძიებისთვის ხელსაყრელ მომენტს არჩევდა. ამბობენ, რომ შესაძლო ვენდეტას თაობაზე ცნობილი იყო მწერალ მამუკა ხერხეულიძისთვის და სწორედ ამიტომაც დადიოდა ქუჩაში იარაღით

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აპირებს თუ არა კოტე გოგელია პოლიტიკურად გააქტიურებას

EXCLUSIVE

მამუკა ღლონტი:

„კოტე გოგელია არ აპირებს პოლიტიკაში ჩართვას, ის არის ძალიან წარმატებული ბიზნესმენი და წარმატებული ბიზნესმენები, როგორც წესი, პოლიტიკაში არ მოდიან, გამონაკლისების გარდა“

ხათუნა მგალობლიშვილი

კოტე გოგელია მაკა ასათიანის ქმარია. პარალელურად „მაესტროს“ მფლობელი. არ არის გამორიცხული, ის მალე პოლიტიკოსიც გახდეს. მართალია, „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ყველას არწმუნებს, წარმატებული ბიზნესმენები პოლიტიკაში არ მოდიანო, მაგრამ თავადვე აგრძელებს, რა თქმა უნდა, გამონაკლისების გარდაო... ასეთი გამონაკლისი საქართველოში უკვე იმდენი დაგვიგროვდა, რომ გოგელიასთან დაკავშირებით მტკიცებით ფორმაში ნათქვამი, – პოლიტიკაში მოსვლას არ აპირებს, – არავის სჯერა. მით უმეტეს, რომ ის პოლიტიკასთან ადრეც ძალიან ახლოს იდგა.

გოგელიამ ყველაზე სკანდალური განცხადება და დადასტურება, რომ პოლიტიკაში მოსვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, 2011 წელს გააკეთა „მაესტროსვე“ ეთერით. მაშინ მან ქართველ საზოგადოებას მოსკოვიდან მიმართა და პირობაც დადო, რომ რამდენიმე დღეში თბილისში იქნებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ბურჯანაძე აქციებს მართავდა, მათ შორის ტელევიზიასთან და საბოლოოდ 26 მაისიც დადგა. სწორედ იმავე წლის 26 მაისს გვპირდებოდა ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში დაბრუნებას და მასთან ერთად აპირებდა აღლუმის ჩაბარებას კოტე გოგელიაც...

კოტე გოგელია:

– მე ერთ რამეს გეტყვით მარტო, 25-ში აუცილებლად ჩამოვალ საქართველოში, 25 მაისს აუცილებლად ვიდგები ჩემი ხალხის გვერდით და მათ ერთ პირობას ვაძლევ ყველას, 26 მაისს ჩვენ ჩავიბარებთ აღლუმს, მაგ ნაძირალების გარეშე.

ეს ამბავი ქართველი ერის „გადაგდებით“ დასრულდა, თუმცა იმედგაცრუების „გასალაითებლად“ ოქრუაშვილმა და გოგელიამ საკუთარი ბილეთები დაასკანერეს და ინტერნეტით გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, ისინი 26 მაისის დილას საქართველოში მიუნხენიდან უნდა ჩამოფრენილიყვნენ. ეს იმის დასტური იყო, მართლა ვაპირებდით ჩამოსვლასო... იგივეს ადასტურებდა მაშინ მაკა ასათიანიც. ამ ისტორიას კიდევ უფრო საინტერესო დეტალები უძღოდა. მოსკოვში პოლიტიკური შეკრება სწორედ კოტე გოგელიას, ბადრი მელაძესა და ქართველ პოლიტიკოსებს შორის შედგა. ბადრი მელაძე მოსკოვში მოღვაწე ბიზნესმენის, ალექსანდრე ებრალიძის კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი იყო. სხვათა შორის, მელაძე საკმაოდ აქტიურობდა ხოლმე მოსკოვიდან და აცხადებდა, რომ საქართველოში არსებული ხელისუფლებისა და პოლიტიკური კურსის შეცვლის აუცილებლობა გარდაუვალი იყო. თბილისიდან ჩასულ პოლიტიკოსებს შორის იყვნენ ეროსი კიწმარიშვილი, ლევან გაჩეჩილაძე, გია გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა. ტელეკამერის დანახვისთანავე, მელაძე, თანმხლებ პირთან ერთად, პიჯაკაფარებული გაიქცა, ხოლო კოტე გოგელიამ ინტერვიუზე უარი თქვა.

კოტე გოგელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში „ქართული პარტიის“ საკმაოდ აქტიურ ლიდერად ითვლებოდა. იმ პერიოდში გოგელია ირაკლი ოქრუაშვილის აქტიურ მხარდამჭერად და თანამოაზრედ სახელდებოდა. ისინი ერთმანეთს განსაკუთრებით მას შემდეგ დაუახლოვდნენ, რაც ოქრუაშვილი საფრანგეთში გადაბარგდა საცხოვრებლად. თუმცა მათი ურთიერთობები მაშინ დაიძაბა, როცა

გოგელია პარტიიდან გარიცხეს. გადაწყვეტილება „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭომ მიიღო. გოგელიას გარიცხვას წინ უძღოდა სოზარ სუბარის მიერ პარტიის დატოვება. ამ ფაქტს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ასაიდუმლოებდნენ, თუმცა კულუარებში დაპირისპირების რეალურ მიზეზსაც ასახელებდნენ – „მაესტროს“ წილები...

კოტე გოგელია ქართველ ბიზნესმენთა სიაში ორმოცდამეათე ადგილს იკავებს – 55-მილიონიანი კაპიტალით. საკუთარი კაპიტალის დაგროვება ბიზნესმენმა საქართველოდან რუსეთში გადანაცვლების შემდეგ დაიწყო. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის მეუღლესთან და შვილებთან ერთად შვეიცარიაში ცხოვრობდა. გოგელია ამჟამად ფლობს კომპანია „პროგერტას“, რომლის ტერმინალები ნოვოროსიისკში მდებარეობს. ასევე, ფლობს კომპანია „კომანდიტსერვისს“, რომელიც ქვანახშირის წარმოებით არის დაკავებული, მას აქვს რამდენიმე კაზინო რუსეთში. როგორც რუსული გამოცემები წერს, გოგელიამ ამ რთულად დასამკვიდრებელ სფეროში, რუსული ხელისუფლების ზედა რგოლის წარმომადგენლებთან მეგობრობით გაიკვალა გზა. ერთ-ერთი ექსპერტის განცხადებით, „ის არც პირველი და, სავარაუდოდ, არც უკანასკნელი ბიზნესმენი არ იყო, რომელთაც რუსეთში, პუტინის გარემოცვის ხელშეწყობით იშოვეს კაპიტალი. ამიტომ მას არჩევანი არ ჰქონდა, ვისი დახმარებითაც იშოვა ფული, მისივე სურვილით უნდა დაეხარჯა. ცხადია, პუტინისა და მისი გარემოცვისთვის საძულველი საქართველოს ხელისუფლების დასამხობად, სააკაშვილის რეჟიმს ვგულისხმობ, გოგელია ოპოზიციას დააფინანსებდა“.

შესაბამისად, ბიზნესმენს დღეს აქვს ყველა საჭირო რესურსი, აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკაში, თუმცა მისი გარემოცვა კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ ინფორმაციას. როგორც ამბობენ, „მაესტრო“ შემთხვევით არ გააქტიურებულა. მართალია, მამუკა ღლონტი ირწმუნება, ტელევიზია დაარსების დღიდან აქტიური იყოო, მაგრამ ფაქტია, რომ ტელევიზიამ ბოლო პერიოდში სერიოზული გადახალისება განიცადა... თავად ღლონტი გოგელიას გაპოლიტიკოსების ჭორებს წინა კვირაში ვახო სანაიას გადაცემასთან დაკავშირებით მთავრობის კანცელარიის მიერ გავრცელებულ განცხადებას უკავშირებს.

მამუკა ღლონტი, „მაესტროს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი:

– კოტე გოგელია არის ჩემი უახლოესი მეგობარი, მისი ყოველი ნაბიჯი ვიცი და ეს არის აბსურდული ინფორმაცია. ნამდვილად არ ვიცი, ვინ მოიგონა ის, თუმცა ადრეც გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია მასზე. კოტე გოგელია არ აპირებს პოლიტიკაში ჩართვას, ის არის ძალიან წარმატებული ბიზნესმენი და წარმატებული ბიზნესმენები, როგორც წესი, პოლიტიკაში არ მოდიან, გამონაკლისების გარდა.

– შეიძლება „მაესტროს“ გააქტიურებას გამოეწვია ამ ინფორმაციის გავრცელება?

– „მაესტრო“ ახლა არ გააქტიურებულა, ის დაარსების დღიდან აქტიურია.

– მაშინ როგორ ფიქრობთ, რატომ გავრცელდა მსგავსი ინფორმაცია?

– ალბათ, ეს ჭორები უფრო მთავრობის განცხადებამ გამოიწვია და უფრო სანაიასთან დაკავშირებით, თუმცა ზუსტად ნამდვილად არ ვიცი. მინდა, დავარწმუნო ყველა პოლიტიკოსი, რომ კოტე გოგელია პოლიტიკაში მოსვლას არ აპირებს. 100%-ით ვარ პასუხისმგებელი ჩემს სიტყვებზე.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შეფასება მხოლოდ გოგელიას გადაწყვეტილების შემდეგ უნდა გააკეთონ. რაც შეეხება რუსეთში მოღვაწე ქართველ უშიშროების ყოფილ მინისტრს, მიაჩნია რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება პოლიტიკაში, ეს ქვეყნისთვის უკეთესი იქნება.

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– პოლიტიკაში შემოსვლის უფლება ყველას აქვს, გააჩნია მერე ამ პოლიტიკაში ყოფნისას, რას გააკეთებს. ჯერ გოგელიას არანაირი განცხადება



არ გაუკეთებია, სჯობს, დაველოდოთ და შეფასებებიც შემდეგ გავაკეთოთ.

ვალერი ხაბურძანია:

– არაფერი ცუდი არ არის იმაში რომ ვიღაცას, თუნდაც ეს კოტე გოგელია იყოს, უნდა პოლიტიკაში შემოსვლა. პირიქით, ძალიან კარგია და რაც შეიძლება ბევრი ადამიანი უნდა ჩაერთოს პოლიტიკაში. მე მას არ ვიცნობ, თუმცა ბევრი რამ მსმენია ამ ადამიანის შესახებ. ვიცი, რომ აქვს ტელევიზია, მაგრამ მთლიანად მას არ ეკუთვნის, მხოლოდ წილის მფლობელია. რაც შეეხება პოლიტიკას, ის, როგორც ვიცი, რუსეთის მოქალაქეა და არა მგონია, უფლება ჰქონდეს პოლიტიკური აქტიურობის. თუმცა, თუ მოქალაქეობას მიიღებს, რატომაც არა? რაც უფრო მეტი ადამიანი გააქტიურდება, მით უფრო კარგი იქნება. მაგალითად, მე ამ ხელისუფლებას მოვთხოვ, რაც შეიძლება მალე გააკეთოს ყველაფერი, რომ ევროკავშირში შევიდეთ. თუ ეს არ გამოვა და დავინახავთ, რომ ყველა გზა ვცადეთ და არაფერი გამოვიდა, ამის შემდეგ სხვა გზას დავადგებით, ევრაზიულ კავშირს ვგულისხმობ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აირჩიეთ სასურველი მოგზაურობა

10 ლარიანი "მეტი" – 2 ბილეთი
25 ლარიანი "მეტი" – 5 ბილეთი
50 ლარიანი "მეტი" – 10 ბილეთი

ახასდჩოს ყოფილა ლაპარაკი ასეთი მომგებიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ მოკლა რეალურად 25 წლის პატიმარი?

my View

მირიან ბოქოლიშვილი

4 მარტს გეგუთის კოლონიაში განსაკუთრებული სისასტიკით მოკლული გიგა ფარტენაძის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება. 25 წლის პატიმრის მკვლელობისთვის ბრალდებულ სამ პატიმარს ამჟამად სასამართლოში ასამართლებენ, თუმცა ისინი გამოძიებას უნდობლობას უცხადებენ და სიმართლის დადგენის მოთხოვნით რამდენჯერმე თვითდაზიანებებიც კი მიიყენეს.

EXCLUSIVE

„გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოხდა სხვა პიროვნებისთვის ხელის დაფარება გამოძიებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან“

გიგა ფარტენაძის მკვლელობის საქმეში ახალი დეტალები იკვეთება

ოფიციალური ვერსიით, 4 მარტს პატიმარ გიგა ფარტენაძეს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა თანასაკნელებთან (შოთა შანიძე, ლევან მოისწრაფიშვილი და გიორგი სეხნიაშვილი). გამოძიების ინფორმაციით, სიტყვიერი კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რასაც საბოლოოდ ფარტენაძის გარდაცვალება მოჰყვა. ესაა ოფიციალური ვერსია, თუმცა არაოფიციალურად ამბობენ, რომ სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობას არ სურს მკვლელობის რეალური სურათის გახმაურება. რატომ? მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე გეგუთის კოლონიაში პატიმართა მასობრივმა პროტესტმა იფეთქა. როგორც ჩვენი ინკოგნიტო წყარო გვიყვება, პატიმართა პროტესტის ერთ-ერთი მოთავე აწ გარდაცვლილი გიგა ფარტენაძე გახლდათ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა სიტუაციის განმუხტვის მიზნით, რამდენიმე პატიმარი სხვა დაწესებულებებში გადაიყვანა, გეგუთში კი ე.წ. მაყურებლები განამწესა, რომლებსაც ადმინისტრაციასთან შეთანხმებით სიტუაცია უნდა დაელაგებინათ. ერთ-ერთი ვერსიით, გიგა ფარტენაძეს სწორედ სხვა დაწესებულებიდან გადმოყვანილ პატიმრებთან მოუხდა დაპირისპირება. თუმცა ახლად მოსული „მაყურებლები“ ვერაფერს რომ ვერ გახდნენ, დაიგეგმა მის მიმართ ანგარიშსწორება ადმინისტრაციის დავალებით. ჩვენი წყარო სასჯელაღსრულების სისტემიდან არ გამორიცხავს, რომ მკვლელობა სწორედ გეგუთში გადმოყვანილ პატიმრებს უკავშირდებოდეს და არა იმათ, ვინც ახლა განსასჯელის სკამზე ზის.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას დაახლოებით იგივე ვერსიაზე საუბრობს ერთ-ერთი ბრალდებულის, შოთა ნიშნიანიძის ადვოკატიც, რომელიც საგანგებო პრესკონფერენციაზე დეტალების გახმაურებას გეგმავს. ადვოკატი მიიჩნევს, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და გამოძიებამ ვიღაცას ხელი დააფარეს. და თუ ამავე უწყების აწ უკვე ყოფილი მრჩევლის, ლალი მაროშკინას განცხადებას ვენდობით, ნათელი ხდება, რატომ მოხდა ხელის დაფარება. ვერ გეტყვით, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ **მოროშკინა** ჯერ კიდევ თანამდებობაზე ყოფნის დროს ამბობდა ასეთ რამეს:

„ფარტენაძის მკვლელობაში აშკარად იკვეთება დამკვეთის როლი. მე მაქვს ჩემი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, ვინ შეიძლება იყოს დამკვეთი და ამასთან დაკავშირებით, ჩემი მოსაზრება შესაბამის უწყებებს უკვე მოვახსენე“.

ახლა კი დავუბრუნდეთ ფარტენაძის მკვლელობაში ბრალდებულ შოთა შანიძის ადვოკატს, რომელიც პრაქტიკულად ადასტურებს ჩვენი წყაროს მიერ შემოთავაზებულ ვერსიას.

რამაზ ჩინჩალაძე, ადვოკატი:

– კარგად მოგეხსენებათ, რომ 2014 წლის 4 მარტს, გეგუთის #14 დაწესებულებაში გარდაიცვალა მსჯავრდადებული გიგა ფარტენაძე. აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია სამი მსჯავრდადებული, მათ შორის ერთ-ერთი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი შოთა შანიძე. გამოძიება თავიდან 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დაიწყო, თუმცა შემდეგ გადაკვალიფიცირდა 117-ე მუხლზე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც მოჰყვა სიკვდილი). მოგეხსენებათ, რომ ამ პერიოდში გეგუთის #14 დაწესებულებაში შიმშილობდა რამდენიმე მსჯავრდადებული. რამდენიმე პიროვნება გადაიყვანეს თბილისიდან ამ დაწესებულებაში. გვაქვს ინფორმაცია, რომ ფარტენაძის მკვლელობა სწორედ ამ პროტესტთან არის დაკავშირებული. როგორც ჩემთვის ცნობილია, ის სათავეში ედგა მოშიმშილეებს, თუმცა მე ვერ დავიწყებ ამის მტკიცებას და არც არის ეს არსებითი. ის, რომ ამის გამო მოხდა მასზე ანგარიშსწორება, ამის გამორიცხვა არ შეიძლება. ეს უნდა გაირკვეს ობიექტური გამოძიების პირობებში, რაც არ ხდება. პირიქით, ხორციელდება ზეწოლა, რომ შანიძემ აღიაროს არჩადენილი დანაშაული. რამდენიმე დღის წინ ის ექსპერტიზაზე იყო გადმოყვანილი „ნეოკლინიკაში“, რა დროსაც მოახერხა და ოჯახის წევრს უთხრა, რომ მასზე ხორციელდება ზეწოლა ბრალის აღიარების მიზნით.

– ვინ ახორციელებს უშუალოდ ზეწოლას?

– მაგალითად, გეტყვით ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ფაქტზე, სადაც იმყოფება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი და დანარჩენი ორი მსჯავრდადებული. პროტესტის ნიშნად ისინი იყენებენ თვითდაზიანებებს. მათი პროტესტი უკავშირდება არაობიექტურ გამოძიებას. საქმის განხილვა უკვე დაიწყო სასამართლოში, სადაც კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ საქმე არ არის სრულყოფილად და ობიექტურად გამოძიებული. ამიტომაც იყენებენ თვითდაზიანებებს და ხშირად უწევს ციხის ადმინისტრაციას სამედიცინო დაწესებულებაში მათი გადაყვანა. 2014 წლის 26 აპრილს, შოთა შანიძესთან, რომელიც იმყოფება სამარტოო საკანში და მასზე ხორციელდება ვიზუალური ვიდეომეთვალყურეობა, შევიდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე შმაგი ბანძელაძე, მან შანიძეზე განახორციელა სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ზეწოლა. შანიძისგან მოითხოვდა, შეეწყვიტა პროტესტი და გაჩუმებულიყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ ყველა შესაბამის უწყებას და მოვითხოვეთ პატიმარზე განხორციელებული ზეწოლის გამოძიება, ასევე, მოვითხოვეთ არსებული ვიდეთვალის ჩანაწერების ამოღება, მაგრამ დღემდე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამ დღეებში ჩვენ ვაპირებთ სპეციალური პრესკონფერენციის გამართვას, სადაც წარმოვადგენთ კონკრეტულ ფაქტებს, რითაც დასტურდება ამ საქმეში შანიძის უდანაშაულობა.

– თუკი თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ მოუკლავს ფარტენაძე, მაშინ ვინ არის რეალური დამნაშავე?

– ჩვენ გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოხდა სხვა პიროვნებისთვის ხელის დაფარება გამოძიებისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან. შანიძე იმ დროს შესაძლებელია იმყოფებოდა საკანში, თუმცა არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მის მონაწილეობას აღნიშნულ მკვლელობაში.

სასჯელაღსრულების სისტემა და პროკურატურა ამ ვერსიას არ იზიარებს. ბრალდების მხარემ საქმე უკვე გადასცა სასამართლოს. პროკურატურამ ფარტენაძის მკვლელობა გახსნილად 26 მარტს გამოაცხადა, სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყო შოთა შანიძის, ლევან მოისწრაფიშვილისა და გიორგი სეხნიაშვილის მიმართ. პროკურატურის ინფორმაციით, 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, #322 საკანში მსჯავრდადებულებს – შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რის შემდეგაც ფარტენაძე მძიმე ტრავმებით გარდაიცვალა.

„ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით 02:20 საათზე, სად-ის #14 დაწესებულების მეექვსე სარეჟიმო კორპუსის #322 საკანში განთავსებულ მსჯავრდადებულებს – შოთა შანიძეს, ლევან მოისწრაფიშვილს, გიორგი სეხნიაშვილსა და გიგა ფარტენაძეს შორის არსებული სიტყვიერი შელაპარაკება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. შოთა შანიძემ, გიორგი სეხნიაშვილმა და ლევან მოისწრაფიშვილმა გიგა ფარტენაძე იატაკზე წააქციეს, რა დროსაც მან გონება დაკარგა და წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო. მიუხედავად ამისა, ისინი აგრძელებდნენ მის მიმართ სასტიკ ძალადობას, კერძოდ გულ-მკერდის, კისრისა და სახის არეში ხელებითა და ფეხებით სცემდნენ და ბეტონის იატაკზე არტყმევინებდნენ თავს. აღნიშნული ქმედება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ იქნა აღკვეთილი, რა დროსაც გიგა ფარტენაძე გადაყვანილ იქნა #14 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სადაც, გაწეული დახმარების მიუხედავად, ის გონსმოუსვლელად გარდაიცვალა. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადგენილია, რომ გიგა ფარტენაძის გარდაცვლების მიზეზია ქალა-ტვინის ტრავმის შედეგად განვითარებული თავის ტვინის მკვეთრად გამოხატული შეშუპება, ღეროს დისლოკაციითა და ჩაჭედვით“, – განაცხადეს პროკურატურაში.

„შანიძესთან, რომელიც სამარტოო საკანში იმყოფება და მასზე ვიზუალური ვიდეომეთვალყურეობა ხორციელდება, შევიდა დაწესებულების დირექტორის მოადგილე შმაგი ბანძელაძე, მან შანიძეზე განახორციელა სიტყვიერი და ფსიქოლოგიური ზეწოლა. შანიძისგან მოითხოვდა, შეეწყვიტა პროტესტი და გაჩუმებულიყო“

რამაზ ჩინჩალაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტელიგენცი

my View
მირიან ბოქოლიშვილი

კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის შემდეგ ინტელიგენციამ ახალი პატრონი მოძებნა, ედუარდ შევარდნაძის სახით...

ქართული ინტელიგენცია მაფიას ჰგავს, ის მუდამ უკვდავია... ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა გაზეთის ამავე ნომრისთვის ინტერვიუს ვწერდი თენგიზ კიტოვანთან. სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ავტორი მიყვებოდა, რომ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში მას თითქმის მთელი ინტელიგენცია ედგა გვერდში. გაგიკვირდებათ და ამ შემთხვევაში კიტოვანი ნამდვილად არ ტყუის. არავისთვისაა დასამალი, რომ ბევრი ხელოვანი მაშინ სწორედ „მხედრიონისა“ და კიტოვანის ბიჭების მხარდამხარ ებრძოდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს.

კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის შემდეგ ინტელიგენციამ ახალი პატრონი მოძებნა, ედუარდ შევარდნაძის სახით. შევარდნაძემ მათ მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა, დაწყებული ბინების ჩამორიგებით და დამთავრებული სამარშრუტო ხაზებით. ხშირად იმართებოდა სალონური შეხვედრები ნანული შევარდნაძესთან. ხალხის გარდა, ყველა ბედნიერი ჩანდა – ინტელიგენციაც და შევარდნაძეც. თუმცა ამ სიამტკბილობასაც ჰქონდა დასასრული.

ამავე ინტელიგენციამ მალევე იყნოსა ქვეყანაში „ვარდების რევოლუციის“ სურნელი და ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც შევარდნაძეს განუდგა. ყოველ შემთხვევაში დიდმა ნაწილმა ამჯერად ჟვანია-სააკაშვილის გუნდს შეაფარა თავი, თუმცა სააკაშვილის მთავრობამ მათ იმედები გაუცრუა. მათ რევოლუციური პროცესებით არა თუ ხეირი ვერ ნახეს, არამედ ზოგ მათგანს შევარდნაძის დროს მინიჭებული პრივილეგიებიც ჩამოერთვა.

სააკაშვილის მერე ამ ხალხმა საკუთარი ოცნებების ახდენა ივანიშვილის გვერდით დგომით სცადა... პრინციპში, ეს ლოგიკურიც იყო, ვინაიდან პოლიტიკაში მოსული მილიარდერი მათ წლების განმავლობაში ინახავდა, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად, ივანიშვილმა ხელოვანებზე დახმარების გაცემა შეაჩერა, რასაც მყისიერად მოჰყვა რამდენიმე მსახიობის უკმაყოფილება, – ასე როგორ შეიძლება, ბანკის ვალები გვქონდაო.

ამის მიუხედავად, ივანიშვილმა ინტელიგენციას ამაგი მაინც დაუფასა – ზოგი მათგანი პარლამენტში მოხვდა, ზოგს ჩამორთმეული პრივილეგიები და პოსტები დაუბრუნა, ზოგი კი ძვირადღირებულ უცხოურ კურორტებზეც კი დაასვენა.

მოკლედ, ერთი შეხედვით „ქართული ოცნების“ ქოლგის ქვეშ ინტელიგენციას საწუწუნო არაფერი ჰქონდა, თუმცა ამჯერად განხეთქილებამ უშუალოდ მათ რიგებში იფეთქა. მსახიობი და დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი მოულოდნელად თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელებს დაუპირისპირდა.

მოქმედი კანონმდებლობით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს კულტურის მინისტრი ნიშნავს. ზაზა პაპუაშვილის საკანონმდებლო ინიციატივით კი სამხატვრო ხელმძღვანელის შერჩევის პროცესში თეატრალური დასი აქტიურად უნდა იყოს ჩართული. მეტიც, მედიაში გაჟონა ზაზა პაპუაშვილის სკანდალურმა წერილმა პრემიერ-მინისტრისადმი, სადაც მსახიობი და დეპუტატი რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს რობერტ სტურუას თეატრის უზურპაციაში ადანაშაულებს. „თეატრში მძვინვარებს რეჟიმი“ – სწორედ ამ შინაარსის წერილით მიმართა პაპუაშვილმა ირაკლი ღარიბაშვილს.

„თეატრი სულს ღაფავს, თეატრში მძვინვარებს რეჟიმი, ყველა პარამეტრით და მაჩვენებლით თეატრი ბოლო ადგილზეა. ასეთი შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, განუკითხავი, უპატრონო, დაძაბული, არაჯანსაღი, არაშემოქმედებითი, მონური, დამთრგუნველი, უსამართლო ვითარება, ალბათ, რაც რუსთაველის თეატრი არსებობს, არ ყოფილა“, – წერს პრემიერს ზაზა პაპუაშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ არ სურს ამ ამბის გარეთ გამოტანა, მაგრამ ყველა რესურსი ამოწურა.

„თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თვეებია, საქართველოში არ იმყოფება და არც სპექტაკლი დაუდგამს. არანაირი კომუნიკაცია შემოქმედებით კოლექტივთან, არანაირი სამოქმედო გეგმა (არავინ არაფერი იცის და არც ეუბნებიან), ყველასთვის გაურკვეველი ხვალინდელი დღე, სრულიად მორყეული დისციპლინა. სპექტაკლების ხშირი მოხსნა გაურკვეველი, თითიდან გამოწოვილი მიზეზების გამო... მოკლედ, ძალაუფლების სრული უზურპაცია – ეს არის დღევანდელი რუსთაველის თეატრის რეალური სახე, ეს ვითარება მოიტანა გია თევზაძის ფაქტობრივ დირექტორად ყოფნამ თეატრში“.

აქვე ზაზა პაპუაშვილი აღნიშნავს, რომ არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით არაერთხელ აცნობა კულტურის მინისტრსაც, თუმცა რეაგირება არ ჩანს.

თავად კულტურის სამინისტრო პაპუაშვილის მიერ პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტს ეწინააღმდეგება. ოდიშარიას უწყებას დაუშვებლად მიაჩნია მთლიანი პასუხისმგებლობის მსახიობებისთვის გადაცემა.

ზაზა პაპუაშვილი: „თეატრში მძვინვარებს რეჟიმი, ძალაუფლების სრული უზურპაციაა“

პაპუაშვილის იდეას მკაცრად აკრიტიკებს კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ქეთი დოლიძეც.

„მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ რობერტ სტურუა კარდაკარ დაჰყვებოდა ზაზა პაპუაშვილს საარჩევნო კამპანიის დროს. ჩემთვის გაუგონარია, როგორ შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს ისეთი რამ, რაც გასული საუკუნის 40-იან წლებში გვაგდებს. ასეთი რამ დედამიწის ზურგზე არც ერთ თეატრში აღარ არის“, – განაცხადა დოლიძემ.

მეტიც, კრიტიკა ქეთი დოლიძესა და ზაზა პაპუაშვილს შორის „ფეისბუკ“ ომში გადაიზარდა. რეჟისორი ქეთი დოლიძე პაპუაშვილს პირადი ინტერესების გატარებაში ადანაშაულებს. სწორედ ამ კრიტიკას მოჰყვა ზაზა პაპუაშვილის მხრიდან შემდეგი კომენტარი „ფეისბუკში“:

„ახლა კი ქეთი დოლიძეს!!! ჯერ გირჩევ!!! მერე გაგაფრთხილებ!!! მერე... თავი დაანებე იმ თემებზე საუბარს და სპეკულაციას (ჭორაობასაც), სადაც არავინ არაფერს გეკითხება. ეგ შენი შანტაჟისტური მეთოდები, უსმენო კივილი სადაც გაგსვლია, ისევ იქ ანავარდე. მთავარ თემას ვერ გადაფარავ და არც იმის უფლებას მოგცემ, რაღაც დაპირისპირებაზე იქილიკო და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანო. რჩევად იღე, კეთილო, დაუკრეფავში გასეირნებით ნურც საკუთარ თავს და ნურც სხვას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებ. ნებსით თუ უნებლიეთ, თქვენი წინდაუხედაობით გულს სტკენთ და ლახავთ სხვათა ღირსებას. და ვშიშობ, ეგზომ უმწეო (უხერხულ) მდგომარეობაში აღმოჩენილს თქვენი დახმარება ვანესა რედგრეივმა, ნატაშა პარიმ და ზემოდან ჯესიკა ლანჟმა შეძლონ“. – წერს ზაზა პაპუაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

პასუხის პასუხმაც არ დააყოვნა. პაპუაშვილის მკვახე განცხადებას არანაკლები სიმკვახით „ფეისბუკითვე“ უპასუხა ქეთი დოლიძემ:

„ახლა კი ზაზა პაპუაშვილს!!!!! ვერაფერი კაცობაა შენი კოლეგისა და ქალის ასე გაქილიკება! თქვენი ცინიკური ღლიცინი, ჩემო კეთილო ადამიანო, თქვენი შეურაცხყოფა, თქვენს ვაჟკაცობაზე ლაპარაკობს!!!! თუ ასეთი მიუღებელი ვიყავი თქვენთვის, ერთხელაც არ გაგიპროტესტებიათ თქვენს საარჩევნო კომპანიაში ჩემი მონაწილეობა! ნუ მემუქრებით და არასდროს გაბედოთ ჩემთან და არავისთან ასე ლაპარაკი! ჩემი ბიოგრაფიის მეამაყება და არც ერთი ნაბიჯი არ გადამიდგამს ცხოვრებაში, რომელიც ჩემს ოჯახს შეარცხვენდა. ვერ ვიჯერებ, რომ ასე გაბოროტებული შეიძლება იყოს ადამიანი! ნუ მემუქრებით! თქვენ ის გაცოფებთ, რომ მე და უმრავლესობამ თქვენი მხარე არ დავიჭირეთ!!!! მაინტერესებს, რომელი დელფოსის ორაკული თქვენ ბრძანდებით, რომ მხოლოდ თქვენს მხარეზეა ჭეშმარიტება!!! ერთხელაც არ იკადრეთ ჩვენთან შეხვედრა, რომ ჩვენთვისაც გეკითხათ აზრი! მაგრამ თქვენ უკვე ღრუბლებიდან გველაპარაკებით! ყოჩაღ, ზაზა! აფერუმ შენს კაცობას! ამას იქით არც კომენტარი და არც ჩემი ლანძღვა არ გავიგო შენგან!!!“, – წერს ქეთი დოლიძე

„რჩევად იღე, კეთილო, დაუკრეფავში გასეირნებით ნურც საკუთარ თავს და ნურც სხვას უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩააყენებ“

რატომ იქცა პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი თეატრალურ სამყაროში განხეთქილების საფუძველი? ამის გასარკვევად ზაზა პაპუაშვილს დავუკავშირდით, რომელიც დაპირისპირების

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ია უკვდავია

განხეთქილება თეატრალურ სამყაროში და ბრძოლა გავლენების მოსაპოვებლად

ქეთი დოლიძე:

„ვერ ვიჯერებ, რომ ასე გაბოროტებული შეიძლება იყოს ადამიანი! ნუ მემუქრებით! თქვენ ის გაცოფებთ, რომ მე და უმრავლესობამ თქვენი მხარე არ დავიჭირეთ!!!“

რეალურ მოტივებზე სპეციალური პრესკონფერენციის გამართვასაც გეგმავს.

ზაზა პაპუაშვილი, მსახიობი, დეპუტატი:

– მე ვაპირებ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში პრესკონფერენციის გამართვას და ყველა დეტალზე ვისაუბრებ. ერთი რამ ცალსახაა – როდესაც ქვეყანაში ვირჩევთ პრეზიდენტს, დეპუტატებს, გამგებლებს, რა გახდა, რომ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიც იყოს არჩევითი. მიმაჩნია, რომ ამ პროცესში შემოქმედებითმა კოლექტივებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და არ იყოს ეს საკითხი ერთპიროვნულად გადაწყვეტილი. გათვალისწინებული უნდა იყოს შემოქმედებითი კოლექტივების აზრი.

– თქვენ მიერ წარმოდგენილი კანონპროექტით, ეს თანამდებობა არჩევითი იქნება?

– ანუ ამ ცვლილების თანახმად, შემოქმედებითი კოლექტივი თანხმდება კონკრეტულ კანდიდატურაზე, რომელსაც წარუდგენს კულტურის მინისტრს. ანუ თანამონაწილეობა იქნება უკვე დასის. სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომელთაც არ სურთ ამ რეალობასთან შეგუება. დრო იცვლება. არ ვიცი, ისინი არ ან ვერ ამჩნევენ ამას. ისინი მიჩვეულნი არიან, რომ ფლობდნენ გარკვეულ მონოპოლიებს, მათი აზრი იყოს ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელთან შედავებაც არ შეიძლება. რა დააშავეს შემოქმედებითმა კოლექტივებმა, რომლებმაც ბევრი შრომა ჩადეს თეატრის მუშაობაში? რატომ უნდა იყოს იგნორირებული მათი აზრი?

– როგორც ჩანს, ამან გამოიწვია იგივე ქეთი დოლიძის გაღიზიანება...

– ჩვენ გვინდა შევქმნათ თავისუფალი სივრცე და კონკურენტუნარიანი გარემო. ზოგიერთები არ უნდა მოგვევლინონ თეატრების დედებად და მამებად. სამხატვრო ხელმძღვანელის არჩევისას არ შეიძლება დამოკიდებული ვიყოთ მხოლოდ კულტურის სამინისტროზე და ე.წ. სარეკომენდაციო საბჭოზე. კონკურენტული გარემო უფრო გამოაფხიზლებს სიტუაციას, იქმნება მეტი ვალდებულება, მეტი პასუხისმგებლობა და ა.შ. თეატრალურ ბაზარზე ეს გააჩენს ნიჭის მოთხოვნილებას, რომელსაც შეეძლება, წარუძღვეს შემოქმედებით კოლექტივებს.

– ითქვა, რომ ამ კანონით თქვენ პრაქტიკულად უპირისპირდებით რობერტ სტურუას. მართალია?

– სჯობს, ადამიანებმა ჩემგან გაიგონ ის რეალობა, რაც არსებობს. ჭორიკნობასა და რაღაც თემების გადაფარვას, ყველამ თავი გაანებოს. მე არავის ვუპირისპირდები. არავის ნიჭთან და წარსულთან საქმე არ მაქვს.

– თუმცა წერილში, რომელიც თქვენ მისწერეთ პრემიერს, რობერტ სტურუას თეატრის უზურპაციაში ადანაშაულებთ...

– ეს წერილი დაწერილია 4 თვის წინათ. ისე, საინტერესოა, ახლა რატომ გამოჩნდა ეს წერილი და არა თავის დროზე. რასაც მე ამ წერილში ვსაუბრობ, აბსოლუტური რეალობაა და თითოეულ სიტყვაზე ვარ პასუხისმგებელი.

– ანუ ნამდვილად უზურპაციას აქვს ადგილი?

– უზურპაციასა და განუკითხაობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, ამიტომ უნდა შეიქმნას სამხატვრო საბჭოები, სადაც იქნება თავისუფალი სივრცე და კონკურენტუნარიანი გარემო.

რით დასრულდება თეატრალურ სამყაროში ეს დაპირისპირება? მოახერხებს თუ არა ზაზა პაპუაშვილი პარლამენტში მის მიერ ინიცირებული კანონპროექტის გატანას და საბოლოოდ გადაიმტერებს თუ არა მასთან დაპირისპირებული ინტელიგენციის ნაწილს? ეს უახლოეს მომავალში გაირკვევა, მანამდე კი ამ კონფლიქტს რიგითი მოკვდავები ეკრაინიდან ადევნებენ თვალყურს, საზოგადოების ნაწილი ამ დაპირისპირებას თეატრებში გავლენების მოპოვების მცდელობად აღიქვამს. დიახ, მაფია უკვდავია, კლანებს შორის დაპირისპირებაც ხომ უკვდავების ერთ-ერთი ნიშანია. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ინტელიგენციის შიგნით გაჩაღებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო მწვავე ფორმები მიიღოს.



„მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ რობერტ სტურუა კარდაკარ დაჰყვებოდა ზაზა პაპუაშვილს საარჩევნო კამპანიის დროს. ჩემთვის გაუგონარია, როგორ შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს ისეთი რამ, რაც გასული საუკუნის 40-იან წლებში გვაგდებს. ასეთი რამ დედამიწის ზურგზე არც ერთ თეატრში აღარ არის“

ქართული ინტელიგენციის გზა „მხედრიონიდან“ შევარდნაძემდე, შევარდნაძიდან სააკაშვილამდე, სააკაშვილიდან ივანიშვილამდე – ვინ იქნება შემდეგი?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ალასანიას დიდი პროვოკაცია

გიორგი თავდგირიძე: „არ არის გამორიცხული, ეს განცხადება ნაციონალებისა და ალასანიას გეგმებში შედიოდა ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით“

exclusive

ქეთი ხატიაშვილი

გამიზნული პროვოკაცია თუ შეგნებული მავნებლობა? ასოცირების ხელშეკრულების წინ ირაკლი ალასანიამ სკანდალური განცხადება გააკეთა, რომელიც მოსკოვის გაღიზიანების მიზეზი ხდება. კრემლში კითხვები გაჩნდა – რატომ ისაუბრა ვაშინგტონში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა საქართველოში NATO-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებაზე?

– ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი ნებისმიერ ფასად მიისწრაფვის NATO-ში გასაწევრიანებლად. ისინი მოქმედებენ სრულ პოლიტიკურ ვაკუუმში, თანაც ისე, საერთოდ არ ფიქრობენ, რომ ამან შესაძლოა, სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებას ზარალი მიაყენოს. ჩვენ ძალიან გვაშფოთებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადება, რომელიც მან ვაშინგტონში გააკეთა საქართველოში NATO-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით, – ამის შესახებ ლავროვის უწყებაში განაცხადეს. ოფიციალურ განცხადებას სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრე ლუკაშევიჩი აკეთებს.

ლუკაშევიჩის პირით მოსკოვმა საქართველო კიდევ ერთხელ გააფრთხილა და ურჩია, არც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა იფიქროს და არც ნატოსკენ გადადგას ნაბიჯები, მით უფრო ირაკლი ალასანიას განცხადების ფონზე. ასე რომ, ირაკლიმ, რომელიც ყოველთვის ირწმუნება, რომ პრორუსი არ არის და არც იგორ გიორგაძეს იცნობს, მოსკოვს წითელ დროშასავით აუფრიალა:

ალექსანდრე ლუკაშევიჩი:

– ჩვენ პატივს ვცემთ ნებისმიერი ერის უფლებას, აირჩიოს საკუთარი გზა და ამა თუ იმ საერთაშორისო ბლოკთან მიერთების პერსპექტივა, თუმცა აუცილებელია, საქართველოში ესმოდეთ და გააანალიზონ ის შედეგები, რომლებიც შეიძლება, მოჰყვეს ევროკავშირსა და საქართველოს შორის 27 ივნისს დაგეგმილ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას. ეს ეხება ჩვენს ორმხრივ ურთიერთობას, ასევე ფინანსურ-ეკონომიკურ შედეგებს... თბილისის რეალურ განზრახვებთან დაკავშირებით ჩვენ კითხვები გვიჩნდება, რა აქვთ მხედველობაში და ვისგან უნდა დაიცვას ის ამ სისტემებმა.

ალასანიამ საკუთარი განცხადებით გამოწვეულ მუქარანარევ განცხადებას მოსკოვიდან დუმილით უპასუხა (დუმილის უფლებას ჩვენი თავდაცვის მინისტრი ყოველთვის იტოვებს).

ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ალასანიას პროვოკაციულ განცხადებას ალასანიას გუნდის შეგნებულ პოლიტიკად მიიჩნევს. მისივე თქმით, ალასანიას სურს ნაციონალების რესურსის გამოყენება და ხელისუფლებაში მოსვლა:

– მიჭირს, ალასანიას ეს განცხადება, რაც მან NATO-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებასთან დაკავშირებით გააკეთა, შეგნებულ პროვოკაციად შევაფასო. ეს უფრო გაუაზრებელი განცხადებაა და ხელისუფლების მიერ აღებულ სტრატეგიას მთლიანად არღვევს და ეწინააღმდეგება. ხელისუფლება უფრო ბალანსის პოლიტიკას ეწევა. ასე რომ, ამ შემთხვევაში ალასანია პირადი ინტერესების სასარგებლოდ სახელმწიფო სტრატეგიის წინააღმდეგ მიდის. არ არის გამორიცხული, ეს განცხადება ნაციონალებისა და ალასანიას გეგმებში შედიოდა ხელისუფლებაში დაბრუნების მიზნით

ალასანია საკუთარ გეგმებზეც დუმს და პროვოკაციულ განცხადებაზეც. მის მაგივრად კრემლს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა **ალექსი პეტრიაშვილმა უპასუხა:**

– ასეთი ტიპის განცხადებები არათუ გვაშფოთებს, არამედ, პირიქით, გვაძლიერებს. ჩვენს მეგობრებს კი კიდევ უფრო მეტად აფხიზლებს. წარმატება ძალიან ახლოსაა და ჩვენ მას აუცილებლად ვიზეიმებთ 27 ივნისს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროკავშირის 28 ქვეყნის მეთაურის თანდასწრებით მოაწერს ხელს ასოცირების შეთანხმებას...

ექსპერტები და პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ამით რუსეთმა, პირველ რიგში, ბაზრის ჩაკეტვაზე მიუთითა და რომ ონიშჩენკო ისევ გამოაცხადებს ქართულ ღვინოსა და მინერალურ წლებს საწამლავად, ქართულ პროდუქტს კი – საკვებად უვარგისად.

ალექსი პეტრიაშვილის განმარტებით:

– საქართველოდან რუსეთში პროდუქციის შეტანა ნამდვილად არ წარმოადგენს რუსეთის მხრიდან ჰუმანიტარულ აქციას ან კეთილგანწყობის ჟესტს კარგი მოქცევისთვის. 23 მილიონ ბოთლ ღვინოს ერთმორწმუნე რუსები ჩვენი ხათრით ნამდვილად არ სვამენ და არც ერთი მაგდენი „ბორჯომი“ ენატრებათ დილაობით ტყუილად. ვერც ემბარგოთი შეაშინებს დღეს ვერავინ საქართველოს. ევროკავშირის მზაობა ყოველმხრივი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის სულ უფრო მეტად გამოკვეთილია კონკრეტულ ქმედებებში. ასე იქნება მომავალშიც.

ასოცირების ხელმოწერის შემდეგ, მართლაც, შესაძლოა, რომ გადასახედი გახდეს სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული გარკვეული საკითხები. ჩვენ მზად ვართ ამისთვის, მაგრამ არა ხელების ამოგრეხითა და შანტაჟით, არამედ ორ სხვადასხვა სავაჭრო სისტემაში, უფრო ზოგადად კი ღირებულებათა სისტემაში მყოფი სახელმწიფოების შესაბამისი სპეციალისტებისა და ექსპერტების დონეზე.

უსუფაშვილი კოალ

ქეთი ხატიაშვილი

რა პროცესებს გამოიწვევს პოლიტიკაში კოალიციის დაშლა? ეს იქნება პოლიტიკური კრიზისის მაჩვენებელი თუ ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესი, რომელიც გამოავლენს ძირითად პოლიტიკურ მოთამაშეებს.

ჯერჯერობით არენაზე არიან პარტია „ქართული ოცნება“ და ნაციონალები. კოალიციის სხვა პარტიებს არჩევანის გაკეთება მოუწევთ, საით გადაჯგუფდნენ. მესამე ძალის შექმნა ჯერ ვერავინ მოახერხა. რესპუბლიკელები და ალასანია მით უფრო ვერ შეძლებენ.

რა პროცესები დაიწყება პარლამენტში და ვინ გამოიკვეთებიან მთავარ პოლიტიკურ ლიდერებად. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ლიდერად გიგი უგულავა ყალიბდება, „ქართულ ოცნებაში“ – ირაკლი ღარიბაშვილი. ითამაშებენ თუ არა ისინი მთავარი პოლიტიკური მაგნიტის როლს მომავალში? რა შანსები აქვს ირაკლი ალასანიას?

დავით უსუფაშვილმა უკვე აღიარა, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება“ დაიშლება. პირდაპირი მინიშნება პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელიც თავად რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერია, საკონსტიტუციო კომისიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომენტირებისას გააკეთა.

პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა:

– კოალიცია „ქართული ოცნება“, სულ ცოტა, მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით შეიქმნა და მის შიგნით გაერთიანებულ ექვს პარტიას შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა, კიდევ უფრო გამძაფრდეს...

ეს პროტესტის გრძნობა გაუჩნდა და ფრაქცია დატოვა, შეიძლება ფრაქციაც დაეშალოს. რესპუბლიკელები ტრადიციულად ამ თემას უფრო მშვიდად უდგებიან. არის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კანონზე, მაგალითად, იგივე უსუფაშვილი და ხიდაშელი სხვადასხვა პოზიციებს აფიქსირებენ. ერთი მხარს უჭერს, როცა მეორე წინააღმდეგია. ასე იყო, თუ არ ვცდები განათლების კანონზე.

მოკლედ, პატარა არჩევნების დასრულებისთანავე დაიწყება დიდი არჩევნებისთვის მზადება. საპარლამენტო პარტიები ამ პროცესს უფრო მშვიდად უყურებენ და ამბობენ, რომ პარლამენტის შიგნით შეიძლება საინტერესო პროცესები განვითარდეს. მაშინ როცა პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიები თავის შეფასებებსა თუ მოლოდინებში გაცილებით რადიკალურები არიან. მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ პრემიერი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს.

ლევან ვეფხვაძე:

– დღეს ის პარტიები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, ოპოზიციაში გადავლენ. ხელისუფლებაში კი დღევანდელი სამთავრობო გუნდი იქნება. შემო-

პოლიტიკური პროცესი თუ პოლიტიკური კრიზისი

აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გამოიწვიოს საკონსტიტუციო რეფორმამ, საარჩევნო კოდექსმა, ბიუჯეტმა და ასე შემდეგ. ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კოალიციაში, როგორც ჩანს, სხვადასხვა ფრაქციებს შორის კონკრეტულ თემატიკაზე გადაჯგუფება-გადმოჯგუფება დაიწყება. და არ არის გამორიცხული, ის ფრაქციები, რომლებიც უფრო ხშირად იპოვიან საერთო ენას, მაგალითად, იგივე კონსტიტუციაზე, ან საარჩევნო კოდექსზე, 2016 წლისთვის უკვე ერთ კოალიციაში ვიხილოთ.

ამ მიმართულებით ხშირად აწყვილებენ ნაციონალებს, რესპუბლიკელებსა და ალასანიას ფრაქციებს. თუმცა, ალასანიას ფრაქციაში ნამდვილად რთული ვითარება აქვს. რამდენად მართავს პარტიის ლიდერი საკუთარ ფრაქციას, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. თუნდაც იმიტომ, რომ ალასანიას პარტიისა და ფრაქციის წევრია ხმაურიანი და სკანდალური ინიციატივებით ცნობილი გედევან ფოფხაძე. ალასანიას ხშირად უთქვამს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ სხვადასხვა შეხედულებების ადამიანები არიან, ამიტომაც ის არ გამორიცხავს მის დაშლას. საინტერესოა, რას ფიქრობს ის საკუთარ პარტიაზე, სადაც ერთად არიან იგივე ზურაბ აბაშიძე და გედევან ფოფხაძე. ასე რომ, თუკი რაიმე საკითხზე ვინმ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ICIA „ქართული ოცნების“ დაშლას აღიარებს

დავით უსუფაშვილი:

„ექვს პარტიას შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობა შესაძლოა, კიდევ უფრო გამძაფრდეს...“

EXCLUSIVE

დგომაზე ღარიბაშვილი კოალიციას დაფერთხავს – ვადამდელ არჩევნებს ჩაატარებს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ კოალიციაში შემავალი პარტიების ხედვები და მიდგომები რადიკალურად განსხვავებულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის მიმართ. გაინტერესებთ, რატომ არ დაიშალა კოალიცია აქამდე?!

დღეს პარტიებს უფრო სჭირდება „ოცნება“, ვიდრე „ოცნებას“ – სხვა პარტიები. 2012 წლის არჩევნების შემდეგ: ივანიშვილმა უთხრა კოალიციაში შემავალ პარტიებს: „აბა, ბიჭებო, დავიშალეთო“, მაგრამ მაშინ პარტიებმა უთხრეს, რომ, თუ დაიშლებოდნენ, მას ვერ ექნებოდა საპარლამენტო უმრავლესობა. ივანიშვილიც არსებულმა კონფიგურაციამ შეაშინა. ახლა კი ირაკლი ღარიბაშვილი ფიქრობს, უფრო სწორად დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში 60-70 პროცენტს მისი პარტია აიღებს. ამიტომ ეცდება, ვადამდელი არჩევნები ჩაატაროს.

ექსპერტების ნაწილი კიდევ უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ, სანამ ღარიბაშვილი პარლამენტს დაშლის, პარლამენტი თავად შეეცდება პრემიერისთვის უნდობლობის გამოცხადებას, მიზეზად კი ბიუჯეტს გამოიყენებს.

ლევან ალაფიშვილი:

– ადგილობრივი არჩევნების შემდეგ დაიწყება მზადება საუკეთესო სასტარტო პირობებისთვის. მთავარია, როდის და რა შედეგით დამთავრდება ეს ბრძოლა. კოალიცია თუ ვერ შენარჩუნდა, საინტერესოა, ვინ იქნება პრემიერობის ახალი კანდიდატი. არ არის გამორიცხული, თუნდაც ბიუჯეტის თემაზე პრემიერის უნდობლობის საკითხიც დადგეს. თუკი კოალიცია დაიშლება და ახალი უმრავლესობა ვერ შეიქმნება, მნიშვნელოვან საკი-

თხებზე და იგივე ბიუჯეტზე პრეზიდენტს აქვს უფლება, ეს პარლამენტი დაშალოს.

პარლამენტის დაშლაზე აკეთებს აქცენტს ექსპერტი ვაჟა ბერიშვილიც. მისი განმარტებით, ვადამდელი არჩევნები გამორიცხული არ არის, თუმცა, ყველაფერი დამოკიდებული იქნება ადგილობრივი არჩევნების შედეგებზე:

– ყველაფერს მაინც არჩევნების შედეგები განსაზღვრავს. თუკი ადგილობრივ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ მაღალი შედეგი მიიღო, ნაციონალებმა – უფრო ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნებზე, ბურჯანაძემ კი – საშუალო, მაშინ არ არის გამორიცხული, კოალიცია მართლაც დაიშალოს, თუმცა, თუკი ნაციონალების მაჩვენებელი გაიზრდება და ყველაფერი მაინც აქტივობაზე იქნება დამოკიდებული, მაშინ შესაძლოა, კოალიციის დაშლამ დროში გადაიწიოს. რაც შეეხება იმას, ვინ იქნება პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრის როლში, ირაკლი ღარიბაშვილმა გარშემო სერიოზული ძალები შემოიკრიბა და მას სერიოზული ფიგურა უჭერს მხარს, ბიძინა ივანიშვილის სახით. რაც შეეხება ნაციონალებს, მათ კათარზისი ვერ განიცადეს და არ არის გამორიცხული, თუკი კოალიცია – ნაციონალების ნაწილი, ალასანია და რესპუბლიკელები მართლაც შეიქმნება, როგორც ამბობენ, პოლიტიკური მიზიდულობის ცენტრად ირაკლი ალასანია ჩამოყალიბდება. რაც შეეხება ბურჯანაძეს, მას აქ კონკურენცია გაუჭირდება.

არის მოსაზრება, რომ არა მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“, არამედ ნაციონალებიც დაიშლებიან. მაგალითად, მათ გიორგი ვაშაძე გამოეყოფა. ქართული პოლიტიკური სპექტრის დაშლა პატარა პარტიებად თავის დროზე არც კახა ბენდუქიძემ გამორიცხა. მან თქვა, რომ პოლიტიკაში ან პარტიების მასხვილება უნდა დაიწყოს, ან მათი დაშლა.

კახი კახიშვილის აზრით, ახლა ყველა დაინტერესებულია, საკუთარი პარტია გააძლიეროს:

– საქმე გვაქვს არა ერთიან გუნდთან, როგორიც თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობა“ იყო, არამედ ისეთ კოალიციასთან, რომელთა ლიდერებსაც საკუთარი ინტერესები აქვთ. რაც მეტი დრო გავა და მეტად გაძლიერდებიან კოალიციის შიგნით, მით მეტად გავიგებთ მკვეთრ განცხადებებს იგივე მთავრობის მუშაობის წინააღმდეგ, ან პირიქით... ყველა პოლიტიკური სუბიექტი ცდილობს, რაც შეიძლება მეტად გამოიყენოს სახელისუფლებო ბერკეტები, რათა საკუთარი პარტია მეტად გააძლიეროს. ამას აკეთებენ „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, თავად „ქართული ოცნების“ პარტიის წევრები და სხვა პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლებიც. მმართველი კოალიციის ერთიანობა არ დგას იმ საფუძველზე, რომ ისინი ერთი იდეის გარშემო არიან გაერთიანებული. „ქართული ოცნების“ ყველა სუბიექტის ხელმძღვანელს კარგად ესმის, რომ ხელისუფლებაში დარჩებიან კი არა, შესაძლოა, ბარიერიც ვერ გადალახონ. დღევანდელი კოალიცია მათ ხელს უწყობს მხოლოდ იმიტომ, რომ, რაც შეიძლება მეტად გამოიყენონ ხელისუფლებაში ყოფნის დრო, რათა კოალიციის ნაცვლად, საკუთარი პარტია გააძლიერონ. ამიტომაც ცდილობენ, ყველა თანამდებობაზე საკუთარი პარტიის წარმომადგენელი დაანიშვნინონ, ან რომელიმე კვოტაში მიავლინონ. ვიდრე ეს გამოსდით, კოალიცია არ დაიშლება.

ასე რომ, ქართული პოლიტიკა ისევ რჩება რთულად გასათვლელ და ამოსახსნელ რებუსად. შესაძლოა, ირაკლი ღარიბაშვილს კოალიციის დაშლით უფრო მეტი ლავირების საშუალება მიეცეს და გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა პარტიებს გაურიგდეს.

ჯერჯერობით ძნელია, პარტიები ერთმანეთთან დააჯგუფო. „ივაჭრებს“ ყველა და ყველაფერზე კი არა, ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე და ვინ ვის გვერდით აღმოჩნდება, რთული სათქმელი იქნება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვარსკვლავები ირჩევენ „ლოტუს“-ს!

„მალე, თბილისში - **Lotus Prive** გაიხსნება, საქართველოში მხოლოდ აქ, მომხმარებელს ექსკლუზიური პროცედურები ჩაუტარდება“

„ის ტენდენცია, რომ მე დავდივარ „ლოტუს“-ში დღესდღეობით აქტუალური და პოპულარულია“

„მენ „ლოტუს“-ში ხომ არ დადიხარ?“

თეა ხომერიკი

გარეთ მზემ გამოანათა, ზაფხული მოახლოვდა და ხალხი ფორმაში ჩადგომას უფრო აქტიურად ცდილობს. დადიან სოლარიუმში, ტრენაჟორებზე, კანის მოვლას უფრო მეტ დროს უთმობენ და ვარცხნილობებიც უფრო მრავალფეროვანი გახდა. ყოველთვის მაინტერესებდა, ჰოლივუდის ვარსკვლავები რას და სად იკეთებდნენ თავის გასალამაზებლად. მერე ეს ტენდენცია საქართველოშიც ისე დამკვიდრდა, რომ ქუჩაში გამვლელი შეიძლება ჰოლივუდის ვარსკვლავისგან ვერც კი გაარჩიო. ეს უკვე კარგია, ანუ ახალგაზრდებმა თავის მოვლაზე ფიქრი უფრო აქტიურად დაიწყეს და ლამაზ გოგოს ან ფორმაში მყოფ ბიჭს თუნდაც ქუჩაში რომ მოკრავ თვალს, უკვე სასიამოვნოა. მართალია ჰოლივუდში ხელი არ მიმიწვდება, სამაგიეროდ გადავწყვიტე გამეგო, სად დადიან ქართველი ცნობადი სახეები, სად იჭრიან თმას, სად იკეთებენ ფრჩხილებს და სხვადასხვა თავის მოვლის პროცედურებს. როგორც აღმოჩნდა, მათი უმეტესობა ესთეტიკურ ცენტრ „ლოტუს“-ს ანიჭებს უპირატესობას და ამას თავისი მიზეზი აქვს. ყველა ადამიანისთვის მთავარი ხომ კომფორტი და პროფესიონალიზმია, ეს ცენტრიც ზუსტად ამას ემსახურება. როგორც მოგვიანებით გავიგე, „ლოტუს“-ში სიარული ახლა მოდური და ტენდენციურიც ყოფილა, არა მხოლოდ ქალებში, არამედ მამაკაცებშიც და თუ კარგად გამოიყურები, აუცილებლად გეკითხებიან, „ლოტუს“-ში ხომ არ დადიხარ? მოკლედ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობს და მეც გადავწყვიტე „ლოტუს“-ს ვწვეოდი. იქ მისული ხვდები, რომ ის ხალხი, ვინც ამ ცენტრს გირჩევს, ნამდვილად არ შემცდარა. თავიდანვე სასიამოვნო გარემო გხვდება, ყურადღებიანი მომსახურე პერსონალი და რაც მთავარია, ყველაფერი ერთ სივრცეშია. სახის და ტანის მოვლის საშუალებებით დაწყებული, ტრენაჟორებითა და სილამაზის სალონით დამთავრებული. სულ ახლახან კი ცენტრს პლასტიკური ქირურგიის ხაზიც დაემატა. სხვა ესთეტიკური მედიცინის ცენტრებისგან „ლოტუსი“ ზუსტად ამით გამოირჩევა, რომ მომხმარებელს სრულ კომფორტს უქმნის. ყველა პრობლემას ერთ სივრცეში მოგიგვარებენ და თანაც საკმაოდ დაბალ ფასებში. „ჯანმრთელობა და სილამაზე ერთ სივრცეში“, - ეს მათი სლოგანია, რომელსაც წლების განმავლობაში წარმატებით ამართლებენ. „ლოტუს“-ს თბილისის მასშტაბით 5 ფილიალი აქვს და ხუთივე საკმაოდ პოპულარულია. თითოეულ ფილიალში პროფესიონალებთან ერთად, ინოვაციურ და თანამედროვე აპარატებს შეხვდებით. მომავალში „ლოტუსი“ კიდევ აპირებს გაფართოებას და მომხმარებლისთვის კიდევ ბევრი სიახლის შეთავაზებას. მალე, თბილისში - Lotus Prive გაიხსნება, სადაც საქართველოში მხოლოდ აქ, მომხმარებლებს ექსკლუზიური პროცედურები ჩაუტარდებათ. გარდა ამისა, „ლოტუს“-ს ყველა სეზონზე თავისი სახე ჰყავს. ამჯერად ესთეტიკური მედიცინის ცენტრის გაზაფხულის სახე ნინი ბადურაშვილია. იმის გასარკვევად, თუ რატომ არის ცნობად სახეებში „ლოტუსი“ ასეთი პოპულარული, „ლოტუს გარდენის“ მენეჯერს ქეთი მაჭავარიანს მივმართე (მენეჯერიც ზუსტად ისეთივე ჰყავთ, როგორიც გარემოა, თბილი და ყურადღებიანი).

ქეთი მაჭავარიანი: „ჩვენი ცენტრი იმით გამოირჩევა სხვა ესთეტიკური მედიცინის ცენტრებისგან, რომ ერთ სივრცეშია აბსოლიტურად ყველა პროცედურა და მომსახურებაა გაერთიანებული. აქ მოსულ ადამიანს, არ სჭირდება სხვა პროცედურისთვის სხვა ცენტრში წასვლა. ფრჩხილი, თმა, ტანის და სახის მოვლის პროცედურები, ყველაფერი აქაა, რასაც კი გვთავაზობს 21-ე საუკუნის ესთეტიკური მედიცინა. ჩვენს ცენტრებს ძალიან ბევრი ცნობადი სახე აკითხავს და ძალიან მალე გავხდით მათთვის საყვარელი ესთეტიკური მედიცინის ცენტრი. ჩვენთან ისვენებენ, განიტვირთებიან ხოლმე და ასე ლამაზად რომ გამოიყურებიან, თამამად შემიძლია ვთქვა და იმედია ამბიციაში არ ჩამითვლიან, რომ „ლოტუსი“-ს დამსახურებაც არის. ის ტენდენცია, რომ მე დავდივარ „ლოტუს“-ში დღესდღეობით აქტუალური და პოპულარულია. როგორც ცნობილ სახეებში, ისე ჩვეულებრივ ადამიანებში. თუ კარგად გამოიყურები ე.ი. „ლოტუს“-ში დადიხარ. ჩვენმა ცენტრმა იმას მიაღწია, რომ დღესდღეობით თუ ვინმე „ლოტუს“-ში დადის, ეს პრესტიჟულია და სიამაყით ამბობენ ამას“.

იმას, თუ რატომ ირჩევენ ცნობადი სახეები „ლოტუს“-ს და რა პროცედურების გაკეთება უწევთ ყველაზე ხშირად, ისინი თავად გვიყვებიან.

ნინი ბადურაშვილი: „ძალიან მომწონს „ლოტუსი“ პირველ რიგში იმიტომ, რომ ძალიან კარგი გარემოა და კარგი გუნდი მუშაობს. ხშირად დავდივარ ფრჩხილებზე, თმაზე და მასაჟზე. მასაჟს განსაკუთრებულად გამოვყოფდი, რადგან არაჩვეულებრივი მასაჟისტი ჰყავთ. კოსმეტოლოგთანაც დავდივარ და თუ დრო მაქვს, ტრენაჟორებზეც ვვარჯიშობ. მოკლედ, ძალიან ხშირი სტუმარი ვარ“.

ლოტუსი
ესთეტიკური მედიცინის ცენტრი

ნინა წკრიალაშვილი: „2-3 წლის წინ, საბურთალოს და ვაკის ფილიალებში დავდიოდი სხვადასხვა პროცედურებზე. ტატუებს ვიშორებდი და ა.შ. ახლა Lotus Garden-ს მივეჩვიე. მომწონს აქაურობა, რადგან პროფესიონალები მუშაობენ. სულ დროის პრობლემა მაქვს, სულ მაგვიანდება და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ამ მხრივ კომფორტი შემიქმნან. ძალიან კომფორტულია, რომ ერთ ადგილას ყველაფერს გიკეთებენ, თან კარგ ფასებში და ხარისხიანად. 30 წლის ზემოთ რომ ხარ ადამიანი, ხან რა გჭირდება, ხან რა და სირბილს ჯობია მიხვდე და ყველაფერი ერთ ადგილას გაიკეთო. ახლაც კოსმეტოლოგისგან გამოვედი და სალონში ვარ“.

სალომე ბაკურაძე: „ძალიან ხშირი მომხმარებელი ვარ „ლოტუსი“-ს. ჩემთვის რაც ყველაზე ხელსაყრელია, რაც არ უნდა ანშლაგი ჰქონდეთ და დაკავებულები იყვნენ, მაინც გამომიძებნიან ხოლმე დროს. თან ბევრგანაა და სადაც გინდა იქ მიირბენ, გააჩნია ტერიტორიულად სად იქნები. ახალგაზრდები არიან სულ და ძალიან კარგად მუშაობენ. მე, ძირითადად ეპილაციაზე დავდივარ და რამდენჯერმე მოვსინჯე ტანის გამაჯანსაღებელი პროცედურები. ნამდვილად ძალიან კარგი აპარატურა აქვთ“.

კახა კუხიანიძე: „დაახლოებით 1 წელია, რაც „ლოტუს“-ში თითქმის ყოველდღე დავდივარ. ძირითადად ტრენაჟორებზე და სხვა პროცედურებზე, რაც მამაკაცისთვის აუცილებელია თავის მოსაწესრიგებლად. პირველ რიგში, რაც ყველაზე მეტად მსიამოვნებს, ძალიან შინაურული გარემოა. თბილად გხვდებიან, რაც

აუცილებელია მოსასვენებელი ადგილისთვის. ძალიან მიყვარს იქაურობა, ვფიქრობ, რომ ოჯახის წევრი ვარ და თვითონაც ასე თვლიან. თმის შეჭრა, ფრჩხილის გაკეთება თუ მასაჟი იქნება, ამ ყველაფერს მე იქ ვიკეთებ და ძალიან კმაყოფილი ვარ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ციხიდან მის გამოსვლამდე 2 თვე რჩება

რა სიურპრიზს უმზადებს ბაჩანა ახალაია ხელისუფლებას, ხელისუფლება კი – ახალაიას?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ამ ისტორიის წინასწარ გათვლილი ფინალი რომ არჩევნებამდე სრულდებოდეს, ეს დიდ უხერხულებაში ჩააგდებდა ხელისუფლებას, თუმცა, რაკი საბოლოო შედეგი 26 ივლისზეა გათვლილი, დრო მანევრებისთვის ყველა მხარეს რჩება...

საქმე კი ბაჩანა ახალაიას საპატიმრო ვადის 2 თვეში ამოწურვას შეეხება, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თუ დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამაზე თანხმობას განაცხადებს, ფორა უახლოეს არჩევნებამდე 2 წელი რჩება. თუმცა, ექსპერტების აზრით, ხელისუფლების უხეში ჩარევა სამართლებრივ პროცესში მაინც ერთადერთი გამოსავალია მისთვის.

ერთი სიტყვით, თუ ქრონოლოგიას მივყვებით, ყველაფერი ბაჩანა ახალაიას მეუღლის, ანი ნადარეიშვილის განცხადებით დაიწყო, რომელმაც თავისი მეუღლის პატიმრობიდან განთავისუფლება 26 ივლისისთვის დააანონსა და ამ ინფორმაციამ კეთილ-ბოროტის მოსურნეები, ბუნებრივია, სხვადასხვანაირად ააღელვა.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა, დაეზუსტებინა, რეალურად რამდენადაა მოსალოდნელი მსგავსი რამ და ხსენებული „პერსპექტივის“ ახსნა ახალაიას ადვოკატს, გოგა ონიანს სთხოვა:

– გახსოვთ, ალბათ, შარშან ოქტომბერში ბაჩანა ახალაიას, პრაქტიკულად, ბოლო პროცესი ჰქონდა, ისიც დამამთავრებელ ეტაპზე, როდესაც 25 ოქტომბერს პროკურატურამ წაუყენა ბრალი 333-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმე სანდრო გირგვლიანის ეპიზოდს შეეხებოდა, სადაც ამ საქმეზე გასამართლებულთათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კომფორტული პირობების შექმნაზე გვედავება პროკურატურა. ამ ბრალდებაზე მას პატიმრობა შეეფარდა. 2014 წლის იანვარში წაუყენეს ახალი ბრალი – ნავთლუღის სპეცოპერაციის ეპიზოდზე. აქ გვედავებიან, რომ თითქოს ბაჩომ რუსთავის კოლონიაში აწამა პატიმრები იმისთვის, რომ მათგან სასურველი ჩვენება მიეღო. ამ საქმეზე სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიება აღარ შეუფარდა მას, რადგან პატიმრობა უკვე შეფარდებული ჰქონდა. შესაბამისად, ვადის დინება გაგრძელდა ძველი ეპიზოდიდან, ანუ 25 ოქტომბერს შეფარდებული პატიმრობიდან. დღეს ორივე საქმე გაერთიანებულია და იწყება არსებითი განხილვა. ბაჩანას პატიმრობის ვადა სრულდება 26 ივლისს. თუ ამ დროისთვის ეს საქმე გამამტყუნებელი განაჩენით არ დასრულდება, ის საპატიმროს დატოვებს, სასამართლო პროცესები გაგრძელდება, რომელზეც ახალაია ივლის სახლიდან. თუმცა არსებობს პატიმრობაში მისი დარჩენის კიდევ ერთი ალბათობა – მას ახალი ბრალი უნდა წაუყენონ.

– ხომ შეიძლება, საქმე 26 ივლისამდე დასრულდეს?

– შეიძლება, მაგრამ ეს ძალიან გაუჭირდება სასამართლოს, ვინაიდან ჯერ მხოლოდ წინასასამართლო სხდომაა ჩატარებული, 26 ივლისამდე დარჩენილია 2 თვე და დასაკითხია ბრალდებისა და დაცვის 200 მოწმე, ამის გარდა არის მტკიცებულებები, რომლებიც ასევე განხილვას საჭიროებს, უბრალოდ, რთულია სასამართლო განხილვის დასრულება, თუ არ დაგვსვამენ და 24 საათის განმავლობაში არ განიხილავენ ამ საქმეს.

– მით უმეტეს, თუ დაცვას ბევრი მოწმე ჰყავს, თქვენს ხელში ყოფილა ბერკეტები, დამთავრდება თუ არა ეს საქმე 26 ივლისამდე. სრულიად მარტივად შეგიძლიათ საქმის გაწელვა...

– დიახ, სწორედ ასეა. თუმცა, მარტო ეს არ არის ჩვენი კოზირი. ეს იცით, რომელი საქმეა? მოწმე გია გორგაძე, მთავარი მოწმე რომ აუყირავდა ბრალდების მხარეს, როცა განაცხადა, საერთოდ არ ვიცნობ და არ მინახავს ბაჩანა ახალაიაო, გახსოვთ?.. ასე რომ, ამ საქმეზე განაჩენის დაყენება ძალიან რთული იქნება...

– პრაქტიკულად ყველა ეპიზოდში გამართლდა ბაჩანა ახალაია „ციხის ბუნტის“ საქმის გარდა, არა?..

– დიახ, ასე იყო. რაც შეეხება „ციხის ბუნტზე“ დამდგარ განაჩენს, ეს კარგად ჯერ არავის აუხსნია და შეგიძლიათ, თქვენ ახსნათ: ამ საქმეზე განაჩენი ერთადერთი მიზეზით დადგა: დაცვის მხარემ ბაჩანა ახალაიას მოთხოვნით საერთოდ უარი განაცხადა მტკიცებულებათა განხილვაზე. მაშინ ყველას ეგონა, რომ ეს იმისთვის გავაკეთეთ, რათა შეწყალება მოსწრებულიყო. ამ დროს რეალურად ბაჩოს პოზიცია ასეთი იყო – ერთადერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ქურდული სამყარო მოვაშორე ამ ქვეყანას და ახლა არ ვაპირებ მათი ჩვენებების განხილვის მოსმენას და არ ვაპირებ, თავი ვიმართლო კრიმინალების ბრალდებებზეო. ამდენად, ჩვენ არ მოგვეცა ბრძოლის საშუალება და ამიტომაც დადგა ეს განაჩენი.

„დაცვის მხარემ ბაჩანა ახალაიას მოთხოვნით საერთოდ უარი განაცხადა მტკიცებულებათა განხილვაზე“

მკითხველმა ტენდენციურობაში რომ არ ჩაგვითვალოს, იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ახალაიამ ციხე დატოვოს 26 ივლისს, კითხვა პროფესორ გია მეფარიშვილსაც დავუსვით. პასუხი კი ასეთია: „რამდენადაც თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გავიგე, თქვენ გაინტერესებთ, როგორია მაქსიმალური ვადები ბრალდებულის პატიმრობისა და რა შემთხვევაში შეიძლება მან მიაღწიოს მაქსიმალურ ზღვარს. გიპასუხებთ: საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით ბრალდებულის პატიმრობის მაქსიმალური ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ცხრა თვეს. შესაბამისად, ეს მოთხოვნა ვრცელდება ერთი კონკრეტული ბრალდებული პირის მიმართ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. თუ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ან სხვა ბრალდების ეპიზოდის მიმართ ბრალი არ წაყენებია ბრალდებულს, რა თქმა უნდა, იმოქმედებს ზოგადი ნორმა და 9-თვიანი პატიმრობის მაქსიმალური ვადა არ უნდა დაირღვეს. ეს მოთხოვნა იმპერატიულია და ის უნდა შესრულდეს“.

„ბაჩანას პატიმრობის ვადა სრულდება 26 ივლისს. თუ ამ დროისთვის ეს საქმე გამამტყუნებელი განაჩენით არ დასრულდება, ის საპატიმროს დატოვებს, სასამართლო პროცესები გაგრძელდება, რომელზეც ახალაია ივლის სახლიდან“

ერთი სიტყვით, საქმის სამართლებრივი მონახაზი უკვე გავიგეთ. ახლა კი, რაც შეეხება პოლიტიკურს:

ამ თემაზე პოლიტიკოსები განმარტებებს ჯერჯერობით არ იძლევიან. თუმცა იყო გამონაკლისიც. დეპუტატმა უმრავლესობიდან, ზურა აბაშიძემ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა: „მაინც არაფერი გამოუვათ, რადგან ეს არ არის ბოლო პრეტენზია, რაც ახალაიას მისამართით ისმის“...

ეს განცხადება, ცხადია, გვაფიქრებინებს, რომ სანამ ბაჩანა ახალაია და მისი ადვოკატები სტრატეგიას გეგმავენ, არც ხელისუფლება უნდა იჯდეს გულხელდაკრეფილი და სულაც არ არის გამორიცხული, რომ მალე ახალაიას მიმართ ახალი ბრალდების მოწმეები გავხდეთ. და თუ ლოგიკას კიდევ უფრო მივყვებით, არც ის არის გამორიცხული, რომ ეს სწორედ არჩევნებამდე მოხდეს, ძველი და სამართლიანობის აღუდგენლობით იმედგაცრუებული ელექტორატის მოსაზიდად... ამ პროგნოზს გამოცდილებაც ამყარებს. თუ გავიხსენებთ თეა თუთბერიძის შარშანდელ განცხადებას იმის შესახებ, რომ ბაჩანა ახალაია ციხეს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დატოვებდა, ხელისუფლებამ ამ მოლოდინს მაშინაც ახალი ბრალით უპასუხა.

„ამ საქმეზე განაჩენის დაყენება ძალიან რთული იქნება...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჯერ 8 შვილის დედა მოკლ

სალომე გოგოხია

„თქვენ არ იცით რა გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ეს კაცი ქალივით უვლიდა ბავშვებს. აჭმევდა, ბანდა. ყოველთვე 1 400 ლარს იღებდნენ. ბათუმელი თურქი, მჟავანაძე, ყოველთვე ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით ეხმარებოდა“

გასულ კვირას ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხამურში საზარელი ტრაგედია დატრიალდა. 38 წლის ანზორ ქოქოევმა ნაჯახით ჯერ მეუღლე, 30 წლის რუსუდან ბერიძე მოკლა, შემდეგ კი თავი ჩამოიხრჩო. ამ ტრაგედიას კი ერთ-ერთი შვილი, 10 წლის მანანა შეესწრო. მეზობლების ნაამბობით, გოგონა შინიდან ღრიალით გამოვარდა, ის მახლობლად მცხოვრები ბებიისკენ გაიქცა, რომელსაც უთხრა, რომ მამამ დედა მოკლა...

როგორც მეზობლები აცხადებენ, მოკლული რუსუდან ბერიძე მეცხრე ბავშვზე იყო ორსულად. გამოძიების ინფორმაციით, ქმარმა ცოლს ცივი იარაღით ყელის არეში ორი ჭრილობა მიაყენა. ახალგაზრდა ქალი ადგილზევე გარდაიცვალა. მიმდინარეობს გამოძიება.

მკვლელობიდან რამდენიმე საათში, როცა შემთხვევის ადგილიდან მიმალულ ქმარს პოლიცია დაეძებდა, ერთ-ერთმა მეზობელმა თეიმურაზ ქოქოევი სახლის უკან მდებარე, ხეხილის ბაღში, ლეღვის ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა.

მეზობლები მკვლელობის მიზეზად ეჭვიანობას ასახელებენ. თავად რუსუდან ბერიძის ოჯახი ამ საკითხზე ღიად საუბარს თავს არიდებს, - „ხალხი ყველაფერს ამბობს და მათ ნათქვამს არც ვუსმენ“, - გვითხრა მოკლულის ძმამ, ტარიელ ბერიძემ.

სანამ ნათესავები მიცვალებულებს დაკრძალავენ, ბავშვები მახინჯაურში მიმღებ ოჯახებში დარჩებიან. მათთან სოციალური მუშაკები მუშაობენ. თუმცა, ბავშვების ბიძა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ბავშვებს თავად გაზრდის.

„პრაიმტაიმი“ შეეცადა დანვრილებით გაეგო მომხდარის შესახებ. ვესაუბრეთ, როგორც მოკლული რუსუდან ბერიძის ოჯახს, ასევე, გარდაცვლილების მეზობლებს, სოფლის რწმუნებულს.

ქოქოევის ოჯახი ოჩხამურში 1998 წლიდან ცხოვრობს. თავად ქოქოევი წარმოშობით ქარელიდან იყო. ოჯახი სოფელში არსებულ ამორტიზებული ფაბრიკის სასადილოში ცხოვრობდა. მათ საკუთარი სახლი არ გააჩნდათ.

ოჯახი სოციალურად შეჭირვებული იყო. პრაქტიკულად, სოციალური დახმარებით სულდგმულობდნენ. ოჯახის უფროსს, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მუშაობა არ შეეძლო. ხანდახან ჯართს აგროვებდა და აბარებდა.

როგორც მეზობლებმა გვიამბეს, ოჯახს კერძო პირებიც უმართავდნენ ხელს, როგორც თანხით, ასევე საკვებით და ბავშვების ტანსაცმლით.

მეზობლები ცოლ-ქმარს შორის არსებულ კონფლიქტზე საუბრობენ და სავარაუდო მიზეზსაც ასახელებენ.

„თქვენ არ იცით რა გაჭირვებაში ცხოვრობდნენ. ეს კაცი ქალივით უვლიდა ბავშვებს. აჭმევდა, ბანდა. ყოველთვე 1 400 ლარს იღებდნენ. ბათუმელი თურქი, მჟავანაძე, ყოველთვე ფულით, პროდუქტებით, ტანსაცმლით ეხმარებოდა. ძალიან ბევრი ადამიანი ეხმარებოდათ, იმდენი შემოსავალი ჰქონდათ, რომ ასე გაუბედურებულად არ უნდა ეცხოვრათ, მაგრამ ქალს ვიღაც ჰყავდა და იმასთან გარბოდა, სადღაც ქარელში, იმას ახარჯავდა მთელ ფულს, ბავშვები კიდევ მიგდებული ჰყავდა. ეს გაიგო ქმარმა, პატიობდა, რომ ოჯახი არ დაენგრია და ბავშვები არ მიეტოვებინა, მაგრამ ეს მაინც არ იშლიდა სიარულს. ამბობენ, ფეხმძიმედაც სწორედ იმ კაცისგან იყოო. ამის გამო მოუვიდათ იმ დილითაც ჩხუბი. ეს ქალი წასვლას აპირებდა, კაცმა არ გაუშვა და მერე რაც მოხდა იცით. ამ ამბავს მათი ერთ-ერთი შვილი შეესწრო. ბავშვმა დაინახა როგორ მოკლა მამამ დედა. ბავშვი ყვირილით გავარდა, იქვე ახლოს ბებია ცხოვრობს. ხმაურზე მეზობლებიც გამოვიდნენ. ეს ამბავი დილის ექვს საათზე მოხდა. დილით ცოლის ძმამ დამირეკა, ჩემმა სიძემ დამირეკა და მითხრა, შენი და მოვკალიო. წადი, გამიგე, მართალია თუ მომატყუაო. გავედი მერე მათთან და აღმოჩნდა, რომ მართლა მოუკლავს ცოლი. შემდეგ ისევ დამირეკა რუსუდანის ძმამ და მითხრა, ჩემი სიძე მოძებნეთ, დამირეკა და მითხრა თავი უნდა მოვიკლა და ეს არ გააკეთოს, ბავშვები მთლად უპატრონოდ არ დარჩნენო. ამის შემდეგ დავიწყეთ ძებნა. მათთან ახლოს მაღაზია მაქვს. ჩემი მაღაზიის უკან არის ხეხილი, ლეღვის ხეზე იპოვეს. სანყალს თავი ჩამოუხრჩვია“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილების მეზობელმა თამაზ მჟავანაძემ.

„ამბობენ, ფეხმძიმედაც სწორედ იმ კაცისგან იყოო. ამის გამო მოუვიდათ იმ დილითაც ჩხუბი. ეს ქალი წასვლას აპირებდა, კაცმა არ გაუშვა და მერე რაც მოხდა იცით“

მეზობლები ამბობენ, რომ ოჯახური კონფლიქტის და მიზეზის შესახებ იცოდნენ და ბევრჯერ ჩარეულან კიდეც. თუმცა, ტრაგედია თავიდან ვერ აირიდეს.

მკვლელობა 22 მაისს, სავარაუდოდ დილის ექვს საათზე მოხდა. როდესაც მეზობლებმა მკვლელობის შესახებ გაიგეს, შემდეგ დაიწყეს ქოქოევის ძებნა. რამდენიმე საათში ერთ-ერთმა მეზობელმა ის ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვა.

„ერთი უბედურება არ გვქონდა გააზრებული და მონელებული, რომ მეორე მიცვალებული ვიპოვეთ. ქოქოევს ძმები ჰყავს, რომლებიც თურქეთში არიან, იქ მუშაობენ, ეს ამბავი შევატყობინეთ და ჩამოვლენ. რუსუდანს ძმა ჰყავს, ის თბილისში მუშაობს და იმ დღესვე ჩამოვიდა. ძალიან გაჭირვებული ოჯახი იყო. რამდენიმე ბავშვი ღამეს ბებიასთან ათევდა, რადგან დასაწოლი ადგილი არ ჰქონდათ. ეს კაცი ცუდი ადამიანი არ იყო. როგორც შეეძლო მუშაობდა, ჯართს აბარებდა. ადრე, ახალგაზრდობაში, სვამდა, მაგრამ ახლა არა. ფინანსურად ძალიან ბევრი ეხმარებოდათ“. - ამბობს გარდაცვლილების მეზობელი ვიოლეტა კავზინაძე.

სოფლის რწმუნებული, მამული სურმანიძე: „ქოქოევის ოჯახი სოციალურად დაუცველია. რვა შვილს ზრდიდნენ. უფროსი 14 წლისაა, უმცროსი ცხრა თვის. ამბობენ, რომ ცოლი მეცხრე ბავშვზე ყოფილა ფეხმძიმედ. ამას გამოძიება დაადგენს. ჯერ არ დასრულებულა. ოჯახში კონფლიქტური სიტუაცია ხდება. ჩვენი ინფორმაციით მათ შორის კონფლიქტი არაერთხელ ყოფილა. მხოლოდ სიტყვიერი შელაპარაკება. ამ საქმეში ჩავრეულვართ კიდეც. ცოლმა რამდენჯერმე სცადა გაყრა, მაგრამ ქმარი უარს ეუბნებოდა. ეს მკვლელობა ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა. როგორც გავიგეთ, ცოლს ვიღაც ჰყავდა. როცა მკვლელობის შესახებ გავიგეთ, მივედით ადგილზე, თავიდან ქოქოევი ყველას გაქცეული გვეგონა, რამდენიმე საათში, სახლიდან სამასს მეტრზე, ხეზე ჩამომხრჩვალი იპოვეს“.

„პრაიმტაიმი“ ასევე ესაუბრა მოკლულის ძმას, ტარიელ ბერიძეს. ის სოფე-

„იმდენი შემოსავალი ჰქონდათ, რომ ასე გაუბედურებულად არ უნდა ეცხოვრათ, მაგრამ ქალს ვიღაც ჰყავდა და იმასთან გარბოდა, სადღაც ქარელში, იმას ახარჯავდა მთელ ფულს, ბავშვები კიდევ მიგდებული ჰყავდა. ეს გაიგო ქმარმა, პატიობდა, რომ ოჯახი არ დაენგრია და ბავშვები არ მიეტოვებინა, მაგრამ ეს მაინც არ იშლიდა სიარულს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ა, შემდეგ თავი მოიკლა...

ქობულეთში მომხდარი საზარელი მკვლელობის დეტალები

„დილით ცოლის ძმამ დამირეკა, ჩემმა სიძემ დამირეკა და მითხრა, შენი და მოვკალიო. წადი, გამიგე, მართალია თუ მომატყუაო. გავედი მერე მათთან და აღმოჩნდა, რომ მართლა მოუკლავს ცოლი“

ლში მკვლელობის დღესვე ჩავიდა.

„არაფერი არ ვიცი, რა მოხდა. იმ დილით ჩემმა სიძემ დამირეკა და მითხრა, შენი და მოვკალიო. მეც უნდა მოვიკლა თავიო. ვურეკავდი, მაგრამ ტელეფონი გამორთო, რა უნდა გითხრათ, სახლში ორი მიცვალებული გვისვენია.

- როგორ ადამიანი იყო თქვენი სიძე? ცოლ-ქმარს კონფლიქტი ხომ არ ჰქონდათ?

- ნორმალური ბიჭი იყო, კარგი ურთიერთობა გვქონდა.

- ამბობენ, რომ მეუღლე ეჭვიანობის გამო მოკლა, არსებობდა ამის საფუძველი?

- ხალხი ბევრ რამეს იტყვის, მაგრამ მათ არ ვუსმენ. ორივე მკვდარია და რომელს ვკითხო? მე არაფერი ვიცი და თქვენც გთხოვთ... ახლა ეს მიცვალებულები, როგორც წესია, ისე გავაპატიოსნოთ... ორივე ერთად გვისვენია.

- რაც შეეხება ბავშვებს, რა ბედი ელით მათ? ისინი ამჟამად მახინჯაურში, მიმღებ ოჯახებში არიან განაწილებულები.

„ერთი უბედურება არ გვქონდა გააზრებული და მონელებული, რომ მეორე მიცვალებული ვიპოვეთ“



- ბავშვებს ვერსად ჩააბარებენ. ისინი ჩვენი სისხლი და ხორცია და ჩვენ გავზრდით. რაც მექნება იმას ვაჭმევ.

ქოქოევის ოჯახის ტრაგედია იმ უიშვიათეს შემთხვევათაგანია, როცა მართლმსაჯულება დამნაშავეს ვერ გაასამართლებს, რადგან დამნაშავემ საკუთარ თავს განაჩენი თვითონ გამოუტანა. სოფელიც დიდხანს ილაპარაკებს მომხდარზე, იქნება ბევრი მითქმა-მოთქმა. ამ ტრაგედიაში ყველაზე შესაბრალისები სწორედ ბავშვები არიან, რომლებმაც იციან, რომ დედა მამამ მოუკლათ. ამ ტრავმით მოუწევთ ცხოვრება.

სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მედიის საშუალებით ხშირად გვესმის ოჯახური მკვლელობის შესახებ. ქმარმა ცოლი მოკლა, შვილმა დედა, მამამ შვილი და ა.შ.

ოფიციალური სტატისტიკა, ოჯახური კონფლიქტის საფუძველზე რამდენი მკვლელობა მოხდა, უცნობია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით მიმდინარე წელს განზრახ მკვლელობის 18 შემთხვევა დაფიქსირდა. აქედან რამდენია ოჯახური კონფლიქტი, დაკონკრეტებული არ არის. რაც შეეხება მიმდინარე წელს, ამავე უწყებას პირველი კვარტალის მონაცემები ჯერ არ გამოუქვეყნებია.

თუმცა, არაოფიციალური სტატისტიკით, მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტის, რომელიც მკვლელობით დასრულდა, 15 ფაქტია.

ფსიქოლოგები ოჯახური კონფლიქტების დრამატულ დასასრულს მძიმე სოციალური ფონით, ემოციების ვერ გაკონტროლებითა და ფსიქიკური პრობლემებით ხსნიან.

„ასეთ ქმედებას რიგი ფაქტორები უძღვის. მნიშვნელოვანია ოჯახში აღზრდა, ადამიანის პირადი გამოცდილება, აგრესიის ფორმა და ფონი. ადამიანს აქვს მოლოდინი, რომ რაღაც უკეთ იქნება და აჩენს სამ, ოთხ შვილს. შემდეგ მათი გამოკვების საშუალება არ აქვს. დგება რეალობის წინაშე. ასეთ მასშტაბურ სისასტიკეს იშვიათად სჩადიან ადამიანები, რომლებიც მაღალ სოციალური სფეროს განეკუთვებიან, რადგან მათ მეტი განათლება აქვთ. რეალიზების მეტი უნარი. შეუძლიათ გამონახონ გამოსავალი. მეორე შემთხვევაა, როცა საქმე გვაქვს სუსტი ნებისყოფის და ბედის ანაბარა მყოფი ადამიანების ქცევასთან. ეს თემა შეგვიძლია დავყოთ რამდენიმე ფორმად - აგრესია, ფსიქიკური აშლილობა, სოციალური არაადაკვატურობა, სიყვარულის დეფიციტით შექმნილო აგრესია. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებიც ოჯახური კონფლიქტის, ტრაგედიის მონაწილეები ხდებიან, მათში ჩადებული ნეგატიური ემოცია მთელი ცხოვრება ემახსოვრებათ. რაც ქირურგიული ჩარევით ვერ გამოსწორდება. როგორ მოახდენენ ისინი ამ ტრავმის რეფორმირებას საკუთარ თავსა და საზოგადოებაში, ეს ძალიან სადავო საკითხია. მათგან შეიძლება დადგეს ძალიან სასტიკი ან ძალიან მიმტევებელი ან სულაც ემოცია დათრგუნული ადამიანები. ვისაც ასეთ ბავშვებთან ურთიერთობა აქვს, იქნება ეს სამეგობრო, სანაცნობო, მათ მიმართ აუცილებლად უნდა გამოიჩინონ სიყვარული და სითბო. ასევე, მათ უნდა მისცენ კარგი განათლების მიღების საშუალება. უნდა დაკავდნენ რაღაც საქმით. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან. საზოგადოებისგან ისეთი მუხტი არ უნდა წამოვიდეს, რაც აფიქრებინებთ, რომ ოჯახში მომხდარი კონფლიქტი მათი ბრალია. მინდა გითხრათ, რომ აგრესიის ფაქტები გერმანიაშიც ხშირია. ასეთი შემთხვევა მოხდა, მამამ სამივე შვილი ფანჯრიდან გადაყარა. საბედნიეროდ, სამივე გადარჩა. მისი ამ საქციელის მიზეზად სამსახურებრივი სტრესი დასახელდა. საქართველოში სამსახურის სტრესი, ალბათ, გაცილებით ნაკლებადაა, ვიდრე ევროპაში. ჩვენთან უფრო უმუშევრობის სტრესია. არსებობს აფექტი და ამის გამომწვევი უამრავი მიზეზი. მსგავს გადაწყვეტილებას ადამიანი ერთ თვეში არ იღებს“, - ამბობს ფსიქოლოგი სოფი ხარატი.

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი წერეთელი: „კიტოვანი ვერ დაამარცხებს ვერავის, ეს იგივეა, ზაურ ცხადაძეს ხუთი წლის გოგონამ გადაუწიოს ხელი“

„1991-1992 წლებში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირება ქართველთა შორის შეფასებულია, როგორც კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით განდევნა და სახელმწიფო გადატრიალება. თენგიზ კიტოვანი გამოკვეთილად პირველთაგანი იყო ამ გადატრიალების პროცესში. ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობით მსგავსი ქმედება ითვლება სახელმწიფო დანაშაულად და მკაცრად ისჯება“

„მე დღეს ვერ ვხედავ, რომ კიტოვანი წარმოადგენდეს რაიმე ძალას ან მის უკან იდგეს კონკრეტული ძალა. ის დღეს მარტოკაცია, მას რომ შეეძლოს დიდი ძალების გამოყვანა, მაშინ სხვანაირად ვიტყოდი“

EXCLUSIVE

ხათუნა მგალობლიშვილი

თენგიზ კიტოვანი დარწმუნებულია, რომ მას აუცილებლად პანთეონში დაკრძალავენ. აღმოჩნდა, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრი თავისთვის, გულში თვლის, რომ მისი ადგილი სწორედ იქ არის, თუმცა თავმდაბლობს და აცხადებს, რომ ანდერძის მეშვეობით იტყვის უარს პანთეონზე. არა იმიტომ, რომ იქ ჯაბა იოსელიანია დაკრძალული, უბრალოდ, მას პოზა აქვს ასეთი არჩეული – თავმდაბლური. მისი მხრიდან ასეთი ამბიცია შესაძლოა, სწორედ იმის ბრალიცაა, რომ არავის არასოდეს პროტესტი არ გამოუთქვამს იოსელიანის პანთეონში დაკრძალვის გამო, მაშინ როდესაც ძმათა სასაფლაო სწორედ სამოქალაქო ომსა და აფხაზეთში დაღუპული ახალგაზრდებით არის სავსე... მათი ასაკი ძირითადად 17-18 წელია... არც ერთი მათგანის წინაშე კიტოვანი თავს დამნაშავედ არ თვლის, მიაჩნია, რომ 1990-იან წლებში საქართველო გადაარჩინა და მზად არის, იგივე გზა გაიაროს, თუ ეს საჭირო გახდება. ასეთი მინიშნება, პრინციპში, ზუსტად ერთი კვირის წინ, ისევ რუსთაველის გამზირიდან მივიღეთ – თენგიზ კიტოვანი ქართველ საზოგადოებას მოქმედი პარლამენტის დაშლას დაჰპირდა.

პოლიტიკოსების განცხადებით, მათი სფერო მორალურ უფლებებს არ ცნობს. შესაბამისად, კიტოვანი წარსულისგან აბსოლუტურად თავისუფალია და დღეს მის მოქალაქეობრივ უფლებას ვერავინ შეზღუდავს. ახსნა მარტივია: საქართველო დემოკრატიული ქვეყანაა. ადამიანურ ენაზე რომ ვთქვათ, კიტოვანს, უბრალოდ, გაუმართლა...

გიორგი ცაგარეიშვილი:

– ბატონი კიტოვანი არის ამ ქვეყნის მოქალაქე. მას აქვს სრული უფლება, ისაუბროს, გამოხატოს თავისი აზრები. როგორც თქვენი, ჩემი, ასევე კიტოვანის გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით არის დაცული. კიტოვანის ენას ძვალი არ აქვს, ისაუბროს, ეს მისი უფლებაა. არა მგონია, მისმა საუბარმა ამ ქვეყანას საფრთხე შეუქმნას.

დაახლოებით ოცწლიანი პაუზის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით კიტოვანს არავინ პასუხს არ სთხოვს ჩადენილი დანაშაულებისთვის. შედეგად ის საკუთარ ძალებში ისევ ისეა დარწმუნებული, როგორც მრავალი წლის წინათ, სწორედ ამიტომ პრეზიდენტისგან ითხოვს, მას და მის „ბიჭებს“ კვლავ მიეცეთ იარაღის ტარების უფლება და პოლიტიკურ ლექციებსაც გვიტარებს. მაგალითად, არ მოსწონს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი...

აღმოჩნდა, რომ კიტოვანი სწორედ ის თემაა, რომელზეც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს საუბარი, უბრალოდ, არ სურს.

დათო ტურაშვილი:

– კიტოვანი გამოჩნდა? მეგონა, მეხუმრებოდი, რაღა დროს კიტოვანია?

ტურაშვილი არ არის ერთადერთი, ვისაც კიტოვანის ხსენებაზე ასეთი არასერიოზული რეაქცია ჰქონდა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზურაბ აბაშიძე კიტოვანის გვარის ხსენებაზე ხუმრობის ხასიათზე დადგა: „უბედნიერესი ვარ, კიტოვანი რომ დავინახე, აი, ახლა კი დავრწმუნდი, რომ ქვეყანას აქვს მომავალი“... ბუნებრივია, აბაშიძე ხუმრობს. თითოეულ მათგანს მიაჩნია, რომ კიტოვანი წარსულია და მას არანაირი ძალა და მით უფრო, მომავალი არ გააჩნია. პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ასეთ ადამიანებზე მხოლოდ არასერიოზული კომენტარები უნდა გაიმეტონ, საზოგადოებისთვის ცნობილ სახეებში კი ერთი სულიერიც ვერ მოიძებნა, რომელიც საკუთარი ცხოვრების ერთ წუთს მაინც გაიმეტებდა მასზე სასაუბროდ, ცხოვრება ისედაც მოკლეა, კიტოვანზე ნუ მალაპარაკებთ... ეს არის თხოვნა, რომელზეც ადამიანს უარს ვერ ეტყვი...

თუმცა თითოეულ მათგანს გულწრფელად აინტერესებს, ვინ არის ის ნ ათასი მხარდამჭერი, რომლითაც კიტოვანი დღეს ასე ამაყობს. ტურაშვილი დარწმუნებულია, რომ რეალურად ეს რიცხვი ორს არ სცილდება... მხარდამჭერებზე საუბრისას ერთი დეტალი უნდა აღინიშნოს – თვით გიორგი გაბედავაც კი კიტოვანისგან გამიჯვნას ამჯობინებს და ამით, ალბათ, ბევრი რამ არის ნათქვამი... თუმცა საინტერესოა, თავის დროზე სამართლიანობა სწორედ კიტოვანთან მიმართებაში რომ აღმდგარიყო, ანუ ის სათანადოდ რომ დასჯილიყო, გაბედავდა თუ არა ის დღეს იგივე განცხადებების გაკეთებას?

ირაკლი წერეთელი:

– 1991-1992 წლებში მომხდარი შეიარაღებული დაპირისპირება ქართველთა შორის შეფასებულია როგორც კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით განდევნა და სახელმწიფო გადატრიალება. თენგიზ კიტოვანი გამოკვეთილად პირველთაგანი იყო ამ გადატრიალების პროცესში. ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს კანონმდებლობით მსგავსი ქმედება ითვლება სახელმწიფო დანაშაულად და მკაცრად ისჯება. მიმაჩნია, ეს დანაშაული თავის დროზევე უნდა აღკვეთილიყო და საქმე იქამდე არ მისულიყო, სადამდეც მივიდა. დღეს კიტოვანი საქართველოს მოქალაქეა, გადატრიალებიდან დიდი დრო გავიდა, ყველა ადამიანს საერთაშორისო სამართლითა და კონსტიტუციით აქვს უფლებები აზრის გამოხატვისა და აქტიურობის, თუ, რა თქმა უნდა, ის არ არის პატიმარი, ან სასამართლოს მიერ ცნობილი ოფიციალურ დამნაშავედ.

– კიტოვანი ამბობს, რომ მოქმედი პარლამენტი უნდა დაიშალოს. არ ფიქრობთ, რომ ეს მოწოდება საფრთხის შემცველია?

– თავის დროზე, როცა გადატრიალება მოხდა, ეს იყო შეიარაღებული გზით ხელისუფლების დამხობა, თანაც რუსეთის სპეცსამსახურების ინიციატივაც იყო ეს და გარკვეული ძალების ჩარევაც მოხდა მაშინ. დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პრემიერ-მინისტრი, მთავრობა, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ კიტოვანი საფრთხეს წარმოადგენს, სწორედ მათ უნდა იაქტიურონ, თუმცა მე დღეს ვერ ვხედავ, რომ კიტოვანი წარმოადგენდეს რაიმე ძალას ან მის უკან იყოს კონკრეტული ძალა. ის დღეს მარტოკაცია, მას რომ შეეძლოს დიდი ძალების გამოყვანა, მაშინ სხვანაირად ვიტყოდი. 1990-იან წლებში კიტოვანს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი ემორჩილებოდა, თანაც მაშინ ქართული სახელმწიფო ძალიან სუსტი იყო. ახლა საქართველოს 20 ათასამდე კბილებამდე შეიარაღებული ძალები და 15 ათასამდე პოლიციელი ჰყავს, საქართველო არის საერთაშორისო სარბიელზე მიღებული სახელმწიფო, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მიერ აღიარებული. კიტოვანი ვერ დაამარცხებს ვერავის, ეს იგივეა, ახლა ზაურ ცხადაძეს ხელი გადაუწიოს ხუთი წლის გოგონამ. რა ძალა უნდა უნდა იდგას ასეთი თენგიზ კიტოვანის უკან, რომ საქართველოს ხელისუფლება დაამარცხოს? ამაზე საუბარიც სასაცილოა.

– და ის ადამიანები, ვინც მის უკან დგანან და ვისაც კიტოვანი თავის ბიჭებს უწოდებს, როგორც ფიქრობთ, ვინ შეიძლება იყვნენ?

– ზაზა გაბედავას შვილმა, გიორგი გაბედავამ, მაგალითად, გააპროტესტა და განაცხადა, ჩვენ არ ვართ კიტოვანის ბიჭებია. შეიძლება კიტოვანს რამდენიმე, მაქსიმუმ თითო-ოროლა, ძველი მომხრე ჰყავდეს. თენგიზ კიტოვანში დღეს ვერ ვხედავ ვერანაირ ძალასა და საშიშროებას.

– არ თვლით, რომ დღეს თენგიზ კიტოვანს მორალური უფლება არ აქვს, პოლიტიკურად იაქტიუროს?

– მე რას ვთვლი, ეს ცალკე საკითხია, მაგრამ მორალურ უფლებებს პოლიტიკა არ ითვალისწინებს და არ ცნობს. მორალური უფლება არ არსებობს, არსებობს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საერთაშორისო სამართლით გაცხადებული პრინციპები და ასევე, არსებობს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები. თუ ამ კანონიდან რომელიმეს არღვევს კიტოვანი, მაშინ სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ვიღაცის თვალში, ბუნებრივია, კიტოვანს არ აქვს მორალური უფლება, იაქტიუროს.

„მორალურ უფლებებს პოლიტიკა არ ითვალისწინებს და არ ცნობს. მორალური უფლება არ არსებობს, არსებობს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, საერთაშორისო სამართლით გაცხადებული პრინციპები და ასევე, არსებობს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირი აქვს თენგიზ კიტოვანს ნარკობიზნესთან?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

თენგიზ კიტოვანთან ინტერვიუს ჩაწერა მისმა ბოლოდროინდელმა აქტიურობამ გადამაწყვეტინა. სამოქალაქო ომის ერთ-ერთი ავტორი ამ დღეებში კიდევ ერთხელ მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში. ბოლოს ის რუსთაველზე „თავის ბიჭებთან“ ერთად გამოჩნდა, პარლამენტის დაშლა მოითხოვა და გარკვეული მუქარის შემცველი მესიჯებიც გააჟღერა.

„ყველაფერი, რაც მოხდა, არის საქართველოს პარლამენტის ბრალი, რომ არ მიეღო ეს კანონი, ეს უსუსური კანონი, ეს რაღაცები არ მოხდებოდა. ეს დასაწყისია, ამას მოჰყვება ბევრი ამბავი. მოჰყვება ის, რომ პარლამენტი დაიშლება. პარლამენტი, რომელმაც ეს კანონი მიიღო, არ უნდა არსებობდეს. ჩემი ხალხი აი, აქ დგას სულ ყველა, ნახევარზე მეტი ჩემი ბიჭები არიან, ვინც აქ დგანან. გაიგოს ერთხელ და სამუდამოდ, უსუფოვია თუ უსუფაშვილი, რომ ჩვენ ამას არ დავუშვებთ! ამ კანონის მიღება მაგისთვის ძალიან ცუდად დამთავრდება“, – განაცხადა თენგიზ კიტოვანმა.

„უნდა მივმართოთ პრეზიდენტს, რათა რამდენიმე კაცს ჩვენი ორგანიზაციიდან მისცეს იარაღის ტარების უფლება. ჩვენ ამ ოპერაციას რომ ჩავატარებთ, იარაღიც საჭირო იქნება“

„რას ეძებდნენ, არ ვიცი. ვუთხარი, კიტოვანს ჩხრეკავთ-თქო“?

EXCLUSIVE

ვის და რატომ ემუქრება თენგიზ კიტოვანი? გეგმავს თუ არა, თავის ბიჭებთან ერთად, 90-იან წლებში დატრიალებული სისხლისღვრის განმეორებას და ფიქრობს თუ არა, რომ ქართველი ხალხის წინაშე ბოდიში აქვს მოსახდელი? ამის გარკვევას „პრაიმტაიმი“ თენგიზ კიტოვანთან შეეცადა (სტილი დაცულია. – ავტ.).

– ბატონო თენგიზ, პირველ რიგში მინდა გკითხოთ, ვინ არიან ეს თქვენი ბიჭები და რას აპირებთ?

– ჩვენ გამოვედით იმ კანონის წინააღმდეგ, რომელიც მიიღო პარლამენტმა. რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიაში მოხდა ასეთი ამბავი: მართლმადიდებელმა ეკლესიამ დააქორწინა ორი გომოსექსუალი. ხალხი გამოვიდა, დაშალა ეს ეკლესია და ის მღვდელი საერთოდ გააქრეს. ეს გააკეთა რუსეთმა და უარი უთხრა ასეთ გარყვნილებას და ჩვენ რა გვჭირს, რომ ამას ვაკანონებთ. ეს არ არის ქრისტიანული.

– იმ კანონში მამათმავლების ქორწინებაზე არაფერი წერია, მაგრამ ამასაც რომ თავი დავანებოთ, მაინტერესებს, ის, რაც 90-იან წლებში თქვენი ავტორებით ხდებოდა, ქრისტიანული იყო? სამოქალაქო ომს ვგულისხმობ...

– აბა, მიშას საქციელი იყო ქრისტიანული? ჯერ ერთი, მაშინ ყველანაირი ომი დაიწყო გამსახურდიამ, როცა აფხაზებს მისცა 28 ხმის უფლება პარლამენტში და ქართველებს – 26. ამან მისცა პროვოცირება იმ მუხტს, რომელიც ომის რისკს ზრდიდა. მერე პოლიციის შენაერთები შეიყვანა სამხრეთ ოსეთში, რითაც, ფაქტიურად, დაიწყო ომი. ამის გამჩერებელი კაციშვილი აღარ იყო. ეს სწორი იყო? მთელი საზოგადოება აღსდგა გამსახურდიას წინააღმდეგ, აგინებდნენ, ლანძღავდნენ და ჩაუშვესკუს ეძახდნენ. თავის დანაშაულზე მაგას პასუხი უნდა ეგო.

– და ამიტომ დაიწყეთ სამოქალაქო ომი?

– როგორ გეკადრებათ. 19 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდნენ მოსკოვიდან გენერლები, შიურავლიოვი და სხვები. გამსახურდიას უბრძანეს, ჯარი გაეუქმებინა. და გააუქმა კიდეც. ამას მოჰყვა ჩვენი დაპირისპირება. მერე 2 სექტემბერს კინოსახლთან მოხდა მკვლელობა, გამსახურდიას ხალხმა ესროლა ახალგაზრდა ბიჭს, დაიწყო არეულობა და უბედურება.



– თუმცა ჯერ კიდევ 1992 წელს თქვენ პარლამენტში გამოსვლისას ამბობდით: რომ არა მე, ახლა „მანანები იქნებოდნენ პრეზიდენტად, ამიტომ არავის შევეკითხე, ისე გავისროლე ქვემეხიო“...

– მაშინ მანანას და შევარდა შინაგან ჯარში და უბრძანათ, – რას ზიხართ აქ, წადით, ესროლეთ ხალხსო. ზვიადი ამ დროს სახლში იჯდა და ეს ქალები მართავდნენ სიტუაციას. ჯარიც გამოვიდა და ისროლა. პირველი ტყვია მოხვდა რომან გვენცაძეს, მერე დაიჭრა კორესპონდენტი და ა.შ. მაშინ ყველა ჩვენს მხარეს იყო და ზვიადის უპირისპირდებოდა: ირაკლი წერეთელი, გია ჭანტურია, პლუს მთელი ინტელიგენცია – ხოშტარიები, ხაინდრავები, შენგელაიები. ბოლოს გამოჩნდა, რომ მარტო მე ვუპირისპირდებოდი.

– ესაა თქვენეული ვერსია, თუმცა სამოქალაქო ომის გაჩაღებაში საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ თენგიზ კიტოვანსა და მის „ბიჭებს“ ადანაშაულებს... გრძნობთ ქუჩაში დახვრეტილი ახალგაზრდების წინაშე რაიმე პასუხისმგებლობას?

– მე პასუხისმგებლობას ვიგრძნობდი იმ შემთხვევაში, გამსახურდიას რომ არ ესროლა და ხალხი არ დაეჭრა.

– ანუ ფიქრობთ, რომ ქართველი ხალხისთვის ბოდიშიც კი არ გაქვთ მოსახდელი?

– რომელი ხალხისთვის? ეს ხალხი, მთელი საზოგადოება მაშინ ჩემს გვერდით იდგა. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ – ჯანსუღ ჩარკვიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ფანჯიკიძე და თითქმის ყველა. მთელი ელიტა უპირისპირდებოდა გამსახურდიას. მაგრამ გამსახურდია იყო ერთადერთი, ვისაც პირადი მიზნისთვის არავინ მოუკლავს, შევარდნაძისა და სააკაშვილისგან განსხვავებით.

– თქვენ?

– როგორ გეკადრებათ. ჩემს შესახებ ეგ ინფორმაცია არის ტყუილი. ერთი კაცის სახელი მითხრას ვინმემ, ვინც მე მოვკალი.

– ჯვარი გწერიათ, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ თქვენც პანთეონში ხომ არ გსურთ დაკრძალვა, ჯაბა იოსელიანის მსგავსად?

– ჯაბას დაკრძალვა დიდუბეში შევარდნაძის მთავრობის გადაწყვეტილება იყო. მაგას მე არავინ მეკითხება. მე წინასწარ ვამბობ, რომ იქ არ დამასაფლავოთ-თქო. არ მინდა.

– პარლამენტის თავმჯდომარეს აკრიტიკებთ... რატომ ერჩით უსუფაშვილს?

– იმიტომ რომ მან და მისმა პარლამენტმა მიიღო ეს გომოსექსუალისტების კანონი. მე მართლმადიდებელი ქრისტიანი კაცი ვარ. ჩვენ ვდგავართ ჩვენი ეკლესიის გვერდით. ყველა, ვინც წესიერი და პატიოსანი ადამიანია, ეს პოზიცია უნდა დაიკავოს.

– თქვენი ქალიშვილი იყო უსუფაშვილის პარტიის წევრი...

– დიახ, ნამდვილად იყო, მაგრამ დატოვა ეგ პარტია. კონკრეტული მიზეზი არ ვიცი, მაგრამ ახლა იქ აღარ არის.

– რა მიზანი აქვს თქვენს ორგანიზაციას... იგივეს გამეორებას ხომ არ აპირებთ, რაც ერთხელ უკვე გამოვიარეთ 90-იან წლებში?

– როგორ გეკადრებათ. ჩვენი მიზანია, ვებრძოლოთ ნარკოტიკების გამსაღებლებს. აგერ სადარბაზოსთან რომ გახვიდეთ, ნახავთ „შპრიცებს“, შემოდიან სტუდენტები, იკეთებენ და მერე დადიან „ზადნით“. ჩემს დროს 40 ათასი ნარკომანი იყო, ახლა 300 ათასია. აი, ამას ვებრძვით ჩვენ. ეს არის ტერორი ქართველი ხალხის მიმართ. ერთი კვირის წინ ვიყავი კახეთში, ბიჭები ისხდნენ ჩემთან ერთად, ცოტა მოძველბიჭოები. გაგვაჩერა პოლიციამ, გაგვჩხრიკეს. სამარცხვინო საქმე ჩაიდინეს.

– რატომ გაგჩხრიკეს?

– რას ეძებდნენ, არ ვიცი. ვუთხარი, კიტოვანს ჩხრეკავთ-თქო? მერე ერთ-ერთი გაიყვანეს და ჩუმად უთხრეს, წამალი შენს თავზე აიღეო. ჩვენ დავადგინეთ, საიდან შემოდის ეს ნარკოტიკები და დავიჭერთ კიდეც მაგ ხალხს.

– იქნებ თქვენზე იეჭვეს, რომ ნარკოტიკები გქონდათ?

– მე სწორედ იმიტომ ვიყავი ჩასული, რომ დამედგინა, საიდან შემოდის ნარკოტიკები. კახელი კაცი, რომ ნარკოტიკს გაიკეთებს, მეტი რა უნდა მოხდეს?

– თქვენ თქვით, რომ გექნებათ შეიარაღებაც... ნარკოტიკებთან საბრძოლველად იარაღი რად გინდათ?

– შეიარაღებაზე ჩემმა მეგობარმა ისაუბრა. ეგ მე არ მითქვამს, მაგრამ არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ უნდა მივმართოთ პრეზიდენტს, რათა რამდენიმე კაცს ჩვენი ორგანიზაციიდან მისცეს იარაღის ტარების უფლება. ჩვენ ამ ოპერაციას რომ ჩავატარებთ, იარაღიც საჭირო იქნება.

– ამისთვის არსებობს პოლიცია... თქვენ არაფორმალური დაჯგუფების შექმნას აპირებთ, მგონი...

– თუ პოლიცია არ აკეთებს ამას, ჩვენ გავაკეთებთ. უნდა გადავკეტოთ ყველა გზა, საიდანაც ეს ნარკოტიკები შემოდის. როცა შევარდნაძის ცოლი და თარგამაძე ღებულობდნენ ფულს ნარკობიზნესიდან, რატომ არის გამორიცხული, რომ დღესაც ვიღაც მფარველობდეთ. ამას უნდა შველა, ამიტომ შეიქმნა „ანტიტერორისტული ცენტრი“. იცით, რამდენი ვართ ამ ორგანიზაციაში? 5 ათასი კაცია გაწევრიანებული (მეტი დამაჯერებლობისთვის შევსებულ ანკეტებს გვიჩვენებს. – ავტ.). ესენი არიან ჩემი ძველი თანამებრძოლები, ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, მაგრამ ვაპირებთ ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ბანკ კონსტანტას“ კიდევ ერთი ახალი სერვის-ცენტრი მარნეულში

„ბანკი კონსტანტა“ ფილიალების ქსელის გაფართოებას აგრძელებს. ახალი სერვის-ცენტრი, ამჯერად, მარნეულში გაიხსნა, რაც ბანკის მიერ შეთავაზებულ პროდუქტებზე მომხმარებლის მზარდმა მოთხოვნილებამ განაპირობა. ეს მარნეულში „ბანკ კონსტანტას“ რიგით მეორე ფილიალია.

„მოთხოვნიდან გამომდინარე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ ქალაქს მეორე ოფისი სჭირდება და მიზანმიმართულად გავხსენით იმ სეგმენტთან ახლოს, ანუ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს „ბანკ კონსტანტას“ მიზნობრივ ჯგუფს ანუ მიკროსაფინანსო კლიენტებს. ხალხს, რომელიც პრაქტიკულად, ქვეყნისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი საყრდენია ეკონომიკური თვალსაზრისით. ისინი არიან ადამიანები, რომლებიც აკეთებენ მცირე და საშუალო ბიზნესს. მზარდი ტენდენციის გამო მეორე ოფისის გახსნა ბუნებრივი გადაწყვეტილებაა. ჩვენს თავს დავუმატეთ დამატებითი ხარჯები ოფისის იჯარის სახით, ხალხის დამატების სახით და ასე შემდეგ. ენთუზიაზმით ვართ განწყობილები და გვჯერა, რომ ფილიალი წარმატებული იქნება“, - განაცხადა „ბანკ კონსტანტას“ ოპერაციების დირექტორმა გიორგი ნადარეიშვილმა.

სერვის-ცენტრში მომხმარებელს შეეძლება სრული საბანკო მომსახურება მიიღოს.

„შეთავაზებულია აბსოლუტურად ყველაფერი, რაც შეიძლება ბანკში მომხმარებელმა მიიღოს, როგორც საკრედიტო, ისე საოპერაციო მიმართულებით. ეს იქნება დეპოზიტები, საერთაშორისო გზავნილები, რომლის ყველა სახეობა არის წარმოდგენილი და ნებისმიერი ქვეყნიდან მიღებულ გზავნილს მოვემსახურებით. ასევეა ანგარიშების მომსახურება, ანაბრებით სარგებლობა და კომუნალური გადახდების განხორციელება. რაც, ალბათ, მნიშვნელოვანი იქნება რეგიონის მოსახლეობისთვის. აღარ იქნება რიგები, ძალიან სწრაფად და კომფორტულად შეძლებენ მომსახურების მიღებას“, - განაცხადა „ბანკ კონსტანტას“ მარნეულის განყოფილების მმართველმა თენგიზ დიდიამ.

რეგიონში დიდი მოთხოვნაა აგროსესხებზე. ბუნებრივია, „ბანკი კონსტანტა“ მომხმარებელს ამ სერვისსაც სთავაზობს. მათ ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტული პირობები აქვთ ამ მხრივ, რადგან განაცხადის დამუშავება 2-3 დღის განმავლობაში მიმდინარეობს და ამით ხელს უწყობენ ფერმერულ მეურნეობებს, რადგან მათთვის ფულის მიღების სისწრაფე, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტია.

„ჩვენ ვართ აგროპროექტის ერთ-ერთი მსხვილი მონაწილე, დაფინანსების მხრივ. შარშანდელი შედეგებით მიკროსესხებზე ერთ-ერთი ლიდერი ვიყავით და წელსაც ეს ამბიცია გვაქვს. ამ მიმართულებით მარნეული ერთ-ერთ საყრდენს წარმოადგენს შეღავათიანი სესხების პორთფელის განვითარების საქმეში“, - ამბობს გიორგი ნადარეიშვილი.

აღსანიშნავია, რომ „ბანკი კონსტანტა“ რეგიონში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით.

ორივე ფილიალში მარნეულიდან და შემოგარენი სოფლებიდან 30 ადამიანია დასაქმებული, აქედან 10 ახალ სერვის-ცენტრში. ვარაუდობენ, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კიდევ 10 თანამშრომელს მიიღებენ.

„ეს ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოში წინ მიდის არა მარტო ბიზნესი, არამედ, დასაქმების პრობლემა, რაიონებში ეს გარკვეულწილად წყდება. რაიონში მცხოვრები ხალხი აღარ არის მიდრეკილი იმისკენ, რომ აუცილებლად ჩამოვიდეს ურბანულ ცენტრებში და იქ ეძიოს სამსახური. ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ ორ მნიშვნელოვან რამეს ვუწყობთ ხელს, ერთი დასაქმების საკითხია და მეორე აგროპროდუქტის ხელმისაწვდომობა, რადგან ეს მიმართულება ამ რეგიონისთვის პრიორიტეტულია, - ამბობს „ბანკ კონსტანტას“ ფინანსური დირექტორი ზვიად მირიანაშვილი.

„ბანკი კონსტანტა“ „თი ბი სი“ ჯგუფის შემადგენელი ნაწილია. დღესდღეობით, „თი ბი სი“ ჯგუფის მფლობელობაში „ბანკ კონსტანტას“ 99, 4 %-ია. ჩვენ მათი საკონტროლო პაკეტი 2011 წელს შევიძინეთ და მას შედეგ დავიწყეთ ამ ინსტიტუტის მნიშვნელოვანი განვითარება. თითქმის გაორმაგდა ფილიალების რაოდენობა ბიზნესში. თვითონ მიკროდაფინანსება, „თი ბი სი“ ბანკის სტრატეგიული მიმართულებაა, რომელსაც სნორედ „ბანკ კონსტანტას“ გავლით ახორციელებს. სხვა რეგიონებშიც იგეგმება „ბანკ კონსტანტას“ ახალი ფილიალების გახსნა. ვფიქრობთ, რომ სტრატეგიულად გავაგრძელებთ ბიზნესის, მათ შორის, მიკროდაფინანსების განვითარებას „ბანკ კონსტანტას“ დახმარებით“, - ამბობს „თი ბი სი“ ბანკის ოპერაციების დირექტორი ვანო ბალიაშვილი.

თავად „ბანკი კონსტანტა“ საქართველოს მასშტაბით 58 ფილიალს ფლობს, რომელთაგან 11 ფილიალი თბილისში, დანარჩენი 47 კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია განთავსებული.

ბანკი იმედოვნებს, რომ ახალი სერვის-ცენტრი მარნეულის რაიონის მოსახლეობას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს განავითარონ საკუთარი ბიზნესი. Ⓐ

ბანკი კონსტანტა

პირველად საქართველოში, სუპერმარკეტების ქსელმა „სმარტმა“ საკუთარი მიკრობიოლოგიური ლაბორატორია შექმნა

ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, დახვეწილი ხარისხი, უმაღლესი დონის მომსახურება. ეს ის ყოველდღიური რეალობაა, რომელსაც „სმარტის“ ქსელში თითოეული მომხმარებელი ხვდება. დღეიდან კი, ამ ყველაფერთან ერთად, „ვისოლ ჯგუფი“ სუპერმარკეტ „სმარტში“ ახალ, ევროკავშირის სტანდარტების მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას გთავაზობთ. რომლის საშუალებითაც „სმარტში“ ყველა საკვები შემოწმდება.

სოსო ფხაკაძე, „ვისოლ ჯგუფი“-ს „პრეზიდენტი“: „დღეს „სმარტის“ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა. ჩვენ ვამონტაჟებთ მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიას. არც ერთ კვების ობიექტს საქართველოში ეს არ გააჩნია. ამით ჩვენ ვამბობთ, რომ „სმარტის“ მომხმარებელი ხარისხზე საერთოდ არ უნდა ფიქრობდეს. ეს არის ხორცი, ხილ-ბოსტნეული, პურ-ფუნთუშეული თუ სხვა. ხარისხი ჩვენი მთავარი ნიშანია და ამით გამოირჩევა „სმარტი“ სხვა სუპერმარკეტებისგან“.

„სმარტის“ სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელის კახა მუხიგულის განცხადებით, „სმარტმა“ ამ ლაბორატორიით, ჯანსაღი პროდუქტის მისაღებად, ხარისხის კონტროლის სტანდარტი სრულყო.

კახა მუხიგული: „მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, რომელიც „სმარტში“ შევქმენით, საშუალებას გვაძლევს მუდმივად და სრულყოფილად ვაკონტროლოთ „სმარტის“ ქსელში რეალიზებული პროდუქტის ხარისხი და უვნებლობა, რათა გამოვრიცხოთ ახალ, მზა კერძებში, როგორიცაა, ხორცი, რძის პროდუქტები, ხილ-ბოსტნეული, ადგილობრივი წარმოებისა თუ იმპორტირებულ პროდუქტებში ბაქტერიებისა თუ პარაზიტების არსებობა. „სმარტი“ პირველი სუპერმარკეტია, რომელმაც საკუთარ ქსელში მსგავსი მაღალტექნოლოგიური ლაბორატორია შექმნა“.

„სმარტის“ ახალ ლაბორატორიაში 50-მდე მიკრობიოლოგიური ანალიზი ტარდება.

„სმარტმა“ მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა, ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფისთვის. საკუთარი მიკრობიოლოგიური ლაბორატორიის შექმნა, „სმარტს“ შესაძლებლობას აძლევს, მუდმივად განახორციელოს პროდუქტისა და პროცესების ანალიზი. ყველა ბიოლოგიური ინდიკატორის ტესტირების საფუძველზე უზრუნველყოს საკვები პროდუქტების უსაფრთხოება და მუდმივად შეინარჩუნოს წარმოებული პროდუქტების მაღალი ხარისხი“, - აცხადებს სურსათის უვნებლობის საერთაშორისო ექსპერტი მატი ლამპი.

„ვისოლ ჯგუფმა“ სუპერმარკეტების ქსელის „სმარტის“ განვითარება 2010 წელს დაიწყო. „სმარტის“ სუპერმარკეტები დღესდღეობით წარმატებით ფუნქციონირებს ვაკეში, აღმაშენებლის ხეივნის მე-13 კილომეტრზე, რუსთაველის გამზირზე. ვაზისუბნის მეორე მიკრორაიონში, კახეთის გზატკეცილზე, გუდაურში, ბათუმში, ზუგდიდში, მარნეულში, ახალციხეში, ყვარესა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გორის მონაკვეთზე. Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სალომე ზურაბიშვილი: „არ მაქვს სურვილი, მეორედ ვიბანაო იმავე წყალში, რომელშიც ერთხელ უკვე ვიბანავე“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ამ არჩევნებზე გვიწევს შეჯიბრი სამ პარტიასთან, სამივე მათგანს აქვს ძალიან დიდი რესურსი. ერთ-ერთ მათგანს – 9 წლის განმავლობაში მოპარვით დაგროვილი ფული, მეორეს, ალბათ – რაღაც ნარჩენები ფქვილის ფულისგან და მესამე, რომელიც არის ხელისუფლებაში“

„თურმე ყოფილი „კაგებეს“ ოფიცერი გახდა ქართული ღირებულებებისა და ეკლესიის მთავარი დამცველი“

EXCLUSIVE

სალომე ზურაბიშვილს ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის რამდენიმე გეგმა აქვს. ერთ-ერთი მათგანის განხორციელება საპრეზიდენტო არჩევნებზე სცადა და აცხადებს, რომ იმავე მდინარეში მეორედ შესვლის სურვილი აღარ აქვს. შესაბამისად, თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა გამოთიშა და ახლა შედეგებს ელოდება, რომ გადაწყვიტოს, საქართველოში დარჩება, თუ უცხოეთიდან დაეხმარება ქვეყანას. ზურაბიშვილის განცხადებით, უცხოეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორებში სერიოზულად განიხილება პოლიტიკური ცენტრის შექმნის საკითხი. „საქართველოს გზის“ ლიდერის მეორე გეგმა სწორედ ამ პოლიტიკურ ცენტრს უკავშირდება.

სალომე ზურაბიშვილი, „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე:

– არ მაქვს სურვილი, მეორედ ვიბანაო იმავე წყალში, რომელშიც ერთხელ უკვე ვიბანავე. მიმაჩნია, რომ ამ ადგილობრივ არჩევნებზე „საქართველოს გზა“ უნდა გამოჩნდეს თავისი ძალით, ბუნებრივია, რომ მე მათ გვერდში დავუდგები, მაგრამ ეს იქნება მათი არჩევნები. პარტიას მივეცი სრული თავისუფლება, სიები შედგა მათი შერჩევით. ვფიქრობ, ძალიან კარგი გუნდი შეიკრიბა. ვფიქრობ, ხელისუფლებისთვის მოულოდნელი იყო არჩევნებში ჩემი პარტიის მონაწილეობა. ისინი არ ელოდნენ, რადგან მე ღიად განვაცხადე, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი. შეიძლება კიდევ სხვა მოულოდნელობაც იყოს ამ არჩევნებში. არჩევნებზე გვიწევს შეჯიბრი სამ პარტიასთან, სამივე მათგანს აქვს ძალიან დიდი რესურსი. ერთ-ერთ მათგანს – 9 წლის განმავლობაში მოპარვით დაგროვილი ფული, მეორეს, ალბათ – რაღაც ნარჩენები ფქვილის ფულისგან და მესამე, რომელიც არის ხელისუფლებაში. ამ სამივე პარტიას, გარდა დიდი რესურსისა, კიდევ ეძლევა უზარმაზარი სახელმწიფო დაფინანსება. სად არის მრავალპარტიული მხარდაჭერა? სად არის თანაბარი პირობები? ჩვენ გავიარეთ სააკაშვილის რეჟიმის წლები, რომელიც იყო დამანგრეველი პოლიტიკური პარტიებისთვის. გვპირდებოდნენ, რომ მხარდაჭერა იქნებოდა, მაგრამ დღეს ეს დაპირებები აღარავის ახსოვს. დღემდე ბევრი რამეა შეუცვლელი. თავის დროზე, დღევანდელი კოალიციის წევრებთან ერთად, ვიბრძოდით ოპოზიციაში ყოფნის დროს. კოალიციის წევრების მიერ ეს პრობლემები ძალიან კარგად იყო თავის დროზე გააზრებული. შესაბამისად, ჩემი კითხვები მათ მიმართ ასეთია: რატომ არ გამოსწორდა სიების საკითხი, რატომ არ შეიცვალა საარჩევნო კომისიები, რატომ არ მიეცა პასუხისგებაში გიზო მჭედლიძე, რომელიც ყველამ ვიცით, რას აკეთებდა. ეს ადამიანი აუცილებლად უნდა მიეცეს პასუხისგებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ყველაფერი გველანდებოდა. ყველამ, ვინც ერთად ვიბრძოდით, ძალიან კარგად ვიცოდით, ვინ იყო რეალური პასუხისმგებელი. ბუნებრივია, ცესკოს თავმჯდომარე ჩანდა, თუმცა მის უკან მდგომი გიზო მჭედლიძე იყო მთავარი მოქმედი პირი. ასევე, არ შეიცვალა ის კანონი, რომლის მიხედვითაც არანაირ უფლებას არ იღებენ კვალიფიციური სუბიექტები: არც უფასო რეკლამას, არც კომისიის წევრობას, არანაირ შეღავათს. რას ნიშნავს ეს კვალიფიციურობა, უკვე აღარ ვიცი.

– ბურჯანაძე ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს შანსი „ერთიანი ოპოზიციის“ კანდიდატს, დიმიტრი ლორთქიფანიძეს?

– ეს არის ადამიანი, რომელიც პარლამენტში მაშინ შევიდა, როცა „გაერთიანებული ოპოზიცია“ მანდატებზე უარს ამბობდა. სამწუხაროდ, ძალიან კარგად ვიცნობ ბურჯანაძის კანდიდატს. მან ისარგებლა ჩვენი ბრძოლით და ეს იმისთვის გამოიყენა, რომ პარლამენტში შესულიყო. ასე სულ რამდენიმე ადამიანი მოიქცა მაშინ. ამის შეხსენება ხალხს არ უნდა სჭირდებოდეს, ეს არ უნდა იყოს ჩემი სათქმელი, მოსახლეობას ყველაფერი კარგად ახსოვს და პასუხი იქნება არჩევნების შედეგი. თუ ამის შესაძლებლობა გაგვაჩნია, რომ არჩევანი ფულის გარეშე გაკეთდეს.

– ძალიან გააქტიურდა ლევან ვასაძეც, რომელიც საკმაოდ კატეგორიულ ულტიმატუმს უყენებს ხელისუფლებას. როგორ ფიქრობთ, რა არის მისი გეგმა?

– ლევან ვასაძე დემაგოგია. დღეს დემაგოგია და ფული მარტივი ინსტრუმენტია პოლიტიკაში მოსასვლელად. ამ შემთხვევაში ორივე დეტალი არსებობს და მე ამას ვხედავ. სამწუხაროა, რომ საზოგადოებისთვის, რომელიც დაბნეულია, შეიძლება ახალი შეთავაზება კვლავ მიმზიდველი აღმოჩნდეს. ქართველი საზოგადოება, იმედი მაქვს, ჯანსაღი ანალიზის მქონეა და ყველაფერს მიხვდება.

– საუბარია, რომ ნინო ბურჯანაძე და ლევან ვასაძე შეიძლება გაერთიანდნენ...

– იგივე იქნება ამ შემთხვევაშიც: დემაგოგია, პოპულიზმი, ფულის ძალა და ამას დამატებული თავისი ღია თუ ფარული რუსული ნიშნები. მიმაჩნია, რომ არჩევნები საშუალებაა, ქვეყანა წინ წავიდეს. საზოგადოებას მოუწევს, არჩევანი გააკეთოს უკან დაბრუნებასა და წინ წასვლას შორის. წინ არის ევროპა და განვითარება, უკან არის რუსეთი, საბჭოთა მეთოდები, პოპულიზმი, რაც არ უნდა მართლმადიდებლობის ფარდა ჰქონდეს ჩამოფარებული რელიგიის დამცველობას. მეცინება, როცა ვუყურებ, ვინ კარნახობს რელიგიას და ვინ ირგებს რელიგიის დამცველის იმიჯს. აღარ შეიძლება ეს ქვეყანა იყოს ტყუილის ქვეყანა, სადაც ყველა სხვადასხვა როლს თამაშობს იმის მიხედვით, სად არის მომგებიანი თამაში.

– ევროპასთან მიმართებაში რა საფრთხეებს ხედავთ?

– საფრთხე მოდის უფრო შიგნიდან, რუსეთის თვისებაა გააქტიურება მაშინ, როცა სისუსტეს გრძნობს. ის ძლიერთან არასოდეს შედის ჭიდილში. ჩვენთან თუ იქნება არეულობა, თუ იქნება დაქსაქსვა, თუ იქნება დაპირისპირება სახელისუფლებო გუნდში, მაშინ რუსეთი გააქტიურდება. მე ვატყობ სახელისუფლებო გუნდში რაღაცებს და ვფიქრობ, ეს არ არის ჯანსაღი. მე იმიტომ გამწიეს გვერდით, რომ თურმე მათი გუნდის წევრი არ ვიყავი და ამათ რომ ვუყურებ, გუნდურობის არსი მე უფრო მესმის, ვიდრე ბევრ სხვას. ქვეყნისთვის არ ვარგა ის, რაც ხდება. დღევანდელ დღეს კიდევ უფრო, ვიდრე ნებისმიერ სხვა დროს, ჩვენ გვჭირდება შიგნით გაძლიერება. ასოცირება არის ერთ-ერთი ეტაპი იმ ევროპულობისკენ, რომელიც ჩვენ გვჭირდება.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზულია შიდა დაპირისპირება, რომელიც თქვენ აღნიშნეთ?

– მე შემიძლია ვთქვა ის, რაც ჩანს გარედან. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ საქართველოს არ სჭირდება კიდევ შიდა კინკლაობები. ჩვენ თუ გვინდა, რომ ვიყოთ ძლიერები, მაშინ დაგვჭირდება ყველას აზრის გათვალისწინება და გაზიარება. თუ ასე არ არის, მაშინ აღარ არის საჭირო პლაკატების გამოკვრა, რომ ჩვენ ერთად ვაშენებთ, ჩვენ ერთად ვაკეთებთ და ერთი გეგმა გვაქვს...

– გეი აღლუმი...

– ამ თემასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი კითხვა მაქვს. ეს პრობლემა არსებობდა ორი წლის წინ? – არა. არის ეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემა? – ვფიქრობ, რომ კი. მართალია, არ დამითვლია, მაგრამ, სავარაუდოდ, საქართველოში ერთ გეიზე მოდის 25 ათასი ნარკომანი, რომელიც არანაკლებ ანგრევს თავის ოჯახს, მომავალ თაობას და რყვნის მათ. თუმცა არავის მოსვლია აზრად, გარეთ გამოსულიყო და ამაზე ხმამაღლა ესაუბრა, ამ პრობლემის მოგვარებაზე ეზრუნა. სჯობია, რეალურ პრობლემებს მივხედოთ და ის პრობლემა, რომელიც დღევანდელ, განვითარებულ ევროპის ქვეყნებს აქვთ, ამის გამო არ გავიყოთ ორად და არ ვიომოთ.

– თუ ფიქრობთ, რომ პრობლემა ხელოვნურია, ე.ი. თქვენი აზრით, მის უკან კონკრეტული პოლიტიკური მიზნები დგას?

– ცხადია, ამის უკან დგას პოლიტიკური ინტერესები.

– ვისი?

– ეს საკითხი გახდა პუტინის რუსეთის იდეოლოგიის მთავარი ინსტრუმენტი. თურმე ყოფილი „კაგებეს“ ოფიცერი გახდა ქართული ღირებულებებისა და ეკლესიის მთავარი დამცველი.

– აპირებთ, დარჩეთ საქართველოში?

– ჩემი სამომავლო გეგმები დამოკიდებულია იმაზე, რას დავინახავ საქართველოში არჩევნების შედეგად. თუ დავინახავ, რომ არსებობს ის საქართველო, რომლისთვისაც მე მზად ვიქნები, ვიბრძოლო, თუ მიმიშვებენ, ბუნებრივია, და არ მიიღებენ ახალ კანონებს, ყველა შემდეგ ბრძოლაში ძალიან აქტიურად ჩავერთვები. იმ შემთხვევაში, თუ გაიმარჯვებს პოლიტიკა, რომელსაც ჩემთვის და ამ ქვეყნისთვის მომავალი არ ექნება, მაშინ ვიფიქრებ... უცხოეთში ადამიანების გარკვეული ჯგუფები, დიასპორაში არსებული ძალები, ძალიან სერიოზულად ფიქრობენ, რომ ადგილზე შეიქმნას სერიოზული პოლიტიკური ცენტრი. შეიძლება სწორედ ეს გახდეს ბრძოლის შემდეგი ეტაპი, თუ აქ არაფერი გამოვა. თუ აქ კედელს ეჯახები, მაშინ სხვანაირად უნდა იბრძოლო, ვნახოთ...

– დაბოლოს, როგორ ჩაიარა თქვენი მეუღლის წიგნის პრეზენტაციამ?

– ჩემი მეუღლის წიგნის პრეზენტაციაზე დავპატიჟე ყველა, ივანიშვილით დაწყებული მთელი სამთავრობო გუნდით დასრულებული. არავინ არ მოსულა. მიმაჩნია, რომ ეს არის ცივილიზებული ფორმა კულტურის, თუმცა, როგორც ჩანს, სხვადასხვანაირი გაგება გვაქვს.

„მე ვატყობ სახელისუფლებო გუნდში რაღაცებს და ვფიქრობ, ეს არ არის ჯანსაღი. მე იმიტომ გამწიეს გვერდით, რომ თურმე მათი გუნდის წევრი არ ვიყავი და ამათ რომ ვუყურებ, გუნდურობის არსი მე უფრო მესმის, ვიდრე ბევრ სხვას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა მიზნით დაჰბრალდა ძი

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

სოციალურ ქსელში დაახლოებით ერთი კვირაა სხვადასხვა მომხმარებლები წითელქოლგიანი ველოსიპედის „მესაკუთრეს“ და მის ძიძას ეძებენ. პოსტმა, რომელიც „facebook“-ის ერთ-ერთმა მომხმარებელმა საკუთარ გვერდზე დადო, რეკორდი მოხსნა და 70 ათასზე მეტმა მომხმარებელმა ნახა, დააკომენტარა და გააზიარა. ისტორიის მთავარი გმირი სამ წლამდე ბიჭუნაა, რომელიც ვაკეში მდებარე გეგეშიძის ბაღში, ძიძასთან ერთად, თითქმის ყოველდღე სეირნობს. როგორც თვითმხილველებმა თქვეს, პატარა ბიჭუნას ძიძა ძალიან უხეშად ექცეოდა და სცემდა ხოლმე. ისტორიის სიმძიმიდან გამომდინარე, დეტალებით ყველა დაინტერესდა. სიტუაცია ისე განვითარდა, რომ რამდენიმე „მოხალისემ“ საქმის ბოლომდე მიყვანა საკუთარ თავზე აიღო. მთავარი თვითმხილველი დღეს კომენტარისგან თავს იკავებს და აცხადებს, რომ ამ თემაზე საუბარი აღარ სურს და არც მისი განვითარების ამბავი აინტერესებს.

„დიახ, ნამდვილად შევესწარი ფაქტს, მაგრამ ამის შემდეგ რა მოხდა, უკვე აღარ გვაინტერესებს არაფერი“

ბავშვის მშობელი: „ჩემს ძებნაში ერთ-ერთ მეზობელთან მისულან, რომელსაც, ასევე, ძიძა ჰყავს და მათ შვილსაც ნიკოლოზი ჰქვია. თავდაპირველად მათთვის აუტეხავთ ერთი ამბავი, ოჯახს უმტკიცებდნენ, თქვენი ძიძა ბავშვს სცემსო“

თვითმხილველი: „მე „facebook“-ზე დავპოსტე ის, რაც ვნახე. ჩემი პოსტიდან რომელმა ჟურნალისტმა გააკეთა სტატია და ვინ დაიწყო დამოუკიდებლად გამოძიების ჩატარება, არ ვიცი და არც მაინტერესებს, საერთოდ, არ ვიცნობ ამ ქალბატონებს“

თვითმხილველი:

– დიახ, ნამდვილად შევესწარი ფაქტს, მაგრამ ამის შემდეგ რა მოხდა, უკვე აღარ გვაინტერესებს არაფერი.

– რატომ?

– იმიტომ რომ ძალიან გართულდა ყველაფერი. მშობელს რა აინტერესებს, ვერ გავიგე.

– დაკითხვაზე ხომ არ დაუბარებიხართ?

– ჯერ არა.

რამდენიმე დღის წინ თიკა შავგულიძე დაუკავშირდა თვითმხილველს და შეხვედრა სთხოვა, ორივე მათგანი ძიძის მხილებით იყო დაინტერესებული. მათ ძიძის ძებნა დაიწყეს, რომელსაც შემთხვევით მიაგნეს კიდეც და ბავშვის მშობლებს დაუკავშირდნენ.

თიკა შავგულიძე:

– თვითმხილველი არ ვარ, მე ვარ ჩვეულებრივი მკითხველი. როდესაც facebook-ზე ამოვიკითხე, ამის შემდეგ მივაქციე ყურადღება ამ ამბავს. მოგვიანებით ჩემი მეგობრის შვილმა დაინახა ეს ქალბატონი, იცნო ბავშვი თავისი წითელქოლგიანი ველოსიპედით, მიჰყვა მათ ბოლომდე და გადაუღო სურათი. უბრალოდ, ეს ფოტოსურათი ზურგიდან იყო გადაღებული და თვითმხილველები ვერ ამოიცნობდნენ. ამიტომ მივედით დედასთან და მინდოდა, რომ ბოლომდე გამერკვია ყველაფერი. თავად გადამხდა ზუსტად ასეთივე ამბავი. ამიტომ ვიცი, რა დღეშია ბავშვი ასეთ დროს. ბავშვის დედას ვთხოვეთ ძიძის სურათი, რომ მთავარი თვითმხილველისთვის გვეჩვენებინა და ამოცნობა მომხდარიყო. მანამდე არ ვიცნობდი. თუმცა ამის შემდეგ facebook-ით დავუკავშირდი, შევხვდი და ვაჩვენე ძიძის ფოტოსურათი. როგორც კი დახედა ფოტოს, მაშინვე ამოიცნო. თუმცა ერთი ადამიანის ხელისდადებას ვერ დავეყრდნობოდი, ამის შემდეგ მოვძებნეთ ვიღაც სოფო, რომელიც ასევე თვითმხილველი იყო. მანაც მაშინვე ამოიცნო ბავშვიცა და ძიძაც და დაგვიდასტურა ცემის ფაქტიც.

– თუმცა ამ ორსულმა გოგომ, როგორც ვიცი, მშობლების თანდასწრებით ყველაფერი უარყო.

– დიახ, როდესაც შეკრება მოხდა გეგეშიძის ბაღში, იქ უარყო, თქვა, რომ ძიძას ვიცნობ, ხშირად ვხედავ, მაგრამ ცემის ფაქტზე არაფერი მსმენიაო. მე მესმის მისი, რადგან ის არის უცხოელი, უცხო ქვეყანაში და მოერიდა დაძაბულობას. ამის დამტკიცება და გარკვევა ძალიან მარტივად შეუძლიათ ოჯახის წევრებს, დააყენონ ფარული კამერა სახლში და თავად ნახავენ სიმართლეს. მე ეს შევთავაზე კიდეც ამ ოჯახს, თუმცა მათ ამაზე უარი განაცხადეს. პირიქით, დედამ ჩვენ დაგვადანაშაულა, მეც ასე მოვიქეცი ზუსტად და ვამხილე ჩემი ძიძა. ასევე, შეუძლიათ ახლომდებარე კამერების ჩანაწერები მოითხოვონ და ნახავენ, რომ არ ვიტყუებით.

– დედას ვესაუბრე და მან მითხრა, რომ კამერებში არსებული ჩანაწერების მიხედვით ცემა და ზეწოლა არ დადასტურდა.

– მე მგონი, კამერები სასამართლოზე უნდა გახსნილიყო. მე ერთის თქმა შეშიძლია, ამ ძიძის მიმართ არანაირი ინტერესი არ მაქვს, მან მხოლოდ იმიტომ ვერ მოახერხა სურათის გადაღება ცემის ფაქტის დროს, რომ მისი ტელეფონი კარგად არ მუშაობს. არავის არ აქვს ამ ოჯახის მიმართ რაიმე ინტერესი, უბრალოდ, სიმართლის გარკვევა და ამ ოჯახის დახმარება გვინდოდა.

თავად ოჯახი აცხადებს, რომ სრულიად უცხო ქალბატონებს პირადი ინტერესები ამოძრავებთ, რადგან მათ არც დამადასტურებელი ფაქტები აქვთ და ვერც თვითმხილველების წარდგენა შეძლესო. დედისვე განცხადებით, გეგეშიძის ბაღში მყოფმა ძიძების უმრავლესობამ უარყო ზეწოლისა და მით უმეტეს, ცემის ფაქტები. 2 წლის ნიკოლოზის დედის განცხადებით, ძიძა საკუთარი ბიძაშვილი და ოჯახის უახლოესი ადამიანია, შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ არანაირი საფუძველი, დაიჯერონ აღნიშნული ინფორმაცია.

მიუხედავად ნათესაობისა, თავის გადაზღვევის მიზნით ოჯახმა პოლიციაში განაცხადი მაინც შეიტანა, ერთადერთი მიზნით: გეგეშიძის ბაღთან მდებარე ერთ-ერთი ბანკის კუთვნილი კამერების ჩანაწერები ენახათ, რადგან საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ საკუთარი ძიძის საქციელში. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლობა ადასტურებს, რომ საქმე ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაშია და მასზე მოკვლევა მიმდინარეობს. ოჯახის წევრების განცხადებით, გამომძიებელმა არამარტო ბანკის კუთვნილი კამერების ჩანაწერები ნახა, არამედ 112-ის კუთვნილი ჩანაწერებიც გაშიფრა. შედეგად ოქმი შეად-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ძას 2 წლის ბავშვის ცემა

„ის არის უცხოელი, უცხო ქვეყანაშია და მოერიდა დაძაბულობას“

„შემდეგი ეტაპი იქნება სწორედ ნინო მურვანიძისა და თიკა შავგულიძის დაკითხვა“

გინეს, სადაც მითითებულია, რომ 2 წლის ბავშვის ცემის ფაქტი არ დასტურდება.

საქმის ირგვლივ მოკვლევის მომდევნო ეტაპი, სავარაუდოდ, თვითმხილველების დაკითხვა იქნება, სადაც სიმართლე გაირკვევა... ბავშვის მშობლები დარწმუნებულები არიან, რომ ოჯახის ახლობელი მათ შვილზე არ ძალადობდა, თუმცა სურვილი აქვთ, დეტალები და კონკრეტული ქალბატონების „ინტერესი“ გაიშიფროს.

2 წლის ნიკოლოზის დედა:

– ძიძა არის ჩემი ბიძაშვილი, ერთად ვართ გაზრდილები, ერთად ვცხოვრობდით, ერთად დავამთავრეთ ინსტიტუტი. ძალიან მორწმუნე ადამიანია. გარდა ამისა, ბავშვი ყველაფერს ლაპარაკობს. მე რომ გავუბრაზდები ხოლმე, მამამისთან გარბის და ყველაფერს დეტალურად უყვება.

– თქვენ თავად როგორ გაიგეთ ამბავი?

– ჩვენ ვიყავით სამსახურში, ინტერნეტით რომ გავრცელდა ეს ინფორმაცია, ჩემმა დამ გააზიარა „facebook“-ის მეშვეობით და მეც გადმომიგზავნა. იმავე საღამოს, სახლში რომ მივედით, მეზობელმა დამიძახა, საქმე მაქვსო. მითხრა, რომ ჩვენთან, ეზოში იყო მოსული სამი უცნობი ქალბატონი, რომლებსაც ჩემი ძიძა ჰყავდათ გადაღებული იმ მომენტში, როდესაც ბავშვთან ერთად შედიოდა სადარბაზოში და მოუყოლიათ, როგორ სცემდა ძიძა ბავშვს თითქმის ყოველდღე. ამ ქალბატონებს უნდოდათ ჩემი პირადი ნომრის გაგება, თუმცა მეზობელს არ მიუცია და უცნობი ქალბატონების ნომრები გამოურთმევია. ჩემს ძებნაში ერთ-ერთ მეზობელთან მისულან, რომელსაც ასევე ძიძა ჰყავს და მათ შვილსაც ნიკოლოზი ჰქვია. თავდაპირველად მათთვის აუტეხავთ ერთი ამბავი, ოჯახს უმტკიცებდნენ, თქვენი ძიძა ბავშვს სცემსო. ანუ ისინი არც თვითმხილველები იყვნენ, არც ძიძას იცნობდნენ და არც ბავშვს სახეზე. ამბავი იცოდნენ ყურმოკვრით.

– ვინ იყვნენ ეს ქალბატონები, საერთოდ? ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციიდან ხომ არ იყვნენ?

– არა, ესენი იყვნენ უბრალოდ დედები, რომლებსაც თითქოს გული შესტკიოდათ ჩემს შვილზე. თავიდან არც კი დავიჯერე, ვიფიქრე, არც დავრეკავ და საერთოდ არ მივაქცევ ყურადღებას ამ სისულელეს-მეთქი, მაგრამ მოგვიანებით ვნახე უცნობი ქალბატონების დატოვებული ფურცელი. ეს იყო ერთ-ერთი სააგენტოს მიერ მომზადებული სტატია, რომელსაც ჰქონდა 70 ათასამდე ნახვა. ამავე დღეს, საღამოს, სახლში დამირეკა ვიღაც თიკა შავგულიძემ.

– იცნობდით ამ ქალბატონს?

– არა, არ ვიცნობდი. მითხრა, ბავშვთან დაკავშირებით მინდა თქვენი ნახვა, მოგაკითხავთ სახლში და თუ შეიძლება, თქვენი ძიძის სურათი წამოიღეთ, მე თვითმხილველებს მოგიყვანთ და დაგიმტკიცებთ, რომ თქვენი ძიძა თქვენს შვილს ყოველდღე სცემსო. დავთანხმდი, ბუნებრივია. მართლაც, მოვიდა ეს ქალბატონი, მითხრა, არ წარმოვადგენ არანაირ უფლებადამცველ ორგანიზაციას, თავად ვარ ბებია და მინდა ასეთი ძიძა ვამხილოო. მოწმეები არ მოუყვანია, ჯერ მე თავად გამოვიძიებ ყველაფერს, დავადგენ და შემდეგ თუ გინდათ, თქვენს ძიძას ჩემი თვითმხილველებით დავადგებით პირზეო. მითხრა, რომ თავად არ იყო ფაქტის თვითმხილველი, თუმცა სამი თვითმხილველი ჰყავდა, რომლებმაც თითქოს ჩემს ძიძას დაადეს ხელი. მითხრეს, გეგეშიძის სკვერში ბავშვს იმის გამო გაუბრაზდა ძიძა, რომ სასრიალოზე უნდა ჩამოსრიალებულიყო, ყური ისე აუწია, გვეგონა, ხელში შერჩებოდა ბავშვის ყური, მოგვიანებით კი სასრიალოს უკან გაიყვანა და ბეჭდიანი ხელი ურტყა თავშიო.

– ასე თუ სცემა, მაშინ ბავშვს კვალი უნდა დასტყობოდა...

– რა თქმა უნდა, კვალს დატოვებდა ასეთი ცემა, მაგრამ ბავშვს არაფერი ეტყობოდა.

– ეს ვინც მოგიყვათ თავად იყო თვითმხილველი?

– არა, არც ერთი არ იყო თვითმხილველი. მითხრეს, რომ ერთ–ერთი ქალბატონი ბავშვის ცემის პარალელურად facebook-ზე ტვირთავდა ამბავს.

– თუ ხედავდა, რატომ არ გადაიღო ეს ფაქტი ტელეფონით?

– მეც ეს კითხვა გამიჩნდა და ვკითხე კიდეც, თუმცა პასუხი ვერ მივიღე. სწორედ ამიტომ გამიჩნდა ძალიან ბევრი ეჭვი ამ ქალბატონების მიმართ. თუმცა ამის შემდეგაც აქტიურობდნენ, მორიგ დღეს დამირეკეს და მითხრეს, ამ ბაღში ერთი უცხოელი ორსული დადის ყოველდღე და ისიც სულ ხედავს, როგორ ძალადობს თქვენი ძიძა ბავშვზე გამუდმებითო. ისიც კი მითხრეს, ერთხელ ისე მწარედ სცემა ბავშვი, ამის შემყურე ორსული გოგო ნერვიულობისგან ცუდად გახდა და გული წაუვიდაო. მართლა ძალიან გავნერვიულდი, მაგრამ მაინც ვცადე, სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ამის შემდეგ ჩემს დას უთხრა, რა უცნაური რეაქცია აქვს თქვენ დას თავისი შვილის ცემის ფაქტზეო...

– თქვენმა ძიძამ როდის გაიგო ასეთი ბრალდების შესახებ და რა რეაქცია ჰქონდა?

– ეს ქალბატონი უთვალთვალებდა ჩემს ძიძასა და ბავშვს. როდესაც სახლთან მოსულან, გამოჰკიდებია და სადარბაზოში გაუჩერებია.

– ბავშვს ჰკითხეთ ძიძაზე?

– კი, ძალიან ბევრჯერ და სხვადასხვანაირად დავუსვი კითხვა, იქნებ როგორმე რამე მომიყვესმეთქი, ხან ხუმრობით, ხან საიდან მოვუარე და ხან საიდან. არაფერი არ უთქვამს. ბავშვი გიჟდება, ისე უყვარს ლელა, ენატრება და ელოდება ხოლმე. ხომ არის რაღაც, რომლისაც 99% გჯერა, მაგრამ ის 1% მაინც გაწუხებს. ამიტომ მე მივწერე „facebook“-ზე ადამიანს, რომელმაც თითქოს თავისი თვალით ნახა ძალადობა და დაწერა ამის შესახებ. მან ასეთი პასუხი მომწერა:

მე „facebook“-ზე დავპოსტე ის, რაც ვნახე, ჩემი პოსტიდან რომელმა ჟურნალისტმა გააკეთა სტატია და ვინ დაიწყო დამოუკიდებლად გამოძიების ჩატარება, არ ვიცი და არც მაინტერესებს, საერთოდ არ ვიცნობ ამ ქალბატონებსო. შეხვედრა ვთხოვე, მაგრამ უარი მითხრა, ჩემი ოჯახი მაქვს და ჩემი პრობლემები და საერთოდ არ მინდა ამ საქმესთან შეხებაო. ვუთხარი, თქვენმა პოსტმა მთელი „facebook“-ი აიკლო, 60 ათასი კაცი აალაპარაკეთ და ახლა აღარ გინდათ ამაზე საუბარი-მეთქი? ვუთხარი, რომ საჩივარი შემქონდა და სურდა თუ არ სურდა, მაინც მოუწევდა კითხვებზე პასუხის გაცემა. მხოლოდ ამის შემდეგ მითხრა, თუ ასე გაინტერესებს, ჩაბრძანდი გეგეშიძის ბაღში და იქ უამრავი ადამიანი დაგიდასტურებს ცემის ფაქტსო. ამ ქალბატონმაც იმ ფეხმძიმე გოგოზე მიმითითა.

– ანუ ამ ქალბატონის პოსტის გავრცელების შემდეგ აიღეს საკუთარ თავზე დეტალების გარკვევა?

– კი, ასე იყო. 5 დღე და ღამე დასდევდნენ ჩემს ძიძას. ლელამ ეს რომ გაიგო, მკვდარივით იყო, ერთადერთს ითხოვდა, ჩემი სიმართლე დამამტკიცებინეთო. ისე ინერვიულა, დამამშვიდებელი დავალევინე. ამის შემდეგ, ბავშვსა და ძიძას მეც ჩავყევი გეგეშიძის ბაღში, იქ, სადაც სულ იკრიბებოდნენ. თავიდან არ ვთქვი, რომ დედა ვიყავი, როდესაც ნაცნობი ძიძები შეიკრიბნენ, ამის შემდეგ ჩემმა ძიძამ თქვა, რომ ძიძა, რომელსაც ბავშვის ცემას აბრალებდნენ, თავად იყო. ყველა გაგიჟდა, ყოველდღე ერთმანეთს ვხვდებით და მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა, ნეტავ ვის რაში დასჭირდა ასეთი სისულელის მოგონებაო. იქვე იყო ის ორსული გოგოც, ბუნებრივია, მასაც ვკითხეთ, არც ცემის ფაქტი დაგვიდასტურა და არც გულისწასვლის. ამის შემდეგ დავურეკე ქალბატონს, რომელიც ამბობდა, თვითმხილველები მყავსო. ვუთხარი, გეგეშიძის ბაღში ვართ, ორსული გოგოც აქ არის და მოდი-მეთქი. მართლაც მოვიდა, მაგრამ დაპირებული თვითმხილველები არ მოუყვანია, მოიმიზეზა, თითქოს არ ეცალათ.

– შეიძლება, რომ ეს ადამიანები არც არსებობდნენ სინამდვილეში?

– მე ასე ვფიქრობ, თორემ როცა მოიცალეს, მერე მაინც შემხმიანებოდნენ? ამის შემდეგ პირველწყარომ და თიკა შავგულიძემაც „facebook“-ის საკუთარი გვერდიდან ყველაფერი წაშალეს, მეგობრებიც, პოსტებიც, სურათებიც. ჩემი ძიძის კატეგორიული მოთხოვნით საჩივარი დავწერეთ, მოვითხოვეთ გეგეშიძის ბაღთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი ბანკის სათვალთვალო კამერების შემოწმება, ისიც კი მთხოვა ლელამ, ბავშვი ექიმთან, ფსიქოლოგთან წავიყვანოთ და შეამოწმე, რომ დარწმუნდე, მსგავსი არაფერი ყოფილაო. მართლაც დავწერე საჩივარი, გამომძიებელმა მეც დამკითხა, ჩვენი ძიძაც, ყველაფერი დავწერეთ. მეორე დღეს გამომძიებელმა მითხრა, რომ აღნიშნული ბანკის ჩანაწერებიც გაიხსნა და შემოწმდა. ასევე, შემოწმდა 112-ის კამერები, რომლებიც მიმდებარე ტერიტორიაზეა დამონტაჟებული, ოქმი შედგა და ჩაიწერა, რომ ბავშვის ცემის ფაქტი არ დადასტურდა.

– ანუ გამოძიება მიმდინარეობს?

– დიახ, მიმდინარეობს. შემდეგი ეტაპი იქნება სწორედ ამ ქალბატონების დაკითხვა. გამომძიებელი დაგვპირდა, საქმეს იქამდე მივიყვან, რომ გაირკვეს, რა ამოძრავებდათ ამ ადამიანებს, როდესაც ძიძას ასეთ ბრალდებას უყენებდნენო. ამის შემდეგ მე უნდა დავწერო ცილისწამებისთვის ხელახალი საჩივარი, რომ საქმის გამოძიება გაგრძელდეს.

„ამის დამტკიცება და გარკვევა ძალიან მარტივად შეუძლიათ ოჯახის წევრებს, დააყენონ ფარული კამერა სახლში და თავად ნახავენ სიმართლეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაქსვუდის წინასაბაკალავრო პროგრამა -

დაიწყე მომავლის დაგეგმვა დღეს!

ქეთი ხატიაშვილი

ბაქსვუდის (Buckswood) ბრიტანულმა სკოლამ თბილისში ინოვაციური წინასაბაკალვრო პროგრამა შეიმუშავა.

პროგრამა გათვლილია მე-9, მე-10 და მე-11 კლასელთათვის, მის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა უზრუნველყოფა იმ პრაქტიკული და თეორიული უნარ-ჩვევებით, რომელიც დაეხმარებათ მათ ახალ საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ადაპტაციაში და მომავლის სწორად დაგეგმვაში.

აირჩიო პროფესია, შეარჩიო უმაღლესი სასწავლებელი, ბევრისთვის ეს მარტივი პროცესი სულაც არ არის და ხშირად მოსწავლეებს სჭირდებათ პროფესიონალების დახმარება.

ამიტომაც ბაქსვუდის სკოლამ შეადგინა წინასაბაკალავრო პროგრამა. კურსის გავლა მხოლოდ აღნიშნული სკოლის მოსწავლეებს შეუძლიათ. პროგრამა ფართო პროფილურია, რომელიც თითქმის ყველა იმ ფაქტორს ითვალისწინებს, რაც მოზარდს დამოუკიდებელ ცხოვრებასთან ადაპტაციაში დაეხმარება.

პროგრამაში, სხვა ბევრ საინტერესო ფაქტორთან ერთად, ჩემი ყურადღება სწორედ დამოუკიდებელ ცხოვრებასთან ადაპტაციის თავისებურებებმა მიიპყრო. წინასაბაკალავრო პროგრამაში ვკითხულობთ:

დამოუკიდებელ ცხოვრებასთან ადაპტაცია

პრობლემას წარმოადგენს ასევე დამოუკიდებლობის გათავისება და მისი უპირატესობების ზომიერი გამოყენება. ერთი მხრივ, სკოლის სისტემისგან განსხვავებით, უმაღლეს სასწავლებელში მინიმუმამდეა დაყვანილი მშობლის მონაწილეობა სასწავლო პროცესში. ამ სისტემაში არ არსებობს დირექტორი, რომელიც მაკონტროლებელია მოსწავლის ქცევისა და აკადემიური მოსწრების. მშობლის, როგორც უშუალო „მენტორის", ფუნქცია მნიშვნელოვნად იწევს უკანა პლანზე და ასპარეზი ეძლევა თვით სტუდენტის პასუხისმგებლობის გრძნობასა და უმაღლესი სასწავლებლის იმპერატიულ წესებსა და მოთხოვნებს, რომელთა დარღვევასაც კონკრეტული და უპირობო შედეგები აქვს.

თანამედროვე ფსიქოლოგთა და განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალთა უმრავლესობა (განსაკუთრებით დასავლეთში მოღვაწეთა უმრავლესობა) სასკოლო სისტემიდან საუნივერსიტეტო სისტემაზე მოზარდის გადასვლას უფრო და უფრო ამსგავსებს გამოსასწორებელი დაწესებულებიდან პირის განთავისუფლებას. ეს შედარება რადიკალურობით გამოირჩევა, მაგრამ ამ ორ მოვლენას შორის კავშირი უდავოდ არსებობს. სასკოლო სისტემა მკაცრად სავალდებულო და განერილია, ხოლო საუნივერსიტეტო ცხოვრება მისი მონაწილის უფლებაა და არა სავალდებულო კრიტერიუმი. ამ მხრივ, თავისუფლებით თრობა საკმაოდ ხშირია და მოზარდს მოცემული გარემოების გადამეტებით გამოყენებისკენ უბიძგებს, რაც, რა თქმა უნდა, ყოველთვის აისახება მის არა მხოლოდ აკადემიურ მოსწრებაზე, არამედ სამომავლო წარმატებაზეც.

როგორც უკვე აღვნიშნე, პროგრამა ფართოპროფილიანია და ის, სხვა თემატიკასთან ერთად, მოიცავს:

– ლიდერული უნარ-ჩვევების გაღვივების კურსი;

– საკუთარი თავის პრეზენტაცია;

– გადაწყვეტილების მიღების უნარი;

– გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გაღვივების კურსი;

– კამათის ხელოვნება;

პროგრამის კონცეფცია შედგენილია ბაქსვუდის სკოლის სლოგანის მიხედვით ,,ვამზადებთ მომავლისთვის". თითოეულ მოსწავლესთან წარმართება ინდივიდუალური მიდგომა, მათი მოთხოვნისა და საჭიროების გათვალისწინებით. განსაკუთრებით პროგრამის იმ ნაწილში, რომელიც მოიცავს პროფესიათა განხილვას, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზებას. სკოლის მიზანია, მოსწავლემ შეგნებული არჩევანი გააკეთოს, ნათლად ესმოდეს, რა პროფესიას ირჩევს და დასაქმების რა პერსპექტივები აქვს საქართველოში ან საზღვარგარეთ და როგორია ამა თუ იმ პროფესიაზე მოთხოვნა. ამ მიმართულებით ბაქსვუდი ფართო მომსახურებას სთავაზობს მოსწავლეებს. კერძოდ კი, ბაზრის ანალიზს, ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას და ყველა ინფორმაციის მოძიებას, რაც საჭიროა და აუცილებელი.

ასე რომ, წინასაბაკალავრო პროგრამა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, დაზოგონ დრო და ენერგია და ადგილზე მიიღონ მათთვის საჭირო ყველა სახის ინფორმაცია, ასევე, შეიმუშაონ საუნივერსიტეტო უნარ-ჩვევები და მოემზადონ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ეროსი კიწმარიშვილს „ისინი თავს გრძნობენ შეურაცხყოფილად, იმიტომ რომ ძიძიგურისნაირი მაჟორიტარი ჰყავთ"

ქეთი ხატიაშვილი

წლების წინათ ისინი თითქმის მტრები იყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ. ეროსი კიწმარიშვილსა და ბადრი პატარკაციშვილს შორის დაპირისპირება ყველას ახსოვს და ალბათ, ძნელად, თუ ვინმე იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ სწორედ ბადრი პატარკაციშვილის პარტია „ჩვენი საქართველო" წამოაყენებდა ეროსი კიწმარიშვილის კანდიდატურას რუსთავში.

ეროსი კიწმარიშვილი ისევ პოლიტიკაში ბრუნდება და ახლა მერობის პოსტზე იყრის კენჭს ქალაქ რუსთავში. რატომ აირჩია რუსთავი, რას ამბობს ბიძინა ივანიშვილზე და რა გეგმები აქვს „მაესტროსთან" დაკავშირებით? ამ და სხვა საკითხებზე ეროსი კიწმარიშვილი „პრაიმტაიმს" ესაუბრა.

– თქვენ თქვით, რომ არ გჭირდებათ სოციალური კვლევები იმის გასარკვევად, რა პოზიციები გაქვთ რუსთავში საარჩევნოდ და მე ნოღაიდელი გამახსენდა, რომელიც ასევე ამბობდა, რომ მას არ სჭირდება კვლევები და რომ ისედაც ყველაფერი იცის და გრძნობს, თუმცა, არჩევნები წააგო...

– მე ვიცი, რა კვლევებიც არის ჩატარებული ჩემამდე, ანუ სანამ მე დავაყენებდი ჩემს კანდიდატურას და ვიცი, რა სურათია. ციფრები ასეთია: „ქართული ოცნება" – 33%, ნაციონალები – 16%, 45%-ს გადაწყვეტილება ჯერ არ აქვს მიღებული. ხელისუფლებამ რუსთავში ისეთი კანდიდატი დააყენა, რომ მაქსიმუმ ეს მაჩვენებელი შეინარჩუნოს, ზრდის ტენდენცია არ მოხდეს. „ქართული ოცნებიდან" ადრეც გადმოვიდნენ პარტია „ჩემს საქართველოში" და ახლაც 30 კაცამდე გადმოდის და მე შემომიერთდება. იქ დიდი რღვევა, დიდი პანიკა და ნერვიულობაა.

რაც შეეხება ნაცებს, მათ ჩაკირული მატერიალურად მოტივირებული სტაბილური ელექტორატი ჰყავთ. ისინი10-12%-ში იცურავებენ. სხვა ნიშა ცარიელია. ბურჯანაძეს იქ ჰყავს კანდიდატი, მაგრამ ის აქტიურ კამპანიას არ ატარებს. ასე რომ, სწორი დრო და სწორი ადგილი შევარჩიე. და მე არ მჭირდება კვლევა და ფულის ხარჯვა, ეს ანალიზი საკმარისია.

რუსთავშია ჩემი დიდი სამეგობრო, იქ ვიყავი რთულ პერიოდში, იქ დავიწყე „რუსთავი 2", ანუ მე გარკვეული თვალსაზრისით რუსთავისთვის ლეგენდა ვარ. ამ ქალაქს ბოლო 20 წლის მანძილზე ასეთი ცნობადობის მქონე ადამიანი არ ჰყოლია. რუსთავის ყველა მსხვილი გავლენიანი ჯგუფი და მოთამაშე არის პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩემი მხარდამჭერი. ისინი თავს გრძნობენ შეურაცხყოფილად, იმიტომ რომ ძიძიგურისნაირი მაჟორიტარი ჰყავთ. ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ წილების გადანაწილების თემებზეა ორიენტირებული. ამას მტკიცებით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ქალაქში საკმაოდ კონკრეტულად საუბრობენ.

მეორე, ძიძიგური თავსმოხვეული მაჟორიტარია. ეს ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი იყო და უკმაყოფილოები არიან.

რუსთავში დიდი უკმაყოფილების მუხტია და მისი ამღები, ჩემ გარდა, არავინაა.

– ბიძინა ივანიშვილმა თავისი განცხადებებით აჩვენა თქვენ მიმართ კატეგორიული მიუღებლობა...

– ბიძინა ივანიშვილმა ჩემს უარყოფით იმიჯში დიდი როლი ითამაშა, მან ჩემი სააკაშვილთან თითქმის რვაწლიანი ბრძოლა ერთი თავისი უაპელაციო გაუაზრებელი და არაფერზე დამყარებული განცხადებით გადარეცხა და საკუთარი მაშინდელი გავლენა, როგორც რისხვა, ისე მომართა ჩემკენ.

მან მე წამართვა „მაესტრო". სხვა საკითხია, ვინ არის ახლა „მაესტრო" და ვისია...

– თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– არ ვიცი და არც მაინტერესებს. ადრე თუ გვიან, „მაესტროს" დამფუძნებლებს (ჟურნალისტებს არ ვგულისხმობ, თუმცა მე ვქმნიდი იმ გარემოს, რომლითაც დღეს ასე ამაყობენ, მე შევუქმენი ამ არხს პოლიტიკური არხის იმიჯი) დავსჯი და დავსჯი სამართლებრივად. ეს პროცესი არ დასრულებულა.

მაგრამ დავუბრუნდეთ არჩევნებს...

– დაპირებები მსუყე გაეცით...

– ასე არ ვფიქრობ. რეალიზაციის თვალსაზრისით, ეს პრიმიტიული დაპირებებია. საუბარია 100 მილიონ დოლარზე, რომელსაც მოვიტან. გაკეთებული მაქვს კონკრეტული დიდი კვლევა, მათ შორის ბიძინა ივანიშვილთან ერთად. ჩემი ფონდი „2020" და ივანიშვილის „ქართუ", ამ დოკუმენტზე ერთად ვმუშაობდით, თუმცა, დღეს ეს კვლევა აღარავის აინტერესებს.

ახლა ამერიკის უნივერსიტეტის პროფესურასთან ერთად ვმუშაობ და სამ თვეში დავდებ რუსთავის განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

რა არის მნიშვნელოვანი რუსთავისთვის:

1. ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონალური საუნივერსიტეტო და პროფესიული განათლების ცენტრად ჩამოყალიბება. ეს შესაძლებელია. არსებობს ისეთი უნივერსიტეტი, როგორიცაა სამედიცინო უნივერსიტეტი „აიეტი", სადაც სწავლობენ სტუდენტები პაკისტანიდან, ინდოეთიან, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებიდან. ამ ქვეყნებში

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბადრი პატარკაციშვილის პარტია უჭერს მხარს

ეროსი კინწარაშვილი: „გარკვეული თვალსაზრისით რუსთავისთვის ლეგენდა ვარ“

EXCLUSIVE

„ადრე თუ გვიან „მაესტროს“ დამფუძნებლებს დავსჯი... მათ ჩემი გაძლიერების საშინელი შიში აქვთ“

სწავლა სამედიცინოზე 4-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საქართველოში.

ჩვენ გვაქვს პოტენციალი და კადრები საიმისოდ, რომ სამედიცინო კოლეჯის დამთავრების დიპლომი გავცეთ, თუკი შესაბამის პირობებს შევქმნით. „აიეტი“ გადმოდის რუსთავში. და შეიძლება დიდი კომპლექსის გაკეთება. 10 ათასი სტუდენტი არ ყღერს კოლოსალურად. 5 ათას დოლარს წელიწადში გადაიხდის თითოეული და ეს უკვე არის 50 მილიონი დოლარი. ისინი ხომ რუსთავში იცხოვრებენ და წელიწადში ხომ 5 ათასს დახარჯავენ? ეს ის 100 მილიონია, რომელიც შემოვა.

მეორე თემა რუსთავში პროფსასწავლებლების ქსელი იყო ადრე. საქართველოში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების დიდი დეფიციტია, მაგალითად, ვერ იპოვი „სანტექნიკს“, „შტუკატურშიკს“, მომსახურე პერსონალი არ ვარგა და ასე შემდეგ... თუ შევქმნით შესაბამის პირობებს – მუშაობისა და სწავლის საშუალებას, 6-თვიანი ან 1-წლიანი სწავლების კურსს, რომელიც, მაგალითად, ათასი ლარი ეღირება და დიპლომირებულ სპეციალისტს გამოუშვებს, ეს დამატებით კიდევ შემოსავალია.

მესამე, 500 ჰექტარი უჭირავს მეტალურგიას, აქედან მხოლოდ 2 ჰექტარს ამუშავებს. ეს ქარხანა გახდა ამ ქალაქის საფუძველი და მე მათ ვეუბნები, ან ჩვენ ერთად მოვიფიქრებთ, როგორ შეიქმნას იმ ტერიტორიაზე დამატებითი სამუშაო ადგილები და პრიორიტეტი ექნებათ რუსთაველებს. მაგალითად, 300 ჰექტარზე გააშენონ სათბურები და პომიდორი მოაშენონ, თურქეთიდან რომ შემოგვაქვს.

– რაც მახსოვს, სულ ბრძოლებში ხართ, ახლა არ ფიქრობთ, რომ საარჩევნო მარათონშიც დიდ წინააღმდეგობას წააწყდებით?

– ჩემი ისტორია არის ბრძოლების ისტორია, მაგრამ არის წარმატებებიც. რუსთავის ისტორიაში შექმნილი ყველაზე ცნობადი ბრენდები გავიხსენოთ. მეტალურგიული ქარხანა, რომელიც რუსთავს არ შეუქმნია, რუსთავმა შექმნა ქალაქი, იყო ანსამბლი „რუსთავი“, რომელიც 60-იან წლებში ჩნდება სახელმწიფოს მიერ და მესამე გავაკეთე მე, რუსთაველმა, რამდენიმე თინეიჯერ რუსთაველთან ერთად. საუბარი მაქვს „რუსთავი 2“-ზე. მე გავაკეთე „ჯორჯიან ონლაინი“, რომელიც ახლა „კავკასუს ონლაინის“ სახელითაა ცნობილი და ერთ-ერთი უმსხვილესი საკომუნიკაციო ოპერატორია, ვიყავი მთელი ხანის მიერ აღიარებული „ვარდების რევოლუციის“ თანაავტორი.

– რატომ აირჩიეთ პარტიებს შორის პატარკაციშვილის პარტია?

– ეს ბედის ირონიაა, რა ომში ვიყავით მე და ბადრი და ახლა მე მისი პარტიის სახელით გამოვდივარ. ეს მოხდა ორი კეთილშობილი ადამიანის ნებით. ესენი არიან ლევან ჩხეიძე და დავით ჭუკაიძე. სრულიად შემთხვევით მოხდა ყველაფერი. როცა ბევრი პარტიიდან ჩემთვის მისაღებ სახელს ვეძებდი... ბევრი მზად იყო თანამშრომლობისთვის. უანგაროა ეს თანამშრომლობა და ისინი საარჩევნო სიაშიც არ წერიან. იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა გრძელვადიანი იქნება...

– ვალერი გელბახიანი არ ჩარეულა?

– არ შევხვედრივარ. არ მქონია მასთან კონფრონტაცია. ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის ძალიან კორექტული იყო.

– რატომ არა კახა კუკავა და ახლები?

– მანდ არსებობდა გარკვეული პრობლემები

– ფინანსური?

– არა, ეს უკავშირდებოდა მესამე მოთამაშეს, „მაესტროს“... „მაესტრო“ არის ფაქტორი, რომლის გამოც ჩვენ საერთო ვერ ვიპოვეთ. ეს არ არის არც ფინანსები და არც ჩვენს შორის რაიმე პიროვნული. მოგვიანებით ვიტყვი ყველაფერს.

– „მაესტრო“ ახსენეთ და ჟიჟილაშვილის მხრიდან პირდაპირ ეთერში თქვენ მიმართ გამოხატულ აგრესიაზე რას ფიქრობთ?

– ბევრი ვიფიქრე... მახსოვს იმ „მაესტროდან“, რომელსაც ვაკეთებდი, ბექაურმა გააგდო. შეიძლება, ეს იყო მიზეზი, მაგრამ მაშინ არც მის მიღებაში ჩავრეულვარ და არც გაშვებაში. მე შიდა საქმეებში არ ვერეოდი. შეიძლება, ეს იყო ფაქტორი... ასეთი განერვიულებული რატომ იყო, ძნელი სათქმელია.

რაც შეეხება დიდ სამართლიანობას, მან საერთოდ არაფერი იცის, რა ხდებოდა და როგორ. არადა ჟიჟილაშვილს პრეტენზია არა მხოლოდ პროფესიონალ ჟურნალისტობაზე აქვს, პედაგოგობასაც ეწევა. ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანია და ჟურნალისტებს ასწავლის. და რას ასწავლის?

სანაია უფრო კორექტული იყო, კითხვა არ დასვა, ოღონდ ირონიულად ჩაიცინა. სანაიაზე გავბრაზდებოდი. მასთან, მის ძმასთან ადრე და ოჯახთან ჩემი ურთიერთობები მაქვს... სანაია გაჩუმდა და ხმა არ ამოიღო, ესეც თანხმობა იყო.

„მაესტროს“ დამფუძნებლებს ჩემი გაძლიერების საშინელი შიში აქვთ, იმიტომ რომ მათ იციან, ვინ არის მართალი ამ ისტორიაში. ბიძინა ივანიშვილის დახმარებით მოგებული სასამართლო პროცესებით ჰგონიათ, რომ გამარჯვებას მიაღწიეს. მათ აქვთ უფლება, ინერვიულონ. მე მაქვს მათთან დავის პროცესი და უზენაესი სასამართლო უკვე 10 თვეა, ვერ იღებს გადაწყვეტილებას. ასე რომ, ეს პროცესი გრძელდება.

„ახლა ამერიკის უნივერსიტეტის პროფესურასთან ერთად ვმუშაობ და სამ თვეში დავდებ რუსთავის განვითარების სტრატეგიულ გეგმას“

„ამ ქალაქს ბოლო 20 წლის მანძილზე ასეთი ცნობადობის მქონე ადამიანი არ ჰყოლია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგ

მაგდა კლდიაშვილი

„აწარმოე საქართველოში“ - ასე ჰქვია პროექტს, რომელსაც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები ერთად განახორციელებენ. ახალი პროექტის განხორციელება 1 ივნისიდან დაიწყება. მისი მიზანი ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობა და სოფლის მეურნეობის მიმართულებების განვითარება იქნება.

პროექტის დეტალებზე და მასშტაბებზე „პრაიმტაიმი“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, გიორგი ჩხეიძეს ესაუბრა.

- ვინ არის პროექტის - „აწარმოე საქართველოში“ ინიციატორი და რას მოიცავს?

- პროექტის ინიციატორი საქართველოს მთავრობაა. კერძოდ, ინიციატივა პრემიერმა, ირაკლი ღარიბაშვილმა გამოიჩინა. ეს ინიციატივა მდგომარეობს ახალი პროგრამის დაწყებაში, რომელსაც ჰქვია „აწარმოე საქართველოში“. პროგრამა მიზნად ისახავს ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობას და საბოლოოდ, იმპორტის ჩანაცვლებას და საექსპორტო პოტენციალის ზრდას. პრიორიტეტული დარგებია გამოყოფილი, როგორც ინდუსტრიულ, ასევე სასოფლო სამეურნეო სფეროში, რომლის შეღავათიანი პირობებით დაფინანსება და სხვა მხრივ მხარდაჭერა განხორციელდება. პროექტი გულისხმობს მხოლოდ ახალი საწარმოების შექმნის ხელშეწყობას, რომლებიც უნდა მოქმედებდნენ სრულ ინდუსტრიულ სფეროში, როგორიც არის ქაღალდის, რეზინის, პლასტმასის, ავეჯის წარმოება. ხის გადამუშავება, საშენი მასალების, გრანიტის, მარმარილოს, ელექტრო-მექანიკური ხელსაწყოების წარმოება და ა.შ. მთელი რიგი ჩამონათვალია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, ამ ნაწილში პრიორიტეტულ დარგებად განსაზღვრულია ინტენსიური ტიპის, მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობები. მაღალტექნოლოგიური მესაქონლეობის, მეფრინველეობის ფერმები. ინტენსიურ ტიპში მოიაზრება არა ის, რომ შეიქმნას ფერმა და საქონელი საბალახოდ გავიდეს, არამედ ბაგურ კვებაზე, მაღალი დონის ავტომატიზებული ფერმები იგულისხმება. რაც შეეხება სათბურებს, თანამედროვე ტექნოლოგიით, ავტომატიზებული მიკროკლიმატის ჰიდროპონიკა შეიძლება იყოს, ან გრუნტზე, მაგრამ თანამედროვე კონსტრუქციების გამოყენებით. ჩვენი მიზანი არ არის, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მოძველებული ტექნოლოგიებით განხორციელდეს, დაბალეფექტიანი გამოვა და შემდგომში, კონკურენტუნარიანი არ იქნება. ამიტომ არის მოთხოვნა მაღალტექნოლოგიურზე. სოფლის მეურნეობაში, პრიორიტეტული დარგებია გადამამუშვებელი წარმოება. კერძოდ, ხილის, კენკრის, ბოსტნეულის, თხილისა და კაკლოვნების, ტყავისა და მატყლის გადამუშავება. პროექტი გეოგრაფიულად შეზღუდული არ არის. ნებისმიერ რაიონში შეიძლება, შეიქმნას საწარმო, თბილისში ან სხვა რეგიონში, რომელიმე კონკრეტული რეგიონის განვითარებისთვის არ არის გამოყოფილი. რაც შეეხება გახორციელებას, ორ ნაწილად არის ესეც გაყოფილი. ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს ინდუსტრიულ ნაწილს. ჩვენ, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, ვახორციელებთ აგრონაწილს. მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა გვაქვს, პროექტი ერთია, ოღონდ ორი ნაწილისგან შედგება. ამ პროექტში გამოყენებული იქნება IT პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც უკვე კარგა ხანია ვმუშაობთ, შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში ბანკებთან. ამის გამოყენების საშუალება ექნება ეკონომიკის სამინისტროსაც. სხვა მხრივაც ვთანამშრომლობთ ბანკებთან, ერთობლივი მოლაპარაკებები გვაქვს. პროგრამა დარგობრივ ჭრილში გავყავი, როგორც გითხარით, მაგრამ პროექტი არ გულისხმობს, მხოლოდ ფინანსურ დახმარებას. ფინანსური მხარე, მხოლოდ ერთი ნაწილია, მეორე - ინფრასტრუქტურული, მესამე - ტექნიკური დახმარება. ფინანსური მხარეც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი - პროექტით გათვალისწინებულია ახალი საწარმოს შექმნისთვის შეღავათიანი სესხი. პროექტის ფარგლებში, თუ ვინმე მოინდომებს და მოინდომებენ უთუოდ, რადგან ბიზნესს მოუნდება ახალი საწარმოს შექმნა, მათ ექნებათ შეღავათიანი პირობით, ბანკიდან სესხის მიღების საშუალება. პირობები შემდეგია: სესხი არასასოფლო, სამეურნეო სფეროში, მინიმუმ 150 ათასი დოლარიდან, მაქსიმუმ ორ მილიონ დოლარამდე. სასოფლო სამეურნეო სფეროში, მინიმუმ 600 ათასი დოლარიდან, მაქსიმუმ, 2 მილიონ დოლარამდე. ეს სხვაობა იმით არის განპირობებული, რომ ჩვენ უკვე გვაქვს პროექტი, რომელიც 600 ათას დოლარამდე დაფინანსებას მოიცავს. რომ არ იყოს გადაფარვა სასოფლო-სამეურნეო ნაწილში, 600 ათასიდან ვიწყებთ. ამ სესხის პირობები შემდეგია - ვადა განუსაზღვრელია, როგორც ბანკი გადაწყვეტს, მაგრამ საუბარია გრძელვადიან სესხებზე, 7-დან 10-წლამდე. თუ პროექტს არ სჭირდება 5 წელზე მეტი, შეიძლება არც გაიცეს, მაგრამ როგორც პროექტს დასჭირდება, იმის მიხედვით. საპროცენტო განაკვეთი იქნება 1-დან 3%-მდე, გამომდინარე იქიდან, რა მოცულობის იქნება სესხი. მაგალითად, თუ სესხი ერთი მილიონია, წლიური საპროცენტო განაკვეთი იქნება 1%. ბანკების მიერ დაწესებული იქნება არაუმეტეს 11-დან 13%-მდე, სესხის მოცულობის მიხედვით. აქედან, 10%-ს გადაიხდის სახელმწიფო, აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი გამოდის 1-3%. აღსანიშნავია, რომ სესხის პროცენტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება გახორციელდება, არაუმეტესს 2 წლის განმავლობაში. შემდეგ, ბიზნესმა თავად უნდა დაიწყოს გადახდა. ამასთან ერთად, start-up (სტარტაპი)-ები პრობლემურია. გირაოს საკითხი წარმოადგენს პრობლემას, იმიტომ რომ, ახლადდაწყებულ ბიზნესს არ გააჩნია საშუალებები, თუ უკვე მოქმედი ბიზნესის მიერ არ არის შექმნილი ეს საწარმო, რომ ბანკებში უზრუნველჰყოს ეს საკითხი. ამიტომ, სახელმწიფო, ბანკებისთვის უზრუნველჰყოფს 30%-ის ფარგლებში გირაოს. ანუ - სესხი თუ არ დაბრუნდება, 30%-ის გარანტიას სახელმწიფო დებს. ეს სერიოზული დახმარება და წახალისებაა, რომ ბანკმა უფრო ადვილად გასცეს სესხი და არ ჰქონდეს პოტენციურ ინვესტორს დიდი ტვირთი გირაოსი. ეს ფინანსური დახმარებაა, რაც შეეხება ინფრასტრუქტურულს, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფოს კუთვნილი ქონება, ეს იქნება გაჩერებული საწარმოები თუ სხვა ობიექტები, სადაც საწარმოების მოწყობა იქნება შესაძლებელი, რომლის სიაც განსაზღვრა ეკონომიკის სამინისტრომ



„სახელმწიფოს კუთვნილი ქონება, ეს იქნება გაჩერებული საწარმოები თუ სხვა ობიექტები, სადაც საწარმოების მოწყობა იქნება შესაძლებელი, რომლის სიაც განსაზღვრა ეკონომიკის სამინისტრომ (www.qartuli.ge), ამ პროექტის ფარგლებში, თუ ვინმე მოისურვებს, სახელმწიფო მას სიმბოლურ ფასში, ერთ ლარად გადასცემს ამ ობიექტს“

აწარმოე საქართველოში

„ჩვენ გვინდა იმპორტი ჩავანაცვლოთ, სწორედ ამიტომაა, გვინდა ისეთი წარმოების პროდუქცია ჩავანაცვლოთ, რაც არ იწარმოება აქ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ეს სახელი - „აწარმოე საქართველოში“

„პროექტი გეოგრაფიულად შეზღუდული არ არის. ნებისმიერ რაიონში შეიძლება შეიქმნას საწარმო, თბილისში ან სხვა რეგიონში, რომელიმე კონკრეტული რეგიონის განვითარებისთვის არ არის გამოყოფილი“

„პროექტის ფარგლებში, თუ ვინმე მოინდომებს და მოინდომებენ უთუოდ, რადგან ბიზნესს მოუნდება ახალი საწარმოს შექმნა, მათ ექნებათ შეღავათიანი პირობით, ბანკიდან სესხის მიღების საშუალება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ენტო ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს

„აწარმოე საქართველოში“ - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ერთობლივი პროექტი

EXCLUSIVE

„აწარმოე საქართველოში“ იწყება 1 ივნისს. განაცხადების მიღებას ბანკები ანალოგიურად დაიწყებენ და წლის ბოლომდე გაგრძელდება“

(www.qartuli.ge), ამ პროექტის ფარგლებში, თუ ვინმე მოისურვებს, სახელმწიფო მას სიმბოლურ ფასში, ერთ ლარად გადასცემს ამ ობიექტს. სპირწონედ, მათ უნდა აიღონ ვალდებულება, რომ ობიექტში განახორციელებენ, მისი ღირებულების არანაკლებ ექვსმაგ ინვესტიციას, ეს თბილისის შემთხვევაში. რეგიონებში კი - არანაკლებ ოთხმაგ ოდენობას. შერჩევის პროცესი მარტივია. ვინც პირველ განაცხადებს სურვილს ობიექტის აღებასა და ინვესტიციაზე და აღებული ვალდებულებების გამამაგრებელ გარანტიას მოიტანს, ის მიიღებს ობიექტს. მესამე ნაწილი მხარდაჭერის, ტექნიკურ დახმარებას ეხება, რომელიც მოიცავს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, ხარისხის მართვას, ბიზნესის, წარმოების უსაფრთხოებას.

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გასულ წელს 400-ზე მეტი საწარმო დაფინანსდა, მათ შორის, 74 ახალი საწარმო იყო. დღევანდელი მონაცემებით, რა სიტუაციაა და რამდენი ახალი საწარმოს შექმნა იგეგმება?

- შეღავათიანი აგროკრედიტი განსხვავებულია ამ პროექტისგან, შედარებით პატარა თანხებს მოიცავს მესამე კომპონენტი. საწარმოები, სადაც ფინანსდება 30 ათასი დოლარიდან 600 ათას დოლარამდე. ეს არის მცირე და საშუალო საწარმოები. იქ დაფინანსებული იყო 400-ზე მეტი საწარმო. ეს შეიძლება იყოს მცირე მეცხოველეობის ფერმაც და მეღვინეობის ქარხანაც, მათ შორის 74 ახალი. კიდევ რამდენი ახალი საწარმოს შექმნა მოხდება, ეს წინასწარ უცნობია. მოგეხსენებათ, ჩვენ არ ვაკეთებთ ამ საწარმოებს, ხელს ვუწყობთ, რომ მიიღონ საბანკო დაფინანსება. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ახალი საწარმოების შექმნის კუთხით, უფრო საინტერესოა ჩვენი მეორე პროექტი, რომელიც დაბალეკონომიკური აქტივობის რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას გულისხმობს, თანადაფინანსებით პროექტით. იმ პროექტის ფარგლებში 50 ახალ საწარმოს დავაფინანსებთ, ანუ ზუსტად ვიცით, საერთო მოცულობა ინვესტიციისა თითო საწარმოზე 1 მილიონი დოლარამდეა.

- რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო სესხის მისაღებად?

- შეღავათიანი აგროკრედიტის მისაღებად, სახელმწიფოს მინიმალური კრიტერიუმები აქვს დაწესებული. ის უნდა იყოს დარეგისტრირებული, უნდა იხდიდეს გადასახადს, ეწეოდეს იმ საქმიანობას, რა მიზნითაც არის შექმნილი პროექტი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. მეტი პირობა დაწესებული არ გვაქვს. ჩვენ შეზღუდვა არ გვაქვს, მთავარია, დაბალრისკიანი და მისაღები იყოს ბანკისთვის. ბანკია რისკიანობის საუკეთესო შემფასებელი. თუ ის მიიჩნევს, რომ პროექტი დასაფინანსებელია, ჩვენგან შეზღუდვა არ არის.

- თუ ხორციელდება უკვე დაფინანსებული საწარმოების მონიტორინგი?

- მონიტორინგი მუდმივად მიმდინარეობს. მესამე კომპონენტში. 100%-ით მოწმდება ყველა საწარმო. შემოწმების საგანი არ არის მათი მომგებიანობა ან სხვა პარამეტრები, ერთადერთი, რასაც ვამოწმებთ, ის არის, სესხი გაიხარჯა თუ არა მიზნობრივად. შეღავათით აღებული სესხები არ უნდა მოხმარდეს არასასოფლო-სამეურნეო, არარელევანტურ საქმიანობას. იყო ასეთი შემთხვევებიც, თუმცა უმნიშვნელო. დაახლოებით, 11-12 შემთხვევა, 14 ათასი სესხიდან. იყო ისეთი დარღვევები, რომლის გამოსწორებაც შეიძლებოდა, სესხის ვადა იყო არასწორად დადგენილი, რომელიც ჩვენს პირობებს ცდებოდა, მაგრამ გასწორდა. 7 შემთხვევაში თანხა არამიზნობრივად იყო დახარჯული, ჩვენ მოვუხსენით თანადაფინანსება და ამოვიღეთ სესხი პროექტიდან.

- „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში, წელს უარი ითქვა მეღვინეობისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებაზე. რა იყო უარის მოტივი?

- უარი არ თქმულა. ასეთი შეღავათები გამიზნულია დარგებისთვის, რომლებიც უფრო ჩამორჩენილია. მეღვინეობა კარგად განვითარებული დარგია, რაც სასიხარულოა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დიდ ნაწილს შეადგენს. მეღვინეობის სექტორი არ საჭიროებს ასეთ ღონისძიებებს, როგორსაც მეცხოველეობის, მეფრინველეობის, თხილისა და კენკროვნების, ბოსტნეულის გადამუშავების და პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, კიტრის, პომიდვრის, მწვანილის წარმოების ხელშეწყობა. წარმოებული ღვინის უდიდეს ნაწილს ექსპორტზე ვყიდით. ამ მხრივ სხვანაირი ხელშეწყობა სჭირდება, ექსპორტის მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება, რომ ბაზარი დაიმკვიდროს ქართულმა ღვინომ და არა ის, რომ აქ წარმოებას შევუწყოთ ხელი, მაშინ როცა ბოსტნეულის და ხილის იმპორტია საქართველოში უფრო მეტი, ვიდრე ადგილობრივი წარმოებაა. ჩვენ გვინდა იმპორტი ჩანაცვლოთ, სწორედ ამიტომაა, გვინდა ისეთი წარმოების პროდუქცია ჩანაცვლოთ, რაც არ იწარმოება აქ. სწორედ აქედან გამომდინარეობს ეს სახელი - „აწარმოე საქართველოში“.

- რას მოუტანს ეს პროექტი ქართულ ეკონომიკას და რადგან იმპორტის ჩანაცვლებაზე ვსაუბრობთ, მოხდება თუ არა შექმნილი პროდუქციის ხარისხის კონტროლიც?

- ხარისხის კონტროლი არის ბაზრის მიერ განსახორციელებელი. მომხმარებელი იმ პროდუქციას არ შეიძენს, რომელიც არ მოსწონს. მინიმალური მოთხოვნა მოქმედებს, რომ სანიტარული, ჰიგიენური, სურსათის უვნებლობის სტანდარტები და ნორმები დაიცვან.

- როდის დაიწყება და სადამდე გაგრძელდება პროექტი?

- „აწარმოე საქართველოში“ იწყება 1 ივნისს. განაცხადების მიღებას ბანკები ანალოგიურად დაიწყებენ და წლის ბოლომდე გაგრძელდება. შემდეგ უკვე, პროექტის დინამიკა გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ან შეიცვალოს ის.

- როგორია პროექტის მოლოდინი?

- მოლოდინი მაღალია. მაღალი ნიშნავს იმას, რომ ეჭვი არ გვეპარება, ამ ახალი პროექტის ფარგლებში მოხდება ახალი საწარმოების დაფინანსება. შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ჩანაცვლდება იმპორტი. ამას მოჰყვება ჩვენი საექსპორტო პოტენციალის ზრდა და იმპორტის ჩანაცვლება, რაც არის ჩვენი პროექტის მიზანი. პროექტის ბიუჯეტი 46 მილიონი ლარია, საიდანაც 16 მილიონი არასასოფლო-სამეურნეო ნაწილის ბიუჯეტია, 30 მილიონი კი სასოფლო-სამეურნეოსი. ამ ბიუჯეტით სესხი არ გაიცემა. სესხს გასცემენ ბანკები. ამ თანხებით მოხდება საპროცენტო სარგებლის გადახდა. შესაბამისად, სესხები გაცილებით დიდი მოცულობით გაიცემა, ვიდრე პროექტის ბიუჯეტია.

„ახალი პროექტის ფარგლებში მოხდება ახალი საწარმოების დაფინანსება. შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, ჩანაცვლდება იმპორტი. ამას მოჰყვება ჩვენი საექსპორტო პოტენციალის ზრდა და იმპორტის ჩანაცვლება, რაც არის ჩვენი პროექტის მიზანი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვისთვის აღდგა სამართლიანობა 26 მაისის

მარიამ ნადირაძე

ვისთვის აღდგა სამართლიანობა 26 მაისის საქმის გამოძიებით? – ეს იქნება ძირითადი კითხვა ქვემოთ შემოთავაზებულ პუბლიკაციაში. ამისთვის კი სამართლიანობის მაძიებლები პირობითად ჯგუფებად შეიძლება დავყოთ – ნაცემი ხალხი, მაღაზიის სახურავზე ნაპოვნი გარდაცვლილების ოჯახები და გარდაცვლილი პოლიციელის ვლადიმერ მასურაშვილის დედა...

ზუსტად სამი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ ადამიანებმა წარმოუდგენელი სტრესი მიიღეს, შემდეგ კი რკინის ქალამნები ჩაიცვეს და...

2013 წლის თებერვალში სასამართლომ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, ვანო მერაბიშვილს 4 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბრალდება ასე იყო ჩამოყალიბებული: „26 მაისს პოლიციამ წინდაწინ გადაკეტა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის, კინოთეატრ „რუსთაველისა“ და სხვა მიმდებარე ქუჩები. დაახლოებით 00 საათსა და 10 წუთზე, პირადად ივანე მერაბიშვილის ბრძანებითა და კონტროლით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა საპირისპიროდ, კერძოდ, მომიტინგეებისთვის ტერიტორიის ნებაყოფლობით დატოვებისთვის აუცილებელი გონივრული ვადის მიცემის გარეშე, მხოლოდ ფორმალური გაფრთხილების შემდეგ, საპოლიციო ქვედანაყოფებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მიტინგის დაშლის ოპერაცია. წყალსატყორცნი საშუალების გამოყენებისთანავე, არსებითი წინააღმდეგობის გარეშე, მომიტინგეები შეეცადნენ გაქცევას, თუმცა, წინასწარ შეთანხმებული ზემოაღნიშნული გეგმის შესაბამისად, მათ განზრახ არ მიეცათ ტერიტორიიდან უსაფრთხოდ გასვლისა და პოლიციის მოთხოვნის შესრულების შესაძლებლობა. შესაბამისად, ალყაშემორტყმულ მშვიდობიან მოქალაქეებზე ერთდროულად და ინტენსიურად რამდენიმე მიმართულებიდან... იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებისა და საქართველოს მოსახლეობის დეზინფორმირებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, პოლიციელთა უკანონო ქმედებებზე მოახდინა მხოლოდ თვალთმაქცური რეაგირება. კერძოდ, არსებული ვითარების გაუბრალოებისა და, რაც მთავარია, დანაშაულში ივანე მერაბიშვილისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების მონაწილეობის შენიღბვის მიზნით, დისციპლინური წესით მოჩვენებითად დაისაჯა შინაგან საქმეთა სამინისტროს 15 თანამშრომელი, რომელთაგან არც ერთი უშუალოდ არ მონაწილეობდა მიტინგის დაშლაში. მათ შორის, საყურადღებო და ხაზგასასმელია, რომ სამი მათგანი აქციამდე იყო დათხოვნილი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან...“

მაშ ასე, ვერდიქტი სახეზეა... თუმცა საკმარისია თუ არა ეს ვერდიქტი დაზარალებული ადამიანებისთვის, რომლებიც სამართლიანობის აღდგენას კვლავაც მოითხოვენ?

შალვა ოგბაიძე სამი წლის შემდეგ

ვანო მერაბიშვილის დანაშაულის დასადასტურებლად სასამართლო პროცესზე უამრავი მოწმე დაიკითხა. მათ შორის იყო **შალვა ოგბაიძეც:**

„მე ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად ვიმყოფებოდი 26 მაისს აქციაზე. მინდოდა, ჩემი პროტესტი გამომეთქვა მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ და სურვილი მქონდა, რომ საქართველოში სამართლიანი არჩევნები ჩატარებულიყო. დაახლოებით, 12 საათსა და 30 წუთზე დაიწყო აქციის დაშლა, თავდაპირველად დაიწყო რეზინის ტყვიების სროლა და გაზის გაშვება... 26 მაისს აქციის დარბევის დროს მომიტინგეებს შორის მოლოტოვის კოქტეილი არავის ჰქონია და, შესაბამისად, არავის გამოუყენებია... ჩემს შვილს ტვინის მსუბუქი შერყევა ჰქონდა მიღებული, მას აქციის დაშლის დროს რეზინის ტყვია თავში მოხვდა. სპეცრაზმელები ჩემი შვილის წინააღმდეგ ძალადობას იყენებდნენ. თავად მე ხელბორკილები დამადეს, წინააღმდეგობის გაწევა რომ მდომებოდა, ვერ გავუწევდი, ისინი ძალიან ბევრი იყვნენ. ვხედავდი, როგორ იწვნენ ადამიანები სისხლის გუბეში. მომიტინგეებს იარაღი არ ჰქონიათ, მათ მხოლოდ დროშები ეკავათ ხელში“, – ამ შინაარსის ჩვენება მისცა შალვა ოგბაიძემ სასამართლოს, როდესაც განსასჯელის სკამზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი იჯდა.

ახლა კი იმის შესახებ, რას უამბობს ის „პრაიმტაიმს“:

– 26 მაისს მთელმა საქართველომ დაინახა, როგორ მოხდა ხელისუფლების დეგრადაცია, სადამსჯელო რეჟიმად ქცევა. თუ ადამიანს, სადღაც გულის კუნჭულში ჰქონდა იმედი, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა მხოლოდ პატარა შეცდომები, ეს გაქარწყლდა. ყველამ დაინახა, რომ ეს იყო რეჟიმი, რომელიც საკუთარი სკამებისთვის უკან არაფერზე დაიხევდა. რომ არ ყოფილიყო 26 მაისი, ნამდვილად არ იქნებოდა არც 1-ლი ოქტომბერი. ჩვენ ნაწილობრივ მაინც ჩამოვიცილეთ სააკაშვილის ხელისუფლება. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ახალმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა... ჩემ მიერ 2012 წლის 1-ელ ნოემბერს პროკურატურაში შეტანილ განცხადებაზე, ზრდილობის გამოც კი არავის დავუბარებივარ...

„ვანო მერაბიშვილი გასცემდა ბრძანებებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამას ის თავისი ინიციატივით არ აკეთებდა“

– რას შეეხებოდა ეს განცხადება?

– ყველაფერს – 26 მაისს, ჩემს უკანონო პატიმრობაში ყოფნას, შვილების წამებას, ქონების წართმევას, საქართველოს საავტომობილო ფედერაციაში საგადასახადოს შემოსვლას – იმ ფირმაში შემოსვლას, რომლითაც მე ოჯახს ვინახავდი, ჩემი საკუთრების გაყიდვას. ამ განცხადებაში დასახელებული მაქვს კონკრეტული სახელები და გვარები, ვინც გვაწამებდა მე და ჩემს შვილებს, 6 მაისს ვინც მესროლა, 26 მაისს ვინც ჩემს შვილებს ემუქრებოდა, ვინც შემომივარდა საავადმყოფოში და, სხვათა შორის, ვინც უკანონოდ მისმენდა... სწორედ ეს რომ არ გამოიძიეს, ამის შედეგს იმკის ახალი ხელისუფლება. სამწუხარო ის არის, რომ ყველაფერი მაინც ჩვენს ზურგზე გადადის. ჩემი მეგობრები, ჩემი თანამებრძოლები, ჩვენი პოლიტპატიმრები, რომლებიც გარდა იმისა, რომ უბრალოდ განთავისუფლდნენ, არავის პასუხი არ უგია მათ თავს გადახდენილი უბედურების გამო. წარმოიდგინეთ, პარლამენტმა პოლიტპატიმრების სტატუსი მიანიჭა ჩვენს თანამებრძოლებს, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. აქედან დასკვნა: 26 მაისის შედეგია ის, რომ ამ დღემ ნაწილობრივ შეარყია და შეასუსტა „ნაციონალური მოძრაობა“, რომ მე ახლა გარეთ მანქანა არ მიცდის და ჩემი ოჯახის წევრებს ამ ინტერვიუს შემდეგ არაფერი ემუქრებათ... თუმცა, ჩემი უფროსი ვაჟი კვლავ პოლიტიკური დევნილია გერმანიაში. არავის დაუკითხავს, სიმბოლურად მაინც... უფრო მეტიც, ჩემს დარჩენილ ქონებაზე შემატყობინეს აღსრულების ბიუროდან, რომ უნდა გაიყიდოს. მე ველოდები დაბრუნებას და ისინი მეუბნებიან: იცით, რა, ბატონო შალვა? ჩვენ კანონს ვერ დავარღვევთო. რამხელა ცინიზმია! ასე რომ, პირადად ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის „ნაციონალური მოძრაობა“ კვლავ გრძელდება.

– შედეგად არ მიგაჩნიათ ის,



„რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის განაჩენს, ის, უბრალოდ, განარიდეს ამდენ განრისხებულ ადამიანს და ამისთვის მადლობა უნდა უთხრას კუბლაშვილის სასამართლოს. მშვიდად ზის იქ და ქუჩაში არავინ ურტყამს თავში“

„თავიდანვე იყო ამ საქმეში ჩადებული ბევრი ბოროტება იმისთვის, რომ კვალი დაეფარათ...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საქმეზე ვანო მერაბიშვილის დასჯით?

რატომ არ შეასრულა ნაცვლიშვილმა ბიძინა ივანიშვილის დავალება?

რომ სასამართლომ 26 მაისს გაცემული ბრძანებების გამო ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო და თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა?

– აბსურდია ეს... ჩემს თვალწინ დახოცეს ადამიანები, ნაიღეს ეს ცხედრები, მეორე დღეს გადარეცხეს რუსთაველის გამზირი, ჩაატარეს აღლუმი და ცხედრები მაღაზიის თავზე შემოაწყვეს...

– მაგრამ მერაბიშვილის წინააღმდეგ სასამართლოში ხომ მიეცით ჩვენება?

– რისთვის დამიძახეს სასამართლოში მოწმედ, ახლაც არ ვიცი. მე უნდა დავეძახე იმისთვის, თუ ვინ მირტყამდა, ვინ სცემდა ჩემს შვილებს, ვინ შეზღუდა გასასვლელი რუსთაველის გამზირზე. ვანო მერაბიშვილი მე იქ არ მინახავს. ჩემთვის ყველა ნიღბიანი ვანო მერაბიშვილი და სააკაშვილი იყო. არავის არ დაუსვამს დამატებითი შეკითხვა – ვისი დავალებით შემოვიდა ჩემთან საავადმყოფოში კონკრეტული მაღალი რანგის ჩინოვნიკი, რომელიც მეუბნებოდა, შენი შვილების სისხლს დავლევო. ამაზე რატომ არ დამკითხეს?

– ვინ იყო ეს მაღალი რანგის ჩინოვნიკი?

– ვინც იყო, განცხადებაში ნათქვამი მაქვს და სანამ არ დაკითხავენ, რა აზრი აქვს მაგის თქმას? ამას მაშინ გავასაჯაროებ, როცა გამოძიება დაიწყება. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის განაჩენს, ის, უბრალოდ, განარიდეს ამდენ განრისხებულ ადამიანს და ამისთვის მადლობა უნდა უთხრას კუბლაშვილის სასამართლოს. მშვიდად ზის იქ და ქუჩაში არავინ ურტყამს თავში. რომ გამოვა, თქვენ გგონიათ, თავისუფლად გაივლის? სამწუხაროდ, ვერ გაივლის. ახალ ხელისუფლებასთან მაქვს პრეტენზია: ტელეფონზე ხომ მისმენენ? ჰოდა, ახლაც კარგად მომისმინონ: კბილაშვილი მელაპარაკა საათ-ნახევარი, ბატონო შალვა, ამას ვიზამთ და იმას ვიზამთო. ეგ არის თქვენი დაპირება და თქვენი სიტყვა? შემირცხვენია თქვენი სიტყვის ფასი, წელიწად-ნახევარი ხომ ნაცარი გვაყარეთ თვალში.

26 მაისის საქმის გამოძიება არ დასრულებულა

...ამის მიზეზი კი იმ ორი ადამიანის სიკვდილის რეალური მიზეზის დადგენაა, რომელიც, მაშინდელი ხელისუფლების ცნობით, თავისუფლების მოედანზე, მაღაზიის სახურავზე იპოვეს. „პრაიმტაიმს“ დაახლოებით თვე-ნახევრის წინ ერთ-ერთი გარდაცვლილის, სულიკო ასათიანის ვაჟმა განუცხადა, რომ გამოძიება დასკვნით ეტაპზეა გადასული. თუმცა, როგორც ჩანს, ის თვე-ნახევრის შემდეგაც იგივე ეტაპზე რჩება.

ამ თემაზე დღეს ჩვენს მკითხველს ვანის მაჟორიტარი დეპუტატი, დავით ლორთქიფანიძე ესაუბრება:

– პირველივე დღიდან, როგორც კი ეს კაცი ნაციონალების ხელისუფლებამ შემოაგდო მაღაზიის თავზე, ჩემი თვალით ვნახე დასახიჩრებული ადამიანის გვამი, რომელსაც მარცხენა თვალი არ ჰქონდა, ყელი ჰქონდა გამოგლეჯილი და უამრავი დაზიანება მიღებული. იმ დღიდან მოყოლებული, ამ ოჯახის გვერდით ვარ, მით უფრო, მას შემდეგ, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ 21 სექტემბერს ამ ოჯახში ვიყავით მისული ბატონი ბიძინა ივანიშვილი და მე. იქ შედგა საუბარი სამართლიანობის აღდგენაზე...

– აღდგა ეს სამართლიანობა?

– თუ პასუხს ერთ სიტყვაში მთხოვთ – ხო, თუ არა – არ ვიქნები მართალი, თუ დადებით პასუხს გაგცემთ. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდგომ ოჯახმა ყველაფერი დანერა პროკურატურაში, მიუთითა, რომ ამ ტრაგედიის შემდეგ მათთან დადიოდა ნაციონალების დეპუტატი, ლეჟავა და უშიშროების ერთ-ერთი ჩინოსანი, რომელიც ოჯახს აშანტაჟებდა და ეუბნებოდა, რომ, თუ ისინი არ დაანებებდნენ სამართლიანობისთვის ბრძოლას თავს, მაშინ მათ ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ. მინიშნება იყო, რომ უკვე გარდაცვლილი იყო მათი ოჯახის უფროსი. მეტიც, სანამ ეს ტრაგედია მოხდებოდა, პაატა ლეჟავა, რომელიც მაშინაც ნაციონალების დეპუტატი იყო, უთვლიდა სულიკო ასათიანს, რომ სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. მისი გარდაცვალების შემდგომ კი ოჯახში მუქარებით მიდიოდა. ოჯახს აქვს კითხვები და მეც დავსვი პარლამენტის ტრიბუნიდან ეს კითხვები. ვისი დავალებით ასრულებდა ამას პაატა ლეჟავა და რატომ აძლევდა ამის უფლებას თავს?

– თქვენ თვითონ გაქვთ ამაზე პასუხი?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლების პირველი პირების დავალებით მოქმედებდა. ის იყო ზურაბ ადეიშვილთან დაახლოებული პიროვნება და ამ უკანასკნელის ინტერესებში შედიოდა, რომ ეს კვალი არ წასულიყო „ნაციონალური

დავით ლორთქიფანიძე

მოძრაობისკენ“... ოჯახმა ჩვენება მისცა პროკურატურას. მეტიც, განმეორებითი ექსპერტიზა მოითხოვა. მოხდა გვამის ექსჰუმაცია და დაიდო განსხვავებული დასკვნა. თანაც აღმოჩნდა, რომ ის ბიოანალიზები, რაც აღებული იქნა სულიკო ასათიანის გარდაცვალების შემდგომ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში იყო გამქრალი. ერთი წლის თავზე გაანადგურეს. ეს აბსოლუტურად წარმოუდგენელი რამ არის, როდესაც საუბარია ძალადობით გა-

„ამას წინათ ნამორაძემ რომ სცემა კოდუას, ასეთი ვენდეტა ვანშიც შეიძლებოდა მომხდარიყო“

რდაცვლილ ადამიანთან დაკავშირებით და თანაც, როცა საქმე ძიებაშია. გამოძიება უნდა დაინტერესდეს, ვისი დავალებით მოხდა ამ მასალების განადგურება. ანუ თავიდანვე იყო ამ საქმეში ჩადებული ბევრი ბოროტება იმისთვის, რომ კვალი დაეფარათ... ჩემს გულისტკივილს იწვევს ის, რომ პაატა ლეჟავა მოწმედაც კი არ დაუკითხავს პროკურატურას. ამას წინათ ნამორაძემ რომ სცემა კოდუას, ასეთი ვენდეტა ვანშიც შეიძლებოდა მომხდარიყო. იყო ასეთი შემთხვევა: სულიკო ასათიანის ოჯახის წევრებმა გაიგეს, რომ პაატა ლეჟავა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ვანის ოფისში. მიადგნენ და უნდოდათ, მასთან გაერკვიათ ყველაფერი. ლეჟავამ დასხლტომა მოახერხა. უკანა კარიდან გააპარეს. მისი მანქანა კი სხვამ წაიყვანა. მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლებოდა პირადი ანგარიშსწორებაც მომხდარიყო.

– გამოდის, რომ თავად აღიარებთ – თქვენი ხელისუფლების პირობებში დაპირებული სამართლიანობა სულიკო ასათიანის ოჯახისთვის არ აღმდგარა...

– ფაქტია, რომ ოჯახი კმაყოფილი არ არის. არ დაგიმალავთ და არც მე ვარ კმაყოფილი, რომ ეს პროცესი ასე გაიწელა.

– დაახლოებით ერთი თვის წინ შევიტყვეთ სულიკო ასათიანის ვაჟისგან, რომ პროკურატურა დასკვნით ეტაპზე იყო გადასული. ახლა რა ეტაპზეა?

– მართალია, ასე უთხრეს, მაგრამ ეს დასკვნითი ეტაპი ხომ უნდა „დაისკვნას“, ბოლოს და ბოლოს? ხომ უნდა დამთავრდეს ოდესღაც ეს ყველაფერი? პროკურატურამ უნდა დაიბაროს ლეჟავა და ჰკითხოს, რატომ დადიოდა ამ ოჯახში და რას ემსახურებოდა მისგან ეს მუქარები და შანტაჟები? პარლამენტის წევრის ვალდებულებაა, სამართლიანობის აღდგენას ხელი შეუწყოს და არა – შეუშალოს. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ამაზე არაერთხელ

გავაკეთე განცხადება და არ ვაპირებ გაჩერებას. თქვენთანაც ვაფიქსირებ, რომ პაატა ლეჟავა არის დამნაშავე, რომელმაც ოჯახი დააშანტაჟა და ამ საქმის გაუხსნელობაშიც ძალიან დიდი როლი მიუძღვის, მოყოლებული 2011 წლის 26 მაისიდან. ამიტომ, კმაყოფილებისგან ჩვენ ძალიან შორს ვართ, სანამ არ დამდგარა გამამტყუნებელი განაჩენი იმის მიმართ, ვინც ეს ძალადობრივი აქტი ჩაიდინა, ვინც სულიკო ასათიანი დააკავა რუსთაველის პროსპექტზე და მოკლა მცხეთის იზოლატორში....

– ეს რაღაც ახალი ინფორმაციაა.

– ასეთი ინფორმაცია გვაქვს ჩვენ...

– თუ თემას უფრო განვაზოგადებთ, 2011 წლის 26 მაისიდან 3 წლის შემდეგ, უკვე თქვენი ხელისუფლების პირობებში არსებული გამოძიების შედეგის შესახებ რას გვეტყვით? – ფაქტია, რომ ვანო მერაბიშვილის მიმართ განაჩენი უკვე დადგა...

– ვანო მერაბიშვილი გასცემდა ბრძანებებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამას ის თავისი ინიციატივით არ აკეთებდა. ამიტომაც, მან უნდა გასცეს პასუხი კითხვას – ვისგან მიიღო მიტინგის დარბევაზე დავალება? ისევე როგორც სულიკო ასათიანის საქმესთან დაკავშირებით პაატა ლეჟავამ უნდა თქვას, ვისი დავალებით ემუქრებოდა ოჯახს... მე ავიღე პასუხისმგებლობა ამ ოჯახის წინაშე. ჩემი ინიციატივით მივიდა მათთან ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ. ამ ყველაფრის ფონზე მინდა გამოგიტყდეთ, რომ უფრო მეტს მოველოდი პროკურატურისგან. მინიმუმ იმას მაინც ველოდი, რომ დამნაშავეები დადგინდებოდნენ.

– ბიძინა ივანიშვილიც დაჰპირდა ოჯახს, რომ სიმართლე გამოაშკარავდებოდა. მის პასუხისმგებლობას გრძნობთ?

– მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ რაიონის წინაშე... რაც შეეხება ბატონ ბიძინას, მე ვიცი, რომ მან პროკურატურას, უშუალოდ ლაშა ნაცვლიშვილს დაავალა ამ საქმის გამოძიება. პრემიერი თვითონ ხომ არ გამოიძიებდა ამას? ლაშასთან ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლოს სერიოზული უკმაყოფილება მქონდა. მასთან ძალიან მძიმე საუბარი მომიწია.

– რატომ არ შეასრულა ნაცვლიშვილმა ბიძინა ივანიშვილის დავალება?

– არ ვიცი. როცა გვამის ექსჰუმაცია ჩატარდა, მაშინაც მივედი ლაშა ნაცვლიშვილთან. მან ჩემი თანდასწრებით დაურეკა ერთ-ერთ გამომძიებელს. მერე მითხრა, ამ საქმეში რამდენიმე ადამიანი გაებმებაო.

– არ დაუკონკრეტებია?

– არა... სხვათა შორის, ერთი თვის წინ ბადაშვილსაც შევხვდი. მითხრა, რომ საქმის გამოძიება ახალ გამომძიებელს ჩააბარეს და პირობა მომცა, რომ უახლოეს მომავალში დადგინდება ყველაფერი.

გარდაცვლილი პოლიციელის დედა სამართლიანობას ითხოვს

სიმართლის დადგენასა და დამნაშავის დასჯას ითხოვს სამი წლის წინათ, 26 მაისს გარდაცვლილი პოლიციელის, ვლადიმერ მასურაშვილის დედაც. ჩვენს მკითხველს მასთან ვრცელ ინტერვიუს ამავე ნომერში შევთავაზებთ. მანამდე კი...

ვისთვის აღდგა სამართლიანობა? – მკითხველი, ალბათ, თავად დარწმუნდებოდა, რომ ამ კითხვას ობიექტი არ ჰყავს... და თუ მერაბიშვილი 26 მაისს გაცემული ბრძანებების გამო სასჯელს იხდის, აღმოჩნდა, რომ ეს არც ერთი დაზარალებულისთვის არ არის შვება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მეტი თავისუფლება, მეტი ევროპულობა

გამოიწვევს თუ არა უფლებების გადანაწილება პოლიტიკურ სკანდალს



ქეთი ხატიაშვილი

ყველაზე ხმაურიანი და სკანდალური პროცესი საქართველოში დაიწყო. ჯერ არავინ იცის, რით დასრულდება ეს ხანგრძლივი პროცესი. ვისი ინტერესები იქნება გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალ პროექტში, რა შეხედულებები დაუპირისპირდება ერთმანეთს და რა ნაწილში გაეზრდება უფლებები პარლამენტს.

კითხვა ძალიან ბევრია, კონკრეტული პასუხები კი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ პროექტების, შეიძლება ითქვას, მთელი დასტა და კომისიის საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა. ერთი შეხედვით, ეს პლუსია, თუმცა, მეორე მხრივ, წარსულ გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, იგივე 1995 წლის კონსტიტუციაზე მუშაობის, ამან ერთიან პოზიციაზე კომისიის შეჯერება შეიძლება შეაფერხოს.

მეტი ბალანსი, მეტი თავისუფლება, მეტი დეცენტრალიზაცია და მეტი ევროპულობა – ასე დაახასიათა პარლამენტის თავმჯდომარემ ახალი, ჯერ არშექმნილი კონსტიტუცია:

– ჩვენი მუშაობის პრიორიტეტები იქნება მეტი თავისუფლება ადამიანებს, მეორე პრიორიტეტი იქნება ის, როგორ უნდა იყოს ხელისუფლება უკეთ დაბალანსებული ცენტრალურ დონეზეც და ადგილობრივ დონეზეც. მესამე, ჩვენი კონსტიტუცია უფრო ევროპული უნდა გახდეს, საქართველო ხდება ევროპის წევრი და ჩვენთვის ორიენტირი არის არა ევროპული მოდელები, არამედ ჩვენი საკუთარი.

შემდეგი პრიორიტეტი იქნება დეცენტრალიზაცია. ადგილებზე კონკრეტული სოფლებისთვის, ქალაქებისთვის, რაიონებისთვის, რეგიონებისთვის მეტი უფლებების მიცემა იმისთვის, რომ ხალხმა გაითავისოს ის, რომ ისინი არიან ამ სახელმწიფოს ბატონ-პატრონები.

„პრაიმტაიმთან“ საუბარში საკონსტიტუციო კომისიის მდივანი გიორგი კვერენჩხილაძე თამამად აცხადებს, რომ ახალი კონსტიტუცია თავისუფალ პირობებში იწერება და ის კონკრეტულ პირებზე არ იქნება მორგებული.

საკონსტიტუციო თემებზე „პრაიმტაიმს“ გიორგი კვერენჩხილაძე ესაუბრა:

– გიორგი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და ევროპასთან უფრო მეტი დაახლოების პარალელურად არის თუ არა ევროკავშირისგან გარკვეული მოთხოვნები, რაც ახალ კონსტიტუციაში უნდა გავითვალისწინოთ? დავით უსუფაშვილმა თქვა კიდეც, რომ კონსტიტუცია მეტად ევროპული უნდა იყოს.

– არა, ევროკავშირი არაფერს არ ითხოვს. ვენეციის კომისია, რომელიც ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანოა, არანაირ მოთხოვნებს სახელმწიფოს არ უყენებს. დავით უსუფაშვილის განცხადება ნიშნავს, რომ: საქართველოს უნდა ეღირსოს ევროპულ-საკონსტიტუციო ლანდშაფტზე მორგებული და ევროპულ-საკონსტიტუციო სივრცესთან ჰარმონიზებული კონსტიტუცია. ანუ კონსტიტუციაში უნდა იყოს ასახული ევროპული ფასეულობები. იქნება ეს ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები, დემოკრატიის პრინციპი, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, კანონის უზენაესობის პრინციპი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი, კონსტიტუციის გადასინჯვის მექანიზმი და სხვა.

– რამდენად იქნება გათვალისწინებული ახალ კონსტიტუციაში კრიზისების დაძლევის მექანიზმები. მახსოვს 2010 წლის კონსტიტუციას ამ მხრივ ანტიკიზისულიც კი უწოდეს...

– 2010 წელს მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ვენეციის კომისია წერდა, რომ ამ ვარიანტში ხელისუფლების დანაწილების სისტემის მოდელი 2004 წლის საკონსტიტუციო მოდელთან შედარებით არსებითად გაუმჯობესდა. თუმცა მაინც არის დარჩენილი კონსტიტუციაში ისეთი საფრთხეები, რომელიც ამ სახელისუფლებო შტოთა და ორგანოთა შორის ნორმალური ფუნქციონირებისთვის შესაძლოა, კრიზისის განმაპირობებელი იყოს. აქ იგულისხმება რამდენიმე მომენტი. მაგალითად: საუბარი იყო პარლამენტისთვის უფლებების გაზრდაზე, საბიუჯეტო უფლებამოსილებების მიმართულებით. ასევე, კონკრეტულ საკითხებში ზომაზე მეტად არის გაზრდილი აღმასრულებლის ძალაუფლება. ვენეციის კომისიას ჰქონდა ასევე მნიშვნელოვანი შენიშვნები მთავრობისთვის როგორც ნდობის, ასევე უნდობლობის გამოცხადების ვადებთან და პროცედურებთან დაკავშირებით. ისინი ამ მექანიზმების გამარტივებაზე წერდნენ.

2004 წელთან შედარებით, 2010 წლის ცვლილებები გაცილებით წინ გადადგმული ნაბიჯი იყო... რომ არ ყოფილიყო ხარვეზები მოქმედ კონსტიტუციაში, მისი რეფორმირების საკითხი არ დადგებოდა. სხვადასხვა საკითხებზე გამოთქმულმა შენიშვნებმა საბოლოოდ განაპირობა ის, რომ კიდევ ერთხელ ხდება მისი რეფორმირება, უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა საკითხებზე იმუშავებენ. მათ შორის, პრეზიდენტისა და მთავრობის ურთიერთობაზე, იგივე საგარეო სფეროში, ხელისუფლების შტოებს შორის გარკვეული საკითხები მართლაც ითხოვს დაზუსტებას, რადგანაც კონსტიტუციაში არაერთაზროვნად არის გარკვეული საკითხები ჩამოყალიბებული...

„ხელისუფლებისგან, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, არანაირი შეკვეთა არ არსებობს“

– არაერთაზროვანი საკითხები ახსენეთ. ახლა დავა მიდის, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას – პრეზიდენტმა თუ პრემიერმა?

– მიმაჩნია, რომ ეს კონსტიტუციის ხარვეზია, ვინაიდან კონსტიტუციაში პირდაპირ, ერთი წაკითხვით რომ გაიგო, ისეთი ჩანაწერი ამასთან დაკავშირებით არ არის. ვთვლი, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა მაინც პრეზიდენტის პრეროგატივაა, თუმცა მთავრობასთან შეთანხმებით. საგარეო ურთიერთობების სფეროში პრეზიდენტისა და მთავრობის ფუნქციები ბუნდოვანია. პრეზიდენტი წარმოადგენს საგარეო ურთიერთობებში საქართველოს, მთავრობა ახორციელებს საგარეო პოლიტიკას და ამით მთავრდება მათი უფლებამოსილებების გამიჯვნა და ეს ბუნდოვანება კონფლიქტების განმაპირობებელი ჩანაწერია.

– არის უკვე რაიმე საბაზისო დოკუმენტი, რომელზეც კომისია მუშაობს?

– არა, ჯერ არა... აქვე მინდა გითხრათ, რომ პირველად კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში ხდება საკონსტიტუციო რეფორმა, როცა ხელისუფლებას არანაირი მზა რეცეპტი არ აქვს და ხელისუფლებისგან, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, არანაირი შეკვეთა არ არსებობს. კომისია თავისუფალია, ვერავინ იტყვის, რომ ხელისუფლება რაიმე მიმართულებით აძლევს მიმართულებას კომისიის წევრებს.

– ამით იმის თქმა გინდათ, რომ პირველად მივიღებთ კონსტიტუციას, რომელიც არ იქნება კონკრეტულ პირზე მორგებული?

– ჯერჯერობით ნამდვილად ასეა. არანაირი სახელისუფლებო დაკვეთა არ არსებობს. უსუფაშვილმა ეს თქვა კიდეც.

– როგორც ამბობენ, ძირითადად გამოიკვეთა დაპირისპირება ორ მიმართულებას შორის. ერთი ძლიერ საპრეზიდენტო ინსტიტუტს ემხრობა, მეორე – პრემიერის...

გიორგი კვერენჩხილაძე:
„ხელისუფლების შტოებს შორის გარკვეული საკითხები მართლაც ითხოვს დაზუსტებას, რადგანაც კონსტიტუციაში არაერთაზროვნად არის გარკვეული საკითხები ჩამოყალიბებული...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

– როგორი იქნება ახალი კონსტიტუცია

თინა ხიდაშელი:

„იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც პარლამენტში მე წარმოვადგენ, დიდი ხანია, მიაჩნია, რომ პრეზიდენტს პარლამენტი უნდა ირჩევდეს“

– არა, ასე არ არის...

– დავაზუსტებ. მე თინა ხიდაშელის განცხადებას ვგულისხმობ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ანუ როგორ აირჩევა პრეზიდენტი – ხალხი აირჩევს მას თუ პარლამენტი...

– პრეზიდენტის არჩევის წესი პირდაპირპროპორციულად იქნება დამოკიდებული რამდენიმე საკითხთან. პირველი – ეს არის, რა ტიპის პრეზიდენტის ინსტიტუტს მივიღებთ ჩვენ, პრეზიდენტის უფლებამოსილებებზე უნდა შეთანხმდეს ჯერ კომისია. აქედან გამომდინარე, ჯერ უნდა განისაზღვროს, რა ტიპის პრეზიდენტის ინსტიტუტს მივიღებთ და შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ არჩევის ტიპზეც.

რაც შეეხება საპარლამენტო მოდელებში პრეზიდენტის არჩევის მოდელებს, აქ უნიფიცირებული წესი არ არსებობს. არსებობს კლასიკური ევროპული საპარლამენტო მოდელები, მაგალითად, იტალია, გერმანია, სადაც პრეზიდენტი ხალხის მიერ არ აირჩევა; ასევე, შემიძლია, დაგისახელოთ კლასიკური ევროპული საპარლამენტო მოდელები – ავსტრია და ბულგარეთი, სადაც პრეზიდენტს ხალხი ირჩევს. მხოლოდ სამართლებრივი მიდგომა აქ არ უნდა იყოს, კონსტიტუცია არ არის მხოლოდ სამართლებრივი დოკუმენტი. კონსტიტუცია პოლიტიკური შინაარსის მატარებელიცაა და პოლიტიკურ სისტემასაც განსაზღვრავს. კონსტიტუცია თამაშის წესებს ადგენს, ასევე, უნდა იყოს გათვალისწინებული ქვეყნის საშინაო თუ საგარეო რეალიები და ხალხის, როგორც ხელისუფლების წყაროს, სურვილი და ნება ამასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევნებს აქვს ის მინუსი, რომ პრეზიდენტი შეიძლება გახდეს ერთი პოლიტიკური ძალის; ერთი ან ორი პოლიტიკური ლიდერის რჩეული და მათი სურვილის შედეგად აირჩეს პრეზიდენტი. თუმცა, იმ ლოგიკასაც აქვს არსებობის უფლება, რომ, თუ პრეზიდენტის უფლებამოსილებები მეტია, მაშინ მისი ლეგიტიმაციაც მაღალი უნდა იყოს. ამიტომაც ჯერ უნდა დაველოდოთ იმ საკითხებზე შეთანხმებას, რა ტიპის პრეზიდენტს მივიღებთ და შემდეგ უფრო მარტივი იქნება მისი არჩევის წესის განსაზღვრაც.

ინფორმაციისთვის:

საკონსტიტუციო კომისიის შიგნით ხუთი სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომლებიც შემდეგ მიმართულებებზე იმუშავებენ: ძალთა ბალანსის უზრუნველყოფა პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს შორის; ადამიანის უფლებები, სასამართლო, პროკურატურა; სხვა დამოუკიდებელი კონსტიტუციური ინსტიტუტები – უშიშროების საბჭო, ეროვნული ბანკი, სახალხო დამცველი, აუდიტის სამსახური; სახელმწიფო ტერიტორიული მოწყობა, ადგილობრივი მმართველობა, თვითმმართველობა; კონსტიტუციის ზოგადი დებულებები და მისი გადასინჯვის წესები.

დავით უსუფაშვილის განმარტებით, კონსტიტუცია ისეთ დაკონსერვებულ თემასაც შეეხება, როგორიც არის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა. ეს თემა უკვე 20 წელია, ღიად არის დატოვებული.

დავით უსუფაშვილის განმარტებით, კონსტიტუცია ძალაში 2016 წელს შევა:

– ეს ცვლილებები ძალაში შევა უკეთეს შემთხვევაში მომავალი (2016 წლის) საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, იმიტომ რომ მინიმუმ ორი წელია მთელი ამ პროცედურების დასასრულებლად საჭირო.

პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო კომისიას. ნაციონალური მოძრაობა იმედოვნებს, რომ ცვლილებები რაციონალური იქნება და მას მხარს ოპოზიციაც დაუჭერს. დავით ბაქრაძის განმარტებით:

– თუ ჩვენ შევთანხმდით რაიმე პოზიტიური ტიპის ცვლილებებზე, რა თქმა უნდა, მონაწილე ვიქნებით და მხარს დავუჭერთ.

გავრცელებული ინფორმაციით, ყველაზე ცხარე კამათი და დებატები მიმდინარეობს სახელისუფლებო შტოებს შორის დაბალანსების საკითხზე, ასევე პრეზიდენტის არჩევის წესსა და პროკურატურის როლსა და ადგილზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ყველაზე სკანდალურად მოინათლა ვახტანგ ხმალაძის პროექტი, რომელიც მთავრობის დამტკიცების წესს გულისხმობს.

მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრები პირად საუბრებში ირწმუნებიან, რომ წინასწარ არც ერთი პოლიტიკური ლიდერისა თუ პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების ლობირება არ ხდება, თინა ხიდაშელი საკუთარი შეხედულების გამო მაინც აღმოჩნდა კრიტიკის ობიექტი იმათი მხრიდან, ვინც მისი განცხადება მარგველაშვილის წინააღმდეგ მიმართულად ჩათვალა:

– იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც პარლამენტში მე წარმოვადგენ, დიდი ხანია მიაჩნია, რომ პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ უნდა ხდებოდეს ისეთ საპარლამენტო რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია საქართველოში. ეს არის ერთი ხედვა – ერთი მოდელი. ბუნებრივია, არსებობს სხვა ხედვაც, სხვა მოდელი, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობას და შესაბამისად, პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევას ეფუძნება. ის, რაც დღეს გვაქვს, როცა აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებები, მთლიანად მინისტრთა კაბინეტის ხელშია, როცა ქვეყანაში აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაზრისით, მთავარი ფიგურა პრემიერ-მინისტრია, ვფიქრობ, ცოტა ანომალიურია პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი. ეს მუდმივი კონფლიქტის წყარო იქნება, ნებისმიერ ვითარებაში, თუმცა აქაც არსებობს შუალედური მოდელები. ერთ-ერთი ვარიანტია, რომ პირდაპირ ხალხი ირჩევს, მეორე ვარიანტია, როცა პარლამენტი ირჩევს, არსებობს ვარიანტი, როცა პრეზიდენტს ირჩევს ე.წ. საარჩევნო კოლეჯი, რომელიც სხვადასხვა კონფიგურაციით შეიძლება შეიქმნას.

ასე რომ, ყველაზე ცხელი „სეზონი“ ახლა დაიწყება. სამუშაო ჯგუფში ბევრი ვარიანტია და კომისიის შემადგენლობაც საკმაოდ ჭრელია. წესით, ამან გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა შეაფერხოს, სამუშაო პროცესი კი გაართულოს. თუმცა, მეორე მხრივ, ექსპერტების ვარაუდით, კომისიის ფართო შემადგენლობა კონსტიტუციის მიმართ ლეგიტიმურობის ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის ნატო-ს ჯაშუში და ვინ – რუსული სპეცსამსახურების გავლენის აგენტი?

ვახტანგ მაისაია: „დიახ, მე ნამდვილად ვიყავი ჯაშუში, რასაც არც ვმალავ!..“

მარიამ ნადირაძე

პოლიტოლოგ ვახტანგ მაისაიასა და „სამართალდამცველთა დაცვის ლიგის“ ორთაბრძოლა ცხელ ფაზაში შედის. როგორც ირკვევა, ამ შემთხვევაში „პროვოკატორი ვახტანგ მაისაია აღმოჩნდა, უფრო კონკრეტულად კი პრესაში გაჟღერებული მისი განცხადება „რუსთავი 2“-ის ეთერით გასული ფარული ჩანაწერების შესახებ: „ამ „თხუნელებმა“ ეს კადრები „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული დაზვერვის სტრუქტურას გადასცეს და სწორედ აქედან მოხვდა „რუსთავი 2“-ში. ბუნებრივია, „ნაციონალური მოძრაობის“ აპოლოგეტებს ჰყავთ შსს-სა და ძალოვან უწყებებში თავიანთი „თხუნელები“, ამას ადრეც ვამბობდი და ჩემდა სამწუხაროდ, ეს უკვე ყველასთვის დადასტურდა კონკრეტული ფაქტებით. ეს ყველაფერი გაკეთდა მაღალ კონსპირაციულ დონეზე. მე მაგალითად, შემიძლია, დაგისახელოთ ირაკლი ფირცხალავა, რომელიც იყო ოპერატიული მუშაკი. ფირცხალავა უშუალოდ გეგმავდა სადამსჯელო ოპერაციებს. ის ფიგურირებს ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში და არის ბრალდებული. როდესაც ფირცხალავა გახდა სამართალდამცველთა ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ჩემთვის უკვე გასაგები იყო, რაზე და ვისზე იმუშავებდა ეს ორგანიზაცია“.

ბუნებრივია, ამას საპასუხო განცხადებაც მოჰყვა და ცეცხლიც დაინთო. ამასობაში კი პოზიციების გარკვევის პროცესში „პრაიმტაიმმა“ მაისაიას საქმის იმ დეტალების შესახებ შეიტყო, რასაც დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

მაშ ასე, რა იმალება გრიფ „საიდუმლოს“ ქვეშ?

„პრაიმტაიმი“ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა:

– ირაკლი ფირცხალავა და სამართალდამცველთა დაცვის ლიგა თქვენ დღემდე ჯაშუშად მოგიხსენიებთ და ამტკიცებენ, რომ მათ ამის დამადასტურებელი მასალები აქვთ...

– „ლიგასთან“ დაკავშირებით მე ეს განვაცხადე ჩემი გონივრული ეჭვის საფუძველზე. ამისთვის მე არც დოკუმენტები მომეპოვება და არც რამე სხვა მასალა. მე ვარ პოლიტოლოგი. ისე კი, ვეტყოდი ბატონ ირაკლი ფირცხალავას, რომ, დიახ, მე ნამდვილად ვიყავი ჯაშუში, რასაც არც ვმალავ, მაგრამ მე ვიყავი საქართველოს ჯაშუში. ოფიციალურად კი მე ვიყავი თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული დაზვერვის მთავარი სამმართველოს მრჩეველი, რაც იყო გენერლის თანამდებობა. სხვათა შორის, როდესაც მე დამიჭირეს, 2009 წლის 5 მაისს, რამდენიმე დღით ადრე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებმა, მინისტრის პირველი მოადგილის სახით, დამავალა, შემექმნა საქართველოს სამხედრო დაზვერვის კონცეფცია, რომელიც შემდგომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „აღმომიჩინეს“ ჩემს საბუთებში და მერე ჩემს მიერვე შექმნილი დოკუმენტი წარმომიდგინეს, როგორც სამშობლოს ღალატის მტკიცებულება. კი ბატონო, მე ვიზიარებ ბატონი ირაკლის მოსაზრებას, რომ ვიყავი ჯაშუში, მაგრამ ვჯაშუშობდი საქართველოს სასარგებლოდ და თუ ეს დანაშაულია, ვაღიარებ ამ დანაშაულს. აქვე ამ ხალხის გასაგონად ვამბობ, რომ მე ვიყავი ნატო-ს სპეცსამსახურის დირექტორატის რაპორტერი. ეს იყო საკმაოდ გავლენიანი ანალიტიკური მიმართულების სპეცსამსახური, მე მისი თანამშრომელი ვიყავი და თუ ეს არის დანაშაული, ამასაც ვაღიარებ. ასევე, ვიყავი ნატოში ჩვენი წარმომადგენლობის მრჩეველი და ავღანეთის დახურულ კომიტეტში წარმოვადგენდი ჩვენს ქვეყანას. ჩემ მიმართ ნამოყენებულ ბრალდებაში, რაც მიხეილ სააკაშვილმა შეთხზა, რომლის გაგებაშიც არ არის ირაკლი ფირცხალავა და ვურჩევდი, რომ ეს საქმე კარგად წაიკითხოს, ცოტა გონებას მოუხმოს, რადგან მაგისგან განსხვავებით მე მკვლელი არ ვიყავი. ფირცხალავა თუ წაიკითხავს ჩემს საქმეს, იქ ნახავს, რომ მე ოფიციალურად ნატო-ს სპეცსამსახურის ჯაშუშობაში ვარ დადანაშაულებული. თუ ეს დანაშაულია, მაშინ ირაკლი ფირცხალავა ყოფილა რუსეთის სპეცსამსახურის გავლენის აგენტი. თუ გნებავთ, კონტექსტსაც გეტყვით, როგორ დამაბრალეს ეს ყველაფერი: თურმე მე ომის პერიოდში ვიყავი საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბში – მე სამხედრო დაზვერვის უფროსი, ვიღაც გაბუნია და ჩეჩნეთის კავკასიის ისლამური იმარატის დაზვერვის უფროსი, ვინმე ტარყან კაზიევი ერთად ვგეგმავდით ოპერაციებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, აგრესიას ვაკავებდით. პირადად მე მომიმზადებია ორი დივერსიული ჯგუფი, რომელიც გადავიდა ინგუშეთში და დავალება წარმატებით შეასრულა. სხვათა შორის, ეს აღიარა საქართველოს მაშინდელმა უმაღლესმა მთავარსარდალმა, მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში 2012 წლის 30 დეკემბერს, – მაისაია და მორიგე ოფიცერი იყო შტაბში და აკავებდა აგრესიასო და მან ინფორმაცია გადასცა ნატოს სპეცსამსახურებსო. ეს მიწერია საქმეში.

– ვის გადაეცით ინფორმაცია?

– თურმე სლოვაკეთის სამხედრო დაზვერვას. სლოვაკეთის სამხედრო დაზვერვის სპეცსამსახური ბუნებაში არ არსებობს და აქედან თავად გამოიტანეთ დასკვნა, რატომ ვიყავი დაჭერილი და როგორ ვახორციელებდი „ალ-ქაიდასთან“ ერთად ამ ოპერაციას. მე პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი რომ მომანიჭა, ეს არის რეალობა. დანარჩენი ყველაფერი ბლეფია. სხვათა შორის, ნივთმტკიცებად პროკურატურამ და კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა წარმოადგინა სამი ნივთი – ჩემი ლეპტოპი, ფლეშკა და გაგეცინებათ, მაგრამ საბჭოთა უშიშროების კომიტეტის წიგნაკი, სადაც ჩაკრული იყო ჩემი ფოტოსურათი და მეწერა, რომ ვიყავი სახელმწიფოს უშიშროების კომიტეტის გენერალ-პოლკოვნიკი. დღემდე მინდა გავარკვიო, ვინ ვიყავი – საბჭოთა „კაგებეს“ გენერალ-პოლკოვნიკი, ნატო-ს ჯაშუში, თუ „ალ-ქაიდას“ წარმომადგენელი საქართველოში? სხვათა შორის, ჯაშუშობა პოლიტიკური დანაშაულია და ამ დანაშაულით ნელსონ მანდელა იხდიდა სასჯელს საბჭოთა „კაგებეს“ ჯაშუშობის ბრალდებით, დაადანაშაულა აპარტეიდის სასამართლომ, 28-წლიანი სასჯელით გაუშვეს და სასჯელს ყველაზე სასტიკ პირობებში იხდიდა. მე 20 წელი მომისაჯეს და ყველაზე საშინელ ადგილას ვიხდიდი – გლდანის #8 დაწესებულებაში, სადაც ჩემს წინააღმდეგ დაიგეგმა მკვლელობა, რომელსაც ახლა თბილისის პროკურატურა უკვე იძიებს. არსებობენ მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ იგეგმებოდა ჩემი მკვლელობა ისე, როგორც თეთრაძის შემთხვევაში. სრული სერიოზულობით გეუბნებით ამას.

– ვისი მითითებით?

– ჩემი უშუალო მტრების, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის მითითებით და ეს დავალება უნდა შეესრულებინა ე.წ. კილერას, მერვე დანესებულების დირექტორს.

> **„თუ ეს დანაშაულია, მაშინ ირაკლი ფირცხალავა ყოფილა რუსეთის სპეცსამსახურის გავლენის აგენტი“**

– იმ ისტორიებს, რაც თქვენ მოგვიყევით, გრიფი „საიდუმლო“ ადევს...

– არ მაინტერესებს, ადევს თუ არა მას ეს გრიფი. მე ამ გრიფს ვხსნი...

– რატომ არ ახსნეს გრიფი აქამდე?

– ეს უნდა ჰკითხოთ, ალბათ, ბატონ ჭიკაიძესა და ბატონ ღარიბაშვილს, ისევე, როგორც ქალბატონ ირინა იმერლიშვილს. ეს სამი ადამიანია მის მოხსნაზე პასუხისმგებელი. რატომ აჩერებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ომს? ამ ინფორმაციამ რომ გაიჟღეროს და საზღვარგარეთ გავიდეს, მიხეილ სააკაშვილს მართლა ჩამოჰკიდებენ ერთი ადგილით, მაგრამ ამ შემთხვევაში არა პუტინი, არამედ დასავლეთის ლიდერები...

– ღარიბაშვილი თავის დროზეც ეწინააღმდეგებოდა ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას...

– როცა კოალიციამ მოგვანიჭა ეს სტატუსი, ამით გაგვიკეთდა პოლიტიკური რეაბილიტაცია. პარალელურად მოგვეხსნა ნასამართლობაც. ეს იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეები არ ვიყავით. უბრალოდ, არის ფორმალური რეაბილიტაცია, რომელიც სასამართლომ უნდა გააკეთოს, მაგრამ ის ამას არ გააკეთებს, ვინაიდან მას სააკაშვილის დანიშნული ადამიანი აკონტროლებს.

საკუთარი არგუმენტები აქვს „სამართალდამცველების დაცვის ლიგასაც“. „პრაიმტაიმს“ მისი ერთ-ერთი ლიდერი, ქალაქის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი, ზაზა ჭაია ესაუბრება:

– ვახტანგ მაისაიას ბრალდებები აბსოლუტური არაკომპეტენტურობაა. თუ ადრე კრიმინალების სამიზნე ვიყავით, ახლა ჯაშუშები გვებრძვიან და ეს გვარწმუნებს, რომ ჩვენი ორგანიზაცია სწორი მიმართულებით მუშაობს... მან რაღაც ანტენებთან და არქივებთან დაგვაკავშირა და არ იცის, რომ ჩვენთან მხოლოდ ყოფილი და მოქმედი პოლიციელები არიან გაერთიანებულნი და არავითარი შეხება არ აქვთ უშიშროების არქივებთან. პოლიციელისთვის უკანონო მოსმენას, უბრალოდ, არავითარი აზრი არ აქვს. ვერ გამოიყენებს მტკიცებულებად საქმეში. საქმის გახსნის შემთხვევაში მოსმენიდან წარდგინებული ინფორმაცია უნდა წავიდეს სასამართლოში მტკიცებულებად, მისი გასაჯაროების შემდეგ ეს ნადგურდება. ასე რომ, არავითარი არქივი პოლიციაში არ ინახება.

– თქვენ მას ახლაც ჯაშუშად მოიხსენიებთ, იმ დროს, როდესაც მას პოლიტპატიმრის სტატუსი მიენიჭა...

– პოლიტპატიმრობა არის პოლიტიკური გადაწყვეტილება, მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ. სამართლებრივად კი მისთვის ჯაშუშის სტატუსი არავის მოუხსნია. ამას დღევანდელი ხელისუფლებაც არ აყენებს ეჭვქვეშ, ვინაიდან აქამდე გრიფი არ მოუხსნიათ მისი საქმისთვის. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ახლაც სახიფათოდ მიიჩნევს ამ საქმის მასალების გასაჯაროებას, ვინაიდან ამით შეიძლება ზიანი მიადგეს სახელმწიფო ინტერესებს.

– თუმცა ამ მასალებს თავად მაისაია ასაჯაროებს...

– მაშინ გაასაჯაროს სატელეფონო ჩანაწერები, აღიარებითი ჩვენებები. ის ვერასდროს გახდება ექსპერტი უშიშროების საკითხებში, სანამ ჯაშუშის სტატუსით სარგებლობს.

„ის ვერასდროს გახდება ექსპერტი უშიშროების საკითხებში, სანამ ჯაშუშის სტატუსით სარგებლობს“

ზაზა ჭაია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ინტერვიუ თამარ კორძაიასთან

my View
მირიან ბოქოლიშვილი

ლევან ვასაძის განცხადებებს არანაირი კავშირი არ აქვს სახელმწიფოებრივ ხედვასთან – დაახლოებით ასე აფასებს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი თამარ კორძაია ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით ბიზნესმენ ლევან ვასაძის პოზიციას... „პრაიმტაიმთან“ ინტერვიუში დეპუტატი მინისტრებისთვის დარიგებულ ათიათასობითლარიან პრემიებსაც აკრიტიკებს...

ინტერვიუში თქვენ, ასევე, შეიტყობთ, რას ფიქრობს თამარ კორძაია ფარულ მოსმენებზე კანონპროექტის განხილვის გაჭიანურებაზე? სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებაზე და იმაზე, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას – პრეზიდენტმა თუ პრემიერმა?



„ჩემთვის ეკლესია და ქრისტე სიყვარულის ქადაგებაა და არა მუქარა. ქრისტიანულ რელიგიას ინკვიზიციაც ახსოვს. ეს გამოიარა ქრისტიანობამ, იმედი მაქვს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არ დაადგება ამ გზას“

EXCLUSIVE

გთავაზობთ ინტერვიუს დეპუტატ თამარ კორძაიასთან.

– ქალბატონო თამარ, პრემიები, რომელიც სხვადასხვა უწყებებში დარიგდა 2013 წლის განმავლობაში, თქვენთვის რამდენად მისაღებია?

– ამან ჩემში ძალიან დიდი აღშფოთება გამოიწვია. იმ რაიონში, სადაც მე გახლავართ მაჟორიტარი დეპუტატი, ნაძალადევს ვგულისხმობ, არის უამრავი გაჭირვებული მოქალაქე, რომელთაც არ აქვთ წამლის ფული, არა აქვთ, თუნდაც 80-პროცენტიანი დაფინანსების მიუხედავად, ოპერაციის გაკეთების საშუალება, არის სხვა უმძიმესი სოციალური პრობლემები და ამ ფონზე ამხელა პრემიების აღება ჩინოვნიკების მიერ, როგორი მიღწევებიც არ უნდა ჰქონდეთ მათ, დაუშვებელია. იმას, რომ სახელმწიფო მოხელეს უნდა ჰქონდეს შრომის ნორმალური ანაზღაურება, მერწმუნეთ, არც ერთი მოქალაქე არ აპროტესტებს, მაგრამ ქვეყანაში ამ ფორმის დისბალანსი ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. კარგია, რომ ამასთან დაკავშირებით მთავრობას ჰქონდა ადეკვატური რეაქცია. უნდა განისაზღვროს პრემიების ზედა ზღვარი და კრიტერიუმები. დაველოდოთ ამ ყველაფრის გაწერას და ვფიქრობ, მედიამაც აქტიურად უნდა მიადევნოს თვალი ამ პროცესს.

– პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონის გაუქმებას გთხოვთ ბიზნესმენი ლევან ვასაძე, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელ მმართველ გუნდს ისტორიის სანაგვეზე ყოფნა გიწინასწარმეტყველათ... რას ფიქრობთ ამ პერსონაზე?

– მე არ ვფიქრობ, რომ ამ პერსონაზე რაიმე განსაკუთრებული შეფასება უნდა გაკეთდეს. ისტორიის სანაგვეზე ვიქნებით თუ არა, ეს ჩვენი პრობლემაა და არა ლევან ვასაძის. ჩვენ ვიცავთ იმ პირთა უფლებებს, ვინც იდევნებიან, განიცდიან ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ძალადობას. იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობის ნებაზე იქნება დამოკიდებული ყველაფერი, მაშინ არც კონსტიტუცია გვჭირდება, არც ხელისუფლება და საერთოდ, რა საჭიროა ინსტიტუციები? ხელისუფლების მოვალეობა სწორედ ის არის, რომ ადამიანები, ნებისმიერი ჯგუფი დაიცვას შესაძლო ძალადობისგან.

– შესაძლებელია, ვასაძეს პოლიტიკური ამბიციები ალაპარაკებდეს?

– პოლიტიკური ამბიციები შეიძლება ნებისმიერ ადამიანს ჰქონდეს. ადამიანი უნდა შეფასდეს მის მიერ გამოხატული პოზიციებით. ჩემი აზრით, ვასაძის შეხედულებები არ არის 21-ე საუკუნის მსოფლმხედველობა. ეს არ არის სახელმწიფოებრივი ხედვა.

– დიდი ვნებათაღელვის მიუხედავად, პარლამენტმა მოახერხა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება... რამდენად ჯანსაღი იყო პროცესი, რომელიც ამ კანონპროექტის განხილვას ახლდა?

– ვფიქრობ, ეკლესიამ უნდა იმსჯელოს თავის გამოხატვის ფორმებზე. ჩემთვის ეკლესია და ქრისტე სიყვარულის ქადაგებაა და არა მუქარა. ქრისტიანულ რელიგიას ინკვიზიციაც ახსოვს. იმედია, ამ ყველაფერს გაიხსენებენ, გაიხსენებენ იმასაც, როცა ქრისტეს სახელით ჯორდანო ბრუნო დაწვეს. ეს გამოიარა ქრისტიანობამ, იმედი მაქვს, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არ დაადგება ამ გზას. მე არ ვფიქრობ, რომ ეკლესიაში რეფორმის აუცილებლობაზე უნდა ვისაუბრო, თუმცა მათ ზღვარი არ უნდა დაკარგონ საერო და სასულიერო ცხოვრებას შორის.

– რატომ გაჭიანურდა პარლამენტში ფარული მოსმენების შესახებ კანონპროექტის განხილვა?

– ამ პროცესის გაჭიანურება არ მომხდარა შეგნებულად. მიმდინარეობდა კონსულტაციები მთავრობასთან და გამომდინარე იქიდან, რომ იყო სხვადასხვა მოსაზრებები, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა კანონპროექტის მიღება. თუმცა, საბოლოო ჯამში, საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე შეჯერდა, შემუშავდა ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებათა პაკეტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ფუნდამენტური რეფორმა საქართველოში და ამიტომაც არ შეიძლება ნაჩქარევად მიღება. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას, მინდა გითხრათ, რომ მე ვგულშემატკივრობ მათ მოსაზრებებს, მიმაჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს და არც ერთ სხვა უწყებას არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი წვდომა საკომუნიკაციო საშუალებებთან, როგორიც აქვს დღეს, თუმცა ჩვენ ვესაუბრეთ ევროპელ ექსპერტებსაც, რომლებმაც აგვიხსნეს, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით ეს საკმაოდ რთული გადასაწყვეტია. როგორც მათ აგვიხსნეს, ამ წუთას ჩვენ არ გვაქვს ტექნოლოგიური საშუალება იმისთვის, რომ ეს უფლებამოსილება წავართვათ ხელისუფლებას და გადავცეთ ოპერატორებს. ამიტომაც გვირჩიეს ამ საკითხის გადადება. საბოლოოდ, მოდელი იქნება ისეთი, რომელიც აუცილებლად შეცვლის დღეს არსებულ საკანონმდებლო ვითარებას და ყველანაირად შევეცდებით, საზოგადოებას ჰქონდეს განცდა, რომ მას ხელისუფლება არ უსმენს. დღეს სამართლებრივად ხელისუფლებას ყველა შესაძლებლობა აქვს, რომ ჰქონდეს უკონტროლო წვდომა ამ ყველაფერზე, მაგრამ ეს აუცილებლად შეიცვლება.

„მიმაჩნია, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს“

– სასჯელაღსრულების ხელმძღვანელობის შიგნით არსებულ სიტუაციაზე რა აზრის ხართ... დეპარტამენტის აწ უკვე ყოფილმა მრჩეველმა ლალი მოროშკინამ მძიმე ბრალდებები წაუყენა თავის უშუალო უფროსს, დარბაისელს... როგორ ფიქრობთ, რა ხდება ამ სისტემაში?

– დავიწყებ იქიდან, რომ, თუ ქალბატონი ლალი დაასაბუთებს, რომ იმ დარღვევების შესახებ, რომელიც გაასაჯაროვა, ზემდგომ ორგანოებს საქმის კურსში აყენებდა და ამაზე არ იყო რეაგირება, შეუძლია წავიდეს და გათავისუფლების თაობაზე იდაოს სასამართლოში. მას ამის უფლება აქვს. მაგრამ თუ მას შესაბამისი ორგანოებისთვის არ უცნობებია და ისე გაასაჯაროვა, ეს უკვე სხვა საკითხია. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი საჯარო მოხელეს ავალდებულებს, დაიცვას ეთიკის კოდექსი და იზრუნოს საზოგადოების წინაშე საკუთარი სამსახურის რეპუტაციაზე. თუ მან რამდენიმე თვის შემდეგ მოახდინა ამ ფაქტების გამოაშკარავება, და ის საუბრობს პრაქტიკულად ნახევარი წლის წინანდელ ამბებზე, ბუნებრივად მასთანაც ჩნდება ბევრი კითხვა. მეც ასევე მიჩნდება კითხვა, რატომ გაიცემოდა ამხელა პრემიები ამ და სხვა უწყებებშიც. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს მიუღებელია. ეს საკითხი ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ქალბატონ ლალის განთავისუფლება. თუ ის ფიქრობს, რომ უკანონოდ გაათავისუფლეს, სრული უფლება აქვს, სასამართლოში იდაოს.

– კვლავაც აზრთა სხვადასხვაობაა, თუ ვინ მოაწერს ხელს ასოცირების ხელშეკრულებას – პრეზიდენტი თუ პრემიერი... თქვენი პოზიცია როგორია?

– პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და ის წარმოადგენს ქვეყანას საგარეო ურთიერთობებში. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა და პარლამენტი ერთად განსაზღვრავენ ქვეყნის საგარეო კურსს. ამიტომ ეს პრინციპული საკითხი არ არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს მეთაური არის საქართველოს პრეზიდენტი. ჩემი აზრით, ასოცირების ხელშეკრულებას ხელი პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს.

„ვასაძის შეხედულებები არ არის 21-ე საუკუნის მსოფლმხედველობა. ეს არ არის სახელმწიფოებრივი ხედვა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვირუსული მენინგიტის შემთ

სალომე გოგოხია

მართალია, ეპიდემიოლოგები ვირუსული მენინგიტის პიკს უარყოფენ, თუმცა, გასულ კვირას, ჯანდაცვისა და განათლების სამინისტროებმა ერთობლივი გადაწყვეტლება მიიღეს და ბაღებსა და სკოლებში (მე-6 კლასის ჩათვლით) სწავლება შეწყდა. სასწავლოს პროცესი ხვალიდან განახლდება. მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ხუთდღიანი შესვენება და შენობების დეზინფექცია გარკვეულ შედეგს გამოიღებს. თუმცა, სოციუმის თავშეყრის შემდეგ, ვირუსის კვლავ გავრცელება გამორიცხული არ არის.

ორ კვირაზე მეტია, რაც საქართველოში ვირუსული მენინგიტის შემთხვევების ბუმია. ძირითადად, ეს დიაგნოზი სკოლამდელი ასაკის და სკოლის მოსწავლეებს აღენიშნებათ.

პრაქტიკულად, ინფექციურ საავადმყოფოს პალატებში თავისუფალი ადგილი აღარ არის. ვირუსული მენინგიტის მომატებულმა შემთხვევებმა პაციენტების მომართვიანობა საგრძნობლად გაზარდა. მშობლები პანიკამ მოიცვა და მცირე სიმპტომების გამოვლენისთანავე ექიმს მიმართავენ.

საზოგადოების შეშფოთების მიუხედავად, ჯანდაცვის სამინისტრო და მედიკოსები აცხადებენ, რომ ქვეყანაში, ამ მხრივ, საგანგაშო სიტუაცია არ არის. ვირუსის თავიდან აცილების მიზნით კი, მოსახლეობას ჰიგიენის მკაცრად დაცვას ურჩევენ.

ინფექციურ საავადმყოფოში ინფექციური პათოლოგიის განყოფილების გამგე, ექიმ-ინფექციონისტ, ქალბატონ მარინა ენდელაძესთან ინტერვიუზე დანიშნულ დროს მივედი. ინტერვიუ მოგვიანებით შედგა, რაც ობიექტური მიზეზით იყო გამოწვეული. განყოფილება პაციენტებითაა გადატვირთული, რეანიმაციაში მძიმე პაციენტებია. პაციენტის მდგომარეობით შეშფოთებული მშობლების შეკითხვებს ექიმი მოთმინებით პასუხობს, ამშვიდებს, უყვავებს... პალატიდან პალატაში ინაცვლებს, ავადმყოფს სინჯავს, ანალიზის პასუხებს ეცნობა, გზადაგზა განკარგულებებს გასცემს. ამასობაში მის სამუშაო კაბინეტსაც მივუახლოვდით. აქაც პაციენტი ელოდება. უკვე ნაცნობი ჩივილებით პაციენტს სინჯავს, სავარაუდო დიაგნოზი ვირუსული მენინგიტია. თუმცა, ამას საჭირო გამოკვლევა დაადგენს.

მაგიდასთან ვსხდებით და საუბარს ვიწყებთ. თუმცა, ინტერვიუს შიგადაშიგ განყოფილების მედპერსონალი გვანყვეტინებს. ზოგი რჩევას ეკითხება, ზოგს გამოკვლევების პასუხები შემოაქვს და გახარებული ამცნობს, რომ მის არც ერთ პაციენტს ვირუსული მენინგიტი არ აღმოაჩნდა.

ინფექციურ საავადმყოფოში საათზე მეტ ხანს მომიწია ყოფნა, ის კი აქ ყოველდღეა, დილიდან გვიან ღამემდე, ასეთ „განამანიაში". თუმცა, სხვანაირად ვერც წარმოუდგენია, რადგან ექიმობა მისი პროფესიაა, რომელსაც არაფერზე გაცვლის.

მარინა ენდელაძე 25 წელია, რაც

„პირველად დავსვი ძროხის „ყვავილის" დიაგნოზი. ეს დიაგნოზი რომ არ დამესვა, ახალი ვირუსის შესახებ ვერ გავიგებდით. მანამდეც მქონდა რამდენიმე ანალოგიური შემთხვევა, როცა სიმპტომებით ძროხის „ყვავილს" ჰგავდა. თუმცა, დიაგნოსტირება ძნელი იყო. როდესაც ლაბორატორიულად ვერ ადასტურებ, დიაგნოზი არ დასმულა და წლებია არ ფიგურირებს, ძნელია გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენთან მოვიდა ვირუსით დაინფიცირებული ორი პაციენტი. ჯილეხის შემთხვევას არ ჰგავდა, ამიტომ ძროხის „ყვავილის" დიაგნოზი დავწერე. შემდგომ დაავადებათა კონტროლმა ძიება დაიწყო, მაგრამ ვირუსი ვერ გამოიყო, შემდეგ დაუკავშირდნენ ამერიკელებს და კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს არის ორთოპოქს ვირუსი ახალი გენეტიკური სტრუქტურით. მთელ მსოფლიოში ჯერ ასეთი ვირუსი არ აღმოუჩენიათ. ამდენად საინტერესოა, რადგან საქართველოში ეს პირველად აღმოჩნდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრი კვლევას აგრძელებს. გუშინაც მივიღე პაციენტი და ვეჭვობ, რომ მასაც ანალოგიური ვირუსი აქვს. მასაც ჩაუტარდა გამოკვლევა და პასუხი მალე გვექნება", - ამბობს მარინა ენდელაძე.**



ექიმის თეთრ ხალათს ატარებს. ამბობს, რომ არა ამ პროფესიის, პაციენტების დიდი სიყვარული, აქამდე მოსვლა გაუჭირდებოდა. 8 წელია, რაც განყოფილების გამგეა. მანამდე იყო სასწრაფო სამედიცინო სამსახური, შემდეგ პოლიკლინიკებში მიღებული პრაქტიკა და ინფექციური საავადმყოფოს ნაწლავების ინფექციის განყოფილება.

ცხადია, მის განყოფილებას პაციენტები ყოველთვის ჰყავს, თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა ინფექციური საავადმყოფო გადატვირთულია. ვირუსული მენინგიტის შემთხვევების მომატებასთან ერთად, მის განყოფილებაში ყველაზე მეტი პაციენტი სწორედ ამ დიაგნოზით არის მოთავსებული.

„მართალია, ჩემი განყოფილება უშუალოდ მენინგიტის არ არის, მაგრამ ნეიროვირუსული განყოფილება პაციენტებს ვეღარ იტევს. ამიტომ, ჩვენს განყოფილებაშიც არიან მოთავსებულები და ვემსახურებით. ადგილები ძალიან გვიჭირს. „ჩვენი ინფექციებიც" ბევრია. ენტერო ვირუსული მენინგიტი ყოველთვის იყო, მაგრამ წელს მატების ტენდენცია შეიმჩნევა. სხვადასხვა სიმპტომებით ხასიათდება. ენტერო ვირუსის ბევრი შტამი არსებობს. ამ ეტაპზე ყველაზე მეტი რაოდენობისაა მენინგიტი. მე არ მინდა ჩვენი მოსახლეობა შევაშინო. იგი არ ხასიათდება განსაკუთრებული სიმძიმით. თუმცა, დროულად მომართვის შემთხვევაში მალე გამოჯანმრთელების ალბათობაც მაღალია. მენინგიტს სხვანაირი მართვა უნდა", - ამბობს მარინა ენდელაძე.

რესპონდენტის თქმით, პაციენტების დროულად მომართვიანობას გარკვეულწილად ხელი მედიამაც შეუწყო.

„მომართვიანობა გაცილებით ადრე ხდება. მედიაში ხშირად იწერება ამის შესახებ, სიუჟეტებიც ბევრია. ამიტომ, პატარა სიმპტომების გამოვლენისთანავე, მშობლები ექიმს მიმართავენ. შეიძლება პაციენტს მაღალი სიცხე და ტკივილი არ აქვს, მაგრამ გამოკვლევით მენინგიტი დასტურდება. ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით. ამიტომ, დიაგნოსტიკა აუცილებელია", - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

სამწუხაროდ, ვირუსული მენინგიტის ვაქცინა არ არსებობს. მისგან თავის დაცვა ჰიგიენის წესების დაცვით არის შესაძლებელი.

პარალელურად, ინფექციურში მკურნალობენ „წითელას" დიაგნოზით მოთავსებული პაციენტებიც. ექიმის თქმით, „წითელას" შემცირების ტენდენცია შეიმჩნევა.

„გასულ წელს „წითელას" ბევრი შემთხვევა იყო. ასეთი დიდი რაოდენობა არ გვეპატიება, რადგან ვაქცინაციით „ყვავილი" და სხვა ვირუსები მოვსპეთ. „წითელას"-გან თავის დაცვა აცრითაა შესაძლებელი", - ამბობს მარინა ენდელაძე.

ახალი ვირუსი

დაახლოებით ორიოდე კვირის წინ, „პრაიმტაიმი" ახალი ვირუსის შესახებ წერდა, რომელიც საქართველოში აღმოაჩინეს. ორთოპოქს ვირუსი მარინა ენდელაძემ აღმოაჩინა. სწორედ მის განყოფილებაში მივიდა ორი პაციენტი, რომელსაც შემდგომი გამოკვლევებით სწორედ ორთოპოქს ვირუსი დაუდგინეს.

„პირველად დავსვი ძროხის „ყვავილის" დიაგნოზი. ეს დიაგნოზი რომ არ დამესვა, ახალი ვირუსის შესახებ ვერ გავიგებდით. მანამდეც მქონდა რამდენიმე ანალოგიური შემთხვევა, როცა სიმპტომებით ძროხის „ყვავილს" ჰგავდა. თუმცა, დიაგნოსტირება ძნელი იყო. როდესაც ლაბორატორიულად ვერ ადასტურებ, დიაგნოზი არ დასმულა და წლებია არ ფიგურირებს, ძნელია გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენთან მოვიდა ვირუსით დაინფიცირებული ორი პაციენტი. ჯილეხის შემთხვევას არ ჰგავდა, ამიტომ ძროხის „ყვავილის" დიაგნოზი დავწერე. შემდგომ დაავადებათა კონტროლმა ძიება დაიწყო, მაგრამ ვირუსი ვერ გამოიყო, შემდეგ დაუკავშირდნენ ამერიკელებს და კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ეს არის ორთოპოქს ვირუსი ახალი გენეტიკური სტრუქტურით. მთელ მსოფლიოში ჯერ ასეთი ვირუსი არ აღმოუჩენიათ. ამდენად საინტერესოა, რადგან საქართველოში ეს პირველად აღმოჩნდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრი კვლევას აგრძელებს. გუშინაც მივიღე პაციენტი და ვეჭვობ, რომ მასაც ანალოგიური ვირუსი აქვს. მასაც ჩაუტარდა გამოკვლევა და პასუხი მალე გვექნება", - ამბობს მარინა ენდელაძე.

„2009 წლიდან დღემდე ამ დიაგნოზით სულ ორი პაციენტი გაირდაიცვალა. როცა ყირიმ-კონგოს ცხელებაზე ლექციებს ვკითხულობდით, მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა, რომ ეს ვირუსი ჩვენთანაც იქნებოდა"

ამჟამად, ინფექციური პათოლოგიის განყოფილების რეანიმაციულ განყოფილებაში ყირიმ-კონგოს ცხელებით ერთი პაციენტი წევს. შეგახსენებთ, რომ „პრაიმტაიმში" ამ დიაგნოზით გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის შესახებ დაიწერა. როგორც ქალბატონი მარინა გვიამბობს, პაციენტი გართულებული მდგომარეობით შემოიყვანეს. პრაქტიკულად, მისი გადარჩენის შანსი ნულის ტოლი იყო.

წელს ყირიმ-კონგოს ცხელებით დაინფიცირების ორი შემთხვევა გამოვლინდა, ორივე ბორჯომში. ექიმი ვარაუდობს, რომ რეანიმაციულში მოთავსებული პაციენტის მდგომარეობა კეთილსაიმედოა და სირთულის მიუხედავად, გადარჩენის იმედი აქვს.

„2009 წლიდან დღემდე ამ დიაგნოზით სულ ორი პაციენტი გაირდაიცვალა. როცა ყირიმ-კონგოს ცხელებაზე ლექციებს ვკითხულობდით, მაშინ წარმოდგენაც არ გვქონდა, რომ ეს ვირუსი ჩვენთანაც იქნებოდა. ეს არ არის ისეთი ინფექცია, რომელიც ყველა ექიმმა შეიძლება იცოდეს. ამერიკელებთან ერთად ვატარებდით ტრენინგებს. სიამაყით ვამბობდით, რომ სიკვდილიანობა არ გვქონდა. სამწუხაროდ, ეს ორი შემთხვევა ასე ლეტალურად დასრულდა, რადგან გვიან მოგვმართეს.

„ხანდახან მეჩვენება, ჟურნალისტებიც ხომ არ აშავებენ. ზოგჯერ ექიმების საწინააღმდეგო ისეთი სიუჟეტი გაკეთდება, რომ... როცა იმ ექიმს ვუყურებ ექიმის თვალით და ვუსმენ, ვხვდები, რომ ის ექიმი დამნაშვე არ არის. თუმცა, ჟურნალისტისგან არ მიკვირს, რადგან ეს მისი პროფესია არ არის და ვერ აღიქვამს. არ შეიძლება ექიმების ლანძღვა. მართლა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ყველა ექიმს აქვს ისეთი შემთხვევა, როცა პაციენტის მდგომარეობა ლეტალობით სრულდება"

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცვევეზმა მკვეთრად მოიმატა

მშობლები პანიკამ მოიცვა და მცირე სიმპტომების გამოვლენისთანავე ექიმს მიმართავენ

„მე არ მინდა ჩვენი მოსახლეობა შევაშინო. იგი არ ხასიათდება განსაკუთრებული სიმძიმით. თუმცა, დროულად მომართვის შემთხვევაში მალე გამოჯანმრთელების ალბათობაც მაღალია. მენინგიტს სხვანაირი მართვა უნდა“

EXCLUSIVE

არ მინდა ძალიან შევაშინო ჩვენი მოსახლეობა. ამ ცხელებით დაინფიცირება ტკიპის ნაკბენით ხდება. თუმცა, ტკიპის ნაკბენით არა მარტო ყირიმ-კონგო, არამედ სხვა უამრავი ინფექციაც გადადის. დროულად მიმართვის შემთხვევაში გადარჩენის ალბათობაც მაღალია, რადგან ანტივირუსული მედიკამენტი არსებობს. რეანიმაციაში ერთი ბიჭია მოთავსებული, მეორე კი პალატაშია. უმძიმესი მდგომარეობით იყო შემოსული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მდგომარეობიდან გამოვა და მორჩება. ბორჯომის რაიონიდან არის. ხუთი თუ ექვსი ბიჭი იყო წასული ტყეში, ორს უკბინა ტკიპამ“, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

მუშაობა მძიმე პირობებში

დღესდღეობით ინფექციური საავადმყოფოს ექიმები თავიანთ მოვალეობას საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში ასრულებენ. მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, ამორტიზებული შენებობები, ექიმების კაბინეტებსა თუ პალატებში წვიმის დროს წყალი ჩამოდის. ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, ეს ადამიანები მოვალეობას დიდი ენთუზიაზმით, სიყვარულით და მოთმინებით ასრულებენ.

სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ, ინფექციურ საავადმყოფოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა, რომ პირველ რიგში სახელმწიფომ სწორედ მათ და იმ პაციენტებს უნდა მიაქციოს ყურადღება, რომლებიც ასეთ გაუსაძლის პირობებში მკურნალობენ. საუბარი იყო იმაზეც, რომ ყოფილი ინფექციურის შენობიდან მედპერსონალი ასევე ყოფილი მერვე საავადმყოფოს გარემონტებულ შენობაში გადაინაცვლებდა. თუმცა, ნათქვამი ჯერჯერობით ნათქვამად დარჩა. მედპერსონალი და პაციენტებიც კვლავინდებურად რთულ პირობებში იმყოფებიან.

„ამ მხრივ ნამდვილად ცუდ დღეში ვართ. ამ სიტუაციაშიც ვასრულებთ მოვალეობას. ბევრი პრობლემაა. შენობა არ გვაქვს, სხვის შენობაში ვმუშაობთ. იცით, რომ ეს შენობა გაიყიდა. თქვენც ხედავთ, რომ ჩემს კაბინეტში ჭერი დაზიანებულია, წვიმის დროს წყალი ნაკადით ჩამოდის. ანალოგიური სიტუაციაა სხვა კაბინეტებში და პალატებშიც. ადმინისტრაცია რაღაცას ცდილობს, მაგრამ გარემონტების უფლება არ გვაქვს. ბევრ რამეს ისე ვერ ვაკეთებთ, როგორც საჭიროა, რადგან პირობები არ გვაქვს, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობთ და ვიტვირთავთ თავს. ინფექციური საავადმყოფო უალტერნატივოა. ჩვენთან ძალიან კვალიფიციური ინფექციონისტები არიან. გრიპის ეპიდემიის დროს, სტატისტიკურად სიკვდილიანობის ყველაზე ნაკლები შემთხვევა ჩვენთან იყო. ცუდად არავინ გამიგოს, პურს მეპურე აცხობს. ინფექციური სამსახური აუცილებელია“, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

პერპეტუუმ მობილე

სამსახურში დილით ადრე მოდის და შინ გვიან ბრუნდება. ექიმის ხალათის მიღმა მზრუნველი დედა და ბებია იმალება. საკუთარ თავზე ხუმრობს, პერპეტუუმ მობილე ვარო. არ ჩერდება.

„არ მინდა ძალიან შევაშინო ჩვენი მოსახლეობა. ამ ცხელებით დაინფიცირება ტკიპის ნაკბენით ხდება. თუმცა, ტკიპის ნაკბენით არა მარტო ყირიმ-კონგო, არამედ სხვა უამრავი ინფექციაც გადადის“



დღის განმავლობაში უამრავი პაციენტის თუ მისი მშობლის დამშვიდება, დაყვავება უწევს. ამბობს, რომ ექიმობასთან ერთად, გარკვეულწილად ფსიქოლოგიც უნდა იყო. რაც მთავარია, ამ ყველაფერს ვერ გააკეთებ თუ არ გაქვს ამ პროფესიის, პაციენტის სიყვარული.

„მთავარია პაციენტის მიმართ დამოკიდებულება. ერთია პროფესიონალიზმი და მეორე ავადმყოფთან ურთიერთობა. პაციენტს და მის პატრონს მოფერება, დაყვავება უფრო უხდება, ვიდრე ზედმეტი სიმკაცრე. ჩემი პაციენტები არ მკარგავენ და ჩემთან ურთიერთობას აგრძელებენ. მეტსაც გეტყვით, როგორც გითხარით, თავიდან ბავშვთა ნაწლავური ინფექციის გაყოფილებაში ვიყავი, იმ დროინდელი ჩემი პაციენტები დღეს თავად არიან მშობლები და თავიანთი შვილები ჩემთან მოჰყავთ. უდიდესი სიამოვნებაა, როცა პაციენტი უმძიმესი მდგომარეობიდან გამოგყავს. ვერ წარმოიდგენთ ექიმისთვის რას ნიშნავს, როცა შუაღამისას ტელეფონი რეკავს. სანამ პაციენტი გეტყვის როგორ არის, გული გიფრთხილებს. ეს დიდი სტრესია. ეს უმძიმესი შრომაა. თუ არ გიყვარს, ვერ იმუშავებ. მით უმეტეს, თუ შრომის შესაბამისი ანაზღაურება არ არის. შინ მისულ ექიმს კი სხვა პრობლემები აქვს“, - ამბობს მარინა ენდელაძე.

რესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავს, ბოლო დროს ექიმების მიმართ აგორებულ შავ პიარზე და ამაში გარკველწილად ჟურნალისტებსაც ადანაშაულებს.

„ხანდახან მეჩვენება, ჟურნალისტებიც ხომ არ აშავებენ. ზოგჯერ ექიმების საწინააღმდეგო ისეთი სიუჟეტი გაკეთდება, რომ... როცა იმ ექიმს ვუყურებ ექიმის თვალით და ვუსმენ, ვხვდები, რომ ის ექიმი დამნაშვე არ არის. თუმცა, ჟურნალისტისგან არ მიკვირს, რადგან ეს მისი პროფესია არ არის და ვერ აღიქვამს. არ შეიძლება ექიმების ლანძღვა. მართლა დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ყველა ექიმს აქვს ისეთი შემთხვევა, როცა პაციენტის მდგომარეობა ლეტალობით სრულდება. მეც მქონია ასეთი შემთხვევა და ეს ძალიან მძიმეა. თუმცა, კონფლიქტური შემთხვევა არ მქონია. მქონდა შემთხვევა, როცა ბავშვი გარდაიცვალა, რამდენიმე თვის შემდეგ ბებიამ სხვა შვილიშვილები მომიყვანა, თქვენს მეტს ვერავის ვენდობიო. არიან შეგნებული ადამიანები, რომლებიც ხედავენ, რომ ეს ექიმის ბრალი არ იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ ასე ფანატიკურად უყვარს თავისი პროფესია. იყო დრო, როცა მისთვის შემოსავალს მნიშვნელობა არ ჰქონდა და მიზერულ ხელფასზეც მუშაობდა, უარი თქვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე. ამბობს, რომ ერთი დღეც ვერ წამოუდგენია ექიმის ხალათის გარეშე. თუმცა, დანანებით აღნიშნავს, რომ მსგავსი ინტერესი ახალგაზრდა კადრების მხრიდან ნაკლებად იგრძნობა.

„ზუსტად ვიცი, რომ ჩემს ანაზღაურებაზე ახალგაზრდები არ იმუშავებენ. მე მყოლია რეზიდენტები და როცა მათ ვკითხე, იმუშავებდნენ თუ არა იმ ანაზღაურებაზე, რომელიც მე მაქვს, მიპასუხეს არაო. ამ შრომისთვის ასეთი ანაზღაურება მცირეა. ეს ვინმეს ბრალი არ არის. ეს არის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობის ბრალი. მე მაინც მგონია, რომ მდგომარეობა გამოსწორდება და ექიმებსაც ეშველებათ“, - იმედოვნებს ჩვენი რესპონდენტი.

გასულ კვირას ვირუსული მენინგიტის 142-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, სიტუაცია საგანგაშო არ არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკა ცქიტიშვილი: „სამოყვარულო ლიგისა და სუპერლიგის დონე დიდად არ განსხვავდება“

EXCLUSIVE

ვლადიმერ ბოისა: „კალათბურთის ფედერაცია თანამშრომლობს ამ ტურნირის ორგანიზატორებთან, ისინი დიდ საქმეს აკეთებენ“

მაგდა კლდიაშვილი

კალათბურთის სამოყვარულო ლიგამ სტარტი 2013 წლის ნოემბერში აიღო და 31 მაისს, სპორტის სასახლეში, ფინალური მატჩით დასრულდება. თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ფინალში, ეს ჯერ კიდევ უცნობია. სამოყვარულო ლიგაზე კი ნახევარფინალები გაიმართა. პირველ ნახევარფინალში „მართვემ“ „სპორტმედია“ პირველ შეხვედრაში 83-55 დაამარცხა. ტურნირის ერთი ფინალისტი 3 ათას ლარს მიიღებს საჩუქრად, გამარჯვებულისთვის დაწესებული პრიზი კი სიურპრიზად რჩება.

შეხვედრა რომ დიდ ინტერესს იწვევს, ეს დარბაზში შესვლისთანავე შეიმჩნევა, რადგან ის მცირე ტრიბუნა, რომელიც თბილისის „დინამოს“ საკალათბურთო დარბაზშია, სავსეა და არც გარშემო სივრცეა ცარიელი. „მართვე“-„სპორტმედიას“ დაპირისპირებაზე მისულებს, საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრი და „შარჯას“ (დუბაი) ქართველი ლეგიონერი, ნიკა ცქიტიშვილი დაგვხვდა.

როგორც კალათბურთელმა გვითხრა, სამოყვარულო ლიგა ძალიან მაღალი დონისაა და სუპერლიგასთან სხვაობა თითქმის არ არის.

„მეორედ ვესწრები თამაშს. ერთი კვირის წინ ვიყავი პირველად და გარკვევებული დავრჩი. არიან ახალგაზრდები, რომლებიც თამაშობენ და ნამდვილად შეუძლიათ, იასპარეზონ სუპერლიგაში. დასანანია, რომ ასეთი მოთამაშეები იკარგებოდნენ. ახლა მეტი შანსი მიეცათ, რომ აქ წარმოაჩინონ თავი. იმედია, დაუნახავენ ამას მწვრთნელები და უკეთეს ლიგაში გადავლენ“, - **ამბობს ცქიტიშვილი.**

კალათბურთელის განმარტებით, სამოყვარულო ლიგის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ ხალხისთვის, ვინც მთელი ცხოვრება ამ სახეობაში იყო ჩართული და თავი დაანება.

„ვეტერანებისთვის ეს გასართობი ლიგაა. მათ დიდი ხანია, დაასრულეს კალათბურთი. წარმომიდგენია, როდესაც აღარ ვითამაშებ კალათბურთს და დავასრულებ კარიერას, ყოველთვის მექნება კალათბურთის თამაშის წყურვილი. ეს გაძლევს სტიმულს, რომ ძველი დრო გაიხსენო, გაერთო. ამას ვაკეთებ მთელი ცხოვრება და ბევრს ნიშნავს“, - **აღნიშნა კალათბურთელმა.**

როგორც ნიკა ცქიტიშვილი ამბობს, ოფიციალურ ლიგასა და სამოყვარულო ლიგას შორის, დონეში, დიდი სხვაობა არ არის.

„სუპერლიგის რამდენიმე თამაშს დავესწარი და არ ვარ კმაყოფილი. ვარდნა აქვს ლიგას. ბევრად არ განსხვავდება იმ დონისგან, რასაც ახლა ვუყურებ. არაჩვეულებრივად თამაშობენ ახალგაზრდები, აძლიერებენ გუნდს და უფრო პოპულარული ხდება ეს სპორტი. ასეთი ტურნირები სტიმულია კალათბურთისთვის“.

სამოყვარულო ლიგის შექმნის იდეა ორი წლის წინ დაიბადა. ინიციატორი და დამფუძნებელი ერეკლე ამაშუკელია. მისი თქმით, გარკვეული დრო დასჭირდა საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, 2013 წლის ნოემბერში კი ღონისძიება დაიწყო და მას შემდეგ წარმატებულად მიმდინარეობს.

„ძალიან დიდი იყო დაინტერესება, რის გამოც ჩვიდმეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ჩემპიონატი ორ სეზონად ჩატარდა. პირველი - რეგულარული სეზონი და მეორე - ფლეი ოფი. ახლა მიმდინარეობს ფლეი ოფები, აქამდე გამართული მატჩები იყო ძალიან საინტერესო და დაძაბული. ყველა ის გუნდი, რომელიც გავიდა ნახევარფინალურ ეტაპზე, საკმაოდ ძლიერი და კონკურენტუნარიანია. აქედან გამომდინარე, საინტერესო თამაშები მიმდინარეობს“, - **ამბობს ამაშუკელი.**

სამოყვარულო ლიგის ორგანიზატორის ინფორმაციით, ლიგის ფინალი 31 მაისს სპორტის სასახლეში გაიმართება. გამარჯვებული გუნდისთვის დაწესებული პრიზი, ამ დრომდე უცნობია და სიურპრიზად ტოვებენ ორგანიზატორები. ერეკლე ამაშუკელი მხოლოდ ფინალისტისთვის დაწესებულ ჯილდოს ამხელს და ამბობს, რომ ეს 3 ათასი ლარი იქნება.

იმაზე, რომ სამოყვარულო ლიგის ხარისხი ძალიან მაღალია, ამბობენ მაყურებლებიც, ორგანიზატორებიც და პროფესიონალი კალათბურთელებიც.

ჩემპიონატის მაღალ დონეზე საუბრობს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვლადიმერ ბოისაც. ბოისას განცხადებით, ტურნირი იმდენად კარგი გამოდგა, რომ ის მუდმივ სახეს მიიღებს.

„ყველას ოცნებაა, რომ საკალათბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, რაღაცნაირად დარჩეს და ისევ ითამაშოს, ამის შანსს კი სამოყვარულო ლიგა იძლევა. პირველივე წელს ამდენი გუნდია, ანუ დაინტერესება დიდია. სპორტსმენებს აკლიათ თამაში, ენატრებათ. გაამართლა ამ პროექტმა და ვიცი, რომ ცხოვრების ბოლომდე იარსებებს. კალათბურთის ფედერაცია თანამშრომლობს ამ ტურნირის ორგანიზატორებთან, ისინი დიდ საქმეს აკეთებენ. ტურნირი იმდენად დაძაბულია, რომ ცოტა უნდა შეიცვალოს, მგონი, რაღაც. ძალიან დაძაბული თამაშებია. 12 ადამიანია განაცხადში და ისე უნდათ მოგება, რომ ყველა ვერ ახერხებს თამაშს. თუმცა ისე მაგრად თამაშობენ ბიჭები, ვერ გაიგებ, სამოყვარულო ლიგაა და პროფესიონალური“, - **ამბობს ვლადიმერ ბოისა.**

სამოყვარულო ლიგის ფინალი 31 მაისს სპორტის სასახლეში გაიმართება. ტურნირის ორგანიზატორები მაყურებლებს სწორედ სპორტის სასახლეში ეპატიჟებიან და სიურპრიზსაც ჰპირდებიან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

BRAVISSIMO.GE - ლიცენზირებული მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ვებგვერდის პრეზენტაცია შედგა

ზაზა შენგელია: „ეს ვებსაიტი ქართულ შოუბიზნესში დიდ გარდატეხას შეიტანს“

EXCLUSIVE

არინა სუხოვა: „ეს უზარმაზარი მოვლენაა, არა მხოლოდ მუსიკალური სფეროსთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის“

my View
თამარ გონგაძე

23 მაისს „შერატონ მეტეხი პალასში“ საქართველოში პირველი, სრულიად ახალი და ნოვატორული პროექტის, ლიცენზირებული მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ვებგვერდის - BRAVISSIMO.GE-ს პრეზენტაცია შედგა. გვერდის დამფუძნებლები „ბრავო რექორდსთან“ ერთად საქართველოს უმსხვილესი ინტერნეტ პროვაიდერი „კავკასუსონლაინი“ და კომპანია „Branding.ge“-ია. პრეზენტაცია „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელმა, ზაზა შენგელიამ ამ სიტყვებით გახსნა.

ზაზა შენგელია: „ერთხელ ინტერნეტით „ლიბერტანგოს“ ნოტების შეძენა გადავწყვიტე. ჩემდა გასაკვირად, იქვე უარი მომივიდა, რადგან მე, როგორც საქართველოს წარმომადგენელს, არ მქონდა ამის უფლება, ვინაიდან ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც პატივს არ სცემს და არ იცავს საავტორო უფლებებს. საქართველოს მიმართ ასეთი დამოკიდებულების გამო იმედგაცრუებული დავრჩი. ეს ქეისი გახდა ბიძგი იმისა, რომ მომავალში სერიოზულად დავფიქრებულიყავი მუსიკალური ინდუსტრიის განვითარებაზე. ამას კი ჩემი საქმიანობის რამდენიმე წელი მივუძღვენი“.

2011 წლის მარტში, მეგორებთან ერთად, დააფუძნა ბიზნესკომპანია „ბრავო რექორდსი“. სამი წლის წინ გადაწყდა, რომ გაკეთებულიყო ონლაინ გაყიდვების საიტი, რომლის მთავარი დანიშნულება მუსიკის გაყიდვა და მეკობრეობასთან ბრძოლა იქნებოდა. 23 მაისს კი ამ ვებსაიტის - „BRAVISSIMO.GE“-ის პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციის სპეციალური სტუმარი გახლავთ Sony Music Russia-ს მმართველი დირექტორი არინა სუხოვა. BRAVISSIMO.GE-მ უცხოური ქონთენთის ონლაინ გაყიდვაზე ლიცენზია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი რეკორდ ლეიბლისგან Sony Music-სგან შეიძინა.

არინა სუხოვა: „ეს უზარმზარი მოვლენაა, არა მხოლოდ მუსიკალური სფეროსთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ეს არის მარტივი გზა ხელი მიგიწვდებოდეთ არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო მასშტაბის მუსიკოსებთან. ამ ვებპორტალიდან გადმოიწერთ მუსიკას და მას ყველგან მოისმენთ. მუსიკისადმი სიყვარული იმაში გამოიხატება, რომ ის ლეგალურად შეიძინო. თუმცა მეკობრეობა არსად წასულა, ის პრობლემად ისევ რჩება. ეს პრობლემა აღმოსაფხვრელია და მასზე ყველამ უნდა იზრუნოს. გილოცავთ ამ დღეს“.

ალეკო მარგიშვილი (კულტურის მინისტრის მოადგილე): „დაპირების სახით მინდა ვთქვა, რომ ვაპირებთ მხარი ავუბათ კერძო სექტორს და არა მხოლოდ მუსიკალური ინდუსტრიის კუთხით. ძნელი განსასაზღვრია, ვინ უფრო მოგებული დარჩება - მელომანები თუ ხელოვანები“.

საქართველოში პირველად, ამ ვებპორტალის მომხმარებელს საშუალება ექნება, რომ შეიძინოს ლიცენზირებული, მაღალი ხარისხის, როგორც უცხოური, ასევე ქართული მუსიკა, მსოფლიო ფასების სტანდარტებთან შედარებით საკმაოდ დაბალ ფასებში.

ქართული სიმღერის ჩამოტვირთვა 50 თეთრი ეღირება, უცხოურის

- 90 თეთრი („სონის“ ქონთენთი), როცა უცხოურ საიტებზე 99 ცენტი ღირს.

ზაზა შენგელია: „ეს ვებსაიტი ქართულ შოუბიზნესში დიდ გარდატეხას შეიტანს. ერთ-ერთი დიდი ბერკეტია, რომ შოუბიზნესი მომგებიანი გახდეს ჩვენთან. ეს იქნება მუსიკალური თავშეყრის ადგილი, სადაც ყოფნა დღე-ღამის ნებისმიერ დროს ყველა მუსიკალური გემოვნების მომხმარებლისთვის სასურველი გახდება. მთელ მსოფლიოში არის ტენდენცია - ონლაინ სერვისები მძლავრობს და დისკების ფიზიკური გაყიდვები ნელ-ნელა კვდება. ლეგიტიმური ლიცენზირებული პროდუქციის გაყიდვა სწორი გზაა“.

დათო ხუჯაძე: „ბევრი საინტერესო რამაა ამ საიტზე, მე ვითანამშრომლებ ამ ვებპორტალთან“.

კახა ცისკარიძე: „დიდი ხანია ამ ვებპორტალის გახსნის მოლოდინში ვარ. ვულოცავ მთელ საქართველოს. ამუშავდება თუ ჩვენი სფეროს წარმომადგნელი თვითონ დააფასებენ მუსიკას. თავი დაანებონ ქავერებს და სხვისი შესრულებული სიმღერების გადასრულებას“.

ნუკრი კაპანაძე: „ვიცი, რომ ძალიან პატარაა ჩვენი ბაზარი, კონცერტები არ გვაქვს. მინდა რაღაც კარგი მოხდეს, ცივილიზებული გზით ვიაროთ, მაგრამ როგორ ამუშავდება ვებპორტალი ვერ გეტყვით“.

დათო ფორჩხიძე: „რთულია ამუშავდეს. რისკთან არის დაკავშირებული, მაგრამ ზაზას უნდა გაეკეთებინა. თუ რამეში ჩემი დახმარება დასჭირდება, გვერდით დავუდგები. ყოველთვის კარგ საქმეს აკეთებდა ეგ კაცი და ბევრს უგულშემატკივრა. თავის დროზე მეც შემიწყო ხელი. ახლა მეც მჭირდება, რომ ზაზას ეს საქმე გამოუვიდეს“.

მაკა ზამბახიძე: „ჩვენ გვჯერა ზაზასი. რასაც მიზნად დაისახავს, ყოველთვის აღწევს. ამ საიტის გაკეთებით ყველა მომღერლისთვის სტიმულია ახალი სიმღერის ჩაწერა“.

ვებსაიტზე ყოველდღიურად დაიდება ქართული და უცხოური ცხელ-ცხელი ახალი ამბები. გვერდზე დაიდება ყოველდღიური აფიშა, რომელ დღეს რომელ რესტორანში რომელი შემსრულებელი მღერის, სად რა მუსიკალური ივენთია დაგეგმილი. თქვენ შეგეძლებათ ნახოთ ქართული და უცხოური მუსიკალური ჩარტები, ალბომების და სინგლების ყოველთვიური რეიტინგები. გადმოწერთ რინგბექტონებს მობილური ტელეფონებისთვის. გვერდს ექნება ქართული და უცხოური სიმღერების კრებულები. გარდა ამისა, შეგიძლიათ კარაოკე ფართი მოიწყოთ და იმღეროთ რამდენიც გინდათ. ერთი ვიცი, რომ ამ გვერდზე ყველაფერი ლეგალური, ექსკლუზიური, ხარისხიანი, იაფი და ახალი იქნება. ნებისმიერი მელომანისთვის BRAVISSIMO.GE გართობის და ინფორმაციის წყარო იქნება. ვებგვერდი საქართველოში ამკვიდრებს მომხმარებლის მუსიკასთან ურთიერთობის ახალ კულტურას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თუ იმნაკლიერ განცდას, რომელიც გაცრეზს ბედნიერებ

რეზო შატაკიშვილი

ბევრს საუბრობენ იმაზე თუ რა გადაარჩენს ქართულ თეატრს, კატას ეძებენ ყველგან, ბნელ ოთახშიც, გაჩახჩახებულშიც, იქაც, სადაც არაა კატა და იქაც, სადაც კატა შეზლონგზეა წამონოლილი და ირუჯება, მე კი რატომღაც მგონია, რომ თეატრს გადაარჩენს ბევრი ნანუკა ხუსკივაძე. დღეს კი, იმ ერთ ნანუკასაც ვეღარ ვხედავთ სცენაზე, რომელიც გვყავს. ის არ ცდება და პედაგოგიურ სტიქიაშია - თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. მალე სადოქტორო დისერტაციასაც დაიცავს.

ნანუკა ხუსკივაძე. ის იზრდებოდა „ალქიმიკოსების“ ოჯახში, სადაც უბედურებას ადნობდნენ ბედნიერებად.

მას აქვს ზღვა ენერგია სცენისთვის და არ ემეტება არც ტელევიზორისთვის, რომელიც უდგას როგორც ყუთი და არც „ფეისბუკისთვის“, ისევე როგორც მეხსიერება არ „ყოფნის“ ქორების და ანეკდოტების დასახსომებლად, თუმცა მას არასოდეს ავიწყდება და მუდამ თან აქვს იუმორი, ირონია, თვითირონია, როგორც ჯიბგირს ბებუთი.

აღიზიანებს იარლიყები, მაგრამ გვერდს ვერ აუვლის საკუთარ იარლიყს „დიდი არტისტი“.

- ამ გადასახედიდან, რომელ პერიოდს გამოყოფ, რომელს მიიჩნევ საუკეთესო დროდ? საერთოდ, როგორ ფიქრობ, როდის უდგას პრაიმტაიმი, ხშირად ხომ ვერც ვხვდებით როდის გვიდგას ეს პრაიმტაიმი.

- რასაკვირველია. ესაა უკანა რიცხვით დანახული პრაიმტაიმი. როდესაც იმ წამს ვერ ამჩნევ, რომ საუკეთესო დროა, მაგრამ შემდეგ ხვდები, რომ ის იყო გენიალური დრო. ცხოვრების ყველა ეტაპი განსაკუთრებულია, ბავშვობა, სკოლამდელი პერიოდი სრულიად გენიალური პერიოდია, აბსოლუტურად უდარდელი, ამ სიტყვის ყველაზე ნამდვილი გაგებით.

- თუმცა ეს ჩვენ აქედან ვასკვნით, რომ უდარდელები ვიყავით, მაშინ რამდენი დარდი გვქონდა? ახლა ღიმილს გვგვრის ის პრობლემები, მაგრამ მაშინ რა მნიშვნელოვანი გვეგონა?

- ბავშვს რომ დარდი აქვს, ისეთი უნდა დარდი. „ნეტავ, შენხელა ვიყო“ - გასძახებ ბავშვს და იმას იმხელა დარდები აქვს... მაგრამ ასე თუ გავყევით, არ არსებობს გამონათება ადამიანის ცხოვრებაში. მაშინ სად არის პრაიმტაიმი? მაშინ ჩვენი ცხოვრების არც ერთ ეტაპზე არ არის პრაიმტაიმი. თუ იმ შეგრძნებას, განსაკუთრებულს, იმ წამიერ განცდას, რომელიც დაგახრჩობს ბედნიერებისგან, სიხარულისგან - ჩააქრობ იქვე, არასოდეს არ გექნება პრაიმტაიმი. ესაა თორემ, ბავშვს თავისი დარდი აქვს, თავისი სევდა, მაგრამ ბავშვობას ახლავს გენიალური რამ, როცა გრძნობ, რომ ყველა შენთვის არის, ყველას კი არ უყვარხარ უბრალოდ, ყველა შენით ცოცხლობს, შენთვის ცოცხლობს. არ მავიწყდება და არც დამავიწყდება, რა ბედნიერი ვიყავი, თვალს რომ ვახელდი და ბებიაჩემს რომ ვხედავდი და რომ მეტყოდა „პრასნულას“... და რა ბედნიერება იყო ეს ბებიასთვის. მე ვგრძნობდი, რომ ყველა ჩემთვის ცხოვრობდა, ჩემით ცოცხლობდა, ყველა აკეთებდა ყველაფერს იმისთვის, რომ მე ვყოფილიყავი კარგად, თორემ მე ჩემი დარდიც მქონდა, ჩემი სევდაც და ფიქრებიც. მე მქონდა ფიქრი, რამე რომ მოუვიდეს ბებიაჩემს, რა მეშველება? ღამე გამილვიძია სველს და იმ წამს ბებიას ხელი დაუდია თავზე.



„ახლა, რაც უფრო მეტ სიტყვას ვიხმარ, უფრო გავაფერმკრთალებ იმ საოცრებას. აბსოლუტურად არანორმალური მოვლენაა, ყველა ორგანოს რომ გრძნობ, უცებ გული რომ შეიძლება შენზე დიდი იყოს...“

„არსებობს აფეთქება, რომელიც არაფერს არ წვავს, და არის აფეთქება, რომელიც ბუგავს ყველაფერს. თამამად შემიძლია ვთქვა, ჩვენ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა“

ეს იყო პიკი ბედნიერების... ამ პერიოდს მოსდევს სკოლის პერიოდი, მე საშინლად გამიმართლა ცხოვრებაში, არ ვიცი ვისთვის რა არის, ან რა იყო 55-ე სკოლა, მაგრამ ჩემთვის იყო ზღაპარი. ჩემი სკოლა და ჩემი კლასი. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩემს თაობას ძალიან მაგარი ფესვი აქვს სკოლის, კლასის, კლასელების ტრადიციის, რაც აღარაა, ახალგაზრდებისთვის აღარაა ასე, კლასი? თითქოს ფასი აღარ აქვს, არ იცის, ვერ ცნობს კლასელს, რაც ჩემთვის საერთოდ წარმოუდგენელია.

- ეს ტრადიცია რღვევაში მოჰყვა, სხვა ყველაფერთან ერთად მოირღვა, მოირყა.

- აბსოლუტურად გეთანხმები, საერთო რღვევაში მოჰყვა ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რამ. არადა, რა მაგარი პერიოდია? რაღაცებს გებულობ თითქოს, მეათე კლასში გგონია, რომ რამდენი რამე იცი, რამდენი რამე გაიგე, რა ბედნიერებაა ამის აღქმა? რამდენი გაიარე? მეშვიდეშიც იყავი, მერვეშიც, მეცხრეშიც, ახლა მეათეში ხარ... მე მახსოვს, მეორე კლასში რომ ვიყავი, მეათე კლასელზე დიდად, ასაკითაც და არსითაც, არავინ მეგონა. ბავშვობას რამდენი გენიალური რამე აქვს? რომ გჯერა და ელოდები თოვლის ბაბუას, როდესაც ზუსტად იცი, რომ 31 დეკემბერს ღამით მოვა თოვლის ბაბუა და მოგიტანს საჩუქარს.

- კი, მაგრამ მე ვიცი შენგან, რომ შენ იცოდი რომ საჩუქრებს ბელა და კახი გახვედრებდნენ.

- მერე რა! კი ვიცოდი, რომ ამას ბელა და კახი აკეთებდნენ, მაგრამ საქმეც მაგაშია, ბავშვს სხვანაირი აღქმა აქვს, არ შეგიმჩნევია, ბავშვმა იცის, მაგრამ, როცა უნდა „არ იცის“. როცა უნდა ჩამოწევს ჟალუზს და არ იცის... ამას ვამბობ, თორემ ჩემნაირი რეალისტი მეორე არაა, არ იცი რამდენჯერ ვუხსნივარ ცხოვრებაში იმას, რომ რეალისტი ვარ და რამდენჯერ უბედური ვყოფილვარ ზუსტად ამის გამო. ისე, ვინმემ იცის რა არის ბედნიერება?

- ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ფილოსოფოსები მაგაზე სულ დაობენ...

- ალბათ, ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა საიდანაც გინდა მოყოლებული, სადაც გინდა წასული. ჩვენ წელთაღრიცხვამდე დაწყებული, 50, მე-100 საუკუნით დამთავრებული, მე სულისა და სხეულის სიმრთელეზე ვსაუბრობ და არა ფეხზე კარგად დამდგარ ადამიანზე, მორბენალზე, კუნთებიანზე. დედაჩემი იყო ავად, მაგრამ მასზე ბედნიერი ქალი არ იყო. დედაჩე-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ისგან, ჩააქროს იქვე, არასოდეს არ გექნება პრაიმტაიმი“



ნანუკა ხუსკივაძის პრაიმტაიმი

მთან სულ მოდიოდნენ ჟურნალისტები, მახსოვს, ერთხელ ორი გოგო მოვიდა, აღტაცებული და აღფრთოვანებულები იყვნენ ბელასთან შეხვედრით, დედა უკვე მძიმედ გადაადგილდებოდა და მახსოვს, რომ აცილებდა, მე მეყრდნობოდა. ერთი გოგო გაფუჭდა, აუტყდა ტირილი, პირდაპირ მიატირა სახეში ცოცხალ ადამიანს, ქვითინი დაიწყო, თქვენ ეს როგორ მოგივიდათ, თქვენ ეს არ უნდა მოგსვლოდათო. დედაჩემმა გაუღიმა, დაამშვიდა. წავიდნენ. მახსოვს, ბრაზისგან და წყენისგან ყველაფერი გამიჩერდა სხეულში. არ გავნძრეულვარ, მაგრამ დედა იმ წუთას მიხვდა და მითხრა, ნუ ნერვიულობო, მათ არ იციან მე რა მივიღე ამის სანაცვლოდ, მაგათ მე ვეცოდები, მაგრამ ეს ასე არაა და შენ ამაზე საერთოდ არ იდარდოო. მე კი არ დამამშვიდა, ასეთი იყო.

- ნანუკა, ერთია ბედნიერება, რომელსაც მაშინ ვერ გრძნობ და შემდეგ ხვდები, მაგრამ არის მომენტები, როდესაც იმწამსვე გრძნობ, რომ ბედნიერი ხარ.

- დიახ და სრულიად გენიალური შეგრძნებაა, საოცრებაა. ასეთი იყო აკა რომ დაიბადა. მე თვითონ ძალიან პატარა ვიყავი, 18 წლის ვიყავი და ვერც ვაცნობიერებდი, დავქროდი იმხელა მუცლით, გაგიჟებული მყავდა პედაგოგები, ვცეკვავდი, დავხტოდი, ხომ არიან აბსოლუტურად მომწიფებული ქალები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ შვილი იბადება, მე ვერ ვაცნობიერებდი, დავქროდი და დაქროდა ეს ჩემი შვილი მუცელში. ხომ არიან გოგოები, დაიდებენ მუცელზე ხელს - გაინძრა! და სათნოდ გაიღიმებიან ან ცრემლი წამოუვათ, მე ასეთი რამ არ მქონია, მე ძალიან ვხალისობდი, ვიღაც ტიპი მეჯდა მუცელში და ვგიჟდებოდი, რომ დაქროდა, მთელი შაყირი მქონდა ამაზე აწყობილი. მე ძალიან რთული მშობიარობა მქონდა, ძალიან რთული, ბავშვი იბადებოდა და მე ბოლო წამს გადამარჩინეს. იმდენად მძიმედ ვიყავი, რომ არც მომიკითხავს ბავშვი, მეექვსე დღეს მითხრეს - ხვალ ბავშვს მოგიყვანთო და მეშვიდე დღეს მომიყვანეს. ექთანმა მომიყვანა ეს ერთი ბეწო არსება და ლოგინზე დამიგდო ლეკვივით და წავიდა. ვიფიქრე, ეს რა არის მეთქი. ერთი ბეწო არსება - უზარმაზარი ცხვირით, მკვეთრად დამახასიათებელი ნიკაპით, ნიკაპზე ღარით, ერთი თვალი ღია ჰქონდა, ერთი დახუჭული, იმიტომ რომ დაიზანებული ჰქონდა... გაკოჭილი, მაშინ „პილიონკები“ იყო, ეგრე არ იყო, ახლა პირდაპირ „ბათინკებით“ რომ გამოდიან სამშობიარო ბლოკიდან. წამოვიწიე, მარცხენა ხელს დავეყრდენი და ვუყურებ - იმ ერთ თვალს ატრიალებს, ბავშვებმა რომ იციან უაზროდ ყურება, ესე გააჩერა ეს თვალი, არასოდეს ეს არ დამავიწყდება... თავი მოატრიალა, მოატრიალა და ხელთან შემოყო თავი. დახუჭა ის ცალი თვალი და დაიძინა. ეს იყო პირველი შეხება მას შემდეგ, რაც უკვე გამოვიდა ამ დედამინაზე. მართლა არ ვიცი ეს რა იყო... ახლა, რაც უფრო მეტ სიტყვას ვიხმარ, უფრო გავაფერმკრთალებ იმ საოცრებას. აბსოლუტურად არანორმალური მოვლენაა, ყველა ორგანოს რომ გრძნობ, უცებ გული რომ შეიძლება შენზე დიდი იყოს... რასაც ახლა გიყვები, სულ კი არ მახსოვს, სულ ვიცი გულით, გონებით, სხეულით. ეს იყო აკაზე და ზუსტად ეს იყო იკო, ჩემი შვილიშვილი რომ დაიბადა. გიჟი არ გეგონო, მაგრამ იკომ გამიღიმა... ბედნიერება იყო, როდესაც აკამ თქვა, უნდა დავესწრო მშობიარობასო. ექიმები ეხვეწებოდნენ, არ გინდათ, იმდენი სისხლია, კაცები, როგორც წესი, ვერ უძლებენო. ვერ გადააფიქრებინეს, მე იქ უნდა ვიყოო და აკამ მიიღო მშობიარობა, პირველი აკას მისცეს თავისი შვილი. ამით ვხსნი იმას, რომ დღეს იკოსთვის მამამისისნაირი არავინ და არაფერი არ არის, არც დედა, არც ერთი ბებია, არც მეორე ბებია, არც ბაბუები, ყველა მისთვის ვართ, მაგრამ მამა არის მისთვის უალტერნატივო. ამას არც მალავს, ვერც მალავს და პირდაპირ ამბობს და საქციელითაც ასეა.

- რაკი დაბადების ბედნიერ წამებზე ვსაუბრობთ, იმაზეც ვისაუბროთ, როდესაც ახალი პერსონაჟი იბადება შენში, როცა ხვდები, რომ სხვა ხდები.

- მე მაინც ნანუკა ვარ ყველგან. უბრალოდ, ის შენი ნაწილია, ის არსებობს და მოძებნა უნდა კარგად. მსახიობი ადამიანის მცოდნე უნდა იყოს და საკუთარი თავის. სულ ზვერვაში უნდა იყო, საკუთარ თავში იქექო, ამაზე დგას ჩვენი პროფესია.

- ანუ შენი რაღაც ნაწილი, შენში არსებული უნდა აქციო პერსონაჟად.

- დიახ და ვერ ვიტყვი, რომ ცოტაჯერ მქონია ასეთი რამ, ბევრჯერ მქონია.

- თუ გახსოვთ, როგორ „გამოძვრა“ ელისაბედ ტიუდორი, რა ნიშნები გამოჩნდა პირველად?

- ხმის ტემბრით და ჩემთვის არადამახასიათებელი მანერული ლაპარაკით და ეს ჯერ კიდევ სამაგიდო რეპეტიციების დროს მოხდა, სრულიად მოულოდნელად წამოვიდა ეს ტემბრი, მერე იქვე დავიწყე იმ ტემბრის ცვლა. მე ელისაბედს რამდენიმე ხმაზე ვთამაშობდი, რაღაც სცენებს ხმის რაღაც რეგისტრში ვთამაშობდი, რაღაცებს უფრო ზევით, სადღაც ჩაფხრეწილი ხმითაც. ამას განგებ კი არ ვაკეთებდი, უბრალოდ, ასე იყო, სხვანაირად ვერც წარმომედგინა, ელისაბედი მოვიდა ხმით, ამას მოჰყვა „ასანკა“, და ცოტა მანერული სიარული.

- მარია როგორ დაიბადა „შობის მეთორმეტე ღამეში“?

- ბატონმა რობერტმა, ერთადერთი რამ მითხრა, იცი, ეს ქალი დადის ისე, როგორც... და გაჩერდა. მოკლედ, დადის ისე როგორც ადამიანები არ დადიან. როგორ მეთქი, აი ასე თქო და ის გავაკეთე რასაც ვაკეთებ, და მახსოვს გადავარდა სიცილით, აი ეგრეო. და გაჩნდა მარია.

- ასე უცებ?

- აი, ერთ წამში. მერე უკვე მუხლებიც მოვლუნე, მერე ეს მთლიან პლასტიკაში გაჯდა. ხმა მერე იყო, ჯერ იყო პლასტიკა...

- შეუძლებელია თქვენი სტუდენტობა არ იყოს თქვენი პრაიმტაიმი. ასეთი რამ არც მანამ ხდებოდა და არც შემდეგ მომხდარა - ერთად იფეთქა მთელმა ჯგუფმა და იქცა არათუ თეატრად, საერთოდ მოვლენად. მართლაც არ ყოფილა შემთხვევა ასე ერთბაშად აფეთქების, თან ისე, რომ მისცემოდეთ შანსი, რომ დავინახოთ, თორემ შესაძლოა იყო ძლიერი ჯგუფები, ჩუმი აფეთქებები, რადგან არ მიეცათ გასაქანი, ან მათმა პედაგოგმა ვერ შეძლო რომ ეს აფეთქება ექცია თეატრად...

- არსებობს აფეთქება, რომელიც არაფერს არ წვავს, და არის აფეთქება, რომელიც ბუგავს ყველაფერს. თამამად შემიძლია ვთქვა, ჩვენ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა. ჩვენ გავხდით მოვლენის მთავარი გმირები და ეს მოხდა მაშინ, როცა ქართული თეატრის რენესანსი იყო. მოვლენას - ვამბობ იმიტომ, რომ რენესანსში კიდევ რაღაც აფეთქდა და ეს მოხდა ბატონ გიზოს ხელმძღვანელობით. ჩვენ იმწუთასვე ვგრძნობდით, რომ ეს იყო ბედნიერება. ჩვენ, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო 16-17 ახალგაზრდები, პირველივე კურსის, პირველივე სემესტრში ერთ ენაზე ავლაპარაკდით, მერე დავარქვით, ამას თანამოაზრეობა, მაშინ ხომ არ ვიცოდით? უბრალოდ, ერთ ენაზე ვლაპარაკობდით და ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ერთად ყოფნა და ამიტომ სულ ერთად ვიყავით, სულ! სახლებშიც აღარ მივდიოდით, ან ვიღაც ერთთან ვრჩებოდით და ისევ ინსტიტუტში მოვდიოდით. ერთმანეთის გარეშე არ შეგვეძლო და იმ წუთას ვიცოდით, რომ ეს არის ბედნიერება და ვართ ბედნიერები. ასე რომ, მე მაგაშიც ძალიან გამიმართლა. მართლა ძალიან გამიმართლა, მართლა ძალიან იღბლიანი აღმოვჩნდი.

- ამ დიდმა პრაიმტაიმებმა, ალბათ, დაჩრდილა სხვა პატარ-პატარა პრაიმტაიმები, არანაკლებ მნიშვნელოვანი პერიოდები, რომელიც ახლა არც გაგვხსენებია....

- ბევრი ძალიან... სიკვდილთან დაკავშირებული ამბებიც ასეთივე მნიშვნელოვანია, ოღონდ ის არაა ბედნიერება, უბედურებაა. იყო უახლოესი ადამიანების ფიზიკური სიკვდილიც და არაფიზიკური კვდომა ვიღაცების, რაც განცდის თვალსაზრისით, შეიძლება ტოფლასიც კი იყო იმ ფიზიკური სიკვდილის...

- ეს, ალბათ, გრძნობებს ეხება, როცა ვიღაცა გიყვარდა და გადაგიყვარდა.

- რასაკვირველია.

- ეს როგორ იყო, გიყვარდა და უცებ, წამში ქრებოდა, კვდებოდა სიყვარული თუ ნელ-ნელა კვდებოდა?

- შემიძლია ვთქვა, რომ წამში ხდება, უბრალოდ, მე ყოველთვის ვგრძნობ, რომ იქით, „იმწამისკენ“ მივდივარ და უკვე აღარ ვარ კარგად, იმიტომ რომ მე ვიცი, რომ ის მოხდება. მერე წამში ხდება უცებ, გადაწყვეტილებასაც წამში ვიღებ.

- ისე რომ, გვერდზე მყოფისთვის შესაძლოა გაუგებარიც კი იყოს, როცა ეუბნები „აღარ მიყვარხარ“.

- ხშირ შემთხვევაში.

- რომ გეტყვის, კი მაგრამ ახლა არ გიყვარდი?

- კი, უთქვამს...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საპნის ოპერებით დაწყებული

სალი კიპაროიძე
(შუალედური)

მსოფლიოს გარშემო მილიონობით მაყურებელი მოუთმენლად ელის ხოლმე ცისფერ ეკრანებთან ამა თუ იმ სერიალის მორიგი სერიის დაწყებას. სერიალის მოყვარულებისთვის, თითოეული სერია ერთგვარი ნარკოტიკია, რომლის ზეგავლენისგან გათავისუფლება საკმაოდ რთულია. სერიალის მიმზიდველობას მისი ფორმატი განაპირობებს, დაუმთავრებელი თხრობის მანერა, თითოეულ მაყურებელს საშუალებას აძლევს სერიიდან სერიამდე იცხოვრონ გმირების ცხოვრებით. სწორედ ამიტომ სერიალის გმირები ხშირად რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ოჯახის წევრები ხდებიან ხოლმე. სულ ცოტა ხნის წინ აბსოლუტურად ყველა სერიალს მეორენაირად „საპნის ოპერას“ უწოდებდნენ. პირველი ტელენოველა 1930-იან წლებში ამერიკაში კომერციული დატვირთვის მატარებელი იყო. ტელე-რადიო კორპორაციების მიზანი მდედრობითი სქესისთვის სასიამოვნო და მარტივად აღსაქმელი სამყაროს შექმნაში მდგომარეობდა, რადგან ქალებს საშუალება ჰქონოდათ, სერიალის ყურების დროს ჰარმონიულად ეკეთებინათ საოჯახო საქმე, თანაც შუალედებში სარეცხი ფხვნილის რეკლამა ენახათ. სწორედ ამიტომ დაერქვა სერიალს - „საპნის ოპერა“. ამ ტერმინის ფართოდ გავრცელება კი უკავშირდება 1938 წელს გაზეთ Christian Century -ში გამოქვეყნებულ სტატიას, სადაც ერთ-ერთი ჟურნალისტი ირონიულად წერდა : „ამ ისტორიებს „საპნის ოპერას“ ვუწოდებ, იმიტომ, რომ საპნის დახმარების გარეშე ვერ შევძელი თუნდაც ერთი ცრემლი გადმომეგდო ტანჯული გმირების მიმართ“. მალევე, 1970 წლიდან, ამერიკელმა ფსიქოლოგებმა სერიალებს მეორე ტერმინი მიუსადაგეს - „დიასახლისების სინდრომი“, რაც სერიალებით მანიაკალურ გატაცებას ლოგიკურად აღწერდა.



თუმცა ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, წარსულს ჩაბარდა და მიუხედავად იმისა, რომ სულ რამდენიმე წლის წინ სერიალების მიმართ საზოგადოება სკეპტიკურად იყო განწყობილი, ხოლო საპნის ოპერის მომლოდინე ქალბატონები და არამარტო ქალბატონები, დაცინვის ობიექტებს წარმოადგენდნენ, დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის „მაღალ ეშელონებში“ სერიალების ყურება ჩვეულებრივი ამბავია, რადგან ჩვენს დროში ადამიანების უმეტესობა სერიალების გარკვეულ ნაწილს, უკვე გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებად იყენებს. მაყურებლის ზრდასთან ერთად იზრდება სერიალების ხარისხიც და ისეთი ცნობილი სატელევიზო არხების ქსელში, როგორებიცაა HBO, ABC, BBC და სხვა. სერიალებში უფრო და უფრო ხშირად ჩნდებიან ცნობილი და ხშირ შემთხვევაში ოსკაროსანი მსახიობებიც კი.

ასე რომ, დღეს, „საპნის ოპერების“ პარალელურად, მსოფლიო ბაზარზე დიდი პოპულარობით სარგებლობს ამერიკული და ევროპული სერიალები, რომლებიც ლათინო-ამერიკული ტელენოველებისგან განსხვავებით, კარგი ხარისხის მხატვრულ ფილმებს ჰგვანან, სადაც მოქმედებები პავილიონების გარდა, ქუჩაში და რეალურ გარემოში მიმდინარეობს. გადაღების ხარისხის გარდა ევროპული და ამერიკული სერიალები ახალ სტრუქტურულ სტილსაც ამკვიდრებს, რადგან ხშირია ისეთი სატელევიზიო შოუებიც, სადაც ყველა მომდევნო სიუჟეტი, ყოველ ახალ სერიაში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება. ზოგადად სერიალი კომერციულად კარგად გათვლილი პროდუქტია. მცირე ბიუჯეტისა და განელილი სიუჟეტის წყალობით სატელევიზიო პროექტის შემქმნელი მაყურებელს ტელევიზორთან აბამს და მინიმალური დანახარჯით იღებს მაქსიმალურ მოგებას, თუმცა ეს უფრო „საპნის ოპერებს“ ეხება, რადგან ამერიკასა და ევროპაში, HBO, ABC, BBC ყურადღებას სერიალის ხანგრძლივობაზე მეტად მის ხარისხზე ამახვილებს. თუმცა ეს გასაკვირიც არაა, რადგან კონკურენცია საკმაოდ მაღალია, თანაც მაყურებელი ხომ ნელ-ნელა უკვე მიეჩვია ეკრანზე მრავალსერიან ხარისხიან ნაწარმს. სატელევიზიო ბაზარზე უკვე ბევრი საინტერესო სერიალია, რომელიც ოკეანეს გადაღმა, იქ სადაც შოუბიზნესი ზენიტშია, პირველობას არავის უთმობს.

და აი, მოვიდა 2014 წელი, დრო, როცა თბილისში ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ერთად საუბრობს სამეფო კარის ინტრიგებზე, ვამპირებზე, სულებზე, ყველა ერთად იძიებს სხვადასხვა გახმაურებელ დანაშაულს, აქტიურად განიხილავენ ზებუნებრივ მოვლენებს, მთელი არსებით სჯერათ ზებუნებრივი არსებების არსებობისა; დღეს, ყველანი ერთად ეცნობიან „ახალ, ძალიან მაგარ ტიპს“ - შერლოკს და ა.შ. სერიალები დიდი ხნის წინ შემოიჭრნენ ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, თუმცა ადრე სერიალის არჩევის საშუალება თავად არავის ჰქონდა, ამიტომ სხვადასხვა ტელევიზიების მიერ არჩეულ ვარიანტს თითოეული ჩვენგანი იღებდა, სწორედ ამიტომ არასდროს დაგვავიწყდება არავის კასანდრა, მიუხედავად ღრმა დამოკიდებულებისა, ჩვენ ძირითადად უარვყოფდით ხოლმე ტელენოველაზე მიჯაჭვულობას, თავს ვარწმუნებდით, რომ ნებისმიერ დროს შეგვეძლო ამაზე უარის თქმა და გვიხაროდა, რომ ხანდახან, სერიალის დროს, უბრალოდ, არც კი გვეცალა ხოლმე ტელევიზორის საყურებლად. მაგრამ თბილისში მალე ინტერნეტი გამოჩნდა და ყველამ გავაანალიზეთ, რომ შეგვიძლია სასურველ დროს სასურველ სერიალს ვუყუროთ და თანაც თუ ძალიან გავიჭირვებთ, თვალების ამოღამებისა და გათიშული გონების ხარჯზე, მთელი სერიალის ორ დღეში დამთავრებაც შესაძლებელია. კინომოყვარულებიც საკმაოდ ჩართულები არიან მთელ ამ ამბავში და ზოგიერთ სერიალს მხატვრული ნაწარმოების ნიმუშადაც კი აღიქვამენ.

დათუნა კაპანაძე, 25 წლის (კინომცოდნე):

- მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი მაგარი სერიალი ვნახე ამ ბოლო დროს, ფილმებთან შედარებით სერიალის პრიორიტეტებზე მაინც ვერ ვილაპარაკებ, თუმცა ორივეს თავისი დადებითი მხარე აქვს. კარგ ფილმს როცა უყურებ, ზოგჯერ ემოციებისგან იღლები, ზოგი ცხოვრებაზე გაფიქრებს და 2 საათის შემდეგ ხანდახან რაღაცის ნაკლებობას განიცდი; აი, როცა ეგეთ ხასიათზე არ ხარ, ყველაზე კარგი ვარიანტია სერიალის ყურება. ძალიან მომწონს HBO-ს და BBC-ს სერიალები. წიგნის ძალიან საინტერესო ეკრანიზაციაა თუნდაც Sherlock ან Game of thrones და Hanibal. თან ახლა ნელ-ნელა წამოვიდა იმის ტენდენცია, რომ თუ გინდა სერიალს ბევრი მაყურებელი ჰყავდეს და მაღალი რეიტინგი ჰქონდეს, მასში, როგორც მინიმუმ, ერთი ძალიან ცნობილი ვარსკვლავი უნდა მონაწილეობდეს, თუ ეს ვარსკვლავი ოსკაროსანი იქნება, ხომ მთლად უკეთესი. მაგალითად, კევინ სპეისი ორგზის ოსკაროსანი მსახიობია და სერიალში ითამაშა; ერთ-ერთი სერიალის გმირია წლევანდელი ოსკარის მფლობელი მეთიუ მაკკონაჰიც. ჰოდა, ასეთი რანგის მსახიობები მდარე ხარისხის მხატვრულ პროდუქტში რომ არ ითამაშებენ, ალბათ, სადავო არაა, ასე რომ, საკმაოდ დიდი არჩევანი გვაქვს, თავისუფალი დრო მათთან ერთად საინტერესოდ გავატაროთ და ეს ინტერესი რამდენიმე დღის ან თვის და ხანდახან წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. მაგრამ ხანდახან მეტისმეტ უკიდურესობაში ვვარდებით ხოლმე. სერიალის ყურების დროს თითქოს ვწყდებით რეალურ სამყაროს და ვცხოვრობთ სხვისი პრობლემებით. ბევრჯერ შემიმჩნევია ჩემი მეგობრებისთვის, რომ კარგ ხასიათზე მყოფები სერიალის ყურების შემდეგ იწყებენ ყვირილს, ტირილს, ღიზიანდებიან და ათასი უბედურება. გოგოები განსაკუთრებით მაგიჟებენ, ძალიან საგანგაშო სიტუაცია მაგ მხრივ (იცინის). ყურებამდე არიან ხოლმე შეყვარებულები სერიალების გმირებზე და დღე და ღამე მაგ ტიპებზე ოცნებაში ატარებენ. ეს უკვე მარაზმია, თან, მათ საბედნიეროდ ეს სერიალები ხომ წლობით გრძელდება და ამ ვიღაც პერსონაჟთან ერთად ატარებენ ნახევარ ახალგაზრდობას.

მიუხედავად ყველაფრისა, უახლოეს წარსულს თუ გადავხედავთ, საქართველოში ყველაზე დიდი ადგილი ლათინო-ამერიკულ ტელენოველებს ეჭირათ, რომელთა ძირითადი ბაზარი ყოფილი საბჭოთა კავშირის და ნაწილობრივ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები იყო. ამ ტიპის სერიალების პოპულარობა ყოველთვის პიკს აღწევდა და ხარისხის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში, ქართულ ტელეარხებზე გასულ სულ რამდენიმე ამერიკულ სერიალს თუ გავიხსენებთ, ისეთებს, როგორიცაა, მაგალითად „დაკარგულები“, „გაქცევა“ და „ექიმი ჰაუსი“. როგორც ჩანს, საქართველოს ბაზარი „საპნის ოპერა“-ს ითხოვს, რადგან ამ ტიპის სერიალებში ყველაფერი უფრო მარტივადაა აღსაქმელი, ჟანრიც ცხოვრებისეულ რუტინასთან უფრო მიახლოებულია და დიდ ანალიზს, ფიქრსა და ბჭობას არ მოითხოვს. ქართველ მაყურებელში ამ დონის მარტივი სიუჟეტი ყოველთვის აღვიძებს გრძნობებს, აი, მაგალითად, მიტოვებული ცოლი, საზიზღარი საყვარელი, მოღალატე ქმარი, ბოროტი დედამთილი, დაჩაგრული გმირი, უდედოდ გაზრდილი ღარიბი ბავშვი და ა.შ. ამ ჟანრის სერიალებმა კი, ასე თუ ისე, საზოგადოებაში ცხოვრების იმ ტიპის მოდელის შემოთავაზება და პროპაგანდა შემოიტანეს, რომლებმაც ასე თუ ისე შეცვალეს ქართველი ქალის მენტალიტეტი, როცა მათ და „ნასკის გახდის“ საპირისპიროდ ეკრანზე ნახეს ქმრები, რომლებიც საკმაოდ ხშირად იჩაგრებოდნენ. თუმცა ლათინო-ამერიკული სერიალებით მობეზრებულმა ქართველმა მაყურებელმა „ახალი ამერიკა“ დღეს უკვე თურქულ სერიალებში აღმოაჩინა. ლათინო-ამერიკული სერიალებისგან განსხვავებით, თურქული რეალობა და ადამიანური ურთიერთობები, ჩვენთვის, ალბათ, უფრო ახლოსაა და საკმაოდ ნაცნობია. აქ სწორედ ისეთივე კულტია ოჯახის, როგორც ჩვენთან. შესაძლებლობის მიუხედავად, ერთ სახლში ცხოვრობს, მამა, თავისი სამი შვილით, მათი ცოლებით, მათი შვილებით და ა.შ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თურქული ცხოვრების წესი ჩვენთვის შეიძლება უფრო მისაღებია. თურქულ სერიალებში კარგად ჩანს თაობებს შორის განსხვავებაც, რომელიც ასევე ძალიან ახლოსაა ჩვენს ქვეყანასთან, განსხვავება დედასა და შვილს შორის, როცა ახალი თაობის ქალი, დედისგან ან დედამთილისგან განსხვავებით, თავსაბურავის გარეშე გვევლინება. ყოველივე ამასთან ერთად ასევე შესაძლებელია, რომ თურქულმა სერიალებმა უფრო ნაცნობი გახადა ის ქვეყანა, რომელთანაც საკმაოდ ხშირი კონტაქტი გვაქვს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასე ჰარმონიულად ერთმანეთს მხატვრული და რეალური ცხოვრება ებმება.

საქართველოში პირველი სერიალები 90-იანი წლებიდან იწყებს ტრანსლირებას, სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ სერიალებზე დიდი მოთხოვნაა და მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდება. სერიალების გადაღების დროს, რა თქმა უნდა, ხდება კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის ბაზრის მოთხოვნილებების შესწავლა და დამკვეთი არხის მოთხოვნების გათვალისწინება, რადგან ამერიკული სიტუაციური კომედიის იუმორის პირდაპირ გადმოტანა ქართულ რეალობაში საკმაოდ არამომგებიანია. თავისთავად იმაზე, რაზეც ამერიკელ ხალხს ეცინება, ქართველებს არ გვეცინება და ასეა პირიქითაც. ამერიკული „სიტკომი“ ამ კონკრეტულ ქვეყანაში მოხმარების შიდა პროდუქტია, სწორედ ამიტომ ჩვენს ქვეყანაში გადმოღებული გვქონდა ამერიკული „სიტკომის“ ფორმატი, რომელიც მორგებული იყო ქართულ რეალობაზე. მაგალითად, ჩვენთან ასე პოპულარული „შუა ქალაქი“, ამერიკაში მაღალრეიტინგული „Friends“-ის ქართული ანალოგია, რომელიც სრულიად გადმოქართულებულია და ლოგიკურად მიესადაგება იმ იუმორს, რომელზეც ქართველებს გვეცინება. დიდი ყურადღება ექცევა მსახიობებსაც, რადგან მათ ცნობადობაზე და პროფესიონალიზმზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. სწორედ მსახიობების რამდენიმე ტიპზე იგება მთლიანად „სიტკომები“, ასე იყო „შუა ქალაქის“ შემთხვევაში, დათოს, ირაკლის, თამარისა და ქეთევანის ხასიათისგან ვითარდებოდა მთლიანად სიტუაცია, რადგან თითოეული ამ გმირის ხასიათი კარგად იყო დამუშავებული და მორგებული ჩვენს რეალობაზე, ყველას გვყავდა ასეთი მეზობლები, მეგო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გასვეცკეებული“ სერიალ მანია

ბრები და ასე შემდეგ. თუ კარგად დავაკვირდებოდით სერიალის გმირებს, ზოგ შემთხვევაში შეგვეძლო საკუთარი თავებიც კი ამოგვეცნო მათში, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, იშვიათად ხდებოდა. „ღამის შოუს“ სტუდიის ამ ნაწარმში აქცენტი იყო გაკეთებული ისეთ ადამიანზეც, რომელიც სულელის როლის თამაშით ახერხებდა მაყურებლის გულის მოგებას, სწორედ ამიტომ გვეცინებოდა სანდროს სისულელეზე და მთელი საქართველო ერთობოდა ამ გმირის სიდებილით, რომელიც რაღაც მომენტებში საყვარლადაც კი გვეჩვენებოდა. სერიალში რამდენჯერმე შემოვიდა პოლიტიკური ნიშანიც და შესაბამისად სერიალის საშუალებით გარკვეული სახეების და პოლიტიკური ძალების პროპაგანდასაც შეამჩნევდა დაკვირვებული თვალი, განსაკუთრებული გააქტიურება არჩევნების პერიოდში იყო, მაგალითად, აღსანიშნავია ფაქტი, როცა ამ დროს სერიალში გამოჩნდა გიგი უგულავა, საზოგადოებას მაშინდელი თბილისის მერი სწორედ ამ მომენტმა დაანახვა პოზიტიურ ჩარჩოში. ასეთი ტიპის სერიალებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა, თუმცა, პოპულარობის მიუხედავად, ბაზარზე ამ სახის ბევრი პროდუქტი არ გვხვდება, რადგან მისი წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება. Friends-ი სატელევიზიო ბადეში 7-8 საათიან ზონაში იჯდა, მისი ქართული ანალოგი კი ეთერში ამ დროს ვერ გავიდოდა, რადგან აქ რეკლამა ბევრად ნაკლები იყო და სწორედ ამიტომ, „ძუა ქალაქი“ ქართველ მაყურებელს საღამოს 10 საათზე, ყველაზე მომგებიან დროს ევლინებოდა.

სხვა მრავალ ქვეყანასთან ერთად, „უშნო ბეტის“ ქართული ანალოგი საკუთარ რელობას საქართველომაც მოარგო - „გოგონა გარეუბნიდან“. ამ სერიალის გმირები ზუსტად ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდებიან, საკუთარ უბნებში, მარკეტებში, სადაც ჰურის და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთების საყიდლად დავდივართ, თეტრებში, კინოებში, ქართულ ქორწილებსა თუ ქელეხებში და ა.შ. როცა თავიდან „გოგონა გარეუბნიდან“ გადიოდა, ის ძალიან მოსწონდათ თბილისელებს, მაგრამ ნაკლებ ინტერესს იწვევდა პერიფერიებში, რადგან პროვინციაში მცხოვრები ადამიანისთვის ცოტა უინტერესო იყო ვაკელებისა და გლდანელების კონტრასტი, თუმცა, როცა სერიალს დაემატა გურიის ერთ-ერთი სოფელი და იქაური პერსონაჟები, სერიალმა პოპულარობა სოფლებშიც მოიპოვა. სწორედ მათნაირმა ადამიანებმა გამოინვიეს დიდი ინტერესი პროექტის მიმართ, რომელმაც თავისთავად რეიტინგულობა განაპირობა. ეს ყველაფერი ლოგიკურიცაა, რადგან, როცა სერიალში არის მრავალფეროვნება და გმირები ერთმანეთისგან განსხვავდებიან მეტყველების მანერით, ლექსიკით, ქმედებით, ჩაცმის სტილითა და ვიზუალით, შოუ უფრო სანახაობრივია, მიზნობრივი აუდიტორიაც იზრდება და სერიალი ხდება მაყურებლისთვის უფრო საინტერესო და შესაბამისად, ყურებადიც. ტელევიზიის ინტრიგებში გახლართული გარეუბნელი გოგო მთელი გულით უყვარდა საზოგადოებას. აღნიშნული პროექტის რეიტინგულობა, თავის მხრივ, საზოგადოებისთვის მისაღებ ღირებულებებზე ორიენტირებამაც გამოიწვია.

ქართველი რეჟისორები სერიალებს ძირითადად ამერიკული სქემის მიხედვით იღებენ. წესია ასეთი, რომ თუ ფორმატს ყიდულობ, მას ზუსტად უნდა მიჰყვე, არ უნდა შეცვალო სტრუქტურა და მხოლოდ გადმოაქართულო, თუმცა საქართველოში ასე არ ხდება. აქ უფრო ხშირია, რომ უყურებენ ამერიკულ სერიალებს, იღებენ და შემდეგ უბრალოდ არგებენ ახალ რეალობას. დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალის, „ჩემი ცოლის დაქალები“-ს შემთხვევაში, პარალელებს სერიალებთან „სექსი დიდ ქალაქში“ და „სასოწარკვეთილ დიასახლისებთან“ ავლებენ. თუმცა, სერიალის სცენარისტი ქეთი დევდარიანი ამბობს, რომ ამ პროექტის შექმნის იდეა მოუვიდა ქართული ფორუმიდან, სადაც ქალები თავიანთ პრობლემებს განიხილავდნენ. ალბათ, სწორედ ამიტომ სერიალს კონკრეტული ჟანრიც არ აქვს. ეს უბრალოდ მხიარული, რეალისტური სერიალია, რომელიც თითქმის აბსოლუტური სიზუსტით ასახავს თბილისურ ცხოვრებას, სადაც უამრავი მანანასნაირი დედამთილი, კატოსნაირი სულელი, პრანჭია გოგო, დათოსნაირი „პატიოსანი“ ქმარი და თინასნაირი „უფლებადამცველი ფემინისტია“.

სერიალში ყოველთვის არის დიდი მცდელობა განვითარდეს და განიფინოს სიუჟეტი, არის ასევე ინტრიგაც, რომელიც ასე აუცილებელია ამ ტიპის სატელევიზიო შოუსთვის. „ჩემი ცოლის დაქალები“ საკმაოდ კარგად გამართული დრამატურგიაა. არაჩვეულებრივი სამსახიობო გუნდის წყალობით შეკრული და ორგანულია ყველაფერი. სერიალში სხვადასხვა აქცენტები კარგადაა ნამოწეული. ქალების ჭორაობა, მეგობრობასთან ერთად სერიალში სოციალური პრობლემებიც მახვილგონივრულად არის ასახული. „ჩემი ცოლის დაქალებში“ ირონიაც იგრძნობოდა, როცა პროექტში გამოჩნდა მირიან ბარათეონი, რომელსაც არ ჰქონდა საიდუმლოებები, არ ჭამდა არაფერ ფრთიანს, იბრძოდა „შავ არწივში“, არ უყვარდა ციფრი 6 და ექვსიანი მის არც ერთ საბუთში არ იყო, არც ტელეფონის ნომერში. მაღალი, მდიდარი, ქარიზმატული, მორწმუნე და პოეზიაზე შეყვარებული მირიანი, რომელიც მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდა, მაყურებლების ზოგმა ნაწილმა საკმაოდ ნეგატიურად მიიღო, რადგან მასში საზოგადოების უმეტესობამ ბიზნესმენ ლევან ვასაძის სახე დაინახა. „ჩემი ცოლის დაქალების“ მიმდინარე და ამჟამად უკვე ბოლო სეზონის ყველაზე მოთხოვნადი და პოპულარული ახალგაზრდა ამბიციური პოლიტიკოსის, ცოტნე ცოტაშვილის სახე და მისი სცენებია. ამ სეზონის კოზირი მის გარშემო შექმნილი სიტუაციებია. „ურა პატრიოტების“ ლიდერის სამსახურებრივისა და პირადი ცხოვრების სინთეზმა სერიალის მაყურებელს მეხუთე სეზონის ყურების ინტერესი ნამდვილად არ დააკარგვინა და პირიქით, ხალხი კულმინაციისა და გრანდიოზული ფინალის მოლოდინშია.







სიუჟეტი ვითარდებოდა ხოლმე, ყოველივე ამ წყებას კი უბრალოდ რამდენიმე გმირი და საერთო პროფესია აერთიანებდა.

სხვადასხვა ტიპის სერიალის შემთხვევაში მაყურებლისთვის გადაგდებული სატყუარა სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა ხარისხის შეიძლება იყოს, იქნება მძაფრი ვნებები, ტანჯული სიყვარული, მოულოდნელი სიუჟეტური სვლები, ჩახლართული ინტრიგა და სხვა, მაგრამ ის, რომ სატყუარა უნდა არსებობდეს, ამაზე ორი აზრი არაა. სატყუარის სიდიდე და მიმზიდველობა კი დამოკიდებულია სერიალის ჟანრზე, მიზნობრივ აუდიტორიაზე, დაფინანსებაზე. სერიალი მაშინაა სერიალი, როცა ის კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას, და ნებისმიერ წერტილში ჩართვისას, ახერხებს მაყურებლის „დაბმას“, როცა მაყურებლი „დაბმულია“ იძულებული ხდება მუდმივად ადევნოს თვალი ეკრანს, ყველაფერი ეს კი რეკლამის მიმწოდებლის ინტერესებშიც შედის. გართობის გარანტია კი ინტრიგაა, ის ინტრიგა, როდესაც თხრობა წყდება კულმინაციურ მომენტში, ცნობისმოყვარეობა გააქტიურებული მაყურებელი კი იძულებულია მომდევნო სერიას უყუროს. ყველა ეპიზოდი უნდა დამთავრდეს დაპირებით, რომ თხრობის ხაზი სხვა ეპიზოდში საინტერესოდ განვითარდება.

იყო დრო, როცა მშობლებს დავცინოდით, როდესაც ისინი ტელევიზორში ბრაზილიურ სერიალებს უყურებდნენ, დღეს კი, მოდაში ასე შემოსულ თურქულ სერიალებს უყურებენ და ჩვენ ისევ გვეცინება (თუმცა თვალს ვაპარებთ ხოლმე და ყველაფერი, ასე თუ ისე, ვიცით), მერე კიდევ ყველას გასაგონად დაუსრულებლად ვლაპარაკობდით ამ ტიპის სერიალების სიუჟეტების უაზრობაზე. ისე ხანდახან ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანების უმეტესობას „გასვეცკებული“ სერიალების ყურების საშუალება არ აქვთ და უყურებენ კვლავ იმას, რაც მათ ტელევიზია სთავაზობს, ან უბრალოდ, ამ ადამიანებმა საკმაოდ ბევრი რამ ნახეს ცხოვრებაში და უბრალო, სტანდარტული და წინასწარ განსაზღვრული სცენარით ყოველდღიური რუტინის გასამარტივებლად დასვენება სურთ. ჩვენ, ისევე ვართ გაგიჟებულები ტარგარიანებზე და სტარკებზე, როგორც ისინი სანტიანგო დომინგესებზე ან სულეიმან სულთნებზე. თუმცა ყოველივე ამის მიუხედავად, სერიალების მრავალფეროვნების მიუხედავად, თითოეული სერიალის ყურებისას ადამიანი იკმაყოფილებს სოციალური ადაპტაციის მოთხოვნილებას, რადგან სერიალები, ასე თუ ისე, მაინც გვიჩვენებენ ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ეს კი საუკეთესო განტვირთვის საშუალებაა. სერიალები გვეხმარებიან არ ვიფიქროთ საკუთარ პრობლემებზე და ცოტა ხნით გადავერთოთ სხვის ბედ-იღბალზე. მთავარია, როდესაც ავტორებს სერიალის მომდევნო სერიის გამოსვლა დააგვიანდებათ, „ლომკები“ არ დაგვეწყოს, ავტორების ოჯახის წევრებზე და მათ ორიენტაციაზე ნაკლები ვილაპარაკოთ და ვცადოთ არსებული სიცარიელე სხვა უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო რაღაცებით შევავსოთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მამულიჩა და ნუცა ბუზალაძე „იურმალაზე“ გამარჯვებას გეგმავენ

my View
თამარ გონგაძე

„ახალ ტალღაზე“ საქართველოს წელს 17 წლის ნუცა ბუზალაძე წარადგენს. იურმალას კონკურსანტობა თვითონ მოისურვა და აზრი ოჯახის ახლობელ ლელასა და მამულიჩას ჰკითხა. შიდაშესარჩევი კონკურსი გაიარა, ჟიურიმ ნინი ცნობილაძესა და ნუცა ბუზალაძეს შორის არჩევანი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გააკეთა. თინეიჯერული ასაკისთვის საკმაოდ თავდაჯერებულია. რამდენიმე თვის წინ პროექტ „ერთი-ერთში“ კარგად შესრულებული ნომრებით დაიმახსოვრებდით. როგორც თქვეს, წელს, „ახალ ტალღაზე“ ძლიერი შემადგენლობაა. მოკლედ, ნუცას იურმალისთვის მზადება დაწყებული აქვს და ამაში პროდიუსერობაში დაოსტატებული კახა მამულაშვილი ეხმარება. მის იმიჯსა და ვიზუალზე ლელა წურწუმია იმუშავებს. შავი სამუშაო მე მეხებაო, მამულიჩა ამბობს.



კახა მამულაშვილი: „ყველა ვარიანტში სამეულში უნდა შევიდეთ, ეს პროგრამა მინიმუმია.მაქსიმუმით - გვინდა გავიმარჯვოთ“

„ამ კონკურსის ყველაზე პატარა შემსრულებელია და ალბათ, ეს რაღაცებში წაადგება. არ დაჩაგრავენ“

„პატარა კი არის, მაგრამ იცის, რომ საქმეში უკომპრომისო ვართ მეც და ლელაც. იცის, რომ ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ - დახვრეტაა. ნიჭიერი და დაუზარელია. ცოტა ჯიუტიც არის, მაგრამ რქები ნელ-ნელა ტყდება“

„რქები ნელ-ნელა ტყდება“

ნუცას და მამულიჩას ტანდემს ხუთწლიანი ახლობლობა უძღვის. ლელას თხოვნით ნუცა „ნიჭიერში“ აღმოჩნდა და ნახევარფინალიდან გამოეთიშა პროექტს. მერე ბერას სტუდიაშიც ლელას რჩევით მივიდა და ისწავლა. მერე კი იყო „ერთი-ერთში“.

კახა მამულაშვილი: - ნუცას სურვილი რომ ვიცოდით, თბილისში ჩამოსული რევზინის ნახვა გვინდოდა, ლელა ახლოს არის რევზინთან. მაგრამ იმ დღეს „ორი ვარსკვლავის“ ჩაწერა იყო. ამიტომ ნუცა უჩვენოდ მივიდა, იმღერა და პასუხს დაველოდეთ. იურმალამდე თუ არ ამომხადა სული, გახლავართ მისი პროდიუსერი. ძალიან ბევრი ენერგია აქვს და არ იცის, სად წაიღოს. დილიდან საღამომდე ჩემს სისხლს აშრობს. ტელეფონზე და „ფეისბუქზე“ მაწრიალებს. ლელას დაურეკეს, ნუცა იურმალაზე გასულიაო, დილის 4 საათი იყო. დავურეკეთ და გავალვიძეთ. მერე ჩვენ დილის ექვს საათზე დავიძინეთ, გახარებულებმა. ნუცამ ათი საათიდან დაიწყო რეკვა, რას ვშვრებით? როგორ ვშვრებითო? მივხვდი, რომ შარში ვიყავი :) პატარა კი არის, მაგრამ იცის, რომ საქმეში უკომპრომისო ვართ მეც და ლელაც. იცის, რომ ნაბიჯი მარცხნივ, ნაბიჯი მარჯვნივ - დახვრეტაა. ნიჭიერი და დაუზარელია. ცოტა ჯიუტიც არის, მაგრამ რქები ნელ-ნელა ტყდება.

„ნუცასთან დაკავშირებით მშვიდად ვარ“

ნუცამ კონკურსზე სამი სიმღერა უნდა წაიღოს. ჟიურის წევრებმა ქართველი კონკურსანტის ჯერ მხოლოდ თავისუფალი თემა დაამტკიცეს. ქართული სიმღერები გაგზავნილია, მაგრამ ჯერ არჩევანი არ გაკეთებულა. თავისუფალ თემად კი ნუცა მაია კაჭკაჭიშვილის ინგლისურენოვან სიმღერას იმღერებს. ტექსტი ბიბი კვაჭაძემ დაწერა. ლირიკული სიმღერაა ოცნებაზეო, ამბობს.

მამულიჩა: - ნუცა ძირითადად უცხოურ სიმღერებს მღერის, ქართულ სიმღერაზე გაჭედილი ვართ. პედაგოგი უნდა ავუყვანოთ. ველოდებით, რა სიმღერას აგვირჩევენ გაგზავნილი სიმღერებიდან, რომ შევესიოთ და ვოკალურად მასზე ვიმუშაოთ. იქ კარგი დროის გატარებას ვაპირებთ, ნუცა გაიცნობს ხალხს, მე მივლის. ვეცდებით მაგრად გამოვიდეთ. ყველა ვარიანტში სამეულში უნდა შევიდეთ, ეს პროგრამა მინიმუმია. მაქსიმუმით - გვინდა გავიმარჯვოთ.

- აქცენტი რაზე გექნებათ?

- ნუცას ბუნებრიობაზე. ცოცხალი გოგოა. ამ კონკურსის ყველაზე პატარა შემსრულებელია და ალბათ, ეს რაღაცებში წაადგება. არ დაჩაგრავენ. საყვარელი და პატარაა. ლელამ, ანუ შეფმა თქვა, როგორიც არის, ისეთივე იქნება იურმალაზეცო.

ნუცა: - მინდა სამივე გამოსვლაზე სხვადასხვანაირი ვიყო. სიმღერებიც სხვადასხვა სტილის მქონდეს და მეც განსხვავებული ვიყო.

მამულიჩა: - მყარი ფსიქოლოგია აქვს. ღამე რომ გააღვიძო და ამღერო, იმღერებს. იურმალაზე ნანახი მაქვს როგორ ნერვიულობენ კონკურსანტები. ამიტომ ნუცასთან დაკავშირებით მშვიდად ვარ.

ნუცა: - რახან გადავწყვიტე იურმალაზე გამოსვლა, მთლიანად ვარ მობილიზებული, რომ არ ვინერვიულო. დაცდილი მაქვს, სადაც არ ვინერვიულე, ცუდად ვმღერი. ამიტომ ცოტას ვინერვიულებ.

მამულიჩა: - დუეტ „ჯორჯიას“ მერე იურმალაზე არ ვყოფილვარ. მათი გამარჯვება ნარკოტიკივით იყო. დიდი დადებითი მუხტი მივიღეთ, რომელიც დიდხანს გამყვა და კიდევ გამყვება. იქ ყოფნის ყოველი წამი მახსოვს. ბოლოს უკვე ვგრძნობდით იქამდე მივდიოდით, რომ გავიმარჯვებდით. ყველაზე მთავარი რუსეთის ქულები იყო. ათიანები რომ წავიდა და მეხუთე ათიანი დავინახე, ვიპ დარბაზში რომ შემოვხტი, დაცვამ ჩემი დროშითა და ყვირილით გამომაგდო. გპირდებით ჩვენი გამოსვლა წელსაც ძლიერი იქნება. თუ დაბალ ქულას დაწერენ, იმას კი არ იტყვიან, ნუცამ ცუდად იმღერაო, იტყვიან - ჟიურიმ დაჩაგრაო. გვინდა ქვეყანა ვასახელოთ. მხარდაჭერა გვჭირდება და ჩვენი ქართველი მომღერლები მოგვყვებიან.

- იურმალას მერე ქართველი კონკურსანტები თხოვდებიან, მაგალითად, სოფო ხალვაში, მაკა ზამბახიძე ამ კონკურსის მერე უცებ გათხოვდნენ. ნუცა, პატარა კი ხარ, მაგრამ რაიმე საინტერესოს ელოდები ამ მხრივ?

ნუცა: - იქ გავიცნობ კარგ ბიჭს :)

მამულიჩა: - ბევრი მაყუთი უნდა ჰქონდეს, რომ რესტორნებში გვატაროს, მოგვიაროს :) უფულო და ლამაზი არ გვჭირდება. ასე ადვილად არ დავთმობთ:)

ნუცა: - ჯერ ამაზე არ ვფიქრობ.

მამულიჩა: - მაგაზე იფიქრებ და უკვე ნერვებს მიშლი. შენი შეყვარებული იურმალამდე მე ვარ. იქედან რომ ჩამოხვალ, მერე იმან, ვინც იქნება აქეთ მოგძებნოს.

საუკეთესო ნარკოტიკია

- პროდიუსერობა მოგენატრათ?

მამულიჩა: - ძაااან მაგრად მომენატრა. ჩვენი ქვეყანა არ იძლევა ფრთის გაშლის საშუალებას. კარგი მასალა გაქვს და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობების გამო ფრთას ვერ შლი. მე რომ ენერგიას და ძალას ვიღებ ლელას კონცერტებიდან, არ ვიცი სხვას რას შეუძლია იგივე ენერგია მომანიჭოს. საუკეთესო ნარკოტიკია ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ იშვიათი გახდა. ლელას კონცერტებზე დამხმარე არ მყავს. იმიტომ კი არა, რომ არ მჭირდება. როდესაც ვიღაცას ავალებ, მერე შეცდომას იმ ადამიანებში ეძებ ხოლმე. ეს არ მინდა, ამიტომ მე ვაკეთებ.

ნუცა: „რადგან გადავწყვიტე იურმალაზე გამოსვლა, მთლიანად ვარ მობილიზებული, რომ არ ვინერვიულო“

- და ის, რაც ამ ბოლო დროს მოგწონთ, რა არის?

- მომწონს სატელევიზიო შოუებში ბევრი ცოცხალი გაფორმება რომ წამოვიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამეა. ორკესტრი და ბენდი მომღერლისთვის და მით უმეტეს დამწყები მომღერლებისთვის ხომ საერთოდ დიდი ფუფუნება და პრაქტიკაა.

„რეალური არსებები“ გამოვიდა



my View
თამარ გონგაძე

თეონა დოლენჯაშვილმა, როგორც იქნა, დაპირებული რომანი გამოუშვა. ჯერ იყო და რომანი ვერ დაასრულა, მერე გამოშვების დათქმულ დროს გადააცილა. მოკლედ, მწერალი და დედლაინი, როგორც აღმოჩნდა, ვერ მეგობრობენ. შესავლიდან ჩანს, თუ როგორ მეჩქარება ამ წიგნის წაკითხვა. მეტიც - ჩასაფრებული ვარ :) მიზეზი - ავტორს მოსწონს საკუთარი რომანი და ეს უკვე საინტერესოა. 23 მაისს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ თეონას რომანი წარმოადგინა. პრეზენტაციას მწერლის კოლეგები და ცნობილი სახეები დაესწრნენ. რაზეა წიგნი? ამაზე ავტორი გვიყვება.

თეონა დოლენჯაშვილი: - ეს არის ერთგვარი ექსპერიმენტი, რომანი - ანტიუტოპია. ვისაც ახსოვს მოთხრობა „რეალური არსებები“, ეს რომანი ამ მოთხრობის ერთგვარი გაგრძელებაა, სადაც მოქმედება უკვე 15 წლის შემდეგ ხდება. სქელტანიანი რომანები დღეს აღარ იწერება. თანამედროვე რომანის ფორმატისაა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მე პირადად, როგორც ავტორს, მომწონს ის, რაც დავწერე. მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც გამოვიდა. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სრულებით მოვახერხე პერსონაჟებისგან ემოციური დისტანცირება. ეს არის რომანი ადამიანებზე, ცოცხალ ადამიანებზე, რეალურ ცხოვრებაზე და ამიტომ ის მტკივნეული რომანია, შეიძლება ითქვას, სასტიკი, გამოუვალი... როდესაც რომანის ფრაგმენტები „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა, ბევრ ქათინაურთან ერთად მითხრეს, რომ აქ ბევრი ეროტიკული სცენაცაა. მე არ ვარ ეპატაჟისტი მწერალი, მაგრამ თუკი ამ ტექსტში რამდენიმე, ასე ვთქვათ, „სკანდალური“ სცენა იქნება, ეს პერსონაჟების ბრალია და არა ჩემი:)

EXCLUSIVE

„მე არ ვარ ეპატაჟისტი მწერალი, მაგრამ თუკი ამ ტექსტში რამდენიმე, ასე ვთქვათ, „სკანდალური“ სცენა იქნება, ეს პერსონაჟების ბრალია და არა ჩემი“

თეონა დოლენჯაშვილი: „ეს ის შემთხვევაა, როდესაც, მე პირადად, როგორც ავტორს, მომწონს ის, რაც დავწერე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირინა ბაირამაშვილი პარიზში გათხოვდა

მიკა ღაღაშვილი: „მექალთანე ვიყავი, მაგრამ ირინას შემდეგ ჩემთვის ყველა ქალს გადაესვა ხაზი. გარეთ თუ მოღრუბლულია, ჩემს საძინებელში ყოველ დილით ამოდის ჩემი მზე - ირინა“

„მიკა ოთხი წლით უმცროსი კი არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ მე ვარ მიკაზე 10 წლით უმცროსი. ისეთ კითხვებს დავაბრეხვებ, სიცილით კვდება, პატარა ხარო. ძალიან „დასტოინი“ ქმარი მყავს“

„მაბნევდა. თურმე მტესტავდა, მაეჭვიანებდა და სიამოვნებდა ჩემი გაბუსხვა. ორჯერ ულამაზესი საათი მაჩუქა. ერთ-ერთ საათს ქსოვილის სამაჯურზე ეწერა - „მევასებიო“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

ირინა ბაირამაშვილმა 20 მაისს ხელი მოაწერა. ადამიანი, ვისთან ურთიერთობაც მომღერალმა ასე სპონტანურად გააოფიციალურა მიხეილ ღაღაშვილია. ერთმანეთს მხოლოდ თვენახევარია იცნობენ. თვლიან, რომ გიჟურად მოიქცნენ, მაგრამ სიყვარულის სახელით. ნიშნობა და ხელის მოწერა „როიალ ბატონში“ ჰქონდათ. ირინას ყველა ვიცნობთ. „ჯეოსტარელი“ მომღერალი ბოლოს „ახალ ხმაში“ გამოჩნდა. თიკა ჯამბურიასთან ერთად ნინო ჩხეიძის გუნდში იყო. სხვათა შორის, თიკა ირინას მეჯვარეა.

24 წლის მიკა სამი წელია პარიზში ცხოვრობს. ჯერ ენა შეისწავლა. მერე კი „ლორეალის“ კომპანიაში სუპერვაიზერის პოზიციაზე დაიწყო მუშაობა. პარფიუმერია თავზე საყრელი მაქვსო, ხუმრობს ირინა. სამი წლის განმავლობაში სულ სამჯერ იყო მიკა საქართველოში. თვე-ნახევრის წინ მორიგი მოკლე ვიზიტი ჰქონდა დაგეგმილი. მაგრამ ბედისწერამ 28 წლის ირინა ბაირამაშვილს შეახვედრა. ყველაფერი თავდაყირა დადგა. მიკა საგარეჯოში ჩავიდა, ბებიასთან. ირინა მეგობარმა პარიზიდან ოთხი დღის წინ ჩამოსულ მიკასთან მიიყვანა სტუმრად.

„ირინასთან ერთად სრულად გავგიჟდი“

ირინა: - ჩემთან, საგარეჯოში, სახლში რომ ვთქვი, მიკასთან ვიყავი-მეთქი, გამომკითხეს, ვინ არისო. აღმოჩნდა, რომ მიკას პაპა და ბებიაჩემი კლასელები და მეგობრები ყოფილან. ეს ინფორმაცია მეორე შეხვედრისას მე და მიკამ ერთად სინქრონულად ვუთხარით ერთმანეთს. ჩვენც დავმეგობრდეთ-მეთქი. არ მჯერა იდეალური ურთიერთობების, სიგიჟეების და რომანტიზმის-მეთქი, ყოველთვის ვამბობდი. არ ვარ რომანტიკული გოგო. პირდაპირი და ძლიერი ვარ. ამას ხაზს ვუსვამდი. მაგრამ მიკუნამ ისე შემაყვარა თავი, ისეთი საინტერესო პიროვნებაა და ისეთი სიგიჟეები აკეთა, რომ შეუძლებელი იყო ამ სიგიჟისთვის არ მეპასუხა.

მიკა: - მე ვთვლი, რომ ირინა არ შეცვლილა. უბრალოდ, მას აქამდე გვერდით არ ჰყავდა ისეთი მამაკაცი, რომელიც შეძლებდა ირინასთვის მიეცა ძალა, რომ მისთვის საყვარელი ადამიანისთვის ლამაზი შინაგანი სამყარო დაენახებინა. მე შევძელი, რომ მას ეს ყველაფერი გამოემჟღავნებინა. ეს დავინახე, დავაფასე და შევიყვარე. როდესაც ადამიანთან გაქვს ურთიერთობა, მასში სულიერ ღირებულებას უნდა ხედავდე. ის რაღაც ინტერესს უნდა იწვევდეს შენში. როდესაც ადამიანში შენთვის მნიშვნელოვან მომენტს დაიჭერ, მერე მოდის გრძნობა. ერთ თვეში დავინახე ირინაში ეს ჩემთვის ლამაზი და საინტერესო სულიერი მხარე და ბოლომდე გავგიჟდი. ქალში სისადავეს და სულიერ სილამაზეს ვაფასებ. სულ მინდოდა ბოლომდე გავგიჟებულიყავი. აქამდე რეალურ სამყაროს ვუბრუნდებოდი, არ მქონდა სრული გაგიჟების საშუალება. მიხარია, რომ ირინასთან ერთად სრულად გავგიჟდი.

„თურმე მტესტავდა, მაეჭვიანებდა“

მიკას ცოტა ხანში ძალიან მობეზრებია თბილისში ყოფნა. ირინას უთხრა, მოდი, რაღაც მოვიფიქროთო. და ბარში სიმღერა შესთავაზა.

ირინა: „არ ვარ რომანტიკული გოგო. პირდაპირი და ძლიერი ვარ. ამას ხაზს ვუსვამდი. მაგრამ მიკუნამ ისე შემაყვარა თავი, ისეთი საინტერესო პიროვნებაა და ისეთი სიგიჟეები აკეთა, რომ შეუძლებელი იყო ამ სიგიჟისთვის არ მეპასუხა“

ირინა: - სამომავლო გეგმაში ბარის გახსნა უკვე გვაქვს. მიკუნას აინტერესებდა თბილისში როგორი იყო ბარებში სიტუაცია. მოკლედ, ერთ ბარში თავისი ღვინის პრეზენტაცია გააკეთა. მე და ნინია მეტრეველმა საღამო მოვაწყვეთ, ვიმღერეთ. ამ საღამოზე ულამაზესი ვარდი მაჩუქა. აქამდე ბიჭისგან არც ყვავილის მორთმევა მიყვარდა და არც ლექსის წაკითხვა. მიკამ ლექსიც შემაყვარა და ყვავილიც. ლექსებს წერს და მეც მიძღვნის. მის ლექსზე სიმღერის ჩაწერა მინდა. ამ საღამოს მერე მეგობრის სახლში მივედით. დაღლილი ვიჯექი დივანზე. შემოვიდა, ზრდილობიანად და გალანტურად მითხრა, მეშინიაო. მივხვდი რაღაცის თქმას აპირებდა და გავატარე. ძალიან სიმპათიურია და თან ვფიქრობდი, ერთ თვეში მიდის და არ მინდა ფლირტი დაიწყოს და მერე გავჩერდეთ-მეთქი, მეშინოდა. რისი გეშინია-მეთქი, ვკითხე. რომ არ შემიყვარდეო, მითხრა.

მიკა: - თავი დახარა, შერცხვა. მეგობრულად მიყურებდი და ასე უცებ როგორ შეგიყვარდიო? რასაც ვგრძნობ, იმას ვამბობ-მეთქი, ვუთხარი. მეშინოდა, იმიტომ, რომ პარიზში უკან წასვლას ვაპირებ ისევ. აქ არაფერი ხდება გარდა იმისა, რომ უკვე ულამაზესი მეუღლე მყავს გვერდით. ნიჭიერი და ლამაზი ფიზიკურად და სულიერად, ამიტომ ღირდა ჩემი აქ ჩამოსვლა. ყველაფერი ერთფეროვანი და უაზრო იყო. ირინამ კი გააფერადა.

ირინა: - მე მინდა ჩემი შვილების დედა იყოო, იმავე ღამეს მთხოვა ხელი. გული ამიჩქარდა, სული შემეხუთა. ერთხელაც სახლთან მომაკითხა. მანქანაში ჩავჯექი და „ლავაცას“ ყავა მოგიტანე, დალიეო, მითხრა. გამოვართვი და ცარიელი მომეჩვენა, მჩატე. რა დავლიო, შიგნით არაფერია-მეთქი. თავი მოვხსენი და შიგნით ვარდი იდო. წითელი არა, ძმაკაცები ვართ და თეთრი ვარდი უნდა მომიტანო-მეთქი, ვუთხარი. თეთრიც მომართვა. ასე მაბნევდა. თურმე მტესტავდა, მაეჭვიანებდა და სიამოვნებდა ჩემი გაბუსხვა. ორჯერ ულამაზესი საათი მაჩუქა. ერთ-ერთ საათს ქსოვილის სამაჯურზე ეწერა - „მევასებიო“. როგორ გევასები, ძმაკაცები ვართ-მეთქი. ძმაკაცებიც ვართ და მევასები კიდეცო.

მიკა: - უარი რომ მითხრას, როგორ ტეხავს, ველარც ვიმეგობრებ-მეთქი, ჩემთვის ვფიქრობდი.

ირინა: - მე ვფიქრობდი ძალიან სიმპათიურია და მექალთანე იქნება-მეთქი.

მიკა: - მექალთანე ვიყავი, მაგრამ ირინას შემდეგ ჩემთვის ყველა ქალს გადაესვა ხაზი. გარეთ თუ მოღრუბლულია, ჩემს საძინებელში ყოველ დილით ამოდის ჩემი მზე - ირინა. თვალებში ვუყურებდი ლექსი რომ დავწერე: „ყველაზე ლამაზი ყვავილი რა არის, ნეტავ? ალბათ, ის არის ქალში რომ ხარობს. ყველა ქალი ხომ ლამაზი არის, რის გამოც კაცი სიცოცხლეს დათმობს“. რაც კი ქალებში სილამაზეა ყველაფერს გაერთიანებულს და შეკრულს ვხედავ ირინაში...

აუზში

ირინას და მიკას ხელის მოწერის ფოტოები სოციალურ ქსელში პირველად თიკა ჯამბურიამ გაავრცელა.

ირინა: „როიალ ბატონმა“ დიდი სიურპრიზი მომიწყო, ლუქსი დამითმეს. კარგი დრო გამატარებინეს. წვიმდა, რომანტიკული ამინდი იყო. მეჯვარეები და ჩვენი დაძმა - შინაურები ვიყავით.

- სოციალურ ქსელშივე გავრცელდა პიკანტური ფოტო - აუზში ხართ.

- მიკუნა წყალბურთელი იყო, წყლისკენ გაუწია გულმა. თან წვიმაში წყალი თბილი იყო. ჩახტა და არც მე დავაყოვნე, მიუხედავად იმისა, რომ ცურვის აზრზე არ ვარ, მიკუნას მკლავებში აღმოვჩნდი. ისეთ თქეშში ვიყავით, სულ გავილუმპეთ.

„ძალიან „დასტოინი“ ქმარი მყავს“

ირინამ აღიარა, რომ ოცნებებიც ხდება და იდეალური სიყვარულიც არსებობს.

ირინა: - მე ყოველთვის ვამბობდი, პარიზული გოგონა ვარ-მეთქი, თხელი და ფარფატა. ამოჩემებული მქონდა პარიზი. ედიტ პიაფის სიმღერაც ვიმღერე „ჯეოსტარში“. როგორც მინდოდა, მართლა ისე მოხდა ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი. თურმე იდეალური მამაკაციც არსებობს, იდეალური სიყვარულიც. მართლა ბედნიერი ვარ, ხანდახან ამის მეშინია კიდეც. ღმერთს ვთხოვ, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ახლაა. მიკა ოთხი წლით უმცროსი კი არის, მაგრამ ვგრძნობ, რომ მე ვარ მიკაზე 10 წლით უმცროსი. ისეთ კითხვებს დავაბრეხვებ, სიცილით კვდება, პატარა ხარო. ძალიან „დასტოინი“ ქმარი მყავს. ძალიან დამოუკიდებელი ადამიანია. 21 წლის ასაკში ზუსტ დროს გაეცალა აქაურობას და თავისი ცხოვრება მოიწყო. ბევრ სიურპრიზს მიკეთებს. ზრუნავს, გემრიელს კერძებს მიმზადებს.

მიკა: - ირინას თვალებში სიამოვნებას რომ ვხედავ, ეს არის ჩემთვის ყველაზე დიდი კაიფი და ბედნიერება.

ქორწილის გადახდას და ჯვრისწერას ივლისის ბოლოს გეგმავენ. მერე კი თაფლობის თვის გატარებას პარიზში გეგმავენ.

„მე მინდა ჩემი შვილების დედა იყოო, იმავე ღამეს მთხოვა ხელი. გული ამიჩქარდა, სული შემეხუთა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„X ფაქტორის“ სექსუალური თინეიჯერების ჯგუფი - „Sparkle“

ანი ჩხეიძე: „სოფომ ჩვენ რომ დაგვტოვა და ბავშვების ჯგუფები გაუშვა, ჩვენზე თქვეს, გადმოყარეს ბაყვები და საცოდავი ბავშვები დაჩაგრესო... სექსუალური გოგონები, სცენის მიღმა, სინამდვილეში ბავშვურები ვართ“

EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

გოგონების ჯგუფ „Sparkle“-ზე სოფო ტოროშელიძემ თქვა, ჩემი დამრტყმელი ძალაა. ჯგუფი შავი კაბებითა და სექსუალური იმიჯით წარსდგა დრამატულ ტურზე და ოთხეულშიც აღმოჩნდა. გოგონებს ისე უნდათ პროექტში ყოფნა, ვერც კი წარმოუდგენიათ „X ფაქტორის“ გარეთ რომ აღმოჩნდნენ, რა უნდა გააკეთონ. ამ ჯგუფში ფეხბურთელ გიორგი მერებაშვილის და და მსახიობ გოგა ჩხეიძის ქალიშვილი მღერის. გოგონებმა ერთმანეთი „ახალ ხმაში“ გაიცნეს. ბოლო სეზონში სამივე დათო ფორჩხიძის გუნდის წევრები იყვნენ, ანუ ერთმანეთის კონკურენტები. რიგზეც კი შეხვდნენ ერთმანეთს, ნინი გველესიანმა სალომე მერებაშვილი დაამარცხა და პროექტი დაატოვებინა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, რომ დამეგობრებულიყვნენ და ჯგუფიც კი შეექმნათ. დამეგობრებას დათოს დამსახურებად მიიჩნევენ.

ჯგუფ „Sparkle“-ს შემადგენლობა ასეთია - 20 წლის ნინი გველესიანი, 19 წლის ანი ჩხეიძე და 16 წლის სალომე მერებაშვილი. ჯგუფის სახელწოდება უიტნი ჰიუსტონის ერთ-ერთი ფილმის სახელიდან აიღეს. „Sparkle“ - ნაპერწკალს და ბრწყინვალებას ნიშნავს. გოგონებიც სცენაზე ამობრწყინებას აპირებენ. პირველი ინტერვიუს წინ სურვილი ჩაიფიქრეს. არც ვოკალის პედაგოგებისთვის დავიწყებიათ მადლობის გადახდა. დღეს რასაც წარმოვადგენ, ჩემი პედაგოგის, ნანა ჟღერიას დამსახურებაა, ნინი ამბობს. სალომეს ბავშვობაში ბოი ხმა ჰქონია. ანსამბლ „ნერგებში“ შეუყვანიათ, ათი წლისას კი სოლო კონცერტიც კი ჩაუტარებია. ანი სამი წლიდან მღერის. ნანა დაუშვილის მოსწავლე იყო და პედაგოგს ისიც მადლობას უხდის.

მსახიობი და ფეხბურთელი გულშემატკივრები

სალომე მერებაშვილი: - ჩემი ძმა ყველაზე მეტად მგულშემატკივრობს, „დინამოს“ ფანკლუბთან ერთად. ყველაზე კარგი ძმა მყავს.

გიორგი მერებაშვილი: ვთვლი, „Sparkle“ ერთადერთი ჯგუფია, რომელიც საქართველოში რაიმეს აკეთებს. მე სხვა გოგონების ჯგუფს ვერ ვიხსენებ. ვამბობდი, დიდ წარმატებას მიაღწევენ-მეთქი. სოფომ ფეხბურთელის ენაზე თქვა - ეს ჯგუფი დამრტყმელი ძალაა. ყოველთვის გვერდში დავუდგები. სალომე 10 წლის იყო სოლო კონცერტი რომ ჰქონდა, მის კონცერტზე კი ისე ვინერვიულე, ჩემს თამაშზე იმის ნახევარსაც არ ვნერვიულობ. სიცივე რომ აგიტანს, ისე მაკანკალებს სალომეს სიმღერის დროს. სალომეზე 12 წლით უფროსი ვარ, სახელი მე დავარქვი.

სალომე: - მე გიორგის თამაშზე ვკანკალებ, ისევე, როგორც ის ჩემს სიმღერაზე.

- გიორგი, როგორც ქართველი და „აზიატი“ არ ღელავ დის სექსუალურ იმიჯზე?

- ვეგუები. „ფეისბუქზე“ ჩასაფრებული ვარ, ვინმემ რამე გადაკრული არ დაწეროს. რაღაცეებზე შეძლებისდაგვარად თვალს ვხუჭავ. სტეფანეზე „გაბრაზებული“ ვიყავი - სექსუალურის გარდა შეფასება არ გაუკეთებია.

ანი ჩხეიძე: - მამაჩემი ჩვენი კრიტიკოსია. მოძრაობებზე შენიშვნებს გვაძლევს. იმწუთას ვმწარდები, მერე ვხვდებით, რომ მართალია. სცენა ჩემთვის უცხო ადგილი არ არის. მამა მსახიობია და კულისებში ვარ გაზრდილი. 19 წლით არის გოგა ჩემზე უფროსი. რაც თავი მახსოვს, შენ მყავხარო, მეუბნება. ის ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარია.

ბავშვურები

გოგონები ჯგუფების კატეგორიაში თავიანთ კონკურენტად არავის თვლიან.

ანი: - ვოკალურ კონკურენტად ჯგუფებში არავის მივიჩნევთ.

ნინი: - გოგოების და ბიჭების კატეგორიაში კონკურენტები გვყავს.

ანი: - საქართველოში ვინც მაღალ ნოტს აიღებს და გაიჭაჭება, ის მოსწონთ.

ნინი: - სამი ადამიანი რომ გამოდის, ძნელია სინქრონში ერთდროულად სიმღერაც და მოძრაობაც. ჩვენზე თქვეს, სინქრონი აქვთ, ხმები - არაო.

ანი: - ჩვენ ჩვენს ხმებს ლაივ კონცერტისთვის ვინახავთ. მახსოვს, სოფომ ჩვენ რომ დაგვტოვა და ბავშვების ჯგუფები გაუშვა, ჩვენზე თქვეს, გადმოყარეს ბაყვები და საცოდავი ბავშვები დაჩაგრესო.

სალომე: - არავისზე ნაკლები არ ვართ, ყველაფერი შეგვიძლია. მაგრამ ჯგუფში მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება, ყველაფერი ერთმანეთს უნდა შეუწყო. სოფომ გვითხრა კიდეც, ჩემს თვალში გმირები ხართო. საქართველოში ჯგუფს სინქრონში სიმღერა და ცეკვა ერთად არ შეუსრულებია.

- ვინ გგულშემატკივრობთ?

ანი: - ძირითადად გოგონები, თუმცა კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, ზოგს ჩვენი შურთ კიდეც. ყველა კომენტარს ვკითხულობ. ერთი 9 წლის გოგო ჩვენზე ნერს - ფუო. დამაინტერესა ვინ იყო. პატარა გოგო შემრჩა, ნერვები მომეშალა, რატომ უნდა გაველანძღეთ.

სალომე: - იყო შემთხვევა, ერთმა ბიჭმა სამივეს მოგვწერა საფლირტაო ფრაზები.

- „Fancy Girls“ თქვენს მსგავსად სექსუალური იმიჯი აქვს, არ გართმევთ გულშემატკივრებს?

სალომე: - არა, ჩვენ ვართ სექსუალურები, მაგრამ მიუწვდომლები. არაგამაღიზიანებლები და არა ვულგარულები. „Fancy Girls“-თან კარგი ურთიერთობა გვაქვს. არ ვიცით ლაივზე რა მოხდება, მაგრამ ახლა ყველა კონკურსანტი გვიყვარს.

შეყვარებული არც ერთს არ ჰყავს. ასე რომ, ბიჭებო, გააქტიურდით.

სალომე: - მე, როგორც პატარას, ანი და ნინი მცველებივით დამყვებიან. ხუმრობით ანი ჩემი დედაა, ნინი მამა. ვინმე ბიჭი რომ მომიახლოვდება, ესენი უცებ ამომიდგებიან გვერდით, რა ხდებაო.

ანი: - სექსუალური გოგონები, სცენის მიღმა, სინამდვილეში ბავშვურები ვართ.

სექსუალური მზერა

აღიარებენ, რომ „X ფაქტორი“ მეგაშოუა და თავს ძალიან კომფორტულად გრძნობენ ამ პროექტში.

ანი: - ხალხი პირველივე ეთერიდან გვცნობდა.

სალომე: - შოუს დადგმაზე ბევრს მუშაობენ. ვოკალზე, სასცენო მოძრაობაზე ცალ-ცალკე გვამეცადინებენ. გრძნობ, რომ სხვა დონეა.

ნინი: - თბილი გარემოა.

- თქვენი ყოველდღიურობა შეცვლილია?

ნინი: - ამ პროექტით ვცხოვრობთ. სალომეს სკოლიდან აგდებენ, ჩვენ უნივერსიტეტიდან. „X ფაქტორის“ გარდა არაფერი გვახსოვს.

სალომე: - სოფო ძალიან მეგობრული ადამიანია. არ გვაგრძნობინებს, რომ მენტორია და მასთან ურთიერთობაში დისტანცია უნდა გვქონდეს. მხიარულია და გვიყვარს.

ანი: - სოფოს მთავარი მოთხოვნა იყო, დარბაზში მაყურებელზე მზერით გვემუშავა. ვის გამოსვლაზეც დარბაზი დაინგრევა, პროექტშიც ის დარჩებაო. ჟიურის გვერდით ვიღაც ბიჭი იჯდა და მთელი სიმღერის განმავლობაში მას ვუყურებდი თვალებში. გაგიჟდა ის ბიჭი. ეს „ნომერი“ მომეხმარა სიმღერა ისე შემესრულებინა, როგორც მენტორს სურდა.

ნინი: - მე სცენაზე გასვლის წინ კონიაკი დავლიე.

სალომე: - მე ყველაზე უმცროსი ვარ და ყველაზე მეტად მე გამიჭირდა სექსუალური მზერის დაჭერა. სახლში ვრეპეტიციობდით. ერთმანეთს თვალებში ვუყურებდით და ასე წვალებით ვისწავლე გამოხედვა.

ანი: - მანამდე სალომეს დედამაც მოგვცა რჩევა, წარმოიდგინეთ, წინ საყვარელი მამაკაცი გიდგათ და ეცეკვეთო.

ნინი: - დედები გვეუბნებიან - შვილო, ცოტა სექსუალური მზერა დაიჭირეთო :)

სალომე: - ოთხეულის არჩევის ტურზე საგულშემატკივროდ მამების მიყვანა გადავწყვიტეთ. ძალიან მოსწონდათ ჩვენი ჩახსნილი კაბები.

ანი: „ვოკალურ კონკურენტად ჯგუფებში არავის მივიჩნევთ“

ნინი გველესიანი: „დედები გვეუბნებიან - შვილო, ცოტა სექსუალური მზერა დაიჭირეთ“

ნინი: „აბა, გვისმინეთ, ჩვენი პროექტიდან გაგდება როგორ შეიძლება?“

„იმ დღეს მოვკვდებით ტირილით“

ორშაბათს, ლაივ კონცერტზე, მიუზიკლიდან „ჩიკაგო“, გოგონები სამ კომპოზიციას იმღერებენ, მოცეკვავეებით, სექსუალური იმიჯითა და საინტერესო ნომრით. სასცენო მოძრაობებზე ფრანგი ქორეოგრაფები მუშაობენ. ლაივამდე გოგონები არ ჭამენ მზესუმზირას, თხილს, ცხარე საკვებს. აი, პროექტის მერე კი ვერ წარმოუდგენიათ - რა უნდა აკეთონ.

ანი: - ჩვენი ოცნება და მთავარი მიზანია, რომ კონცერტით „დინამოს“ სტადიონი გავავსოთ.

სალომე: - პროექტის მერე ყველაფერი უინტერესო გახდება.

- პოპულარობა გინდათ?

ანი: - ძალიან სასიამოვნოა. გვინდა, რატომაც არა?

სალომე: - სითბოს რომ გრძნობ ხალხისგან, ძალიან სასიამოვნოა. ქუჩაში გვცნობენ.

ანი: - თქვენ ის სამი ხართ? გვეუბნებიან.

ნინი: - ყველა დიდ სითბოს გამოხატავს ჩვენ მიმართ.

ანი: - ისეთი შემართება გვაქვს, ვერც წარმოგვიდგენია პროექტს რომ გამოვეთიშოთ, რას გავაკეთებთ.

ნინი: - იმ დღეს მოვკვდებით ტირილით, ალბათ.

სალომე: - ერთ კვირას სახლიდან არ გავალთ.

ანი: - უერთმანეთოდ ვერ გავძლებთ.

ნინი: - აბა, გვისმინეთ, ჩვენი პროექტიდან გაგდება როგორ შეიძლება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან ყანდიაშვილი - ოთხეულს მიღმა დარჩენილი ამერიკული ბგერის მქონე კახელი ბიჭუნა

EXCLUSIVE

„ჩემი გამოშვებით გიორგიმ კახეთის მხარდაჭერა დაკარგა“

my View
თამარ გონგაძე

ლევანი „X ფაქტორში“ რეი ჩარლზის და სტივ უანდერის სიმღერებით გამოჩნდა. სპეციფიკური ხმისა და ამერიკული ბგერების მქონე კახელმა ბიჭმა შოუს მაყურებლის გული პირველივე შოუდან მოიგო. ლევანი გიორგი გაბუნიას ბიჭების გუნდში მოხვდა. გიორგიმ კი მას ჯერ „კახური ოცნება“ უწოდა, ოთხეულში მისი ადგილი დაინახა, შემდეგ კი როკერები ანაცვალა და პროექტი დაატოვებინა. ბევრი გააკვირვა მენტორის ამ გადაწყვეტილებამ, მათ შორის სხვა მენტორებიც. მე გამაოცა ლევანის დამოკიდებულებამ. ის გიორგის გადაწყვეტილებით ნაწყენი არ არის. მეტიც, მას იმ შენიშვნებში, რაც გაბუნიამ მისცა, სავსებით ეთანხმება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ლევანი ძალიან გახსნილი, პროგრესულად მოაზროვნე, შინაგანი კულტურის მატარებელი ახალგაზრდაა.

კადრს მიღმა

ლევან ყანდიაშვილი: - მეორე ტურზე ჩემი მაქსიმუმი ვერ ვაჩვენე. რეპეტიციებზე უფრო კარგი ვიყავი, ვიდრე შოუს ჩაწერისას. მთელი დღე ფილარმონიაში ვიყავით. დასვენების საშუალება არ გვქონია. საღამოს მოგვიხდა სიმღერა. ამ ფაქტორმაც იმოქმედა. გარდა ამისა, მე აქამდე დიდ სცენაზე სიმღერის გამოცდილება არ მქონია, არც ასეთი გამოცდილების მქონე ჟიურის წევრების წინაშე დგომის საშუალება მომცემია აქამდე. გიორგი გაბუნიას თქმით, ჩემი ასაკის ბრალიც იყო და ამის გამო დავტოვე პროექტი. გასაზრდელი და ჩამოსაყალიბებელი ვარ იმათთან შედარებით, ვინც სკამებზე დატოვა. 16 წლის ვარ, პროექტის დასაწყისში 18 წლის გამომაცხადეს.

- სამართლიანად მიიჩნევ გიორგის შენიშვნებს, ყველაფერში ეთანხმები?

- ყველაფერში ვეთანხმები.

- ანუ შენი გამოშვებით სწორი გადაწყვეტილება მიიღო?

- გიორგისთვის, ანუ მენტორისთვის - ვისაც გამარჯვება უნდა, ჩემი გამოშვება სწორი გადაწყვეტილება იყო. ათეულიდან რომ მხოლოდ ოთხი დაჯდებოდა სკამზე, ეს ყველას გაცნობიერებული გვქონდა. ყველა ერთმანეთზე ძლიერი იყო. არასწორი იქნება, რომ ვთქვა, მე ვიღაცას ვჯობდი და ის უნდა გაეშვა და მე უნდა დავეტოვებინე-მეთქი.

- გიორგის არჩეული ოთხეულიდან ყველა გჯობს?

- მათ ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ. გამოდის, რომ უკეთესები არიან. როცა ასეთ რეიტინგულ შოუში მიდიხარ და ოთხეულში მოხვედრის პრეტენზია გაქვს, ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. მათ რეპეტიციაზე ერთი თავით

„კომენტარებმა გამამხნევა, თორემ მეგონა იმ სკამიდან რომ ავდექი, იქ დამთავრდა ჩემი სასცენო კარიერა-მეთქი“

მეტი გააკეთეს და ტურზეც მეტი აჩვენეს, ვიდრე - მე. მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ პროექტში ერთადერთი კახელი მონაწილე ვიყავი რეგიონიდან, რატომღაც ვფიქრობდი, რომ ვოკალურ მხარესთან ერთად (ჟიურის წევრებმა ჩემი ვოკალური მონაცემები აქეს) ამასაც მიაქცევდა გიორგი ყურადღებას. ეს სოციალური პროექტია და მთელ საქართველოს მოიცავს. ჩემი აზრით, ჩემი გამოშვებით გიორგიმ კახეთის მხარდაჭერა დაკარგა. რომ ვთქვა, რომ უკმაყოფილო ვარ, ჩემი მხრიდან არასწორი იქნება. მე ვიცი გიორგის დამოკიდებულება ჩემ მიმართ და ის ფაქტორებიც მისაღებია, რის გამოც არ გადამიყვანა. შოუს ჩაწერის მერე ოთხივე მენტორს ვესაუბრე.

- რომლის ფრაზა დაგამახსოვრდა?

- სტეფანეს ფრაზა დამამახსოვრდა, რაც ეთერში არ გაუშვეს - ყველაზე მეტად მინდოდა პროექტში შენ დარჩენილიყავიო. გიორგის მისამართით თქვა, ჩემთან რომ ყოფილიყო ლევანი, ასე არ მოხდებოდაო. მან ასევე იმაზე გაამახვილა ყურადღება, რომ გიორგი არ არის მუსიკოსი. მისმა კომენტარმა დამამშვიდა. ასევე ამოჭრილი იყო ის, თუ როგორ მეხუტებიან მენტორები პროექტს რომ ვტოვებ. მართლა თბილად დამატოვებინეს შოუ. სტეფანემ გიორგის უთხრა, ასეთი ბგერა არასდროს მომისმენია და აუცილებლად დატოვეო. ვთვლი, სტეფანეს გუნდში რომ ვყოფილიყავი ოთხეულში დავრჩებოდი. მაგრამ ყველაფერი გამართლებაა. მერე გიორგიმ მითხრა, შეიძლება ამ ჩემი ოთხეულიდან შენ ყველაზე უკეთესი მონაცემი გაქვს, მაგრამ სიმღერისთვის ორი წლის გამოცდილებაც ბევრიაო. ანუ გამოცდილება არ მქონდა და ესეც იყო მიზეზი. მითხრა, რომ ეს საქმე არ უნდა შევწყვიტო.

- შენ უკვე გაგიცნო საქართველომ. ეს დიდი ტრამპლინია შენთვის.

- დიდი მადლობა. მსგავსმა კომენტარებმა გამამხნევა, თორემ მეგონა იმ სკამიდან რომ ავდექი, იქ დამთავრდა ჩემი სასცენო კარიერა-მეთქი. ვფიქრობ, მეორე ტურზე უკეთესი უნდა ვყოფილიყავი. არ ვარ მთლად ჩემი თავით კმაყოფილი. თუმცა 16 წლის რაიონიდან ჩასული ბიჭისთვის „X ფაქტორში“ გამოსვლა წარმატებაა. ჩემი გამოსვლა იყო მესიჯი, სადაც არ უნდა იცხოვრო, დედაქალაქში თუ რეგიონში, შეგიძლია წარმატებას მიაღწიო. იცის „რუსთავი 2“-მა როგორ გააკეთოს შოუ. ის კი იყო გაბუქებული, რომ რახან კახეთში ვცხოვრობ, აუცილებლად ვენახში უნდა გადავეღე. მე სულ არ მიტყდება, რომ საგარეჯოელი ვარ და ვენახში ვარ ნამყოფი. ბებია და პაპა რომ დაინახეს, ყველას ეგონა, ობოლი ვიყავი. რაც შეეხება ვენახს და ბაღს, მაკა ასათიანსაც ჰქონდა საკუთარი ბაღი, სადაც განტვირთვისთვის მუშაობდა. ეს დაცინვის საგანი არ უნდა გახდეს.

- ცნობილი გახდი...

- ქუჩაში ბევრი თაყვანისმცემელი მხვდება და მათგან სითბოს ვგრძნობ. ამაყობენ, რომ კახელი ვარ. ეს ყველაფერი დიდი პასუხისმგებლობაა. მინდა იმედები გავუმართლო. ერთმა მითხრა, მეფეებიც აგებენ ომებს, მაგრამ მაინც მეფეებად რჩებიანო. ვაპირებ სხვა პროფესიასაც გავყვე, მაგრამ სიმღერას თავს არ დავანებებ. ეს ჩემი ცხოვრებაა.

- პროექტმა სტიმული შეგძინა და უარესი მგელი გახდები, არა?

- ვაპირებ უფრო დიდი მტაცებელი ვიყო, ვიდრე მგელია. შრომისმოყვარეობა არ მაკლია და სიმღერას არ შევწყვეტ.

- სხვა პროექტში გამოჩნდები?

- ორი-სამი წელი გავჩერდები. დიდი სტრესია ასეთ კონკურსში მონაწილეობა. გიჭირს ამ სტრესთან გამკლავება. ამას კრიტიკაც რომ ემატება, შეიძლება სულ შეეშვა სიმღერას, ან პირიქით, უფრო მიაწვე. მე შემიძლია იმაზე გაცილებით კარგი ვიყო, ვიდრე ამ პროექტში ვიყავი. ყველაზე მეტად სოფო ტოროშელიძისა და მანანა მორჩილაძის მადლობელი ვარ. სოფო იყო პირველი ადამიანი, ვინც აღმომაჩინა 1200 ადამიანს შორის. ეს მადლიერება ცხოვრების ბოლომდე გამყვება. ის არის პირველი, ვინც სცენისკენ ხელი მკრა და ხელში მიკროფონი დამაჭერინა.

ამბიცია და გეგმები

ლევანი საგარეჯოში ცხოვრობს. იცის, რომ სიმღერა მისი ცხოვრების ნაწილი იქნება და ამისთვის უკან არ დაიხევს.

„რაიონში არაფერი ხდება. ადამიანი თავის რეალიზებას ვერ ახდენს. აქამდე მეგობრების წრეში ვმღეროდი. სიმღერა ისეთი რამაა, ვერც ერთი პედაგოგი ვერ გასწავლის სცენაზე რა უნდა გააკეთო. ყველაფერს შენი შრომისა და ნიჭიერების ხარჯზე აკეთებ. ვარ თვითნასწავლი. ის, რაც „იქს ფაქტორში“ იყო , ყველაფერი ჩემი დამსახურებაა. არავის მოვუმზადებივარ“.

- ამ პროექტმა რა შეცვალა?

- თავდაჯერებული გავხდი. როდესაც

პროფესიონალები ასეთ კარგ შეფასებას და მომავლის იმედს გაძლევენ, თვითდაჯერებული ხდები და ჯანსაღი ამბიცია გიჩნდება. ცხოვრებაში ეს მაკლდა და კიდევ იმის „ჟილკა“ სცენაზე ვმდგარიყავი და ხალხისთვის მემღერა. მახარებს გარკვეული ფენა რომ მიცნობს. ზანგური მუსიკისკენ ვიხრები, სიმღერასაც ტემბრიდან გამომდინარე ვარჩევ. არ მეგონა ბგერის მიმართ ჩემეული დამოკიდებულება თუ მოეწონებოდათ. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ ამერიკულ ბგერას (როგორც სტეფანემ თქვა) ხალხი ისე მიიღებდა, როგორც მიიღეს. მეგონა იტყოდნენ, რას ტყლარჭავს ბგერებსო. მინდა განათლება მივიღო, მინდა ვიყო ინტელექტუალი ადამიანი, რომელიც მღერის.

- პროფესია?

- მინდა ფსიქოლოგი და კარგი ჟურნალისტი ვიყო.

„სტეფანემ გიორგის უთხრა, ასეთი ბგერა არასდროს მომისმენია და აუცილებლად დატოვეო. ვთვლი, სტეფანეს გუნდში რომ ვყოფილიყავი ოთხეულში დავრჩებოდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რუსთავი 2“-ის „ზევსების“

my View
თამარ გონგაძე

გვეგონა სტეფანე იყო სნობი და თავის თავზე შეყვარებული, მაგრამ კეთილი და ჰუმანური აღმოჩნდაო, ბევრმა თქვა. „X ფაქტორმა“ ახალი სტეფანე შვა. ეს სხვაობა თვალშისაცემია და პირველ-მეორე ტურებზე კარგად გამოჩნდა. შესაძლოა, გიორგი გაბუნიას ფონზე ჩანს ჰუმანური, შესაძლოა, გამოცდილებამ ასწავლა, როგორ მართოს თავი ასეთი ტიპის მასშტაბურ პროექტში და ხალხის სიმპათია მოიპოვოს. ამ ყველაფრის მიღმა მთავარი როლის შემსრულებელი კი მაინც „რუსთავი 2“-ია. არხი, რომელიც შოუს ქმნის ყველაფრისგან, რისგანაც ამის გაკეთება შეიძლება. სტეფანე არხებს შორის არაჩვეულებრივ შედარებას აკეთებს. მოკლედ, სულ სხვა სტეფანე „პრაიმტაიმის“ ფურცლებზე.

ამსტერდამში მარტო

პროექტში გამოჩენამდე სტეფანე თვეზე მეტია ევროპაში სამოგზაუროდ იყო წასული - საფრანგეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში. მეგობრებთან ერთადაც და მარტოც.

„ჰოლანდიაში სახლში ვარ, სულ რომ არავისთან ერთად არ წავიდე, მაინც კარგად ვარ. განმარტოების მომენტები მაქვს ხოლმე, როცა სამი-ოთხი დღე მარტო უნდა ვიყო და ხელი არავინ შემიშალოს. მარტო ყოფნა კი ამსტერდამში მინდება. არაფრის დათვალიერება არ მიწევს, რადგან ამ ქალაქს თბილისზე კარგად ვიცნობ. მივდივარ ჩემს საყვარელ პარკებში და მთელ დღეს იქ ვატარებ. მზიან ამინდში ბალახზე ვზივარ და ვისვენებ. უმნიშვნელოვანესი ინსპირაცია ჩემთვის ასე მარტო ყოფნაა. მარტო როცა ვარ, მაშინ ვიტენები. წელიწადში ორჯერ მაქვს განმარტოების სურვილი. იანვარში ხომ მქონდა და ზაფხულშიც დადგება. ელემენტები რომ მიჯდება, სიმარტოვის გარდა, არაფერი და ვერავინ მშველის. ამ დროს არც წიგნი, არც ფილმი, არც ტელევიზორი, არაფერი არ მინდება. მუსიკა მინიმალური დოზით და ისიც საღამოს საათებში შეიძლება ჩავრთო. ვკონტაქტობ ცასთან, სიბნელესთან. ღამე ჩემია. სანამ არ გათენდება, ვერ ვიძინებ. როცა საზღვარგარეთ ვარ და უკან სამშობლოში ვბრუნდები, ყველაზე დიდი დოზით სიმშვიდე მომაქვს. ახლა არ ვარ მშვიდად“.

„თავთან დამოკიდებულება შემაცვლევინა“

„X ფაქტორში“ ერთი-ერთი მენტორი რომ ყოფილიყო, როგორც ამბობს, არხის გენერალურმა დირექტორმა ისურვა. სურვილი გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძეს გაანდო.

„გიორგის და დემნას „ზევსებს“ ეძახიან. „ზევსებმა“ მიიღეს გადაწყვეტილება და პროექტში დამამტკიცეს. ქართულ ტელესივრცეში მათზე დიდი პროფესიონალები არ არიან. ეს „ზევსები“ უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ, მოსწონთ ჩემი როლი შოუში. ყველაზე მეტს გიორგი მეჩხუბება, მიწაზე დამიშვებს ხოლმე. მე ხელებაწეული ვენდობი“.

- რა შეცვალა „X ფაქტორმა“?

- „X ფაქტორმა“ თავთან დამოკიდებულება შემაცვლევინა. აქ იმის რწმენა მომცეს, რომ სახლში არ უნდა ვიჯდე.

- ეს რწმენა გაკლდა?

- რაღაც მომენტში ვგრძნობდი, რომ აქამდე, სხვადასხვა არხების პროექტებში მუშაობისას, ადეკვატური მხარდაჭერა არ მქონდა. „ვოისი“ კარგი პროდუქტია, მაგრამ არ იყო რეიტინგული. ადეკვატური მხარდაჭერა ახლა მაქვს და ეს „რუსთავი 2“-მა გააკეთა. „რუსთავი 2“ დიდი სუპერპროფესიონალების გუნდია. ეს იქ ყველამ იცის. ასეთ ფონს არხის ხელმძღვანელობა და მთავარი პროდიუსერები ქმნიან. „X ფაქტორი“ ყველაზე რეიტინგული შოუა. დღეს რეიტინგი 19-20 ძალიან ბევრია. შედარება რომ გავაკეთო, „X ფაქტორში“ სტაფიდან 8 კაცი თუ შეიძლება დაგეხმაროს, იქ საქმეს მარტო ვაკეთებდი, რაც ძალიან რთულია.

„ზედმეტები არ უნდა ვილაპარაკო“

- სხვანაირი ხარ. რამ გამოიწვია?

- პროდიუსერებს შესწავლილი აქვთ და იციან მაყურებელზე რითი უნდა იმუშაონ. ჩემი პროფესიული შენიშვნები ამ პროექტში არავის სჭირდებოდა. მაყურებლისთვის პროფესიული ტერმინოლოგია საინტერესო არ არის. მითითება ზუსტად ვიცოდი. მე რომ ვუყურებ სხვა პროექტების ჟიურის შეფასებას, ძალიან ღრმა ფსიქოდელიაში იჭრებიან, რაც არ არის მაყურებლისთვის საინტერესო, დრო ლიმიტირებული არ აქვთ, რაც ასევე უინტერესოა. ჩვენ კი ყოველგვარი პათოსისა და პათეტიკის გარეშე ვმუშაობთ. ძალიან მეგობრული გუნდია, ერთმანეთთან შეხუმრებულები ვართ. ჩემი კოლეგები ძალიან მომწონს. რამდენი გამოკითხვაც ჩატარდა, აჩვენა, რომ ხალხსაც მოსწონს.

- შეიძლება გიორგის ფონზე ჩანხარ ასეთი კეთილი.

- 80 პროცენტი სულ პოზიტივი იწერება, გიორგიზეც კი. კარგი ჟიურია, თამთა სუპერვარსკვლავია საბერძნეთში, ეს ენერგეტიკა გადმოდის და მიხარია. სოფო და გიორგი ძალიან მომწონს. „ახალ ხმაში“ ზოგ-ზოგიერთები ნერვებზე მშლიდნენ და ამან იმუნიტეტი გამომიმუშავა, რომ ამ დროს არ უნდა ავკრიფო და უარყოფითი ენერგეტიკა მაყურებელზე არ უნდა გადავიტანო. გაბუნიაზე სრული კედელი მაქვს აშენებული. რაც არ უნდა მითხრას, წყობიდან ვერ გამოვდივარ. წადი სახლშიო მეუბნება და მე მშვიდი სახით ვზივარ.

- ისწავლე მაყურებელზე, დარბაზზე მუშაობა.

- ჰო, აბა, თუ არ ვისწავლე, როგორ გამომივიდა? :) ეს ჩაწერის დრტყვი. ჩვენი, ოთხის სინთეზი ბუნებრივად შედგა. პოზიტიურად იმუშავა, პროდიუსერიც კმაყოფილია და მაყურებელიც. ჩემი და გიორგის მომენტებიც კარგად დაიჭირა მაყურებელმა.

„ისე მეშინია ახალი ურთიერთობის დაწყების, რომ შესაძლებელია დიდი ხანი არც არავინ მყავდეს. ძალიან კომფორტულად ვარ მარტო“

„გაბუნიას ბოდვებმა ზოგზე აგრესიულად იმუშავა“

- გიორგი გაბუნია ამ შოუმდე როგორი გეგონა?

- ბოლო ორი წელია პოლიტიკური გადაცემისთვის არ მიყურებია. ვინ ვინ არის, წარმოდგენა არ მაქვს. ერთი პრემიერ-მინისტრი ვიცი ვინ არის და მორჩა, ისიც ძალიან დიდი ხანია არ მინახავს.

- პრეზიდენტი?

- პრეზიდენტიც გამიგია. პოზიტიური დამოკიდებულება მაქვს, მეჩვენება, რომ საყვარელია. გიორგისთვის პოლიტიკურ თოქშუებში თვალი მოკრული მქონდა. რომ ამბობდნენ, გაბუნია იქნება ჟიურის მეოთხე წევრიო, ვერ ვხდებოდი, როგორი იქნებოდა, რადგან მუსიკოსი არ არის. მაგრამ ვთვლი, გიორგი გაბუნიამ ბევრ

„ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინო, რომელიც იმ რეიტინგს გიდებს, რომლის გამოც მადლობელი უნდა იყო. აქ მარკეტინგული გათვლებია. დღეს მე უკვე კარგად ვიცი ქართველი მაყურებლის გემოვნება“

მუსიკოსზე კარგად გაართვა თავი შეფასებებს. ხშირად, შეფასებისას, მასთან ფიქრებით უნისონში ვარ. ოღონდ არა მაშინ, როდესაც ალოგიკური და აბსტრაქტული მაგალითები მოაქვს. არ ვიცი, ეს ბავშვობაში მიღებული „ელესდეს“ შედეგებია თუ რა არის, შეიძლება სულაც არ აქვს არასდროს მიღებული „ელესდე“. სხვა მიმართულებით განვითარებული ღრმა ფანტაზია აქვს. ჯერ ვერ მივხვდი ლოგიკას, როგორ ადარებს ადამიანებს რაღაცებს. გაბუნიას ბოდვ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მიერ შეცვლილი სტეფანე

„X ფაქტორმა“ თავთან დამოკიდებულება შემაცვლევინა. აქ იმის რწმენა მომცეს, რომ სახლში არ უნდა ვიჯდე. ვგრძნობდი, რომ აქამდე, სხვადასხვა არხების პროექტებში მუშაობისას, ადეკვატური მხარდაჭერა არ მქონდა“

EXCLUSIVE

„გიორგის და დემნას „ზევსებს“ ეძახიან. მათ მიიღეს გადაწყვეტილება და პროექტში დამამტკიცეს. ეს „ზევსები“ უკმაყოფილებას არ გამოთქვამენ, მოსწონთ ჩემი როლი შოუში“

„ექვსი ძალიან მაგარი მყავდა გუნდში და იმ ორთან თავს რომ ვერ გავიმართლებდი, ვიცოდი. მგონია, რომ ამ ადამიანებს ვუღალატე“

ებმა ზოგზე აგრესიულად იმუშავა, ზოგზე სასაცილოდ. ფაქტია, შოუში ტემპერატურას წევს. მონაწილეების ვიზუალს რომ შეეხო, ძალაუნებურად ვიცავდი კონკურსანტებს. „ატაკაზე“ რომ იყო გადასული, სხვა გზა არ მქონდა, ადვოკატი უნდა ვყოფილიყავი. თუ ვინმეს უნდა გაეკრიტიკებინა, ეს მე უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ტელევიზიით რომ ვუყურე, რამდენიმე ადამიანი ზედმეტადაც კი შევაქე. როცა ადამიანი ცოცხლად გიმღერის, სულ სხვა ემოციაა. ტელევიზია კი ჭამს და ისეთ ეფექტს ვერ ახდენს გამომსვლელი.

„ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინო“

- ძალიან გაგიჭირდა ოთხეულის არჩევა?

- რამდენი მომენტია, ნახეთ - კონკურსანტი შემოგციცინებს, იცის, რომ მაგარია, შენც იცი, რომ მაგარია და უშვებ სახლში, არაფერი არ დაუშავებია. ვიღაც გიჟმა დაწერა ასეთი პროექტი. უნდა დატოვო ოთხი, მაყურებელი დაიძაბოს და შენ სტრესი მიიღო. კარგია ის, რომ მაყურებლის აზრს ჩემი აზრი დაემთხვა.

- ნახე გაშვებული კონკურსანტები?

- არ მინახავს არც ერთი. მგონია, რომ ამ ადამიანებს ვუღალატე. არაფერი დაუშავებიათ, წუნი არ ჰქონიათ - ვერ ვიმართლე თავი. რა უნდა მეთქვა? ათიდან ექვსი ძალიან მაგარი მყავდა და იმ ორთან თავს რომ ვერ გავიმართლებდი, ვიცოდი. მანანიკო ცენტერაძე სუპერპროფესიონალი მომღერალია. რა უნდა ვუთხრა?

- რატომ გაგიშვი-მეთქი? მასზე სუსტი ვოკალისტი დამრჩა გუნდში. ახლა არ დავასახელებ - ვინ.

- რატომ მოიქეცი ასე?

- ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინო, რომელიც იმ რეიტინგს გიდებს, რომლის გამოც მადლობელი უნდა იყო. ჩვენ მადლობლები ვართ თითოეული მაყურებლის, რომელიც ჩვენ გვიყურებს. ეს წერს რეიტინგს, ჩვენ გვაძლევს სამსახურს, ეს ყველაფერი ციფრებით იწერება.

- ანუ ზოგჯერ ხარისხს ჯობნის რაოდენობა?

- ასე ვართ ყველა. რაღაც მომენტში რაოდენობა უკვე ხარისხს ნიშნავს. უხარისხო შოუები გვინახავს, რომლებიც რეიტინგს ვერ წერენ. აქ მარკეტინგული გათვლებია. დღეს მე უკვე კარგად ვიცი ქართველი მაყურებლის გემოვნება.

- დამრტყმელ ძალად რომელს მიიჩნევ გუნდში?

- სოფო სააკაშვილს ყელის სრული დამორჩილება აქვს, რაც იშვიათია. ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანია მარიამ კახელიშვილი, რომლის მიმართაც კრიტიკაა, რატომ გამოვიდაო? რას ჰქვია რატომ გამოვიდა? ქვეყანაში ისედაც ორი-სამი შოუა მხოლოდ. არის უცხოეთში პრეცედენტები, როდესაც ერთი შოუს კონკურსანტი მეორე შოუში მიდის. თუ ძალიან მაგრად მღერის, რატომ არ უნდა იმღეროს და თუ შეუძლია მოიგოს, რატომაც არა?

- მოგება გინდა?

- საერთოდ არ ვფიქრობ ამაზე.

- როგორ არ ფიქრობ?

- გეფიცები. სხვა შოუებში ამ თემაზე ვიფიქრე და ენერგია არასწორი მიმართულებით დავხარჯე.

- აბა, რა არის პრიორიტეტული შენთვის?

- ოთხივე გოგონა პიკში უნდა იყოს. მერე უკვე ხალხმა გადაწყვიტოს - ვინ არის მაგარი. ეს მაინც ვოკალისტების კონკურსია და ცოტათი ჩემი გოგონები ამ კუთხით მაღლა დგანან. თუმცა ყველა მენტორთან მყავს ფავორიტები, ყველაზე მეტად თამთა გოდუაძის გუნდში. თორნიკე ყიფიანი და ნათია თადიაშვილი მომწონს ძალიან. მიშო ელიავას გამოვყოფ გიორგის ჯგუფიდან.

მარტო და თავისუფალი

- შენ პირად ცხორებაში რა ხდება?

- წელიწადზე მეტია თავისუფალი ვარ და პასუხისმგებლობა რომ მაქვს, ძალიან მომწონს. ისე მეშინია ახალი ურთიერთობის დაწყების, რომ შესაძლებელია დიდი ხანი არც არავინ მყავდეს. ძალიან კომფორტულად ვარ მარტო.

- ასე დაგღალა პასუხისმგებლობამ?

- დამღალა, ვაღიარებ.

- ერევი მაიას პირადში?

- არა, რა სისულელეა, მაიას პირადში არ ვერევი. თუ რაიმე სიახლე ექნება, ვუგულშემატკივრებ. კონკრეტულ პირად თემებზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ვიცი, რომ ღიაა, ისევე, როგორც - მე. რაიმე რომ იყოს, არ დავუმალავთ ერთმანეთს. დღეს ვიკინკლავეთ რაღაც ცხოვრებისეულ საკითხზე, თუმცა მაინც ვმეგობრობთ.

- რა მოგცა მაიასთან ურთიერთობამ?

- ყველაფერი კარგი.

- არც გატაცება გქონია?

- არა, არ მქონია. სერიოზული მდგომარეობისკენ არ მივილტვი. სად ხარ ამდენი ხანი? რას შვრები? რატომ არ მომწერე - არ მინდა.

- მამობამ შეგცვალა?

- დიდი ნაწილით შემცვალა.

- რითი გგავს სტეფანია?

- ჩემი შვილი? ორივეს გვგავს, როგორც გარეგნულად, ისე ხასიათით. მე და მაია ერთნაირები ვართ. იმდენი წელი გავატარეთ ერთად, ვერ ვხვდები, რომელი მომენტით მგავს მე და რომლით მაიას. მძიმე ხასიათი გვაქვს ორივეს და სტეფანიასაც გამოჰყვა. ვირზე თუ შეჯდა, მისი ჩამოყვანა შეუძლებელია. ზოდიაქოს ნიშნით კუროა და ჯიუტია.

- გიყურებს შოუში?

- როგორც ძიძამ თქვა, ცოტა ხანი მიყურა. ისე, არ უყვარს მე რომ ტელევიზორში ვარ, ჰგონია, რომ ჩემს თავს არ-თმევენ. ეჭვიანობს და პროტესტი აქვს. „ახალ ხმას“ არ უყურებდა, პროტესტი ჰქონდა.

- „მულატკას“ ჰგავს.

- ეგ მახარებს. მე მომწონს ჩემი შვილი, ბევრს მოსწონს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თემურ ქეცბაია: „შეიძლება ფორვარდი საერთოდ არ ვათამაშო“

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ნაკრები 23 მაისს ესპანეთში გაემგზავრა, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. „ჯვაროსნები“ 29 მაისსა და 3 ივნისს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს. 29 მაისს, ესპანეთის ქალაქ ხერესში თემურ ქეცბაიას შეგირდები საუდის არაბეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან, ხოლო 3 ივნისს - შვეიცარიაში, არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ. როგორც ქეცბაია აცხადებს, ამ ორი ამხანაგური თამაშით, ეროვნული ნაკრები ოფიციალური მატჩებისთვის მზადებას დაასრულებს. ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას ქართველი ფეხბურთელები 7 სექტემბერს, თბილისში, ირლანდიასთან გამართავენ.

„პრაიმტაიმი“ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს, თემურ ქეცბაიას, წყალბურთის განვითარების ფონდის პრეზენტაციაზე შეხვდა და მასთან ექსკლუზიური ინტერვიუს ჩაწერა შეძლო.

ეს თემურ ქეცბაიასთვის პირველი საგაზეთო ინტერვიუა. როგორც წესი, ნაკრების თავკაცი ჟურნალისტებთან კარგი დამოკიდებულებითა და ურთიერთობით არ გამოირჩევა და სატელევიზიო ფორმატში დაგეგმილი შეხვედრებიც ხშირად ხმაურით სრულდება.

რატომ გაუჭირდა ტესტ-მატჩებისთვის ფეხბურთელების შეგროვება, რა შემადგენლობა ითამაშებს ოფიციალურ შეხვედრებში და რატომ აპირებს ფორვარდზე უარის თქმას ნაკრების მთავარი მწვრთნელი. - „პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან.

- ნაკრებში ახალი სახეები არ არიან, ეს ის შემადგენლობაა, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ითამაშებს?

- ახალ კადრებს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ ნაკრებში ახალი კადრები გვყავს, მაგრამ არიან ისინი, ვინც ბევრჯერ არ გამოგვიძახებია.

- ამ ამხანაგური თამაშის შემდეგ შეჯერდებით შემადგენლობაზე?

- ასეთ თამაშებში, როგორც ყოველთვის, ხშირად ჩანს რაღაც-რაღაც პრობლემები. 35 კაციდან, 23 ძლივს მოვაგროვეთ. დღეს მივდივართ, ორი თამაშისთვის ვემზადებით და ვითამაშებთ.

- ოფიციალურ მატჩებამდე, კიდევ იქნება ტესტ-მატჩები?

- ამხანაგურები აღარ იქნება, იმიტომ, რომ უკვე ოფიციალური თამაშები დაიწყება. მინდოდა, ამ ტესტ-მატჩებში იმ ფეხბურთელებს მიეღოთ მონაწილეობა, რომლებსაც ოფიციალურ შეხვედრებში მოვიაზრებდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც, ბევრი დაგვაკლდა.

- გამოდის, რომ რა შემადგენლობაც ახლა გყავთ, საკვალიფიკაციო ეტაპზეც სწორედ ასეთს ვიხილავთ?

- ვერ ვიტყვი ამას. ოფიციალურ თამაშებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. ამიტომ, ვინ როგორ გამოიჩენს თავს და როგორ ითამაშებს, ამაზე იქნება დამოკიდებული.

- ნაკრებში სამი ფორვარდი, გელაშვილი, ცხადაძე და მარცვალაძე გყავთ გამოძახებული. მეტ თავდამსხმელს არ განიხილავთ?

- შეიძლება ფორვარდი საერთოდ არ ვათამაშო. გააჩნია თამაშსაც. ვფიქრობ, რომ ძალიან ბევრ თავდამსხმელს მივეცით შანსი და არ გაამართლა.

- ხშირად ისმის, რომ საქართველოს ნაკრები მეორე ადგილისთვის იბრძოლებს და ამის შანსი აქვს. რეალურად, შეგვიძლია მეორე ადგილისთვის ბრძოლა?

- შანსი მხოლოდ ერთია - ჩვენ ვიბრძოლებთ. ჩვენ მსოფლიო ჩემპიონობაც გვინდა, ევროპაც. ცოტა ლოგიკა ხომ უნდა ვიხმაროთ. ძალას არ დავიშურებთ და თუ გამოგვივიდა, ვნახავთ.

- რამდენი ქულა შეიძლება ავიღოთ ამ ქვეჯგუფიდან?

- არ ვიცი, არ ვიცი. ვნახოთ.

„საუდის არაბეთისა და არაბეთის გაერთიანებული საემიროების ნაკრებებთან ტესტ-მატჩები ირლანდიასთან მატჩამდე ბოლოა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N20 (270), ორშაბათი 26 მაისი 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

თემურ ქეცბაია: „საქართველოს შანსი მხოლოდ ერთია - ჩვენ ვიბრძოლებთ“

EXCLUSIVE

„X ფაქტორის“ სექსუალური თინეიჯერების ჯგუფი - „Sparkle“

BRAVISSIMO.GE - მუსიკისა და მუსიკალური პროდუქტების ლიცენზირებული ვებგვერდის პრეზენტაცია შედგა

ზაზა შენგელია: „ეს ვებსაიტი ქართულ შოუბიზნესში დიდ გარდატეხას შეიტანს“

EXCLUSIVE

„თუ იმწამიერ განცდას, რომელიც ბედნიერებისგან გახრჩობს, ჩააქრობ იქვე, არასოდეს არ გექნება პრაიმტაიმი“

exclusive

ნანუკა ხუსკივაძის პრაიმტაიმი

EXCLUSIVE

„რეალური არსებები“ გამოვიდა



თეონა დოლენჯაშვილი: „ეს ის შემთხვევაა, როდესაც მე პირადად, როგორც ავტორს, მომწონს ის, რაც დავწერე“

ISSN 1987-7404
9 771987 740005

ირინა ბაირამაშვილი პარიზში გათხოვდა

EXCLUSIVE

ირინა: „არ ვარ რომანტიკული გოგო. პირდაპირი და ძლიერი ვარ. ამას ხაზს ვუსვამდი. მაგრამ მიკუნამ ისე შემაყვარა თავი, ისეთი საინტერესო პიროვნებაა და ისეთი სიგიჟეები აკეთა, რომ შეუძლებელი იყო ამ სიგიჟისთვის არ მეპასუხა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება